# კვირის პალიტრა

№ 47 (456) ◆ 24 – 30 ნოემბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## „ვარდების რევოლუცია“ უეკლოდ!



## პრეზიდენტი გადადგა!..



## გაუმარჯოს მშვიდობას!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## პრეზიდენტი გადადგა, გაუმარჯოს პრეზიდენტს!

23 ნოემბერს, გიორგობას, დაახლოებით 20 საათსა და 50 წუთზე, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე პოსტიდან გადადგა. მისი განცხადებით, იგი საქართველოს დატოვებას არ აპირებს, დარჩება საქართველოში და დაიწყებს მემუარების წერას. თუ საჭირო გახდება, კონსულტაციების სახით გაუზიარებს თავის გამოცდილებას საქართველოს აღმშენებლობით დაინტერესებულ ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას თუ სუბიექტს. ედუარდ შევარდნაძემ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა მას შემდეგ, როცა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში მასთან მოლაპარაკების მიზნით მისული ოპოზიციის ლიდერების, მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ჟვანიას ვიზიტი დასრულდა. პრეზიდენტთან ოპოზიციონერთა ლიდერების შეხვედრის ინიციატორმა და ორგანიზატორმა, რფ საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია მოლაპარაკების დაწყებისთანავე დატოვა და განაცხადა, რომ იქ მას საქმე აღარ აქვს, რადგან შევარდნაძე-სააკაშვილი-ჟვანიას საუბარი ქართველების პირადი საქმეა, რომელშიც უცხო პირი არ უნდა ჩაერიოს.

„შევარდნაძე გადადგა, გაუმარჯოს პრეზიდენტს!" — ამ შეძახილებით შეხვდა ათასობით მანიფესტანტი ახალ ცნობას პარლამენტის წინ. ოპოზიციონერთა ლიდერების განცხადებით, საქართველოში 23 ნოემბრიდან ახალი ერა დაიწყო. როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში? ამ კითხვაზე პასუხს საზოგადოება, ოპოზიციონერთა განცხადებით, უახლოეს დღეებში მიიღებს. სავარაუდოდ, 45 დღეში დაინიშნება ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.

## რა იყო მანამდე...

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პარლამენტის შენობის წინ ოპოზიციის მიერ მართული მიტინგები შეწყდა თუ არა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ადგილსამყოფელს ახალი „დარაჯები" გამოუჩნდნენ. მას შემდეგ, რაც ოპოზიციონერებმა მთელ საქართველოს დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდეს, „დემოკრატიული აღორძინების კავშირმა", ჯემალ გოგიტიძისა და ცოტნე ბაკურიას მეთაურობით, აჭარიდან მხარდამჭერთა „მრავალრიცხოვანი არმია" დაძრა, რომლის პირველი გაჩერება თბილისში „სპორტის სასახლე" აღმოჩნდა. ბურჯანაძე-დემოკრატების წარმომადგენლის, ელენე თევდორაძის სამშვიდობო აქციამ — ამღორძინებლებთან ყვავილებით შეხვედრამ დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუღლის შეწყვეტა ვერ შეძლო. აჭარული ოპოზიცია ოპონენტის გაკვალული გზით პარლამენტის შენობის „დასაცავად" საავტომობილო ტექნიკით კარგად შეიარაღებული გაემართა და დაიმუქრა — ვიდრე პარლამენტის სხდომა არ შედგება, აქედან ფეხს აღარ მოვიცვლითო. მანამდე კი ოპოზიციონერების, სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანიას მიმართ პროტესტით და რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნით პარლამენტის შენობის წინ მიტინგი გამართა მანანა არჩვაძე-გამსახურდიასა და გურამ შარაძის არაორდინარულმა ალიანსმა, რომელსაც სახელისუფლებო ბლოკის ზოგიერთი წარმომადგენელიც შეუერთდა.

## „მილიონი გაბრაზებული" თბილისისკენ გაემართა

პარლამენტის შენობის წინ „აღორძინების" დაბანაკებამ ოპოზიციის მიერ ეროვნული დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის ფრონტს ცეცხლი შეუნთო. მიხეილ სააკაშვილი რაიონებში გაემართა ქუდზე კაცის შესაყრელად და „ხავერდოვანი რევოლუციის" მოსაწყობად. მისი და ბურჯანაძე-დემოკრატების მხარდამჭერების მუქარა, სახელმწიფო მოხელეებს კაბინეტებში არ შევუშვებთ და კარს ავუჭედავთო, არ შესრულდა. თუმცა სააკაშვილმა და მისმა მომხრეებმა ზესტაფონში შევარდნაძის მიერ ჯერ მოხსნილი და შემდეგ მის მიერვე თანამდებობაზე აღდგენილი გამგებლის „ნავსაყუდელზე" გაილაშქრეს, რასაც სააკაშვილსა და შაშიაშვილს შორის ლანძღვა-გინება და ფიზიკური შეხლა-შემოხლაც მოჰყვა. ნაციონალების მხრიდან სხვა უფრო რადიკალურ ქმედებებს რაიონებში ადგილი არ ჰქონია. ნაციონალები და ბურჯანაძე-დემოკრატები მთელი კვირის განმავლობაში საპროტესტო აქციებს მართავდნენ რაიონებში. კვირის ბოლოს კი დასავლეთ საქართველოში შეკრებილი „მილიონი გაბრაზებული" რადიკალური ოპოზიციის ლიდერებთან ერთად, რომელსაც გზადაგზა გურამ აბსანძის „გაბრაზებული" თანამოაზრეებიც შეუერთდნენ, თბილისისკენ დაიძრნენ. პროტესტანტების მრავალრიცხოვანი ავტოკოლონა თბილისში 21 ნოემბრის საღამოს შემოვიდა. „ხავერდოვანი რევოლუციის" ორგანიზატორებმა პირველი მიტინგი მოაწყვეს საკრებულოს წინ, რომელიც გვიან ღამით დაიშალა.

## ოპოზიციას „გვერდები აუდგა"

„მანამ არ აუდგეს ოპოზიციას გვერდები, სანამ მათ მოთხოვნაზე მე არ გადავდგე. არსად გადადგომას არ ვაპირებ", — ასე უპასუხა პრეზიდენტმა შევარდნაძემ რადიკალური ოპოზიციონერების გამოწვევას წინააღმდეგობისა და დაუმორჩილებლობის ფრონტის შექმნის შესახებ. „გვერდები აგვიდგა", განაცხადეს ოპოზიციის მხარდამჭერებმა და შევარდნაძის უპირობო გადადგომა უფრო კატეგორიულად მოითხოვეს. დედაქალაქში ჩამოსვლამდე მიხეილ სააკაშვილმა მის მიმართ ტერორისტული აქტის მოწყობაში დაადანაშაულა შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი, რომელსაც პირველი ნაციონალის თქმით, სენაკის გზაზე ჰქონდა მისი ლიკვიდაციის მცდელობა, რაც ვერ განხორციელდა.

## გადადგომის სერიალი დაიწყო, ვინ იქნება შემდეგი?

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობიდან გადადგომამდე, ქვეყანაში თანამდებობიდან წასვლის მსურველთა რიცხვი გაიზარდა. საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის შეფის, ზაზა შენგელიასა და მისი მეუღლის, საქართველოს კულტურის მინისტრის, სესილი გოგიბერიძის გადადგომის შემდეგ, კიდევ ერთი უმუშევრით — გენერალური პროკურორის მოადგილით, ბადრი ბიწაძით შეივსო. პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს სოლიდარობა გამოუცხადა მეუღლემ და თანამდებობიდან გადადგა. ამის მოტივადაც ზემოდან სერიოზული ზეწოლა დაასახელა და განაცხადა, რომ ხელისუფლება ოპოზიციონერთა დასჯას მოითხოვდა ბიწაძისგან. კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, გადადგომის შესახებ განცხადება ყოველ მეორე მინისტრს აქვს დაწერილი. თუმცა არ გამორიცხავენ, რომ ქვეყნის მმართველობაში ახალი ძალების მოსვლის შემდეგ ბევრ მათგანს თავიანთ თანამდებობებზე დატოვებენ.

## თედო ჯაფარიძე ალაპარაკდა

სახელისუფლებო წრეებში პირველი სკანდალური განცხადების ავტორი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე გახდა. ხელისუფლებაში ერთ-ერთმა ყველაზე პროდასავლურმა მაღალი თანამდებობის პირმა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ საქართველოს მოსახლეობას მიმართა და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ყველა აქტიურ მონაწილეს გონიერებისკენ მოუწოდა. ჯაფარიძის განცხადებით, ბოლო დროს თურმე იგი შეგნებულად არიდებდა მედიასთან ურთიერთობას თავს. შექმნილმა უკიდურესად რთულმა პერიოდმა კი აიძულა ხმა ამოეღო. „მიუხედავად იმისა, რომ მე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების პროცესში არ ჩავრეულვარ, სრულად ვფლობ ინფორმაციებს მიმდინარე მოვლენების შესახებ და ვადასტურებ, რომ მართლაც ადგილი ჰქონდა უწესრიგობასა და დარღვევებს, რომელშიც ყველა პოლიტიკური ძალა მონაწილეობდა. საპარლამენტო არჩევნებში ბრძოლა თანამდებობებისა და სკამების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში გადაიზარდა. პრეზიდენტ შევარდნაძის ზურგს უკან წარმოებული გარიგებების შედეგად ქვეყანაში იქმნება სიტუაცია — „ყველა ყველას წინააღმდეგ", რაც შეიძლება საქართველოს წინააღმდეგ შექმნილი დიდი გეგმის ნაწილი იყოს, რომელიც ხდება ქართველების მონაწილეობით, მათი ხელითა და სისხლის ფასად", განაცხადა ჯაფარიძემ. მან დასძინა, რომ ტრაგედიის დატრიალების შემთხვევაში ვერავინ მიაღწევს დასახულ მიზანს და არავის შერჩება უდანაშაულო ხალხის სისხლის ფასად მოპოვებული ძალაუფლება. ჯაფარიძემ დაადასტურა უკვე გავრცელებული ინფორმაციები პრეზიდენტ შევარდნაძის მავანთა მიერ იზოლაციასა და ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნის შესახებ და ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამოსავლად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნისათვის მუშაობის დაწყება მიიჩნია.

## ლევან ალექსიძე პრეზიდენტს აფრთხილებდა

შევარდნაძის მრჩეველმა საერთაშორისო-სამართლებრივ საკითხებში ლევან ალექსიძემ პრეზიდენტს ბრალად დასდო კონსტიტუციის დარღვევა და დემოკრატიული პროცესების ხელყოფა. ალექსიძე სახელმწიფო კანცელარიაში რუსეთის ელჩის, ვლადიმერ ჩხიკვიშვილის გახშირებული ვიზიტებიდან გამომდინარე, პრეზიდენტის მრჩევლის როლში რუსეთის გამოჩენასა და დასავლელი მეგობრების აზრის იგნორირების მცდელობას შემაშფოთებელს უწოდებდა და შევარდნაძეს აფრთხილებდა, რომ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ცესკოსთან შეთანხმებით ჩაშლილად გამოეცხადებინა. ალექსიძე შევარდნაძეს ბრალად სდებს ქვეყანაში არსებულ განუკითხაობას და საკუთარი პოზიციების გასამყარებლად აჭარის ხელისუფლების დასახმარებლად მოხმობას. „პრეზიდენტმა თვალი დახუჭა იმ ბაქანალიაზე, რომელიც პარლამენტის შენობის წინ გამართა „აღორძინებამ", საიდანაც გაისმის მუქარა გაერთიანებული ოპოზიციის, ბიზნესმენების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მისამართით, რომლებიც ცდილობენ მომხდარი მოვლენები ობიექტურად გააშუქონ", — აღნიშნავდა ალექსიძე.

მოგვიანებით, 23 ნოემბერს, კანცელარიაში მისულმა ალექსიძემ განაცხადა, რომ იგი კვლავ მრჩეველია, ოღონდ ამჯერად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ბურჯანაძისა.

## ასე ამბობდა პოლიცია

„წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მივიღებთ ადეკვატურ ზომებს, ჩვენ გამოვიყენებთ კანონით მინიჭებულ უფლებებს — პროფილაქტიკურ-პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს. შსს-ს თანამშრომლები სრულ მზადყოფნაში არიან წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად სპეციალური საშუალებებით", აცხადებდნენ მთელი კვირის განმავლობაში შსს-ს ჩინოსნები. „ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოლიცია იარაღს გამოიყენებს. ჩვენ არ მიგვიღია ბრძანება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე, სპეციალურ საშუალებებში რეზინის ხელკეტები და წყლის ყუმბარებით მოქმედება იგულისხმება", — აღნიშნავდა შს მინისტრის მოადგილე შოთა ასათიანი. თუმცა პოლიციამ გადამწყვეტ მომენტში უარი განაცხადა მანიფესტანტებთან დაპირისპირებაზე და ხავერდოვანი რევოლუციის ინიციატორებს სრული თავისუფლება მიანიჭა.

## „მუშაობაში ხელს არავის შევუშლით..."

სახელმწიფო კანცელარიაში მყოფმა ოპოზიციის მომხრეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს კანცელარიის თანამშრომლებს და არ მისცეს ნება საიდუმლო დოკუმენტაცია გაეტანათ შენობიდან. ნაციონალური მოძრაობის წევრმა, ირაკლი ოქრუაშვილმა მხარდამჭერებთან ერთად კანცელარიის თანამშრომლებს საიდუმლო დოკუმენტაცია ჩამოართვა და კანცელარიის აპარატის უფროსს, პეტრე მამრაძეს გადასცა.

„ჩვენ ხელს არ შევუშლით... პირიქით, ხელს შევუწყობთ სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლებს მუშაობაში", — აცხადებდა ირაკლი ოქრუაშვილი.

## საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება არ დასცალდა

22 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში განვითარებული მოვლენების შემდეგ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში დაბრუნებულმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ მოგვიანებით გასცა ბრძანებულება №575, რომლის მიხედვით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და, უპირველესად, დედაქალაქში ვითარება უკიდურესად გამწვავებულია, ადგილი აქვს სახელმწიფო გადატრიალების აშკარა მცდელობას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საფრთხეს; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მასობრივად დარღვევის, კრიმინალური ვითარების კატასტროფული გამწვავების, მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმისა და ძალადობის ფაქტებს, ადმინისტრაციული შენობების იძულებით და უკანონოდ დაკავების, ხელისუფლების წარმომადგენლების მოთხოვნილებების მიმართ დაუმორჩილებლობასა და სხვა სისხლის სამართლის დანაშაულებს. კრიტიკული ვითარების დაძლევისათვის საჭირო ძალისხმევა მნიშვნელოვნად აღემატება არა მარტო ადგილობრივი ხელისუფლების, შსს-ს საპოლიციო დანაყოფების შესაძლებლობებსაც. ყოველივე ეს ქმნის მოქალაქეთა დაუცველობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შეწყვეტის, საერთო დესტაბილიზაციისა და საერთო არეულობის რეალურ საფრთხეს. ამიტომ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის ქვეპუნქტისა და საგანგებო მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მოსახლეობის უსაფრთხოების, სახელმწიფო უშიშროების და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის, სახელმწიფო გადატრიალების აღკვეთისა და დამნაშავეთა დაკავების მიზნით, გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე."

## იგორ ივანოვის საგანგებო ვიზიტი თბილისში

კვირას, გამთენიისას, თბილისში ჩამოფრინდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი, რომელიც მოგვიანებით შეხვდა ოპოზიციის ლიდერებს. გიორგობის დღესასწაულის გათენებისთანავე კი იგი სიტყვით გამოვიდა პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე, სადაც მიმართა მანიფესტანტებს და განაცხადა, რომ ის ნახევრად ქართველია და მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოში მიმდინარე პროცესები. ივანოვის თქმით, საქართველოში არ არსებობს პრობლემები, რომელთა მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა შეუძლებელია. „ის პრობლემები, რაც დღეს წარმოიშვა არჩევნებთან დაკავშირებით, კონსტიტუციური გზით უნდა გადაწყდეს, რაც პასუხობს როგორც ქვეყნის, ასევე ერის ინტერესებს. იმედი მაქვს, ყველა პოლიტიკური ძალა ამ პრინციპით იმოქმედებს. რუსეთი დაინტერესებულია საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნებით", განაცხადა ივანოვმა პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრის წინ.

## აჭარის მთავრობის დადგენილებით...

„მე მქონდა საუბარი ოპოზიციის ერთ-ერთ წარმომადგენელთან, ბატონ ზურაბ ჟვანიასთან, რომ უნდა მოინახოს გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან. ჟვანიას აქვს საიმისო ინტელექტი, რომ სწორად განსაზღვროს თავისი მოქმედების ავი თუ კარგი. ჟვანიამ ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ ის და მისი თანამოაზრეები არ ვარაუდობდნენ ვითარების გამწვავებას", — აღნიშნა აჭარის ლიდერმა, ასლან აბაშიძემ ედუარდ შევარდნაძის თანამდებობიდან გადადგომამდე რამდენიმე საათით ადრე საგანგებოდ მოწვეულ მთავრობის სხდომაზე, რითაც მიანიშნა საზოგადოებას, რომ აჭარა და მისი ლიდერი არ დაუშვებენ იმ ხმების გამართლებას, რომლებიც აჭარის რეგიონის საქართველოსგან მოწყვეტის საფრთხეზე მეტყველებენ. თუმცა აჭარის მთავრობის დადგენილებით, დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, 23 ნოემბრიდან რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ერთი თვის ვადით. „აღორძინების" ერთ-ერთი ლიდერის, ცოტნე ბაკურიას განცხადებით კი პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე(?!). „ჩვენ სიამოვნებით მოვისმენდით მათგან პასუხებს წლების განმავლობაში საქართველოს ხაზინის, კრედიტების განიავებისა და სხვა სახელმწიფოებრივი დანაშაულობათა გამო", — განაცხადა ბაკურიამ.

აბაშიძის გამოსვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ, რფ საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში შევარდნაძე-ოპოზიციის მოლაპარაკების შედეგებს არ დაელოდა და ბათუმში გაფრინდა. რა მოჰყვება ივანოვის ვიზიტს აჭარაში, ვითომ აბაშიძის გადადგომა?! თუმცა ინტერ-ფაქსის ინფორმაციით, ივანოვი შეეცდება ასლან აბაშიძე დაარწმუნოს ოპოზიციასთან მოლაპარაკების აუცილებლობაში.

## რაში სჭირდებოდათ ცრემლსადენი გაზი

სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ კორნელი სალიას განცხადებით, 29 ნოემბრის დილას საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ერთ-ერთ გამშვებ პუნქტზე ქართველმა მესაზღვრეებმა დააკავეს ბმვ-ს მარკის ავტომობილი, რომელშიც ორი ყუთი მომწამვლელი გაზის, „ჩერიომუხის" ბალონები იყო. ტვირთი და მანქანა საქართველოს შსს-ს ორ ოფიცერს ეკუთვნოდა, რომლებიც ჯერჯერობით დაკავებული არ არიან. არსებობს ვარაუდი, რომ ცრემლსადენი გაზი თბილისში მიტინგის დასაშლელად უნდა გამოეყენებინათ.

## სიტყვის თავისუფლება ყველასთვის არ არის?

„ვარდების რევოლუციასთან" ერთად არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ზეწოლა თავისუფალ სიტყვასა და მედიაზე. როგორც იცით, სახელმწიფო ტელევიზია ოპოზიციასთან დადებული პირობის თანახმად, მხოლოდ მიტინგიდან რეპორტაჟებს გადასცემდა და ამ ფაქტმა არა მარტო პირველი არხის ჟურნალისტები გააღიზიანა, არამედ საზოგადოებაც.

ბურჯანაძე-დემოკრატების ლიდერმა, ნინო ბურჯანაძემ კატეგორიულად გამორიცხა შტურმით რომელიმე ობიექტის, მით უმეტეს, პირველი არხის დალაშქვრა. მომხდართან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოხატა ყოფილმა პირველარხელმა ინგა გრიგოლიამ: „დაუშვებელია ტელევიზიაზე ზეწოლა. ოპოზიცია აქამდე მედიის თავისუფლებას ქადაგებდა. თუ მართლა ასე ფიქრობენ, თავიანთი მოწოდებები საქმით დაიცვან. იმის გამო, რომ პირველ არხზე პრეზიდენტის ინტერვიუ არ მოეწონა ოპოზიციას, მას ტელევიზიაზე იერიშის მიტანის უფლება არ ჰქონდა. მე ვიცი, რას ნიშნავს სახელმწიფო ტელევიზიაში მუშაობა და ზეწოლა ხელისუფლების თუ ოპოზიციის მხრიდან. ნებისმიერი ადამიანისთვის ძალზე მტკივნეულია, როცა მას სიცრუის თქმას დააბრალებ. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ბრალმდებელი, ხელისუფლება თუ ოპოზიცია. ჩემთვის ეს მიუღებელია. ჟურნალისტები მაშინ ვართ თავისუფლები, როცა ყველაფრის ობიექტურად ასახვის საშუალება გვაქვს. ასეთი რამ კიდევ რომ გამეორდეს, წავალ და ჩემს პირველარხელებს გვერდით დავუდგები", — განაცხადა „კვირის პალიტრასთან" საუბარში ინგა გრიგოლიამ.

## ედუარდმა ედუარდს მიჰბაძა

თბილისში განვითარებული მოვლენების პარალელურად, მდგომარეობა შეიცვალა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სადაც ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა, ედუარდ კოკოითმა ედუარდ შევარდნაძის მსგავსად საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და მკაცრი კონტროლი დააწესა ცხინვალში. თავად პრეზიდენტი უკვე რამდენიმე დღეა, რაც მოსკოვში იმყოფება და იქიდან იძლევა განკარგულებებს და აცხადებს, რომ მისი სურვილია თბილისში იყოს სიმშვიდე და ვითარების დაძაბვას არ მოჰყვეს გართულებები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში.

CMYK

# შევარდნაძემ ხალხი გაახარა!..



„ვარდების რევოლუცია“

თბილისში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა. 22 ნოემბერს მთელი მსოფლიო ღია ეთერში ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ კითხულობდა სიტყვას საკუთარი მცველებით გარშემორტყმულ ტრიბუნაზე მდგომი საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში განვითარებული მოვლენების ფონზე, რომელიც მოგვიანებით იმავე მცველებმა ლამის ხელში ატატებული გაიყვანეს დარბაზიდან. დაწვრილებით აღარ მოვყვებით, თუ როგორ განვითარდა მოვლენები ამის შემდეგ — როგორ სვამდა პრეზიდენტის მიერ დატოვებული მოვარაყებული ჭიქით უმაღლესი ხარისხის მწვანე ბაიხის ჩაის მიხეილ სააკაშვილი იმ ტრიბუნასთან, სადაც რამდენიმე წუთის წინ შევარდნაძე იდგა, როგორ დაგორდა სიჩქარეში კიბეზე დარბაზიდან გაქცეული ჯემალ გოგიტიძე, რომელსაც მაჭავარიანისთვის გაწნული სილის სამაგიერო მდევართაგან პანღურებად დაუბრუნდა... მოგვიანებით ათიათასობით ადამიანი პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბა და კვლავაც უპირობოდ მოითხოვდა პრეზიდენტის გადადგომას. სანამ ხალხი მოწოდებასა და მოწოდებას შორის თავს ცეკვით იქცევდა, მოსკოვიდან ჩამოსული იგორ ივანოვი პარლამენტსა და კრწანისი რეზიდენციას შორის დარბოდა — როგორც იტყვიან, „კონფლიქტს აგვარებდა“. მოგვარების ფინალად კი პრეზიდენტის გადადგომა იქცა(!). თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ალბათ ხალხს ასე არაფერი გახარებია.

ღმერთმა ინებოს, ქართველ ერს ეს ამბავი თავშესაქცევად გასახსენებელი დარჩეს. საფრთხე კი კვლავაც მრავალი მხრიდან გვემუქრება, რადგან შეცდომების დაშვების ცდუნება შექმნილ ვითარებაში პრეზიდენტის ეულად დარჩენილ ამალასაც მრავლად აქვს და ოპოზიციასაც.

ვესაუბრებით პოლიტოლოგ **რამაზ კლიმიაშვილს:**

— ვითარება უაღრესად სერიოზულია. ყველაზე სერიოზული და ტრაგიკული კი ის არის, რომ უკვე საბოლოოდ მტკიცდება მოსაზრება პრეზიდენტის ქმედუუნარობის თაობაზე — ეს ადამიანი ისე ლაპარაკობს და იქცევა, თითქოს სულ რამდენიმე წუთის ჩამოფრენილი იყოს უცხო პლანეტიდან. ის და მისი გარემოცვა (ასაკის მიუხედავად) კვლავაც პროკომუნისტურ განწყობასა და აზროვნებაზე რჩებიან, რასაც ვერ ვიტყვით ხალხზე — მრავალწლიანი კომუნისტური, შემდეგ კი შევარდნაძისტული წნეხის მიუხედავად, ამ დღეებში ნათლად გამოჩნდა, რომ ხალხს კვლავაც შერჩენია მოქალაქეობრივი შეგნება, სურვილი, ისეთ სახელმწიფოში ცხოვრებისა, სადაც ყველაფრის ბატონ-პატრონი თვითონ იქნება და არა რამდენიმე გაქსუებული ჩინოსანი. სხვათა შორის, განვლილ დღეებში მიტინგებზეც საკმაო დრო დავყავი — სიტუაციას და ხალხს ვაკვირდებოდი. პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ ატეხილი ისტერიის მიუხედავად, არანაირი მასობრივი მაროდიორობა და ყაჩაღობა არ დაწყებულა. მე კარგად მახსოვს 1991 წელს განვითარებული მოვლენებიც — მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ლონდონში ვიმყოფებოდი, საერთაშორისო არხები ღია ეთერით გადმოსცემდნენ კადრებს, თუ როგორ გამორბოდა ხალხი ტელევიზორებით და კომპიუტერებით ხელში პარლამენტიდან და სასტუმრო „თბილისიდან“. შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებს ადგილი ჰქონდეს კიდეც დღეს, მაგრამ ფაქტია, რომ არც კანცელარიაში და არც პარლამენტში ვანდალური რბევა-დატაცება არ მომხდარა.

**— მიუხედავად მომიტინგეთა ოპტიმისტური განწყობისა და მოვლენებისადმი მოქალაქეობრივი დამოკიდებულებისა, ისიც ფაქტია, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის. ჯერ კიდევ არ არის გამორიცხული პროვოკაციის მოწყობა, რაზეც ასე ხშირად ლაპარაკობენ და რომელსაც დიდი უბედურება შეიძლება მოჰყვეს.**

— რასაკვირველია, საფრთხე არსებობს. ჩვენი უვარგისი კონსტიტუციის პირობებში ცოტა ძნელია წარმოდგენა, როგორ შეიძლება მოხდეს არჩევნების ბათილად ცნობა და ახლის დანიშვნა, მანამდე კი ახალი, დროებითი მთავრობის ლეგიტიმაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციურად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს მინისტრთა კაბინეტის წევრების შეცვლის უფლება არა აქვს... თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მიხეილ სააკაშვილიც და ნინო ბურჯანაძეც საკმაოდ გამოცდილი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები არიან, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რაიმე გამოსავალს მოიფიქრებენ. არის სხვა, არანაკლებ სერიოზული საფრთხეც — ძალიან მეეჭვება, შევარდნაძის რეჟიმის კორუმპირებულმა კლანმა ასე იოლად, ორ დღეში დათმოს წლების მანძილზე განაწილებული და ჩამოყალიბებული არალეგალური შემოსავლების სისტემა. მით უმეტეს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე დამკვიდრებული განწყობით ეს ხალხი რატომღაც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ არა მხოლოდ დაგროვილი ქონება შერჩებოდათ სამარადჟამოდ, არამედ სახელმწიფოს ძარცვის ბერკეტებიც... ამ ხალხმა მართლაც, შესაძლოა, ათასი პროვოკაცია მოაწყოს და ქვეყანაში ქაოსური პროცესები განავითაროს — დაავალოს სხვადასხვა ჯგუფს მაღაზიების დარბევა და გაძარცვა, შეიარაღებული კონფლიქტების მოწყობა და ა.შ. ამგვარ ფონზე მაქსიმალურად ეცდებიან ოპოზიციის დემორალიზებას და იმ საშინელებათა დატრიალებას, რაც საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში ხდებოდა... ასეთ შემთხვევაში კი შესაძლოა იმედი აქვთ, რომ ხალხს „სტაბილურობის მომტანი“ შევარდნაძე და მისი არქაულ-კომუნისტური დინოზავრების გარემოცვა სანატრელი გაუხდება... ყოველივეს გათვალისწინებით, ალბათ ყველაფერი იოლად და უმტკივნეულოდ არ დასრულდება. თუმცა, აქაც არის ერთი რამ, რაც იმედის საფუძველს გვიჩენს. ამ დღეების მანძილზე ყველა საერთაშორისო ტელეკომპანია — ბი-ბი-სი, სი-ენ-ენი, ეი-ბი-სი და სხვანი, თბილისში განვითარებული მოვლენების გაშუქებისას ყურადღებას ერთადერთ ტენდენციაზე ამახვილებდნენ — გაოცებას გამოთქვამდნენ ხალხის თავდაჭერილობის გამო, გაოცებას გამოთქვამდნენ პარლამენტის დარბაზის უსისხლოდ დაკავებასთან დაკავშირებით, გაოცებას გამოთქვამდნენ პარლამენტის წინ შეკრებილი „აღორძინების“ მომხრეების — გაერთიანებული ოპოზიციის მომხრეთაგან, შეიძლება ითქვას, უმტკივნეულო ჩანაცვლებით, კანცელარიისა და პარლამენტის შენობების უვნებლად დაკავებით... არადა, ამ ტელეკომპანიების ჟურნალისტებს კარგად ახსოვთ უახლოეს წარსულში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ათასგვარი, ასეთი სიტუაციებისთვის დამახასიათებელი საშინელებანი ხდებოდა. სწორედ ეს თავისებურება მაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს, რომ საქართველო, ქართველი პოლიტიკოსები და ხალხი უახლოესი წარსულის შეცდომებს აღარ გაიმეორებენ...

**— შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით ამგვარად ვითარდებოდა მოვლენები იუგოსლავიაშიც, სადაც ხალხი ქუჩაში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ გამოვიდა. იუგოსლავიაში იყო „კმარაც“, რომელსაც, სხვათა შორის, დროშაც კი ქართული „კმარას“ მსგავსი ჰქონდა. თუმცა, უპირველესი განსხვავება იქ განვითარებული პროცესებისგან ალბათ ოპოზიციის ერთიანობაში მდგომარეობს(!) — ბელგრადში ერთი მიზნითა და დევიზით — პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით — 18 პოლიტგაერთიანება დადგა. თბილისში ოპოზიციას, რომელიც დღეს სახალხო მოძრაობას უდგას სათავეში, ორი პოლიტიკური გაერთიანება წარმოადგენს. რა კავშირები არსებობს იმჟამინდელ იუგოსლავიასა და დღევანდელ საქართველოს შორის?!**

— როგორც ჩანს, პარტიებს შორის ინტრიგების ხლართვა შევარდნაძის გარემოცვას ბევრად უფრო ხელეწიფება, ვიდრე ამას მილოშევიჩის რეჟიმი აკეთებდა — თუმცა, დაპირისპირების შექმნას იქაც მიაღწიეს. თბილისში კი ამ მხრივ უმაღლესი პილოტაჟი გამოავლინეს. სხვათა შორის, ამ საქმიანობაში ოფიციალური სპეცსამსახურები იმდენად არ აქტიურობდნენ, რამდენადაც ზოგიერთი მაღალჩინოსნის პირადი აგენტურული ქსელი, რომლის წარმომადგენლებიც დღემდე ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერის უახლოეს გარემოცვაში არიან ჩანერგილნი... სწორედ მათ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს დღეს შექმნილი სიტუაცია — სახელმწიფოსთვის უაღრესად მძიმე ვითარებაში, პოლიტიკური ლიდერები ერთმანეთის გვერდით კი არ დგანან, რათა ერთად იპოვონ გამოსავალი, თავ-თავის ოფისებში „გამაგრდნენ“ და საზოგადოებას რეცეპტებს იქიდან სთავაზობენ... რაც შეეხება „კმარას“, ამ მოძრაობას იუგოსლავიაშიც და თბილისშიც სოროსი აფინანსებს. თუმცა, ირინა სარიშვილი საკმაოდ აბსურდულ განცხადებებს აკეთებდა, „კმარა“ რუსეთის სპეცსამსახურებიდან ფინანსდებაო... სოროსის მიზანი საკმაოდ მარტივია — ამ ადამიანს ძალიან ბევრი ფული აქვს და აქვს სურვილიც, ეს ფული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, დემოკრატიის განვითარებას მოახმაროს. რაც შეეხება რუსეთს — შევარდნაძის ყველაზე დიდი პრობლემა, ჩემი აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ თავისი „დაბალანსების“ პოლიტიკით ერთნაირად მოაბეზრა თავი ამერიკასაც და რუსეთსაც. თუ დააკვირდით, ვითარების გამწვავების პირველსავე სტადიაში ხელისუფლება ცდილობდა, კრემლი თავის მხარდამჭერად წარმოეჩინა, მაგრამ პუტინი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი გახლავთ, რომელიც გადაწყვეტილებას უპირველესად, რეალურად არსებული სიტუაციის მიხედვით იღებს. სწორედ რეალური სიტუაციიდან გამომდინარეობდა თბილისში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩამოსვლა (და არა პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლისა). როდესაც ივანოვი აეროპორტიდან პირდაპირ მიტინგზე მივიდა, ამით გაერთიანებულ ოპოზიციას ფაქტობრივი მხარდაჭერა გამოუცხადა. რაც შეეხება „აღორძინებას“ — ის, რაც თბილისში ბოლო დღეებში ხდებოდა, შევარდნაძის ნაცადი პოლიტიკის პროდუქტი გახლავთ. გაიხსენეთ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები, როდესაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ ყურადღება ბათუმზე გადაიტანა და ის მთავარ მტრად გამოაცხადა. როდესაც შევარდნაძე ახლახან ბათუმში ჩავიდა, რასაც ასლან აბაშიძის მეზობელ ქვეყნებში ვოიაჟი და თბილისში აჭარიდან ჩამოყვანილი ხალხის მიტინგი მოჰყვა, კვლავ იმავე სცენარის გათამაშება მოინდომა — ხალხის აღშფოთება ბათუმსა და აბაშიძეზე გადაეტანა. მაგრამ როგორც ხედავთ, ამისგან არაფერი გამოვიდა. ახლა უმნიშვნელოვანესია, გაერთიანებულმა ოპოზიციამ აჭარის ხელისუფლებასთან ურთიერთობა არ დაძაბოს, რასაც შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს...

წელან შევარდნაძის პრობლემაზე მოგახსენებდით — მისი მეორე დიდი პრობლემა საქართველოში სახელმწიფო იდეოლოგიის არარსებობა გახლდათ. როდესაც იგი სახელგანთქმული, საერთაშორისო დონის დიპლომატი და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, იცოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა და როგორ გაეკეთებინა, ანუ მას ჰქონდა თავისი სამოქმედო პლატფორმა, რაც საქართველოში ჩამოსულს არ გამოადგებოდა — ახლის შექმნა კი, როგორც გითხარით, ვერ მოახერხა...

**— პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ როგორ გესახებათ მოვლენათა სალი განვითარება საქართველოში?**

— კარგი იყო, გადადგომამდე პრეზიდენტს რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები დაენიშნა. ამჯერად, ალბათ საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევს არჩევნების ბათილად ცნობა, რაც შესაძლოა, დროში გაიწელოს. არის მეორე ვარიანტიც — ცესკო, რომელიც ფაქტობრივად დემორალიზებულია. ხელისუფლების უნიათობის და ავი განზრახვის გამო ამომრჩეველთა სიები ფაქტობრივად, თავიდან არის შესადგენი. შესაცვლელია ქვეყნის კონსტიტუციაც, რადგან მის თანახმად, პრეზიდენტს იმაზე მეტი უფლება აქვს მინიჭებული, რამდენიც რომელიმე აფრიკული ტომის ბელადს შეიძლება ჰქონდეს. სახელმწიფო მოწყობის ევროპული მოდელის მიხედვით, ქვეყანაში პრეზიდენტს მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლება აქვს, თუმცა, ამავდროულად, აკონტროლებს პრემიერ-მინისტრის ქმედებასაც, რომელიც არის ფაქტობრივი მმართველი სახელმწიფოში. აუცილებელია, საქართველოში ხელისუფლების სხვადასხვა შტოთა დაბალანსება მოხდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, იმისგან, რამაც ამჟამად განვითარებულ მოვლენებამდე მიგვიყვანა, დაზღვეულნი არასოდეს ვიქნებით. სხვათა შორის, ეს არცთუ ძნელი გასაკეთებელია, რადგან კონსტიტუციის თავიდან დაწერა არ მოგვიწევს. თავის დროზე, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო დოკუმენტზე თითქმის ორი წლის განმავლობაში საკმაოდ სოლიდური, პროფესიონალი და პატრიოტი ადამიანებისგან შემდგარი საკონსტიტუციო კომისია მუშაობდა — მათ ევროპული სტანდარტების კონსტიტუცია შექმნეს, რომლის იურიდიული ექსპერტიზაც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში მოხდა და რომელმაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. თუმცა, შევარდნაძეს ეს დოკუმენტი ხელს არ აძლევდა და მოგვიანებით, იგი თავისი მარიონეტების მიერ სამ კვირაში სასწრაფოდ მომზადებული დოკუმენტით შეცვალა, რომელსაც კონსტიტუციას ვერც ვუწოდებთ და რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტს განუსაზღვრელი უფლებები და მინიმალური პასუხისმგებლობა აქვს მინიჭებული. რიგგარეშე არჩევნების გამოცხადებისა და პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ, ძველმა პარლამენტმა უპირველესად, სწორედ იმ კომისიის მიერ შექმნილი კონსტიტუცია უნდა აამოქმედოს და არჩევნებიც მის თანახმად ჩაატაროს.

სხვათა შორის, არც იმ რადიკალური განცხადებების მომხრე ვარ, რაც ბოლო დღეებში კეთდებოდა. თუმცა, რამდენადაც ცნობილი გახდა, გადადგომის ერთ-ერთ პირობად ოპოზიციამ პრეზიდენტს სწორედ ხელშეუხებლობა აღუთქვა. ალბათ, იურიდიულ და კონსტიტუციურ ფარგლებში, ხელშეუხებლობის განსაზღვრული გარანტიები მის გარემოცვასაც უნდა მივცეთ. ვფიქრობ, ეს დათმობა ღირს საიმისოდ, რომ ხავერდოვანმა, თუ გნებავთ, „ვარდების რევოლუციამ“ ისეთივე მშვიდობიანი განვითარება პოვოს, როგორც დაიწყო და როგორც დასრულდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნუ დაგვავიწყდება, რომ ვარდს ეკალიც მრავლად აქვს..

***დაჩი გრძელიშვილი***

## „ყველაფერი დადგა თავის ადგილას...“

გიორგობის დღესასწაულით საქართველოში ახალი ერა, ახალი ეპოქა დაიწყო... ოპოზიციის მრავალდღიანი ბრძოლა გამარჯვებით დასრულდა. საქართველოში ხავერდოვანი რევოლუცია შედგა. ქართველებმა ხავერდოვნად, უსისხლოდ, ისე როგორც დიდი პოლიტიკური კულტურის ხალხს შეეფერებოდა, — ძალადობის გარეშე შეცვალა ხელისუფლება.

ჩვენ ბედნიერი ერი ვყოფილვართ იმითაც, რომ პრეზიდენტის ჩამოგდების ცოდვა აღარ დავიდეთ. საქართველოს პრეზიდენტი ღირსეულად წავიდა. კვირას, საღამოს 8 საათზე მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია და იგორ ივანოვი კრწანისის რეზიდენციისაკენ გაემართნენ. რამდენიმეწუთიანი მოლაპარაკების შემდეგ, რაც საკუთარი და მისი ოჯახის უსაფრთხოების გარანტია მიიღო, ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტობიდან გადადგა. პრეზიდენტ შევარდნაძის ბოლო სიტყვაც ისეთი იყო, ქართველებს რომ შეგვეფერებოდა. პრეზიდენტი მადლობით წავიდა, მადლობა მან თავის ოპონენტებს, მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ჟვანიას გადაუხადა:

— დიდი მადლობა გულწრფელობისათვის, გულახდილობისათვის, ძალიან კარგად ვისაუბრეთ.

**— ბ-ნო პრეზიდენტო, ხელი მოაწერეთ გადადგომაზე?**

— ამაზე ლაპარაკი არ გვქონია. ჩვენ გულწრფელად ვისაუბრეთ. რაში მჭირდება ხელმოწერა...

**— ვის აბარებთ ხელისუფლებას?**

— ეგ უკვე ჩემი საქმე არ არის.

**— სად მიდიხართ?**

— სახლში.

პრეზიდენტის ღირსეული განცხადების შემდეგ ოპოზიციამაც ღირსებისა და კაცთმოყვარეობის მაგალითი გვიჩვენა.

**მიხეილ სააკაშვილი:**

— პრეზიდენტი ქვეყანაში უნდა დარჩეს. ჩვენ უნდა გვქონდეს ღირსების განცდა. ქვეყნის ღირსების საკითხია, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს დაედგომებოდეს თავის ქვეყანაში და ჰქონდეს გარანტირებული უსაფრთხოება, გარანტირებული საყოფაცხოვრებო პირობები, იყოს დაცული — ეს არის ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. პრეზიდენტმა გადადგა ძალზე ვაჟკაცური ნაბიჯი. თავიდან აიცილა სისხლის ღვრა ქვეყანაში. მან გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც შედიოდა როგორც ქვეყნის, ისე თითოეული ქართველის ინტერესებში და ვფიქრობ, ამას ისტორია ღირსეულად დააფასებს.

კონსტიტუციით უნდა დაინიშნოს საპარლამენტო არჩევნები. პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილება შეზღუდულია. მას არ შეუძლია სერიოზული საკადრო გადაადგილებები, არ შეუძლია მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა. ახლა მნიშვნელოვანია პრეზიდენტ შევარდნაძის, შეიარაღებული ძალების, საქართველოს პოლიციის და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის დახმარებით ქვეყანაში შევინარჩუნოთ სტაბილურობა, სიმშვიდე, სიწყნარე. ხალხი სახლში უნდა წავიდეს. იმიტომ რომ მოვემზადოთ ახალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის და საქართველოს ხვალინდელი დღისთვის. დღეს საქართველოსთვის უდიდესი დღეა.

**ზურაბ ჟვანია:**

— ნამდვილად არ მაქვს დალაგებული, რისი თქმაც მინდა. ვფიქრობ, რომ პრეზიდენტმა ამ გადაწყვეტილებით ძალიან ღირსეულად დაუსვა წერტილი იმ კონფრონტაციას და ვითარებას, რაც შეიქნა საქართველოში. ყველაფერი დადგა თავის ადგილას. იმედი მაქვს, რომ ყველა ადამიანს, ვინც იბრძოლა ამ დღეების განმავლობაში, შეუძლია მშვიდად დაბრუნდეს სახლში. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ედუარდ შევარდნაძის ამ გადაწყვეტილებას. მან დააფიქსირა, რომ არსად არ აპირებს წასვლას საქართველოდან. ის ფიქრობს, რომ შეძლებისდაგვარად მისი ავტორიტეტი და გამოცდილება გამოიყენოს იმ ხალხმა, ვინც იქნება ქართული ხელისუფლების სათავეში. ის ემოციები, რომელიც ყველას გვქონდა ამ დღეების განმავლობაში, უნდა გადავიდეს უკანა პლანზე და ჩვენ უნდა დავიწყოთ ძალიან ღირსეულად, მშვიდად, ყოველგვარი შურისძიების და ანგარიშსწორების გარეშე. ახალი, ერთიანი, შეკრული ქართული სახელმწიფოს და ქართული საზოგადოების მშენებლობა.

**— არჩევნების ჩატარებას როდის აპირებთ?**

— არჩევნების გამართვის თარიღი განსაზღვრულია კონსტიტუციით. ის უნდა გაიმართოს პრეზიდენტის გადადგომიდან 45 დღის შემდეგ.

CMYK




















ფრიდონ გეგეშიძის ფოტოქრონიკა

# ხავერდოვანი რევოლუცია აშკარად სჯობს სისხლიანს...



მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კანცელარიაში ჩქაროსნული ლიფტებია დამონტაჟებული, ასე სწრაფად მაინც ვერ მოახერხებდნენ ოპოზიციის წევრები კანცელარიის სახურავზე ასვლას და ოპოზიციური პარტიების ფლაგმანის, ნაციონალური მოძრაობის დროშის აღმართვას, რომელმაც კანცელარიის ბოლო სამი სართული მთელ სიგრძეზე დაფარა. არც ის მინახავს, რომ სახელმწიფო კანცელარიაში შეჭრილ ხალხს ეს დროშა შეეტანა. ყოველივე ეს იმის დასკვნის საფუძველს მაძლევს, რომ პრეზიდენტის კანცელარიაში ბევრს მოჰბეზრდა შევარდნაძისა და მისი კლანის მმართველობის ქვეშ ცხოვრება და მისგან ფარულად ოპოზიციას შეეკრა.

ფაქტია ის, რომ ხავერდოვანი რევოლუცია აშკარად სჯობს სისხლიანს. როგორც ყველა ქართველი, მეც ვნატრობდი, რომ წვეთი სისხლი არ დაღვრილიყო, მაგრამ როცა პარასკევს, დილით, სახელმწიფო კანცელარიისა და პარლამენტის წინ ხელისუფლების მხარდამჭერი პოლიციის, უშიშროებისა და სპეცდანიშნულების რაზმების წევრების აგრესიას წავაწყდი, იმედი გადამეწურა. მაგრამ მოულოდნელად სამართალდამცველებმა ოპოზიციის მხარდამჭერ ხალხს და უპირველესად, მათ ლიდერებს დიდი გაწევ-გამოწევის გარეშე გზა მისცეს...

უკანა ეზოში გადავიხედე, სადაც ძირითადად, კანცელარიის მომარაგების თანამშრომლები ტრიალებდნენ. ეზოში ჯიპი იდგა და მასში ფაცხაფუცხით ტვირთავდნენ საქაღალდეებს. მივხვდი, რომ ხელისუფლება კანცელარიის შენობას ტოვებდა და საიდუმლო დოკუმენტებიც თან მიჰქონდა. ამ დროს ინგოროყვას ქუჩიდან სახელმწიფო კანცელარიის შესასვლელთან ოპოზიციის უამრავმა მხარდამჭერმა მოიყარა თავი. კართან დაცვის მხოლოდ სამი წევრი იდგა, მაგრამ რატომღაც იერიში გვიანდებოდა. გია ბარამიძემ იერიშის ბრძანება მხოლოდ მას შემდეგ გასცა, რაც კანცელარიის ეზო ხელისუფლების წევრების ავტომანქანებმა ათასობით კაცის სტვენისა და შეძახილების თანხლებით დატოვა.

კანცელარიაში ხალხის შეჭრის პირველ წუთებში სრული ქაოსი იყო. უმეტესობა ცდილობდა „საპრეზიდენტო“, მე-11 სართულზე ასულიყო და პრეზიდენტის აპარტამენტები „დაეთვალიერებინა“. მხოლოდ რამდენიმე ათეულ პირს ხვდა წილად „ბედნიერება“, პრეზიდენტის კაბინეტში და მის სათათბირო ოთახში შეჭრილიყო. სწორედ მათ გადაუძახეს მე-11 სართულიდან პრეზიდენტის სავარძელი, რომლის ნატეხები ეზოში დარჩენილებმა სუვენირებად დაინაწილეს. სახელმწიფო კანცელარიაში შეჭრიდან ერთ საათში გია ბარამიძემ ერთგული ხალხის დახმარებით წესრიგის დამყარება შეძლო. პირველ სართულზე შტაბი მოაწყო, ხოლო დანარჩენ სართულებზე სამ-სამკაციანი მორიგეები გამწესდნენ. ისინი კანცელარიის 2-2 ტექნიკურ პერსონალთან ერთად მორიგეობდნენ, ხოლო მე-10-11 სართულებზე მორიგეების ოდენობა 10 კაცით განისაზღვრა. გარეთ გამოვედი, ხალხი ჯგუფებად შეკრებილიყო და დღის მოვლენებს აანალიზებდა. „ვეუბნები ბარამიძეს, აეროპორტი, ტელეგრაფი და სატელევიზიო ანძაც უნდა ავიღოთ-მეთქი, მაგრამ რატომღაც არ მიჯერებს. არადა, ეს ობიექტები ჩვენს კონტროლს სასწრაფოდ უნდა დავუქვემდებაროთ, ისე ხელისუფლება არ შეიცვლება“, — არწმუნებს თანამოსაუბრეებს ვიღაც ჭაღარა მამაკაცი.

ახალგაზრდა მამაკაცი ჭაღარათმიანს ეთანხმება და დასძენს: „ეგ ობიექტებიც უნდა ავიღოთ და კრწანისის რეზიდენციაც. კარგი იქნება, შსს-ს და უშიშროების შენობებსაც თუ ავიღებთ და პრეზიდენტს დავაპატიმრებთ, თორემ ეგ თუ კრწანისში დარჩა, რაღაცას გვიხიმანებს“.

P. S. ხავერდოვანი რევოლუციის სისხლიან რევოლუციად გადაქცევის რეალური საფრთხე მართლაც არსებობს და სანამ ჩამოგდებული ხელისუფლება ამ ნაბიჯს გადადგამს (თუ ფიქრობს ამაზე), იქნებ დაფიქრდნენ, რომ დაკარგული სავარძლები ერთი ქართველის სიცოცხლის ფასადაც არ ღირს.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# „ვინც ხალხის წინააღმდეგ დანაშაულს ჩაიდენს, საკადრისად დაისჯება!“

„ხავერდოვანმა რევოლუციამ“ ბევრ სახელმწიფო უწყებას მუშაობის ჩვეული რიტმი დაურღვია. მართლია, ეს ნებისმიერი სახელმწიფო გადატრიალების თანამდევი პროცესია, მაგრამ ჩვენ მაინც დაუშვებლად მიგვაჩნია ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის უწყებებისა და დაწესებულებების — როგორებიცაა სამედიცინო დაწესებულებები, სახანძრო რაზმები, ენერგოობიექტები და განსაკუთრებით, პოლიციის განყოფილებები და სამმართველოები — თუნდაც ერთდღიანი უმოქმედობა. არადა გადატრიალების წინა დღეებში შსს-მ დედაქალაქისა და საქართველოს რაიონების პოლიციის პირადი შემადგენლობის მობილიზაცია პარლამენტისა და კანცელარიის წინ გამოაცხადა, მაგრამ პოლიციამ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება გამოიჩინა და საკუთარ ხალხს არ დაუპირისპირდა...

პოლიციის ნეიტრალიტეტს, ანუ უმოქმედობას, შეიძლება კრიმინალური სიტუაციის გამწვავება მოჰყვეს. დედაქალაქში უკვე დაფიქსირდა შეიარაღებული ჯგუფური ყაჩაღობის რამდენიმე ფაქტი. მაგალითად: 22 ნოემბერს, ღამით, თბილისში ბაქტრიონის ქუჩაზე მდებარე ხორცპროდუქტების შპს „ნიკორას“ მაღაზიას ოთხი შეიარაღებული ნიღბოსანი დაესხა თავს და მთელი დღის ნავაჭრი თანხა გაიტაცეს. იმავე ღამით კიდევ რამდენიმე ყაჩაღობისა და ძარცვის ფაქტი მოხდა. ზოგიერთი კრიმინალური დაჯგუფების წევრები ნაციონალებისა და ბურჯანაძე-დემოკრატების პარტიის დროშებით და ემბლემებით „შეიარაღებული“ მიდიან სუპერმარკეტებში, მაღაზიებსა და ბენზინგასამართ სადგურებში და მათ მეპატრონეებს ოპოზიციის მხარდამჭერებისა და პარტიის წევრებისათვის სურსათ-სანოვაგეს სთხოვენ ან ნავაჭრ თანხას იტაცებენ(?!).

გლდანში მდებარე ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორის თქმით: „გუშინაც მოვიდნენ... მანქანაზე ბურჯანაძე-დემოკრატების დროშა ჰქონდათ დამაგრებული და 10 ლიტრი ბენზინი მთხოვეს. ორი მათგანი ჩემს ოთახში შემოვიდა, მითხრეს, მობილური ტელეფონის აკუმულატორი დაგვიჯდა და სასწრაფოდ ზურაბ ჟვანიასთან გვაქვს დასარეკიო. შემოვუშვი და... 2.000 ლარი გაიტაცეს“.

ძარცვა-ყაჩაღობაში პარტიის წევრების მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფენ ნაციონალური მოძრაობის ლიდერები. ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, თბილისის საკრებულოს ანტიკორუფციული კომისიის თავმჯდომარეს, ბესო ჯუღელს: „ჩვენც გვაქვს ასეთი ინფორმაცია, ეს სიბინძურე პრეზიდენტისგან მოდის. ოღონდ სკამი შეინარჩუნოს და სხვაზე არაფერზე ფიქრობს. შევარდნაძე ახლა აგონიაშია და შეცდომას შეცდომაზე უშვებს. სულ არ აინტერესებს, რა ხდება საქართველოში. მან და მისმა დამქაშებმა არც კრიმინალების დახმარებასა და მათთან თანამშრომლობაზე თქვეს უარი და ყველაფერს აკეთებენ ნაციონალური და, საერთოდ, ოპოზიციური პარტიების დისკრედიტაციისათვის. მოვუწოდებ პოლიციას, დაუბრუნდნენ თავ-თავიანთ პოსტებს, მხარი დაუჭირონ ოპოზიციას და დაიცვან ხალხის უფლებები. რა ყაჩაღები და რის ძარცვა-გლეჯა! ჩვენ კანცელარიაში ერთი კაბინეტიც არ გაგვილია, მაგიდის უჯრაც არ გამოგვიწევია და ქექვა არ დაგვიწყია. ყველას გასაგონად ვაცხადებ (განსაკუთრებით შევარდნაძის გადაცმული ბანდიტების), ვინც შეეცდება პროვოკაციის მოწყობას და რაიმე კრიმინალურ ან მსგავს პროცესებში ჩვენი სახელით მანიპულირებას, უმკაცრეს პასუხს მოვთხოვთ და ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის საკადრისად დაისჯებიან“.

P.S. ჩვენც მოვუწოდებთ ორივე მხარეს მაქსიმალური ყურადღებისკენ ქაოსის თავიდან ასაცილებლად, ხოლო პოლიციას ვთხოვთ, ნუ მოიმიზეზებენ რევოლუციას და ხალხის უსაფრთხოების სადარაჯოზე დადგნენ, თორემ შემდეგ სადავემიშვებული დამნაშავეების ალაგმვა ძალზე ძნელი იქნება.

*რატი ახალაძე*

# „გარემოების საყვირი“ — „აზრზე მოდი, ბიჭო!..“

ახალი სიმღერა, ახალი კლიპი „აზრზე მოდი, ბიჭო!“, რომელიც ექსტრემალურად, უმოკლეს დროში შეიქმნა, ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების ჰიტად იქცა. ჩვენი დროის რევოლუციონერებმა სიახლე უცებ აიტაცეს. „რევოლუციური ინოვაციის“ ავტორი „ნიკოლ-შოუს“ მამად წოდებული გია ნიკოლაძეა. მას ამ სიმღერის გამო, უფრო კი „აზრზე მოსასვლელად“ დავუკავშირდი:

**— გია, თუ თქვენი ახალი სიმღერისა და მასზე შექმნილი კლიპის მიხედვით ვიმსჯელებთ, აზრზე მოსვლას პრეზიდენტ შევარდნაძეს ურჩევთ.**

— პრინციპში ასეა, მაგრამ „აზრზე მოდი, ბიჭო!“ ყველა მათგანს ეძღვნება, ვინც აქამდე აზრზე არ მისულა და ვინც ახლაც აპირებს, ძაან გაუტიოს.

**— როგორც გავიგე, ამ სიმღერის შექმნა კარგა ხნის წინ ჩაგიფიქრებია, აქამდე რატომ არ ჩაწერე?**

— ადრე, სულ პატარა რომ ვიყავი, მამაჩემმა პიანინოზე ერთი ძველებური ჯაზის რიტმის დაკვრა მასწავლა. მოგეხსენებათ, კომპოზიტორი მე არა ვარ, ნაცნობი თემებიდან ვკრებ რაღაცებს და ვაკეთებ სიმღერას. ეს მელოდიაც ასე ჩამოყალიბდა ჩემს ძმებს შორის, ტექსტიც ჩვენ შევადგინეთ. მერე მივედით „უცნობთან“, იგი ჩვენი ახლობელია და ვცდილობთ ხოლმე რაღაცების ერთად კეთებას. მოკლედ, მივედით და გადავწყვიტეთ „აზრზე მოდი, ბიჭოც“ ერთად გაგვეკეთებინა. „უცნობმა“ ჩვენს ვარიანტს რეპიც დაუმატა, რომელიც კლიპის ვარიანტში არ არის, მაგრამ იქნება აუდიოში. ერთობლივი მუშაობით მივიღეთ ასეთი პროდუქტი და შევთავაზეთ მაყურებელს.

**— ამ საქმეში მგონი სხვა მეგობრებიც დაგეხმარნენ, როგორც ვიცი, თითქმის ერთ ღამეში გააკეთეთ ყველაფერი, რასაც ცხადია, მარტო ვერ შეძლებდით.**

— სამი-ოთხი თვის წინ გვქონდა ამის ჩაწერა ჩაფიქრებული, მაგრამ არ მოხერხდა რატომღაც. მერე უცებ, რევოლუცია რომ მომწიფდა, „უცნობმა“ დაგვიძახა, აბა, წავედით ჩავწეროთო, ჩვენ ფული არა გვაქვს, იმან კი ზურა მახნიაშვილს გადაუხადა არანჟირებისთვის. ზურამაც თავისი საქმე სწრაფად კი არა, უსწრაფესად გააკეთა. ამის შემდეგ „ჩვენი ეზოს“ „მამას“, გია ჭანტურიას ვთხოვეთ კლიპის დამონტაჟება. რეჟისორი გიორგი გურაბანიძეც გვერდში დაგვიდგა. ისე რომ, ოთხმა გიორგიმ და ოთხმა ნიკოლაძემ (ჩვენ, ძმებმა) გია ჭანტურიას სამონტაჟოში ერთ ღამეში გავაკეთეთ ყველაფერი. მერე კი გავუშვით ეთერში, როგორც „გარემოების საყვირი“.

**— გია, აქტიურ მონაწილეობას იღებ მიტინგებში, პარტიული ხარ?**

— არანაირი პარტიულობა არ მაინტერესებს. არავის არ ვეკუთვნი, „უცნობთან“ და „გრეჩიხასთან“ მხოლოდ ძმაკაცობა მაკავშირებს და არა პარტიულობა. მიტინგზე კი საქართველოს სიყვარულით მივდივარ. ჩემი წვლილი მინდა შევიტანო საქვეყნო საქმეში. ეს სიმღერაც — „აზრზე მოდი, ბიჭო!“ არც ერთი პოლიტიკური პარტიის აზრს არ გამოხატავს.



„ნიკოლშოუ“

ეს ჩვენი აზრია. ისე, იცით? იმ ღამით, როცა კლიპის მონტაჟს ვაკეთებდით, სუყველამ ერთმანეთს გადავხედეთ, ცოტა ხნით გავჩერდით კიდეც. კინაღამ თავის დანებება გადავწყვიტეთ. „შეგვეცოდა“ კიდეც შევარდნაძე, მაგრამ მერე დავცხეთ ისევე. ერთი კადრია მაგ კლიპში, იცინის „ჭაღარა“. აი, ეგ არის მაგის ნამდვილი სახე. აზრზე მოვიდნენ რა, დაუთმონ ახალგაზრდებს გზა. მოკლედ, ასე გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ.

*ეკა ლომიძე*

# „არაქართველი მოსახლეობა პოლიტიკურ ბატალიებში არ ჩაერევა“

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს ყველაზე ფეთქებადსაშიში რეგიონი — პანკისის ხეობა დღეს ქვეყნის ყველაზე მშვიდ ნაწილს წარმოადგენს. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებით გამოწვეული პოლიტიკური კატაკლიზმები ხეობის ჩვიდმეტ სოფელს არ გადასდებია.

დუისის გამგებლის, ჯარაფ ხანგოშვილის ინფორმაციით, ხეობაში სიწყნარეა და დღემდე იმის მცდელობაც კი არ ყოფილა, რომელიმე პოლიტიკურ ძალას ხეობის მცხოვრებთა განწყობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

*„კვირის პალიტრას“ ესაუბრება სპეცსამსახურების ექსპერტი*, რომელმაც თავისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა: — პანკისის ხეობაში მხოლოდ შვიდი ქართული სოფელია. უმრავლესობას აქ ქისტი მოსახლეობა წარმოადგენს. როგორც წესი, არაქართველი მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებული რეგიონები მსგავსი მოვლენების დროს განზე გადგომას ამჯობინებენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქაურ მოსახლეობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესები არ აინტერესებს. მე მხოლოდ პანკისის ხეობის მცხოვრებლებს კი არა, ეროვნული უმცირესობით დასახლებულ სხვა რეგიონებსაც ვგულისხმობ. გასაოცარი არაფერია, არაქართველი მოსახლეობა ნეიტრალიტეტს იცავს. მათ თავიანთი მომავალი უფრო აინტერესებთ. მზად არიან, მხარი დაუჭირონ ნებისმიერ მთავრობას, რომელიც მათ საქართველოს ტერიტორიაზე მშვიდად ცხოვრების საშუალებას მისცემს.

**— ფაქტია, რომ არაქართველი მოსახლეობის თავის მხარეზე დარაზმვით ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება შეუძლია.**



— პრაქტიკამ ცხადყო, რომ საქართველოში ეს არ ამართლებს. მაგალითად, ლევან მამალაძე ვერასოდეს გააკეთებს იმას, რაც ასლან აბაშიძემ გააკეთა; ანუ სომეხი ან აზერბაიჯანელი მოსახლეობა პარლამენტის წინ მიტინგის ჩასატარებლად არასოდეს გამოჰყვება მამალაძეს ან ნებისმიერ სხვას. ეს შეიძლება რამდენიმე ათეულ არაქართველ ჩინოვნიკს აიძულონ. თვითონ მოსახლეობა ასეთ ნაბიჯს არასოდეს გადადგამს. ეს ხალხი ყოველთვის იტოვებს უკან დასახევ გზას. როგორც არ უნდა მოსწონდეთ რომელიმე პოლიტიკური ძალა და მხარს უჭერდნენ მის დამარცხებას, იციან, რომ შეიძლება მათაც მოსთხოვონ პასუხი. ამიტომ ვა-ბანკზე წასვლას ისევ განზე გადგომა და ლოდინი ურჩევნიათ. სწორედ ეს არის პანკისის ხეობაში არსებული სიმშვიდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ვიმეორებ, ხელისუფლებამ რომც მოითხოვოს, პანკისელი ქისტები მაშინაც კი არ გამოვლენ მასობრივი პროტესტით. დიდი-დიდი ხელისუფლებამ რამდენიმე გამგებლისა და მისი გარემოცვის გამოყვანა მოახერხოს. ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. პანკისელი ქისტები ამბობენ, რომ მასობრივ გამოსვლებს ვინმეს მხარდასაჭერად არ გეგმავენ, მაგრამ ისინი ქართველების გვერდით იქნებიან და ყველაფერს გააკეთებენ პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად.

*დავით დევიძე*

## საქართველოს ეკლესია არის ერის გამაერთიანებელი ძალა და მისი პოლიტიკური მიზნებით გამოყენება ყოვლად დაუშვებელია

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირების მთელი პროცესის მანძილზე ეკლესია ცდილობდა პრობლემა მშვიდობიანად გადაჭრილიყო და მხარეებს ამ მიზნით შუამავლობასაც სთავაზობდა.

საპატრიარქოში მოდიოდნენ განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის ადამიანები და თავის შეხედულებებს გვიზიარებდნენ, რაც ამა თუ იმ ძალის მხარდაჭერა, ბუნებრივია არ არის. კათოლიკოს-პატრიარქი ყველას მუდამ აფრთხილებდა სისხლის ღვრის საშიშროების რეალობაზე. მისმა უწმიდესობამ 21 ნოემბრის მიმართვაშიც მკვეთრად გაუსვა ხაზი ამ საკითხს. სამწუხაროდ, მოლაპარაკების მცდელობა უშედეგო გამოდგა.

აქამომდე მოვლენები ისე განვითარდა, რომ სისხლი არ დაიღვარა და საზარელი ტრაგედია არ დატრიალდა. ამ ფაქტის გამო მადლიერება გამოხატეს, როგორც პრეზიდენტმა, ისე ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლებმა. ამისთვის ჩვენც მადლობას ვწირავთ ღმერთს.

გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იმ დროს, როდესაც პარლამენტარები შეიკრიბნენ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გიორგობის ლოცვას აღავლენდა სიონის საკათედრო ტაძარში და იგი ბუნებრივია, მონაწილეობას ვერ მიიღებდა სხდომის გახსნაში. ამდენად, პარლამენტში მისი უწმიდესობის მიუსვლელობა პოლიტიკური მიზეზით არ შეიძლება აიხსნას.

საქართველოს საპატრიარქო თხოვნით მიმართავს ყველას, გაითვალისწინონ ქვეყანაში შექმნილი ისედაც განსაკუთრებული მდგომარეობა, მეტი სიფრთხილით მოეკიდონ ეკლესიას და თავი შეიკავონ პოლიტიკური მიზნებით მისი გამოყენებისაგან.

დღეს, როგორც არასდროს, ქვეყანას სჭირდება გამაერთიანებელი ძალა. ასეთი ძალა ყოველთვის იყო და იქნება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

*საქართველოს საპატრიარქო*
*22 ნოემბერი, 2003*

# „მე ჩემს დროშას ვცემ პატივს...“

## ამ ხალხს თევზივით მუნჯად ყოფნა მოჰბეზრდა...

***გიორგობის წინადღეს ჩვენი დედაქალაქი და სრულიად საქართველო მოვლენების მშვიდობიანად დამთავრებას ნატრობდა. შიშით ძრწოდა კიდეც, რომ ქართველს ქართველის, ძმას ძმის სისხლი არ დაეღვარა. საბედნიეროდ, ცოდვას გადავრჩით (და ღმერთმა ქნას, კვლავაც გადავრჩეთ). ალბათ ესაა მთავარი. დანარჩენს კი დრო განსჯის, დრო ყველაზე პირუთვნელი ანალიტიკოსია. დღეს ის დროა, როცა არცოდნა არცოდვა არ არის, პირიქით, ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც ზუსტად უნდა იცოდეს, რას აკეთებს, რეალურად რისი გაკეთება შეუძლია და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, არც ერთს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან, რას ფიქრობს ხალხი. ჩვენ ვესაუბრეთ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს და გვინდა მკითხველს შევთავაზოთ არსებულ პოლიტიკურ კრიზისთან მათი დამოკიდებულების შესახებ. ინტელიგენცია ხომ ის ძალაა, რომელიც საკუთარი მხრებით ზიდავს სახელმწიფოს განვითარების უდიდეს ტვირთს.***



**ზურაბ კიკნაძე** (მეცნიერი): — შევარდნაძე XX საუკუნის კომუნისტური ცნობიერების მატარებელი გახლავთ. ახლა XXI საუკუნეა. მან უკვე ამოწურა თავისი თავი და უნდა დაასრულოს პოლიტიკური მოღვაწეობა.

საშიში და სამარცხვინოა, რომ ჩვენი პრეზიდენტი დაუკავშირდა აჭარის „თვითგამომცხვარ პრეზიდენტს“ და იქიდან ჩამოიყვანეს აჭარლები. მათ შორის იყო ოციოდე ისეთი კაცი, რომლებიც სიტუაციას მართავდნენ და ახლოს არ იკარებდნენ ჟურნალისტებს. როგორ, მათ უნდა განსაზღვრონ ქართველი ხალხის კონსტიტუციური უფლება? თუკი ედუარდ შევარდნაძე დასაცავია, მას თბილისში არ გამოუჩნდებოდა დამცველები? მისი დღევანდელი და ცოტა ხნის წინანდელი საქციელიც (ვოიაჟები აჭარაში!) დაბნეული ადამიანის საქციელია. შეცდომა შეცდომას მიამატა და ამით გამოიჭრა ყელი, სამარცხვინო ფურცელი ჩაწერა თავის ბიოგრაფიაში.

**ანა კალანდაძე** (პოეტი): — გაყოფა, გახლეჩა და უბედურება არ აკლია საქართველოს, ამიტომ ამისი დაშვება უპატიებელი შეცდომაა. ხალხის მოთხოვნა სამართლიანია. ხომ არ შეიძლებოდა დაუსრულებლად გაგრძელებულიყო ის, რაც აქამდე ხდებოდა... ჩვენ უნდა მოვძებნოთ საერთო ენა, მესამე ძალა მხოლოდ კატასტროფას მოგვიტანს.

**თენგიზ მირზაშვილი** (მხატვარი): — კომკავშირის მდივანს, შემდეგ ცეკას მდივანს და შემდეგ პრეზიდენტს ჰქონდა აღმავლობის პერიოდი, რომელიც კარგა ხანია დამთავრდა.



პრეზიდენტს თანდათანობით შემოეცალნენ ახალგაზრდები. მასთან დარჩა გარკვეული ინტერესით შემოფარგლულ მედროვეთა გუნდი მრავალი მეტასტაზით (როგორიცაა ასლან აბაშიძე და მისთანანი).

სამწუხაროა, რომ მან ბოლომდე ვერ გაიგო, რა სტკივა, რა სჭირდება ერს, რა არსისა და კულტურის ქვეყანაა საქართველო. ეტყობა, ამისი გაგება ყველას არ ძალუძს. შემდეგი თაობის პოლიტიკოსებს ბევრის დათმობა, დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რომ გაიცნობიერონ, თუ რა პასუხისმგებლობაა რუსთველის, ვაჟას, ფიროსმანის ქვეყნის სათავეში ყოფნა.

**ზაზა აბაშიძე** (ისტორიკოსი): — დღეს შექმნილი ვითარებიდან ერთადერთ გამოსავალს იმ შანსის გამოყენებაში ვხედავ, რომელიც ორივე მხარეს მისცა პატრიარქმა.

თუ ისტორიას გადავხედავთ, აშკარა დაპირისპირებისას დიდგვაროვანთა გამოსვლები ან კომპრომისით მთავრდებოდა, ან მონარქიის შესანარჩუნებლად ამ ფეოდალებს მკაცრად სჯიდნენ. ასე მოიქცა დავით აღმაშენებელი, ბაგრატ III, ბაგრატ IV, გიორგი ბრწყინვალე... როცა სახელმწიფოს საშიშროება ემუქრებოდა, ისინი რადიკალურ ხერხს მიმართავდნენ... ასე იყო მონარქიის პირობებში.

დღეს კი, როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი, სახელმწიფოებრიობას დიდი საფრთხე ემუქრება... ეს არ არის მარტო სახელისუფლებო კრიზისი, ეს არის სახელმწიფოებრივი კრიზისი. ამას, როგორც ჩანს, ვერც ხელისუფლება აცნობიერებს და ვერც ოპოზიცია. ყველაფერს საზღვარი აქვს. კერძოდ რას ითხოვენ დღეს, ველარ გავიგე. თუ პრეზიდენტის გადადგომა უნდოდათ, პარლამენტის არჩევნების შედეგი იყო ამ მოთხოვნის წამოსაყენებლად საჭირო? ახლა მხოლოდ ერთზეა ლაპარაკი — შევარდნაძის გადადგომაზე. შევარდნაძე არ არის პარლამენტი, ის პრეზიდენტია. ეს მოთხოვნა სხვა კატეგორიაში გადადის. თუ პარლამენტის დათხოვას ითხოვენ, ეს სხვა საქმეა, ნაციონალების არჩევნებში გამარჯვების მოთხოვნა კიდევ სხვა.

ხალხი პროტესტით გამოვიდა იმ აუტანელი მდგომარეობის გამო, რომელიც სახელმწიფოში სუფევს ბოლო 5-6 წელია. ეს გასაგებია, მაგრამ ვერაფრით გავიგე, კონკრეტული მოთხოვნები ვის სამსახურში დგას... თუ შექმნილი ვითარება ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ემსახურება, ეს ჩემთვის მიუღებელია.

**სოსო ჯაჭვლიანი** (მსახიობი): — ორივე მხარეს ჩემიანები არიან. მე არ დავიწყებ ხალხისათვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკს, — პლურალიზმი, ორთოდოქსი, ტოლერანტობა. მარტივად გეტყვით... ხომ ვიცით, რომ ერთი მხარე ეუბნება მეორეს, თქვენ მოხვედით იარაღითო, ხომ ასეა? ასეა... ახლა ეუბნებიან, თქვენ უნდა



წახვიდეთო... რა თქმა უნდა, ის ძველი, რომელმაც ვერაფერი გააკეთა, უნდა წავიდეს, მაგრამ ამას ვინ ამბობს და როგორ ამბობს, ამას სჭირდება ახსნა. მაგალითად, ორი სპორტსმენი რომ ხვდება ერთმანეთს, ერთ-ერთი აუცილებლად მარცხდება, მსაჯი გამოავლენს მოგებულს. მაყურებელი ხვდება, გამარჯვებულმა როგორც მოიგო, დაარღვია წესი თუ არ დაარღვია... წაგებული ვინ არის და როგორ, მაშინვე მიხვდებით, როცა ნახავთ, როგორ დაემშვიდობა მოგებულს... ჩვენ — ხალხმა, მაყურებელმა, ძალიან კარგად ვიცით ყველაფერი. არ დავუშვით იარაღით დაპირისპირების პრეცედენტი, რადგანაც შვილები გვეზრდება და იმათ არ უნდა ვასწავლოთ, რომ მთავრობის შეცვლა ასეთი გზით შეიძლება. მერე მოვა პეტრე, იმასაც უპოვიან მიზეზს (მიზეზის პოვნას რა უნდა!) და სულ ასე უნდა ვიცხოვროთ?! სვანებს გვაქვს ერთი კარგი წესი, მას ლიმოორვეს ეძახიან. მორევი ხომ იცით, რა არის? მთავარია, იმ მორევიდან მართალი და საღ-სალამათი გამოხვიდე. მახვშები დასხდებოდნენ სვანეთში და გაარჩევდნენ საქმეს... ახლაც უნდა დასხდნენ და კანონით გაარკვიონ ყველაფერი. ერთსაც ვიტყვი: შალვა ნათელაშვილს სტუდენტობიდან ვიცნობ, თუმცა დღეს მასთან არანაირი ურთიერთობა არა მაქვს. შალვა ნათელაშვილმა სტრასბურგში ხომ მოიგო სასამართლო პროცესი? ჩამოვიდა. შეუშვეს პარლამენტში? — არა. მე არანაირი ინტერესი არ მაქვს, უბრალოდ, ვერ გავიგე, მაშინ რატომ არ ვიცავდით დემოკრატიას? ყველა ქართველი ჩემიანია. გული დამწყდებოდა, ესენი რომ ერთმანეთს დარეოდნენ. ღმერთმა არ ჩამაყენოს გამშველებლის როლში, ამათ მერე ვერაფერი გააშველებს. არ მინდა მსაჯულად ყოფნა. კიდევ ერთხელ ვამბობ: დავსხდეთ, გავარკვიოთ, დავთვალოთ, ჩვენს შვილებს ნუ დავუტოვებთ პრობლემებს. უკმაყოფილო მეც ვარ, ჩემი სპორტსმენებიც... მსოფლიო ჩემპიონატი მოგვიგია და მაინც არაფერი გვაქვს, არაფერს გვიხდიან... გიჟებივით მივდივართ შეჯიბრებებზე... ღმერთმა ნუ გაგვითენოს ავი, სისხლიანი დღე...

**რეზო ესაძე** (კინორეჟისორი): — ჩემ ირგვლივ, სადაც კი ყური და თვალი მიმიწვდება, ყველა გაჭირვებულად ცხოვრობს, სულ მაოცებდა მათი მოთმინება. ამ ხალხს მოთმინების ფიალა აევსო. თევზივით მუნჯად ყოფნა მოჰბეზრდათ. ამიტომაც ამოიღეს ხმა. შევარდნაძის 12-წლიანი უაზრო მმართველობა აუტანელი გახდა. მე აღშფოთებული ვარ. ამ ხალხმა 12 წლის წინ შევარდნაძეს დაუჩოქა. ახლა არ უნდა დაფიქრებულიყო, რა მოხდა? რატომ აუჯანყდნენ? რატომ არ გაატარა სწორი საკადრო პოლიტიკა და რატომ შექმნა მექრთამეთა კასტები? რატომ მოხდა სიტყვის და ქმედების დევალვაცია საქართველოში? ეფიქრა მაგ დალოცვილს ამაზე. კიდევ კარგი, სულ მთლად უგუნური არ გამოდგა და სისხლიანი დაპირისპირების, ხალხისთვის ტყვიის დაშენის განკარგულება არ გასცა. თუმცა, რა ჩაიფიქრა, მაგას კიდევ ხვალინდელი დღე გვიჩვენებს. საჭირო იყო უფრო ადრე გადაედგა პრაქტიკული ნაბიჯი. საერო ენა გამოენახა საკუთარ ხალხთან. ასეულათასობით უკმაყოფილო ადამიანის სამართლიანი მოთხოვნებისთვის ხელის კვრა არ შეიძლება. ამ ხალხის წინააღმდეგ რაღაც ექსცესები რომ მოხდეს, ორმაგად გაძლიერდება უკმაყოფილოთა ტალღა. სამართლიანობას ვერავინ ველარ შეაჩერებს.

**გივი ბერიკაშვილი** (მსახიობი): — შეუძლებელია მშვიდად იჯდე და უყურო, რაც შენ თვალწინ ხდება. მაგრამ როგორც ვცხოვრობთ, ისე გაგრძელება რომ არ შეიძლება, ეგეც ფაქტია. ამან გამოიწვია ხალხის დუღილი, თორემ ერთი კაცის დაძახილზე ამდენი ხალხი არ შეიყრებოდა. რომ დავინახე, რუსთაველზე რა ამბავიც იყო, გული კინაღამ შემიწუხდა, სანთლები დავანთე. ეჰ, ღმერთს ვევედრები, ყველაფერი მშვიდად დამთავრდეს. საქმე კანონით, კაცურად მოაგვარონ. ნუ იომებენ — მე ის გადმოვაგდე, გავიმარჯვე, მოვედი!.. — არ არის ლამაზი ამის თქმა. არც ხალხს უნდა სურდეს აგრესია და მგონი, არც იმათ, ვინც ხალხის წინ თუ უკან დგას. ამ ხალხის გაგიჟება კიდევ არავის არ უნდა გაუკვირდეს, როცა კაცს ზომაზე მეტად უჭირს, მერე გულზეც უჭერს და გონებაზეც. დავდიოდი მიტინგებზე, ორივე მხარეს ველაპარაკებოდი. ვარიგებდი, თუ ჩემს სიტყვას მათთვის ფასი ჰქონდა, არ ვიცი. აჭარლებსაც ვთხოვდი, არ გაბრიყვდეთ, ერთმანეთზე ხელი არ აღმართოთ-მეთქი. ახლა ამბობენ, აჭარას დავკარგავთო. არა, ეს გულშიც არ გაივლოთ. ისინი ამას არ დაუშვებენ. ყოველ საღამოს ერთად ვიყავით, ვაჟკაცები არიან. ხომ ნახეთ, როგორ უსისხლოდ და წყნარად გაერიდა სუყველა. უკეთ ცხოვრება უნდა დიდსაც და პატარასაც, პოლიციელსაც, ჯარისკაცსაც. რა, სხვა კმაყოფილია? ღმერთმა დაგვიფაროს შეტაკებისგან. გადავრჩით და იქნებ ბოლომდე გადავრჩეთ, ერთი ჯიშისა და მოდგმის ხალხი ვართ და არა პოზიცია და ოპოზიცია. არ შეიძლება ერთმანეთს ვესროლოთ. ავიწყდებათ, რომ ისინი არიან მაგალითის მიმცემი მომავალი თაობებისთვის.

**მურაზ მურვანიძე** (მხატვარი): — მე ერთადერთი პარტიის წევრი ვარ დაბადებიდან და სხვა პარტიაში არასოდეს შევალ. ჩემი პარტიაა „მე და ჩემი საქართველო“. ის არსად არ არის რეგისტრირებული, რადგან უფლის მიერ არის გაჩენილი ჩემს ქვეყანასთან ერთად. ჩემი „პარტიის“ პროგრამა და იდეოლოგია რასაც ისახავს, მე იმას ვასრულებ. ვშრომობ გამუდმებით, რა ცვლილებებიც არ უნდა ხდებოდეს ქვეყანაში. დავიბადე იმისათვის, რომ საქართველოს ჩემი წილი ქულები შევძინო. რაც შეეხება ქვეყანაში დღეს მიმდინარე მოვლენებს, ვიტყვი, რომ ნებისმიერი გადატრიალება მაღელვებს. მარტო იმიტომაც, რომ ოჯახი მყავს და მისთვის სიმშვიდე მინდა, თორემ არასდროს მაღელვებდნენ არც კომუნისტები და არც ისინი, ვინც ამ ბოლო წლებში პოლიტიკოსობენ. მე ერთი მიზანი მაქვს — უმწიკვლოდ ვემსახურო ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს. არა ვარ მომხვეჭელი, რასაც ვშოულობ, ყველაფერს გავცემ და ვცხოვრობ ჩემი ცხოვრებით, რაც ღმერთმა და ჩემმა ქართულმა ბუნებამ დამანათლა. ამასვე მოვუწოდებ ყველა ქართველს. ყველამ მიხედოს თავის საქმეს. ხომ ნახეთ, რაც მოხდა პარლამენტში? ეს პირადად ჩემთვის დიდად შეურაცხმყოფელი იყო, მე არ ვიცნობ მიშა სააკაშვილს, არა ვარ პოლიტიკაში ჩარეული. მაგრამ ვიცნობ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, ბატონ ზურაბ ჟვანიას, ვიცნობ ჩემს პრეზიდენტს და ჩემს დროშას ვცემ პა-



ტივს. არ შეიძლება უშვერად ილაპარაკო პრეზიდენტზე — ეს არის ჩემი აღშფოთების მიზეზი. პრეზიდენტთან, დროშასთან სიფრთხილე-სიფაქიზე გვმართებს. მე მშურს ჩრდილოკავკასიელი ხალხების, როდესაც უფროსი შედის სახლში, მას იქ თუნდაც მტერი დაუხვდეს, ფეხზე წამოუდგება ყველა. მიუხედავად უამრავი გასაჭირისა, მათ ეს ღირსება დღემდე შეინარჩუნეს. ჩვენთან კი, საქართველო კავკასიის კულტურის ცენტრად ითვლება და ვერავის ვაპატიებ უფროსი კაცის შეურაცხყოფას, მით უმეტეს, პრეზიდენტისას, რომელსაც ჩემთვის არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ის არის ჩემი სახელმწიფოს სიმბოლო, რომლის მოქალაქეც ვარ და მეამაყება ქართველობა, საპატიო თბილისელობა. უამრავი ჯილდო მაქვს მიღებული, მათ შორის პიკასოს პრემიაც, მაგრამ საპატიო თბილისელობა ჩემთვის ყველაზე მაღალი ჯილდოა. მე საკუთარი, ინტელიგენტი და მშრომელი კაცის კანონები მაქვს. არც ქრისტეს კანონებს ვარღვევ და გული მტკივა, როცა უფლის შეგონების მიუხედავად, უფროსს პატივს არ სცემენ.

*ლელა ჯიყაშვილი*
*ეკა ლომიძე*

CMYK

# რამ გაწყვიტა მოთმინების ძაფი?!

## „ყველამ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს მშვიდად და მტკიცედ“



გიორგობის დღესასწაულის წინადღეს საქართველო ძმათა სისხლისმღვრელ შეტაკებას გადაურჩა. „ბრძოლის ველი“ საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზი, საბედნიეროდ, უმსხვერპლოდ დატოვა ოპოზიციამაც და ხელისუფლებამაც ისე, რომ ერთ კაცსაც არ გასტეხია თავი. ეს იყო ბოლოს, მანამდე კი მოვლენები ასე ვითარდებოდა:

21 ნოემბერს სააკაშვილი სამეგრელოდან წამოუძღვა მხარდამჭერების უზარმაზარ არმიას და გეზი თბილისისკენ აიღო. გზადაგზა ნაციონალების, ბურჯანაძე-დემოკრატებისა და აბსანძის „ეროვნულების“ მანქანების კოლონას მხარდამჭერები შეუერთდნენ, რომელთაც მიხეილ სააკაშვილმა მეორე დღის 13 საათისთვის სთხოვა სრული მობილიზაცია.

22 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე, მერიის შენობის წინ, ათეულობით ათასი ოპოზიციის მხარდამჭერი შეიკრიბა. მათ მალე გეზი სახელმწიფო კანცელარიისაკენ აიღეს, რომელიც პოლიციისა და შინაგანი ჯარის გაძლიერებული რაზმებით იყო გამაგრებული. მომიტინგეების გამოჩენის შემდეგ პოლიციამ და ჯარისკაცებმა (მიუხედავად იმისა, რომ წყალსატყორცნებითა და ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებულნი) ძალის გამოყენებაზე უარი თქვეს და მომიტინგეებს სახელმწიფო კანცელარიისკენ გაუხსნეს გზა(!). ამ დროისათვის შევარდნაძე უკვე პარლამენტის შენობაში, პრეზიდენტის ფლიგელში იმყოფებოდა (მიუხედავად დიდი მღელვარებისა) და 16 საათისთვის დანიშნული პარლამენტის სხდომის თადარიგს იჭერდა(?!). იმავდროულად გრძელდებოდა „აღორძინების“ მიტინგი პარლამენტის შენობის წინ.



16 საათისათვის დათქმული პარლამენტის სხდომა მოგვიანებით დაიწყო... 16 საათსა და 57 წუთზე სხდომათა დარბაზში ახალი მემარჯვენეების ლიდერი დავით გამყრელიძე შევიდა, რომელსაც ფეხდაფეხ (ლევან გაჩეჩილაძის გარდა) ყველა თანაგუნდელი შეჰყვა. გამყრელიძის დარბაზში შესვლისთანავე პარლამენტის მანდატურთუხუცესმა საზეიმო ხმით გვამცნო — „მისი აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე“. საქართველოს პრეზიდენტმა პრეზიდიუმში დაიკავა ადგილი. დარბაზში ცარიელი იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია -ის სავარძელი(!).

პრეზიდენტმა სხდომის დაგვიანებით დაწყებისთვის მოიბოდიშა, მაგრამ დაგვიანების მიზეზი არ დაუმალავს, „ახლების“ მოსვლას ველოდებოდითო. საქართველოს ჰიმნის მოსმენის შემდეგ პრეზიდენტმა უხუცეს პარლამენტარს, ბორის სარალიძესა და ცესკოს თავმჯდომარეს უხმო პრეზიდიუმში.

ამის შემდეგ პრეზიდენტი 5-წუთიანი სიტყვის წარმოთქმას აპირებდა... 3 წუთის შემდეგ, როდესაც პრეზიდენტი ისევ ტრიბუნასთან იდგა, აჭარიდან დაბრუნებული ირინა სარიშვილი, ლევან მამალაძე და ვახტანგ რჩეულიშვილი შევიდნენ დარბაზში, პრეზიდენტმა სიტყვა შეწყვიტა და იხუმრა, ახლა კვორუმზე მეტიც გვაქვსო(?!). ერთი წუთის შემდეგ კი დარბაზში მიხეილ მაჭავარიანი, ვასილ მაღლაფერიძე და პეტრე ცისკარიშვილიც გამოჩნდნენ, მათ ვარდების თაიგულით ხელში მიხეილ სააკაშვილი შემოჰყვა თავისი მრავალრიცხოვანი მომხრეებითურთ. პრეზიდენტს სიტყვა მაშინაც არ შეუწყვეტია, როდესაც სხდომათა დარბაზში შემოსასვლელის ბლოკირება დარბაზში მყოფმა ახალარჩეულმა დეპუტატებმა სცადეს. რამდენიმეწუთიანი ჩოჩქოლის შემდეგ სააკაშვილი და მისი მომხრეები დარბაზის შუაგულამდე მივიდნენ შეძახილებით — „წადი, წადი!“. უკონტროლობის შიშით პრეზიდენტი დაცვამ დარბაზიდან გაიყვანა, სასწრაფოდ გაიყვანეს ცესკოს თავმჯდომარე ნანა დევდარიანი. „ახლებიც“ უმალვე გაუჩინარდნენ. სხდომათა დარბაზი ბრძოლის ველს დაემსგავსა, მამაკაცებთან ერთად ბრძოლაში ქალებიც ჩაებნენ. „აღორძინების“ ახალგადეპუტატებულმა ქალბატონმა ელენე თევდორაძეს მუშტები დააყარა (გასაოგნებელი სურათი იყო, ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ ქალების ჩხუბი პარლამენტში პირველად ვნახე). „აღორძინებამ“ წინააღმდეგობის გაწევა სცადა (გოგიტიძემ მიხეილ მაჭავარიანს გაარტყა კიდეც), მაგრამ ბოლოს ისინიც იძულებულნი გახდნენ, დარბაზი დაეტოვებინათ.



სხდომათა დარბაზი სააკაშვილის მომხრეებმა დაიკავეს, ყიჟინითა და „მიშას!“ ძახილით. საბედნიეროდ, ქართველებმა იარაღს მამაპაპური მუშტი-კრივი ამჯობინეს. ტრიბუნასთან მისულმა სააკაშვილმა ჯერ „კოკა-კოლით“ მოიბრუნა სული, მერე კი პრეზიდენტის მწვანე ჩაის დასწვდა. ამ დროისათვის სასწრაფოდ დაიშალა მთავრობის ლოჟა. ერთადერთი მინისტრი, რომელიც დარბაზში დარჩა (გვიან გავიდა), ვალერი ხაბურძანია იყო.

მიხეილ სააკაშვილმა თანამებრძოლებს მოუწოდა, არაფერი დაემტვრიათ: „ბიჭებო, არადეპუტატებო, გთხოვთ, გვერდზე გადგეთ! მთელი მსოფლიო გიყურებთ, ნინო ბურჯანაძეს სხდომის ჩატარების საშუალება მივცეთ. პარლამენტის მუშაობა სასწრაფოდ უნდა აღდგეს...“

**ნინო ბურჯანაძე:** — რაც მოხდა 2 ნოემბრიდან დღემდე, იმაზე, რაც დღეს პარლამენტში ხდება, პასუხისმგებლობა პირადად პრეზიდენტსა და მთავრობას ეკისრება. ორი კვირის განმავლობაში წყნარად, მშვიდად, მაგრამ მაქსიმალურად მტკიცედ ვცდილობდით გამოგვეხატა პროტესტი საქართველოში უკანონობის წინააღმდეგ. პრეზიდენტს, მთავრობასა და იმ ადამიანებს, რომლებმაც დაივიწყეს კოლეგიალობა და მორალის ნორმები, შეიკრიბნენ აქ, უჩვენოდ, უნდა სცოდნოდათ, რომ საქართველო არ დაუშვებდა ახალი პარლამენტის შეკრებას. საქართველო არ აიტანს პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ დანიშნულ პარლამენტს. პრეზიდენტმა არ შეისმინა ჩვენი ნათქვამი. მან არც საკუთარი მოქალაქეებისა და არც საერთაშორისო თანამეგობრობის მოწოდება იღო ყურად. პრეზიდენტმა დაკარგა შანსი, რომ კრიზისი დღევანდელი დაძაბულობის გარეშე განმუხტულიყო. მან ქართველ ხალხს არჩევანი არ დაუტოვა. ხალხი მას სთავაზობდა ახალ საპარლამენტო არჩევნებს, დამნაშავეთა დასჯას. თუმც ყველამ კარგად იცის, რომ მთავარი დამნაშავე თავად შევარდნაძე იყო. როდესაც ხალხმა უარი მიიღო, მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვეს პრეზიდენტის გადადგომა. არ ვარ დარწმუნებული, რომ პრეზიდენტი ამას შეისმენს, მაგრამ ხალხს მოვუწოდებ, მაქსიმალური სიმშვიდე, სიმტკიცე შევინარჩუნოთ და ვიპოვოთ გამოსავალი ამ უაღრესად რთული ვითარებიდან. საქართველო არ დაუშვებს უკანონო პარლამენტის შეკრებას და თუ პრობლემა არის ნინო ბურჯანაძე (პრეზიდენტმა ჩემ გამო თქვა უარი ძველი პარლამენტის ვადის გაგრძელებაზე), მერწმუნეთ, ჩემი პრობლემა აღარ იქნება. მთავარია, ახალი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს. ჩვენ დავნიშნავთ ამ არჩევნებს, რომელშიც ქართველი ხალხი გაიმარჯვებს.



პარლამენტის სხდომათა დარბაზში ამ დროს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ავთანდილ იოსელიანი** შემოვიდა, რომელმაც მიხეილ სააკაშვილს ხელი ჩამოართვა და ორიოდ წუთს ესაუბრა. ჩვენ მას კომენტარი ვთხოვეთ მიმდინარე მოვლენებზე.



**— რას იტყვით იმაზე, რაც დღეს მოხდა?**

— ის, რაც მოხდა, ძალზე ცუდია. ეს ქვეყანაში დიდ დაძაბულობას შექმნის. თუ ახლა არ მოვუხმეთ ჭკუას, უარეს დღეში აღმოვჩნდებით.

**— დაზვერვის დეპარტამენტს არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ ასეთი რამ მოხდებოდა?**

— ...

დაზვერვის შეფთან ინტერვიუ დარბაზში ირაკლი ბათიაშვილის შემოვარდნამ შეგვაწყვეტინა, რომელმაც ყველა არადეპუტატს დარბაზის სასწრაფოდ დატოვება მოსთხოვა. „ამას ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს!“ — ყვიროდა სახელისუფლებო ბლოკის დეპუტატი. ბათიაშვილს დარბაზში კვლავ შემოჰყვნენ ჯემალ გოგიტიძე, ცოტნე ბაკურია და აჭარის დეპუტაცია... „საქართველოს“ ძახილით შემოცვივდნენ „აღორძინების“ მხარდამჭერებიც...

ოპოზიციის წარმომადგენლებმა დროებით დატოვეს დარბაზი, მაგრამ რამდენიმე წუთში სხდომათა დარბაზში ხელმეორედ შემოვიდნენ. პირველად ნაციონალი, ირაკლი ოქრუაშვილი გამოჩნდა, მას უკან დემოკრატი და ნაციონალი დეპუტატები და მხარდამჭერები შემოჰყვნენ ძახილით „წადით, წადით!“. ჯემალ გოგიტიძემ გაიბრძოლა, მაგრამ ბოლოს მაინც გააძევეს დარბაზიდან, სტვენით, საქაღალდეებისა და ბროშურების სროლით. ნინო ბურჯანაძე ისევ ტრიბუნასთან მივიდა: „ამ ხელისუფლებამ და მთავრობამ ხალხი, თითოეული ჩვენგანი გაწირა, მაგრამ ღვთის მადლით უფალმა არ მიგვატოვა. ჩვენს სიმშვიდეზე, ჩვენს გონიერებასა და წესრიგის დაცვაზე საქართველოს ხვალინდელი დღეა დამოკიდებული. ჩვენ მთელ მსოფლიოს დავანახვეთ, რომ საქართველო დიქტატურის დამყარებას არ შეეგუება. ქედი მოვიხაროთ იმ ჯარისკაცებისა და პოლიციელების წინაშე, რომელთაც კორდონები გახსნეს და გაგვატარეს, ხელი არ აუწევიათ ჩვენზე... მადლობა მინდა ვუთხრა იმ აჭარლებს, რომელთაც თანამოძმეებზე არ აღმართეს ხელი. ჩვენმა ხელისუფლებამ სცადა ქართველები ორად გაეხლიჩა, სცადა — აჭარა დანარჩენი საქართველოსთვის დაეპირისპირებინა, რაც არ გამოუვიდა. ჩვენ ამ ქვეყანას გავაერთიანებთ და სამაჩაბლოს და აფხაზეთსაც დავიბრუნებთ... მალე ახალ პარლამენტს აირჩევს ქართველი ხალხი და თქვენ ლეგიტიმური პარლამენტი გეყოლებათ“.

ხელისუფლებისა და „აღორძინების“ წარმომადგენლები არსად ჩანან... პარლამენტის ფოიეში ტრადიციონალისტთა ლიდერს, **აკაკი ასათიანს** შევხვდით.

— სასურველი იყო, ყველაფერი სხვანაირად მომხდარიყო, მაგრამ შევარდნაძემ ყველაფერი გააკეთა, რათა ნამდვილი სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია ენახა. ამბობდა, 1992 წელს იყო სახალხო-დემოკრატიული რევოლუციაო. სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია დღეს მოხდა. ფაქტია, რომ ხალხს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

**— ხვალ რა იქნება?**

— უნდა მოვწესრიგდეთ. ძველმა კანონიერმა პარლამენტმა უნდა დანიშნოს ახალი არჩევნები. ყველამ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს, მშვიდად და მტკიცედ. ეს სიტყვები დაწერეთ, სათაურად გაიტანეთ... გთხოვთ... 1,5 თვეში ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს. ეს მოესწრება იმიტომ, რომ მარტო სიებილაა გასაწმენდი...

როგორც ამბობენ, ოპოზიცია პარლამენტში შეჭრას არ აპირებდა, მაგრამ აჭარიდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც ჯემალ გოგიტიძეს „აღორძინების“ მიტინგზე პარლამენტის თავმჯდომარეობა წინასწარ მიულოცეს, ხალხის მოთმინების ძაფი გაწყდა და...

პარლამენტის შენობის წინ „აღორძინების“ მხარდამჭერების მიტინგი ოპოზიციის მომხრეებმა მშვიდობიანად „გადასწიეს“. ერთი მანქანაც არ დამსხვრეულაო, — გადმოსცემდნენ რუსეთის საინფორმაციო საშუალებები, რომელთაც საქართველოში მომხდარი ამბები „ხავერდოვან უსისხლო რევოლუციად“ შეაფასეს.

პრეზიდენტის პრესცენტრმა კი პარლამენტში მომხდარ ბატალიებს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა უწოდა. პრეზიდენტმა შევარდნაძემ მომხდარიდან რამდენიმე საათში საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

დღის ბოლოს ნინო ბურჯანაძემ პრეზიდენტის ქმედუუნარობის საკითხი დასვა და ქვეყნის დროებითი ხელმძღვანელის ფუნქცია შეითავსა.

***იზო რიკაძე***

# შევარდნაძე გინესის რეკორდების წიგნში შევა?!.

## სკამი, რომელიც ... მეტია?!



**პრეზიდენტ შევარდნაძის ეს სკამი 22 ნოემბრის საღამოს მომიტინგეებმა სახელმწიფო კანცელარიის მე-11-ე სართულიდან გადმოაგდეს და სუვენირებად დაინაწილეს.**

წელს პრეზიდენტი შევარდნაძე გინესის წიგნში შეიძლება შევიდეს. ოღონდ იმის გამო კი არა, რაც დღეს საქართველოში ხდება, არამედ სულ სხვა მიზეზის გამო: შეიძლება ითქვას, ის მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო ჩინოსანია, რომელსაც ნახევარი საუკუნეა პერსონალური ავტომობილი ემსახურება!

ყველაზე რთული პერიოდი მას 1990 წელს ჰქონდა, როცა თავისი სურვილით დატოვა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. შევარდნაძე უფუნქციოდ ერთ წელზე მეტხანს დარჩა, ანუ დაირღვა მისი მრავალწლიანი დღის რეჟიმი — დილით პერსონალური მანქანით სამსახურში წასვლა და გვიან ღამით იმავე მანქანით შინ დაბრუნება.

ეს ერთი წელი ედუარდ შევარდნაძის პირად მოგონებებში შავ ზოლად დარჩა, ამიტომაც ძალ-ღონე არ დაიშურა ისევ ხელმძღვანელ პოსტზე დასაბრუნებლად. ცხადია, ამას დაშლილი საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთის ფედერაციაში ვერასგზით ვერ მოახერხებდა, ამიტომაც ყველანაირად შეეცადა, პირველკაცად საქართველოში დაბრუნებულიყო. ამ მიზნის ასრულებაში მას არა მარტო რუსეთის, არამედ აშშ-ის სპეცსამსახურებმაც უდიდესი დახმარება გაუწიეს.

ოკეანისგაღმელ ძიებსაც სურდათ, გაწეული ღვაწლისთვის მადლობა გადაეხადათ ბერლინის კედლის და საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთი მთავარი დამშლელისთვის.

მალე რუსეთის ხელმძღვანელობა საშინლად განარისხა მაშინდელი საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა, რომელმაც გაბედა და კრემლის გარდა, აზრს თეთრ სახლსაც ხშირად ეკითხებოდა. აფხაზეთში ომის დაწყების წინ სახელმწიფო მეთაურ შევარდნაძეს თავისი პირადი მეგობრის, პრეზიდენტ ჯორჯ ბუში-უფროსის დიდი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.

მაგრამ მოხდა შევარდნაძისა და თვით ბუშისთვის გაუთვალისწინებელი მოვლენა — 1992 წლის არჩევნებში აშშ-ის ხელისუფლებაში მოვიდნენ დემოკრატები, ბილ კლინტონის ხელმძღვანელობით.

ამერიკელი დემოკრატებისთვის მეტისმეტად შორეული იყო აფხაზეთის ომში ჩაყვინთული საქართველოს პრობლემები და, მით უმეტეს, მათი მოწინააღმდეგეების — რესპუბლიკელების — მეგობრის, შევარდნაძის პირადი დამსახურებანი ბუშის წინაშე.

ამერიკელი დემოკრატებისგან გარიყული შევარდნაძის საქართველოს ჭკუის სწავლება მეზობელმა ელცინის რუსეთმა იკისრა და თითქმის განახორციელა კიდეც — დაგვამარცხა აფხაზეთის ომში, შეგვიყვანა დსთ-ში, საქართველოს მთავრობაში შევარდნაძეზე ზეწოლის შედეგად დაინიშნნენ რუსეთის ძალოვანი მინისტრები — ნადიბაიძე და გიორგაძე, კვირაია...

ამ პერიოდში სახელმწიფო მეთაური შევარდნაძე იბრძოდა მხოლოდ ერთისთვის — სავარძლისთვის! თავისი სახელმწიფოს შექმნისთვის ბრძოლაში მან დაამარცხა მისივე ხელშეწყობით გაძლიერებული „მხედრიონი“, სხვა არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებები!

შევარდნაძემ, ცხადია, ვერ შექმნა ქართული სახელმწიფო, სამაგიეროდ, შექმნა საკუთარი იმპერია, რომლის ინტერესები ძალიან შორს აღმოჩნდა ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებისგან.

აშშ-ში კვლავ რესპუბლიკელების ლიდერის, ბუში-უფროსის შვილის, ჯორჯ ბუში-უმცროსის გაპრეზიდენტებისთანავე საქართველოს პრეზიდენტმა უდიდესი მხარდაჭერა მიიღო, თუმცა პარალელურად გაძლიერდა მოსკოვის ზეწოლა თვით აშკარა აგრესიის (საჰაერო დაბომბვების) ჩათვლით. ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოს ჰქონდა ბრწყინვალე საშუალება, რაც შეიძლება მალე მომხდარიყო მისი ინტეგრაცია დასავლეთის დემოკრატიულ ინსტიტუტებში.



მაგრამ ეს დრო დაიკარგა. დაიკარგა იმიტომ, რომ ნორმალურ ქვეყნად ქცევის პროცესს წინ გადაეღობა პრეზიდენტ შევარდნაძის და მისი გუნდის ზღვარდაუდებელი კორუფცია, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა იმავე აშშ-ისთვის.

ბოლო ხანს თეთრმა სახლმა აშკარად აგრძნობინა შევარდნაძეს, რომ იგი მხარს აღარ დაუჭერდა მის კორუფციულ ძალაუფლებას და უპირატესობა ახალგაზრდა მედასავლეთე ქართველ პოლიტიკოსებს მიანიჭა.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ, რომლის მორყეული სკამის გამაგრებაზე უარი თქვა თეთრმა სახლმა, კვლავ რუსეთს მიაშურა ერთი მიზნით — ვინც შემინარჩუნებს სკამს ანუ ძალაუფლებას, მის ინტერესებს გავატარებ საქართველოშიო.

ოპოზიციის მთავარ იარაღს — სახალხო დემონსტრაციებს — პრეზიდენტმა შევარდნაძემ იმგვარივე იარაღი დაუპირისპირა, ოღონდ ეს სახალხო მასები მან „გამოიძახა“ აჭარიდან, მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ლიდერზე ასლან აბაშიძეზე დიდი მტერი (როგორც თვითონ ამბობდა) მას არ ჰყოლია.

და ეს ყველაფერი ერთი სკამისთვის ხდება, იმ სკამისთვის, რომელიც დღეს თავისუფალია...

მერამდენედ?..



# „ქაჯეთის ციხე“ დაეცა — რევოლუცია უსისხლოდ...

## რა იქნება ხვალ?



რა მოხდა 22 ნოემბერს თბილისში — ხავერდოვანი რევოლუცია თუ კარგად დაგეგმილი და, რაც მთავარია, ზუსტად განსაზღვრული ქმედება? ამას ალბათ უახლესი ისტორია იტყვის.

ჩვენ მხოლოდ შევეცდებით, ცხელ „კვალზე“ გავაანალიზოთ, თუ როგორ მოახერხა ოპოზიციამ ორიოდ საათში ხელში აეღო კარგად დაცული სტრატეგიული ობიექტები, გაექცია პრეზიდენტი შევარდნაძე.

და ეს ყველაფერი უსისხლოდ გაეკეთებინა. ასლან აბაშიძის ბრძანებით თბილისში ჩამოყვანილი და დედაქალაქის ცენტრში, პარლამენტის წინ ჩამდგარი აჭარის მოსახლეობის მცირე ნაწილით შევარდნაძის ხელისუფლება ცდილობდა, ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირება ხალხის ურთიერთდაპირისპირებად ექცია.

ამის დიდი საშიშროება მას შემდეგ გაჩნდა, რაც ოპოზიციის მიერ თავმოყრილმა ხალხმა 21 ნოემბრიდან დაიწყო თავისუფლების მოედნის დაკავება.

ოპოზიცია და, პირველ რიგში, მისი მთავარი ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი, მძიმე ცაიტნოტში იმყოფებოდნენ — მათ ახალი მოწვევის პარლამენტის ლეგიტიმაციამდე უნდა მოესწროთ თბილისში ჩამოსვლა და აქტიური მოქმედებების დაწყება.

ამიტომაც ოპოზიციამ უარი თქვა 21 ნოემბრის საღამოს, გორში, მომხრეების შეგროვებასა და იქ ღამის გათევაზე და ათასობით თანამოაზრესთან ერთად პირდაპირ თბილისში ჩამოვიდა.

21 ნოემბრის ღამე ყველაზე კრიტიკული გახლდათ. დიდი ძალისხმევა იყო საჭირო, რომ არ მომხდარიყო შეტაკება ოპოზიციის მრავალრიცხოვან მომხრესა და რუსთაველის გამზირზე ავტობუსების კორდონებს შორის გამაგრებულ ბევრად ნაკლებ „აღორძინებისა“ და ხელისუფლების მხარდამჭერთა შორის.

ამის რეალური საშიშროება არსებობდა, თუმცა თავად ოპოზიციის ლიდერებმა შეძლეს დაძაბულობის განმუხტვა და მთავარი „ბრძოლა“ მეორე დღისთვის გადადეს.

ხელისუფლება დარწმუნებული გახლდათ, რომ მიაღწია საწადელს და შეეცადა, მომიტინგე ოპოზიციონერთა რისხვა, გარკვეულწილად, „ამღორძინებლებისკენ“ მიემართა, მაგრამ, როგორც რამდენიმე საათში გაირკვა, მწარედ მოტყუვდა.

მკითხველს დააინტერესებს, თუ რას წარმოადგენდა ე.წ. „ქაჯეთის ციხის“ ანუ სახელმწიფო კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიების დაცვა და როგორ იყო ორგანიზებული გადამლობი საგუშაგოები.

კანცელარიის დაცვა შინაგან საქმეთა სამინისტრომ იკისრა, ხოლო „დემონსტრაციებისა და მასობრივ არეულობასთან“ დაკავშირებით შექმნილი ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელობა შინაგანი ჯარების სარდალს დაევალა.

კანცელარიის გარშემო მოწყობილი იყო ხუთი გადამლობი საგუშაგო. ერთი — მეტრო „თავისუფლების მოედნიდან“ კანცელარიისკენ ამავალ კიბეზე, მეორე — სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის დასაწყისში, მესამე და მეოთხე — ინგოროყვას ქუჩის თავსა და ბოლოში. ერთი საგუშაგოც მოწყობილი იყო ჩაიკოვსკისა და ინგოროყვას ქუჩების შეერთების ადგილას.

თითოეულ საგუშაგოზე 80-მდე პოლიციელი და შინაგანი ჯარის 40-60 წარმომადგენელი იდგა.

გარდა ამისა, კანცელარიის წინ დისლოცირებული იყო ე.წ. რეზერვი — 380 კაცი, რომელთა შორის იყვნენ შსს-ს გულუას სახელობის სპეცრაზმი, აფხაზეთის სპეცრაზმი და შინაგანი ჯარების მუხროვანის სპეცდანიშნულების ბრიგადის დანაყოფი.

ალსანიშნავია, რომ ამ სპეცრაზმებს ავტობუსებში ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდათ.

გარდა ზემოხსენებული ძალებისა, რიყეზე თავმოყრილი იყო ე.წ. რეზერვი-1, 400 პოლიციელითა და შინაგანი ჯარების მებრძოლით. ასევე, რეზერვი-2, რომლის წევრები, მართალია, დისლოკაციის ადგილებზე იმყოფებოდნენ, მაგრამ ბრძანების თანახმად, თვალისდახამხამებაში გაჩნდებოდნენ კანცელარიის დაცვის გასაძლიერებლად.

ზემოხსენებულ შტაბს გამზადებული ჰყავდა საბრძოლო ჯავშანტექნიკაც: სამი ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი БТР-80, ორი სადაზვერვო ჯავშნიანი მანქანა БРДМ-2 და ერთი ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1. ეს საბრძოლო ტექნიკა იდგა ყოფილი მე-8 პოლკის, ამჟამინდელი შინაგანი ჯარების პირველი ოპერატიული ბრიგადის ტერიტორიაზე და ბრძანებას ელოდა ქალაქის ცენტრში გამოსასვლელად. საგულისხმოა, რომ ერთი კვირის წინ, ამ საბრძოლო ტექნიკის ნაწილი მართლაც დაიძრა თავისუფლების მოედნისკენ დასაშინებელი მანევრის განსახორციელებლად, მაგრამ მაშინ კანცელარიაში ეყოთ ჭკუა, რომ ჯავშანტრანსპორტიორები უკან გაებრუნებინათ.

სხვათა შორის, სწორედ მაშინ, შტაბში დამუშავდა საიდუმლო გეგმა, თუ როგორ უნდა დაეშალათ პარლამენტის წინ (ლაპარაკია ორი კვირის წინანდელ მიტინგებზე) ოპოზიციის მიტინგი. ჩაფიქრებული იყო მომიტინგეთა რიგებში გადაცმული სამართალდამცველების შეშვება, რომლებსაც ერთმანეთისგან უნდა გამოეყოთ მომიტინგეთა რიგები, მერე კი საქმეში უკვე ფარებითა და რეზინის ხელკეტებით შეიარაღებული შინაგანი ჯარები ჩაერეოდნენ. მაშინ, საბედნიეროდ, ეს გეგმა არ განხორციელდა. თავად დოკუმენტები კი, ჩვენი ინფორმაციით, მაშინვე გაანადგურეს.

კანცელარიის მიმდებარე ქუჩებზე შტაბმა ათამდე სახანძრო მანქანა დააყენა, მაგრამ მეხანძრეები დიდად მოწადინებულნი არ ჩანდნენ, რომ ხალხის დასაშლელად წყლის ჭავლი გაეშვათ, რის გამოც შტაბის უფროსი — შინაგანი ჯარების სარდალი მათ დაპატიმრებით დაემუქრა(!). თუმცა, მეხანძრეები არ შეუშინდნენ გენერლების მუქარას და არ მიუშვეს წყალი დემონსტრანტებს.

22 ნოემბერს, შუადღისას, თავისუფლების მოედანზე გრანდიოზული დემონსტრაცია გაიმართა. ცოტა ხანში დემონსტრანტების ნაწილმა ერთდროულად, სხვადასხვა მხრიდან, მოუსინჯა კბილი კანცელარიის გზებზე არსებულ გადამლობ საგუშაგოებს.

### 22 ნოემბერს ოპოზიციის მოქმედების სქემა




**პირობითი აღნიშვნები:**

X — გადამლობი საგუშაგოები

— — — — მომიტინგეთა მოძრაობის მიმართულება

M — მეტრო „თავისუფლების მოედანი“

1 — თავისუფლების მოედანი
2 — ლეონიძის ქ.
3 — სულხან-საბა ორბელიანის ქ.
4 — ინგოროყვას ქ.
5 — ჩაიკოვსკის ქ.
6 — 9 აპრილის ქ.
7 — სახელმწიფო კანცელარია
8 — პარლამენტი

საგუშაგოების გარღვევა სცადეს ჩაიკოვსკის ქუჩისა და მეტრო „თავისუფლების მოედნიდან“ ასასვლელი კიბის მხრიდან, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს იყო ყურადღების გადასატანი ქმედება, რადგან ოპოზიციამ მთავარი შეტევა კანცელარიის შენობაზე სულხან-საბა ორბელიანის ქუჩიდან მიიტანა.



**გია ბარამიძეს იმედი ჰქონდა, რომ ძალოვნები მომიტინგეებს ძალას არ დაუპირისპირებდნენ**

ამ ქუჩას „ბეტმენებად“ წოდებული (მათზე ორი კვირის წინ ვწერდით) შინაგანი ჯარების მუხროვანის სპეცდანიშნულების ჯარისკაცების რამდენიმე ზღუდე იცავდა. მომიტინგეთა ტალღას „ბეტმენები“ ცოტა ხანს აკავებდნენ, მერე ქუჩაზე აბოლდა რამდენიმე საკვამლე კოჭი (გასარკვევია, ისინი ოპოზიციამ ისროლა, თუ სამართალდამცველებმა გადმოყარეს).

კვამლის დადგომისთანავე მომიტინგეთა ტალღამ გაარღვია (უფრო სწორად, წინააღმდეგობის გარეშე გააღწია) სამართალდამცველთა ზღუდეები და ნელ-ნელა დაიკავა კანცელარიისწინა მოედანი.

ამასობაში, პარლამენტში ელოდებოდნენ ახალი მოწვევის პარლამენტართა კვორუმს, რის გამოც სხდომის დაწყება თითქმის ერთი საათით გადაიდო. ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა, რადგან კანცელარიიდან მომიტინგეთა ტალღა, ინგოროყვასა და 9 აპრილის ქუჩების გავლით, პარლამენტს მიადგა და შიგ შეაღწია.

პრეზიდენტის პირადმა დაცვამ ძლივს მოასწრო შევარდნაძის ევაკუირება — ჯერ პარლამენტის წინ გამოიყვანა, ხოლო ცოტა ხანში მისი ესკორტი, რუსთაველის გავლით, ოპერისკენ წავიდა. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტის შეჯავშნულ „მერსედესს“, სახელმწიფო დაცვის გარდა, იცავდნენ უშიშროების სამინისტროს შავნაბადას სპეცრაზმელები.

კრწანისის რეზიდენციაში დაბრუნებისთანავე, შევარდნაძე აცხადებს საგანგებო მდგომარეობას და ყველა შეიარაღებულ უწყებას თავდაცვის მინისტრს უქვემდებარებს.

ამის პარალელურად, იწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების მობილიზება რიყეზე...

სამართლიანობისთვის აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ ნება არ მისცა თავის დაცვას, ცეცხლი გაეხსნა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოპოზიცია პარლამენტში შეიჭრა.

ოპოზიციის ასეთი წარმატებული სვლა — სამიოდე საათში კარგად დაცული პარლამენტისა და კანცელარიის შენობების აღება — ერთი შეხედვით თითქმის დაუჯერებელია.

მომიტინგეთა შეტევისას სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე ყველაზე მეტად აქტიურობდა გიორგი ბარამიძე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე. როგორც ჩანს, ის ხელმძღვანელობდა დაგეგმილ მთავარ შეტევას. ამბობენ, მას ახალ ხელისუფლებაში თავდაცვის მინისტრის პოსტზე უჭირავს თვალიო.

პარლამენტისა და კანცელარიის აღების შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძესა და მის ერთგულებს თავშესაფრად კრწანისის რეზიდენცია დარჩათ. რეზიდენცია შაბათ საღამოსთვის კარგად იყო გამაგრებული როგორც სპეცრაზმებით, ისე ჯავშანტექნიკით. რეზიდენციაში, წინასწარი გათვლით (ეტყობა, ასეთი კრიტიკული მომენტისთვის), ადრევე იქნა მომზადებული ასაფრენი მოედანი, საიდანაც შევარდნაძის გადაყვანა თავისუფლად შეუძლია მისთვის საფრანგეთში, 7 მლნ დოლარად ნაყიდ შვეულმფრენს.

22 ნოემბრის ღამეს, როცა ეს სტატია იწერებოდა, ოპოზიციის ლიდერები პირდაპირ სატელევიზიო ეთერით სთხოვდნენ სამხედრო ძალების წარმომადგენლებს, გადასულიყვნენ ოპოზიციის მხარეზე და არ დამორჩილებოდნენ შევარდნაძეს გავრცელებული ინფორმაციით, ზუგდიდის პოლიციის სპეცრაზმმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადა, არ აიღო ხელში იარაღი და შეუერთდა პარლამენტთან მდგარ მომიტინგეებს.

რამდენიმე ელიტარული დანაყოფისგან განსხვავებით, ქართული სამხედრო ძალების ძირითადი ნაწილების ოფიცრები და ჯარისკაცები სულაც არ ცდილობენ, პრეზიდენტის გულისთვის ხალხს დაუპირისპირდნენ.

ანდა რატომ უნდა გამოიდონ თავი სამხედროებმა, თუკი დემონსტრანტები თითქმის დაუბრკოლებლად გაატარეს პოლიციელებმა და შინაგანმა ჯარმა კანცელარია-პარლამენტისკენ?

22 ნოემბრის ბოლოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შინაგანი ჯარების, საბრძოლო ტექნიკის მობილიზაცია სამინისტროს შენობის წინ მოახდინა, თუმცა პოლიციელები და შინაგანი ჯარების წარმომადგენლები ნამდვილად არ იყვნენ განწყობილნი საპასუხო იერიშის განსახორციელებლად ოპოზიციის წინააღმდეგ. ისინი უკვე თავიანთი სამინისტროს დაცვაზე უფრო ფიქრობდნენ, მაგრამ ვისგან?!



**ოპოზიციის იერიშის დაწყების მომენტი სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე. კარგად ჩანს საკვამლე კოჭებისგან დაყენებული კვამლის საფარი.**

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ამ იარაღით კაცი მოკლეს და სამხილი მე მომიგდეს?!



***სიკვდილიცაა და სიკვდილიც. სასახელოა, როცა მამულისთვის კვდები, როცა შენს სიცოცხლეს მეგობარს ან უმწეოს სწირავ, მაგრამ რა დავარქვათ უაზრო, ანუ შემთხვევით სიკვდილს?! უძველესი დროიდან უამრავი იღუპებოდა და იღუპება დღესაც ამგვარი სიკვდილით ჩვენს პლანეტაზე. სწორედ ასეთი „შემთხვევის“ შესახებ გვინდა ვუამბოთ ჩვენს მკითხველს და აქვე გვსურს შევახსენოთ ერთი ფილოსოფიური სენტენცია — ყველა შემთხვევა აუცილებლობითაა გამოწვეული, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ვთქვათ — კვამლი უცეცხლოდ ვის გაუგიაო და მართალიც ვიქნებით. თუმცა ის კი გვავიწყდება, რომ კვამლსა და ცეცხლს კიდევ მესამე კომპონენტი, შეშა ან რაღაც ამგვარი სჭირდება. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ის რაღაც, ანუ უფრო სწორად, ვიღაც, ვისი მიზეზითაც ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეწყდა, ახლაც მშვენივრად გრძნობს თავს. ერთი-ორჯერ გამომძიებელმა მოწმის სახით დაჰკითხა და მერე თვალითაც აღარავის უნახავს, მანაც რუსეთის მიაშურა (სხვათა შორის, „კვირის პალიტრის“ წინა ნომერშიც ვწერდით იმის შესახებ, რომ ქართველი დამნაშავეების უმრავლესობა რუსეთის აფარებს თავს).***

## „საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!“

იმ დროს, როცა მისი ტოლები აფხაზეთში სისხლს ღვრიდნენ სამშობლოს ერთიანობისთვის, ხარფუხელი რეზო გოგიაშვილი, მეტსახელად „აცანა“ (გვარ-სახელები აქ და შემდგომშიც შეცვლილია) თბილისში მანქანების ქურდობით „იქცევდა“ თავს. რომ დაიჭირეს, გაასამართლეს და სასჯელის მოსახდელად მიმაგრებაში გაუშვეს, მხოლოდ მაშინღა გაახსენდა აფხაზეთი. იფიქრა, აქ იძულებით მუშაობას, ისევ იქ წასვლა სჯობია, პასუხსაც აღარავინ მომთხოვსო და ზუსტად იმ დროს წავიდა, ომი რომ მთავრდებოდა. 17 სექტემბერს ჩავიდა და 29-ში უკან გამობრუნდა. იომაო, ვერ ვიტყვით. ამის შესახებ არაფერია ცნობილი. თუმცა თვითონ თავს გვაცოდებს — ოცდაცხრა კაცი ჩავედით და მხოლოდ ათნი გადავრჩითო. ესეც არავინ იცის. თუმცა ფაქტია, რომ თვითონ საღ-სალამათი დაბრუნდა, ახალთახალი პისტოლეტი „ტტ“-ც ჩამოიტანა და ვიდრე მეორედ არ დაიჭირეს, ქამრიდან აღარ ჩამოუხსნია. თუ გახსოვთ, იმ დროს საქართველოში ყაჩაღობა პრესტიჟულ საქმედ ითვლებოდა და რაკი იარაღი ჰქონდა, სამხედრო კომენდატურას მიაკითხა — ნაომარი კაცი ვარ, ბრძოლაში გამოწრთობილი, თქვენს რიგებში მიმიღეთო. უთხრეს, — ვინ გიშლის, იყავი, მნიშვნელობა არა აქვს გაგაფორმებთ თუ არა. სულერთია, აქ ხელფასს არავინ იღებს. ისე კი ჯერ გამოსაცდელი ვადა უნდა გაიარო, რომ ოფიციალურად გაგაფორმოთ, მით უმეტეს, ნასამართლევი ხარ... თუმცა არც ეგაა დიდი ცოდვა. ჩვენი უფროსიც ნასამართლევია, მაგრამ ეგ არაფერს უშლისო და ფაქტობრივად პატიმარი კაცი (იგი ხომ ჯერ კიდევ მიმაგრებაში იყო) სპეცკომენდატურის ნაცვლად, სადაც სასჯელი უნდა მოეხადა, „რეიდში გაუშვეს“. იქვე გაიცნო მასზე რამდენიმე დღით ადრე მისული გოჩა ხარაძე, ყოფილი მსახიობი. როგორც თვითონ ამბობდა, თავისი ბავშვობის ოცნება, თეატრი იმიტომ მიეტოვებინა, რომ ხელფასი ასოცი მანეთი ჰქონდა, მას კი ცოლ-შვილი უნდა ერჩინა. თუმცა იმას კი ველარ ხსნის, როგორ არჩენდა ოჯახს იმ სამსახურით, სადაც სრულიად არ ჰქონია ხელფასი. მოსამართლის დაჟინებულ კითხვაზე ჯიუტად იმეორებდა — ლილოს ბაზრობას ვიცავდით და დღეში თითოს სამ-ხუთ მანეთს გვაძლევდნენო. არადა, არც ის დაუმალავს, „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატურ იარაღში ორასი ათასი მანეთი რომ გადაიხადა ოჯახზე მზრუნველმა კაცმა. მისთვის რომ გეკითხათ, სამხედრო კომენდატურაში პატრიოტობამ მიიყვანა — შეიარაღებულ ბანდებს ვებრძოდი ჩემს ქალაქში წესრიგის დასამყარებლადო. მოდი და ნუ დაუჯერებ!.. მეც ასე მოვიქცეოდი, მაგრამ ჯერ იმდენი დრო არ გასულა, ადამიანთა გონებიდან ათი წლის წინანდელი ამბები უკვალოდ რომ წაშლილიყო. ეს ხომ ის დროა, როცა „მხედრიონი“, გვარდია და სამხედრო კომენდატურა აშკარად ძარცვავს ქალაქს; როცა ჩვენი „სახელოვანი პოლიცია“ სარდაფებშია შემძვრალი და გამკითხავი არავინაა. ძალზე ბევრს შერჩა ავკაცობა. ესენი კი — გოგიაშვილი და ხარაძე დააპატიმრეს — ძალზე მძიმე ცოდვა აწევთ და იმიტომ...

## კანონის სახელით

ჯუგა ბარნაბიშვილი ქურდი და ნარკომანი იყო. უბნის გარეთ რომ ველარ იშოვა „საქმე“, მეზობლებს დაადგა თვალი და ერთ დღეს რეზო გოგიაშვილი და გოჩა ხარაძე იხმო — მეზობელი ნარკოტიკებით ვაჭრობს და თუ შნო გაქვთ, ბლომად ფულს „დააწერთო“.

— ჩვენ იმ დროს პოლიციის ფუნქციებიც შეგვითავსეს. ხალხისა და მანქანების ჩხრეკის უფლებაც გვქონდა. ჯუგამ უბრალოდ ინფორმაცია მოგვცა სამართალდარღვევის შესახებ და ჩვენც გულისხმიერებით მოვეკიდეთ ამ საქმეს, — აცხადებენ გოგიაშვილი და ხარაძე. ორივე ცრუობს — საპოლიციო ფუნქციები თვითონ შეითავსეს ნაძირალებმა და კანონის სახელით ძარცვავდნენ ქალაქს...

გოგიაშვილმა, ხარაძემ და ბარნაბიშვილმა ნარკობარიგის შეშინება და ფულისა და ნარკოტიკების წართმევა დაგეგმეს. ბარნაბიშვილმა წინასწარვე განაცხადა: — მე „საქმეს“ გაძლევთ. თვითონ კი ვერ გამოვჩნდები, ნიღაბიც რომ ავიფარო, ხმით მიცნობენ. ხომ გითხარით, ნარკობარიგა ჩემი მეზობელია. დღეს რაფიკა ზვიადაური ნარკოტიკების ჩამოსატანადაა წასული. საღამოს აუცილებლად გამოჩნდება და როცა მისი წითელი „ნივა“ სახლის წინ გაჩერდება, მაშინ უნდა მიადგეთ. ასპროცენტიანი გადამხდელია.

„აცანამ“ იმ დღეს მანქანა მოაწესრიგა. ეტყობა, გული უგრძნობდა, რომ იმ ადგილიდან სასწრაფოდ მოუწევდა გაცლა. მანქანის რემონტს რომ მორჩა, მეუღლემ სთხოვა — დღეს დედას დაბადების დღეა და შენებურად ნუ გადაიკარგებიო, მაგრამ ამისთვის სად ეცალა, საღამოს „ცვეტნოი საქმეზე“ უნდა წასულიყო. საჭესთან ხარაძის დისშვილი, ნუგზარ ჯინჯიხაშვილი დასვეს და ზვიადაურების სახლის შორიახლოს გაჩერდნენ. ზამთარი იყო და მალე დაღამდა, თუმცა არც ისე დიდხანს მოუწიათ ლოდინმა. საღამოს რვა საათზე წითელი „ნივა“ გამოჩნდა.

რაფო ზვიადაურმა ადრევე დაიჭირა თადარიგი. იმ საღამოს თავისი ბიძაშვილის შვილს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომელს გიგა ხონელიძეს გამოუარა და შესჩივლა: — მთელი პოლიცია რომ დამალულია, ერთადერთი ჩვენი უბნის ინსპექტორი აქტიურობს და ისიც მარტო ჩემთან, — გინდა თუ არა, უნდა დაგიჭირო, ნარკოტიკებით ვაჭრობო. თუ რაფოს დავუჯერებთ, გიგა შეჰპირდა — ამ დღეებში გავარკვევ, რას გერჩის ამ პატიოსან კაცს. მანამდე კი ერთი-ორი დღე ჩემთან დარჩი, აქ ხელს ვერ გახლებენო, ურჩია. ოღონდ რაფომ მაინც მოინდომა იმ საღამოს სახლში მისვლა... გამოსაცვლელი ტანსაცმლის წამოსაღებად. მას უკვე აღარავისი აღარ ეშინოდა, მისი მანქანის საჭესთან სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელი იჯდა.

მანქანა ზვიადაურების ჭიშკართან შეჩერდა. გოგიაშვილსა და ხარაძეს სიბნელეში არ შეუნიშნავთ, როგორ გადავიდა მანქანიდან რაფიკა ზვიადაური და ჭიშკარში შერგო თავი. ორივენი მძღოლის მხარეს მიადგნენ და საჭესთან მჯდომს ძირს ჩამოსვლა მოსთხოვეს. ეჭვიც არ შეჰპარვიათ, რომ ახალგაზრდა კაცი რაფიკა ზვიადაური იყო და მისგან უსიტყვო მორჩილებას ითხოვდნენ. ცოტა მოშორებით კი, „აცანას“ მანქანაში, „საქმის“ მიმცემი ჯუგა ბარნაბიშვილი გატრუნულიყო და თავის წილ ნაალაფარს ელოდებოდა.

თუმცა საქმე არც ისე მარტივად იყო, — საჭესთან მჯდომი მის ცხვირთან იარაღის ტრიალის მიუხედავად, არც მანქანიდან ჩამოსვლას აპირებდა და ისე იქცეოდა, თითქოს ვერც გაეგო, რას ითხოვდნენ მისგან.

— ფული და ნარკოტიკები! — კიდევ ერთხელ გაუმეორეს და მაინც აიძულეს მანქანიდან გადმოსვლა. მერე კი, როცა დარწმუნდნენ, არაფრის მომცემი არააო, „აცანამ“ ფეხებში ესროლა უშიშროების ახალგაზრდა ოფიცერს და დაჭრა იგი. იმავე წამს ხარაძის ავტომატმა გაიტკაცუნა, მერე კი...

## სისხლი სისხლისა წილ?

საუბედუროდ, ახლა ძნელია ამ სურათის აღდგენა. გიგა ხონელიძე ცოცხალი აღარაა. გოგიაშვილი და ხარაძე კი ამ ამბავს თავის სასარგებლოდ აღწერენ: მათი მტკიცებით, მათი დიდი სურვილი იყო კანონის სამსჯავროზე წარედგინათ ნარკოვაჭარი. კი აპირებდნენ ამის შესახებ წინასწარ ეცნობებინათ ხელმძღვანელობისათვის, მაგრამ ველარ მოასწრეს, რადგან წითელი „ნივა“ დათქმულ დროზე ადრე გამოჩნდა და გადაწყვიტეს, ხელიდან არ გაეშვათ ხელსაყრელი მომენტი. ამიტომაც ჯიქურ მიადგნენ მის მძღოლს. პირადობის მოწმობა ანახვეს და ნარკოტიკების წარმოდგენა მოსთხოვეს. მან ჯერ იუარა, მაგრამ მერე კი დაყაბულდა, — აგერ მაქვს, ა, ბატონოო, ხელი ჯიბეში ჩაიყო და ნარკოტიკების ნაცვლად, „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტი ამოიღო. იმავე წამს გაისმა სროლის ხმაც და ჯერ მუცელში დაჭრილი ხარაძე დაეცა, შემდეგ კი „აცანა“ ვიღაცის ლობეს მიაწყდა. დაჭრილი გიგა მანქანას ამოეფარა და მოვლენების განვითარებას დაელოდა. ვიდრე მომხდურები გონს მოვიდოდნენ, შეეძლო თითო-თითოც ესროლა და დაეხოცა ისინი, მაგრამ ალბათ ეგონა, გამშორდებიანო, მაგრამ...

ისევ ყოფილ მსახიობს, გოჩა ხარაძეს მოვუსმინოთ:

— რაღაც უხილავი ისეთი ძალით მეძგერა მუცელში, რომ ერთბაშად უკან გადავვარდი. წამიერად გრძნობაც დავკარგე და მხედველობაც. დაბლა ვაგდივარ და სიმწრისაგან ვიკლაკნები. ვცდილობ, მაგრამ წამოდგომა არ შემიძლია. არადა, როცა ყველაფერი გავაცნობიერე, ვხედავ, ბარიგა (იგი ბარიგას უშიშროების თანამშრომელს, გიგა ხონელიძეს უწოდებს) ჩემკენ მოემართება იარაღით ხელში. არ ვიცი, როდის გადავტენე ავტომატი. თუმცა სასხლეტზე თითის გამოკვრის თავიც აღარ მქონდა, არადა სადაცაა მოწინააღმდეგე მესროდა. ძალა მოვიკრიბე და სასხლეტს გამოვკარი — ბარიგა უკან გადავარდა...

რა არის მონათხრობში სარწმუნო და რა მოგონილი? ის, რომ ხონელიძის ნასროლი ტყვია მუცელში მოხვდა და დავარდა, სიმართლეა. შეიძლება ისიც ვირწმუნოთ, რომ უშიშროების თანამშრომელი მართლაც ნარკობარიგა ეგონათ (ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ რაფო ზვიადაურს ელოდებოდნენ). ისიც, რომ პირველი გასროლით დაჭრილმა ხონელიძემ უკან დაიხია და მანქანას ამოეფარა, დადასტურებულია საგამოძიებო მასალებით, რაც მოგვიანებით სასამართლომაც გაიზიარა. ხოლო სიცრუე გოჩა ხარაძესა და რეზო გოგიაშვილს, იმავე „აცანას“, იმისთვის დასჭირდათ, რომ გიგა ხონელიძის მკვლელობა აუცილებელი მოგერიებით გაამართლონ, რაც ბუნებრივია მსჯავრის გამოტანისას მათ სასარგებლოდ იმოქმედებდა, მაგრამ არ დაუჯერეს. ან როგორ დაუჯერებდნენ, როცა წუთის წინ ვითომ ერთიანად განადგურებული ორი კაცი („აცანაც“ ხომ სიტყვასიტყვით იმეორებს ხარაძის ნათქვამს — მეც იმავე დღეში ვიყავიო), რომლებსაც წამოდგომის თავი კი არა, იარაღის სასხლეტზე თითის გამოკვრაც აღარ შეუძლიათ, მეორე წუთში იმ ადგილიდან ისე გარბიან, ლამისაა ერთმანეთს გაასწრონ. გაიქცნენ კი იმიტომ, რომ კაცი მოკლეს და შურისძიებისა შეეშინდათ. დიახ! ორივე მუცელში დაჭრილები იყვნენ, მაგრამ გაიქცნენ, თუმცა მანამდე ერთი ავტომატით, მეორე კი პისტოლეტით რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობას მიაყენებს გიგა ხონელიძეს და ერთიანად დაცხრილავენ „ნივას“, რომელსაც ხონელიძე ეფარება. მათი ნასროლი ტყვიები ქუჩაზე განლაგებულ სახლებში იჭრება... გიგა ხონელიძე დაეცა, ჭრილობები იმდენად მძიმეა, რომ ველარაფერი უშველის. რეზო გოგიაშვილი წაქცეულს ზემოდან კიდევ ორჯერ ესვრის პისტოლეტით. ასე ვთქვათ, „საკონტროლოდ“, მერე ტაბელურ „ბრაუნინგს“ აართმევს სულთმობრძავს და გარბის...

მკვლელობის ადგილიდან გაქცეულები მანქანისკენ გარბიან, რომელიც ამ დროს პარალელური ქუჩიდან მათ შესახვედრად მოემართება. ჯუგა ბარნაბიშვილს, „საქმის მიმცემს“, ვერაფერი გაუგია — როდის აქეთ დაიწყო რაფო ზვიადაურმა პისტოლეტის ხმარება, რაც თავი ახსოვს, მის ხელში ნარკოტიკების მეტი არაფერი დაუნახავს. ჯუგაც მისი კლიენტია, თითქმის ყოველდღე აკითხავს. მშიშარა რაფო თითქმის უფასოდ აძლევს წამალს.

მანქანის საჭესთან ისევ ხონელიძის დისშვილი ნუგზარ ჯინჯიხაშვილი ზის. დაჭრილები სასწრაფო დახმარებას საჭიროებენ, მაგრამ ამისთვის იქვე, მახლობლად მდებარე მერვე საავადმყოფოს კი არ აკითხავენ, ქალაქის განაპირა საავადმყოფოში მიდიან და იქ იკეთებენ ოპერაციებს. ათი დღის შემდეგ კი ისე, ყოველი შემთხვევისათვის, თვალს მიეფარნენ. მანამდე კი განაცხადეს, რომ ვარკეთილში, მეტროსთან, ბანდიტებთან შეტაკებისას დაიჭრნენ და ლამის წამებულების გვირგვინი დაიდგეს თავზე.

სხვათა შორის, საავადმყოფოში იარაღიანად ხომ ვერ მივიდოდნენ. გზად ერთ თავისთანა „წესრიგის დამცველს“ გაუარეს, მაგრამ ის რომ არ დახვდათ, მის მეგობარ მერაბ ხუხუნაშვილს შეაჩეჩეს ხელში — თუ გადავრჩით, დაგვიბრუნეო.

დიდი ხნის შემდეგ, როცა სამალავიდან გამოსული პოლიცია მკვლელების კვალს ადგება, ხუხუნაშვილსაც აკითხავენ და მისი შინ არყოფნის დროს სახლს ჩხრეკენ, მაგრამ ვერაფერს ნახულობენ. ხუხუნაშვილი ამას არ ელოდებოდა. წესით, პოლიციას არ უნდა შეეტყო ამ იარაღის ადგილსამყოფელი.

„შავი“ სამყარო თავისი კანონებით ცხოვრობს, რომელსაც ჩვენგან განსხვავებით განუხრელად იცავენ. მერაბ ხუხუნაშვილი სულ გადაირია — რას ჰქვია ამ იარაღით კაცი მოკლეს და მერე დანაშაულის სამხილი მე მომიგდესო. ადგა და გოგიაშვილის „ტტ“ და ხარაძის „კალაშნიკოვი“ თავისი ხელით ჩააბარა პოლიციას. მის განმარტებაში მეტი არაფერია ნათქვამი. მერე კი ორივენი მონახა და საქმე გაურჩია — როგორ გაბედეთ და პოლიციას მიმეცით ხახაშიო.

როგორც წესი, ქურდული გარჩევები ჯარიმით მთავრდება და საფიქრებელია, ამჯერადაც არ ჩაივლიდა უამისოდ.

## სათავეები

საბრალდებო დასკვნა ამხელს მკვლელებს და ეს სავსებით ლოგიკურია. თუმცა სასურველი იყო, გამოძიებას ასეთივე გულმოდგინებით ემუშავა დანაშაულის სათავეების მხილებაზე. თვითონ განსაჯეთ, ახალგაზრდა კაცი ნარკობარიგის მიზეზით მოკვდა და საბოლოოდ ისიც კი არაა დადგენილი, მართლა ვაჭრობდა თუ არა ნარკოტიკებით რაფიკა ზვიადაური. ასეთი ბრალდების მტკიცებულებად მხოლოდ გოგიაშვილი-ხარაძის მიერ დასახელებული ვიღაც მესამე, ჯუგა ბარნაბიშვილის მონათხრობი ვერ გამოდგება. როგორც ზემოთ ითქვა, რაფო ზვიადაური ერთი-ორჯერ მოწმის სახით დაჰკითხეს და მანაც რუსეთს შეაფარა თავი. მერე გაირკვა, რომ ადრე სწორედ რუსეთში გაუსამართლებიათ რაფიკა, თუმცა უცნობია, რისთვის. მამამისი რუბენა აცხადებს, ზუსტად არ ვიცი, სად იქნება, შესაძლოა ჩემს მეორე ვაჟთან ერთად „ნახოდკაში“ იყოსო. მიდი და ეძებე... რუსეთში მიიმალა „საქმის მიმცემი“. ზვიადაურების მეზობელი ჯუგა ბარნაბიშვილიც იმალება. თუმცა ის ალბათ მეზობლებს უფრო უფრთხის, ვიდრე კანონს... სამართალდამცველები მისი ძებნით თავს არ იტკივებენ. მით უმეტეს, რომ ეს ხარჯებთანაა დაკავშირებული(!).

ცოტა რამ სამხედრო კომენდატურის შესახებაც:

ეს დანაშაულებრივი სამსახური ავადსახსენებელი 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა და თითქმის მთლიანად ბოროტმოქმედებით იყო დაკომპლექტებული. როგორც ჩანს, მისი ამგვარად ფორმირება იმთავითვე იყო ჩაფიქრებული, თორემ სად გაგონილა უხელფასო სახელმწიფო უწყება?! წარმოსადგენადაც შემზარავია, უხელფასო კაცს იარაღს აძლევდე და ამასთან, წესრიგის დაცვას სთხოვდე. ვინ დაგიჯერებს ამას?! თუმცა მის წევრებს რომ მოუსმინოთ, იტყვით — ეს რა თავდადებული ხალხი გვყოლიაო. „1994 წლის 7 თებერვალს თონეთის ქუჩაზე შევხვდი ერთ ჩემს ნაცნობს და მისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ალმეძრა სურვილი კიდევ ერთხელ გამომეხატა ჩემი ერისა და სამშობლოს ერთგულება და ფაქტზე მემხილებინა ნარკოტიკებით მოვაჭრე „ბარიგა“ რაფიკა ზვიადაური“, წერს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს დახვრეტამისჯილი პატიმარი რეზო გოგიაშვილი, იგივე „აცანა“. ზუსტად ამ წერილის ასლია გოჩა ხარაძის განცხადებაც. არადა, ოფიციალურად არც ერთი იყო სამხედრო კომენდატურის თანამშრომელი და არც — მეორე. როგორც ამ სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელობა აცხადებს, მათ არც შესაბამისი მოწმობები ჰქონდათ და არც იარაღის ტარების უფლება. თუმცა იმას ვერ უარყოფენ, რომ ერთიცა და მეორეც აქტიურად მონაწილეობდნენ მათ მიერ დაგეგმილ „რეიდებსა“ და „ღონისძიებებში“.

რას ვიზამთ, საუბედუროდ, ეს რეალობაა, საქართველოს უახლესი ისტორიის შავი ფურცლები.

P.S. ხუთი თვე ისხდნენ გოგიაშვილი და ხარაძე სიკვდილმისჯილთა საკანში, მერე შეიწყალეს და თხუთმეტ-თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

***ვაჟა გავაშელი***

# უამრავი დარღვევის (გაყალბების) მიუხედავად, ცესკომ 2 ნოემბრის პროპორციული სისტემით არჩევნების შედეგები მაინც დაამტკიცა, რამაც 22-23 ნოემბრის ცნობილი მოვლენები გამოიწვია(!)

| | |
|---|---|
| . ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: | 3,178,593 |
| . არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: | 1,909,215 |
| . ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა | 65,641 |
| V. დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენთა რაოდენობა | 847 |
| V. დაუდგენელი ნიმუშის კონვერტთა რაოდენობა | 2023 |

### საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა

| პარტიის (ბლოკის) დასახელება | მიღებული ხმების რაოდენობა | ხმები პროცენტებში | მიღებული მანდატების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1. ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ | 407045 | 21,32% | 38 |
| 2. დემოკრატიული აღორძინების კავშირი (დაკ) | 359769 | 18,84% | 33 |
| 3. ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ | 117785 | 6,17% | |
| 4. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია | 229900 | 12,04% | 20 |
| 5. ბლოკი „სააკაშვილი — ნაციონალური მოძრაობა“ | 345197 | 18,08% | 32 |
| 6. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია | 8031 | 0,42% | |
| 7. ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები“ | 167908 | 8,79% | 15 |
| 8. საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველი“ | 1627 | 0,09% | |
| 9. „ერთიანი საქართველო“ | 2958 | 0,15% | |
| 11. ბლოკი „არასახელისუფლებო ბლოკი სამშობლო“ | 582 | 0,03% | |
| 12. ბლოკი „ახალი მემარჯვენეები (ახლები)“ | 140259 | 7,35% | 12 |
| 13. ბლოკი ჯუმბერ პატიაშვილი — პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“ | 34584 | 1,81% | |
| 14. „დედა სამშობლო“ | 1247 | 0,07% | |
| 15. ბლოკი „ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება“ | 15772 | 0,83% | |
| 16. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია | 342 | 0,02% | |
| 17. მრეწველობისა და ეკონომიკური ალმავლობის პარტია (მრეწველთა პარტია) | 2659 | 0,14% | |
| 18. ბლოკი „მშვიდობიანი კავკასია“ | 2403 | 0,13% | |
| 19. საქართველოს სახალხო კაპიტალიზმის პარტია | 506 | 0,03% | |
| 20. სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი | 680 | 0,04% | |
| 21. პოლიტიკური გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირი“ (ქდკ) | 902 | 0,05% | |
| 22. „საქართველოს ადვოკატები“ | 1479 | 0,08% | |

### საქართველოს პარლამენტის წევრებად პროპორციული სისტემით არჩეულნი არიან:

**„ახალი საქართველოსთვის“**
1. ლორთქიფანიძე ვაჟა
2. მეძმარიაშვილი ელგუჯა
3. რჩეულიშვილი ვახტანგ
4. სარიშვილი-ჭანტურია ირინა
5. ბათიაშვილი ირაკლი
6. გურიელი ნინო
7. ნადარეიშვილი თამაზ
8. მამალაძე ლევან
9. ხაზარაძე ვიტალი
10. კანდელაკი გიორგი
11. გოგავა ირაკლი
12. ბიჭიაშვილი-ყავლაშვილი ნანული
13. ზურაბაშვილი გიორგი
14. წივწივაძე თამაზ
15. მინდელი ირაკლი
16. გაჩეჩილაძე გიორგი
17. შერაძე გიორგი
18. ნადირაშვილი ნელი
19. გაიაშვილი თამაზ
20. ქარდავა ბაჩუკი
21. სარალიძე ბორის
22. ისაკაძე თევდორე
23. მოლოდინაშვილი ნუგზარ
24. შარაძე გურამ
25. გიორგაძე თამაზ
26. გიგინეიშვილი მანანა
27. ედიბერიძე გაგა
28. კოხრეიძე გიორგი
29. კახნიაური ნუგზარ
30. ქუცნაშვილი ზაქარია
31. ორჯონიკიძე მამუკა
32. ღუღუნიშვილი ზეზვა
33. დარჯანია ომეხ
34. ქორიძე ირაკლი
35. მუკბანიანი ზვიად
36. ჩხიკვიშვილი თამაზ
37. კარაევი მუბარის
38. ხუციშვილი ილია

**დემოკრატიული აღორძინების კავშირი (დაკ)**
1. აბაშიძე ასლან
2. ჯაველიძე ელიზბარ
3. ყიფიანი ჯიმი
4. მეგრელიშვილი თეიმურაზ
5. ბაკურია ცოტნე
6. შაქარიშვილი ლია
7. ხუჯაძე დავით
8. ჩხეიძე ნატო
9. ტყებუჩავა ფელიქს
10. ოსაძე მიხეილ
11. აბრალავა ანზორ
12. ჭიპაშვილი ჰამლეტ
13. პაიჭაძე გრიგოლ (გოჩა)
14. მიშველაძე რევაზ
15. ოქუაშვილი ზაზა
16. ბარქაია კონსტანტინე
17. დალაქიშვილი ილია
18. ფიფია თორნიკე
19. ჯაფარიძე დავით
20. ნიჟარაძე როლანდ
21. გვენცაძე რომან
22. რაფავა მერაბ
23. ქვარაია მერაბ
24. ბასილაშვილი რევაზ
25. ზურაბიანი ოლეგ
26. გოგოხია ირაკლი
27. ალიევი ფაზილ
28. წოწერია ვალერიანე
29. აბაშიძე ირაკლი
30. ხანთაძე მარინე
31. მაისურაძე ბეჟან
32. გამახარია ჯემალ
33. ჩხეიძე გელა

**„სააკაშვილი — ნაციონალური მოძრაობა“**
1. დავითაშვილი კობა
2. ნადირაძე მაია
3. კემულარია კონსტანტინე
4. ძიძიგური ზვიად
5. ბერძენიშვილი დავით
6. გოცირიძე რომან
7. არველაძე გიორგი
8. მერაბიშვილი ივანე
9. ჯუღელი ბესიკ
10. მელიქიშვილი ზურაბ
11. ცისკარიშვილი პეტრე
12. ქობალია გრიგოლ
13. მაღლაკელიძე გიორგი
14. ლეჟავა პაატა
15. მურადხანოვი კამალ
16. ჭიპაშვილი ვლადიმერ
17. გველუკაშვილი თამაზ
18. ბობოხიძე აკაკი
19. გუჯაბიძე ბიძინა
20. ხევიაშვილი გიორგი
21. თარგამაძე გიორგი
22. ნანეტაშვილი ბადრი
23. სამყურაშვილი რატი
24. დავითაძე ავთანდილ
25. ნაცვლიშვილი გია
26. კუკავა კახა
27. ჭეიშვილი თეიმურაზ
28. ხაბაზი კობა
29. ბერიძე კონსტანტინე
30. ახმეტელი ზურაბ
31. გურგენიძე ზაურ
32. გუცაევი ვლადიმერ

**საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია**
1. ნათელაშვილი შალვა
2. ინჯია ფრიდონ
3. ჩოხელი გოდერძი
4. გუგავა გიორგი
5. შატბერაშვილი იოსებ
6. ჯიბლაძე პაატა
7. გუგუშვილი კონსტანტინე
8. ძაგანია თამაზ
9. დანელია გედევან
10. ჩხიკვიშვილი რევაზ
11. ლორია კახაბერ
12. მთვარელიძე გივი
13. წიკლაური გიორგი
14. საყვარელიძე ავთანდილ
15. გალდავა გულნაზი
16. ლეკვეიშვილი ომარ
17. ვარდიძე მალხაზ
18. გუგავა ბერდია
19. რევიშვილი ედიშერ
20. ნიკოლაიშვილი ალექსანდრე

**„ბურჯანაძე-დემოკრატები“**
1. ბურჯანაძე ნინო
2. ასათიანი აკაკი
3. ჟვანია ზურაბ
4. შენგელაია ელდარ
5. წერეთელი გიორგი (გიგი)
6. მაჭავარიანი მიხეილ
7. პაპავა ვლადიმერ
8. გაბაშვილი გიორგი
9. მარგველაშვილი გიორგი
10. თევდორაძე ელენე
11. მალაშხია შოთა
12. სურმანიძე ედვარდ
13. ჩუბინიშვილი ირაკლი
14. გეგელაშვილი გიორგი
15. მაღლაფერიძე ვასილ

**„ახალი მემარჯვენეები (ახლები)“**
1. გამყრელიძე დავით
2. შავიშვილი რევაზ
3. ჩიხრაძე ფიქრია
4. გაფრინდაშვილი ნონა
5. ხმალაძე ვახტანგ
6. გოცირიძე თემურ
7. კვარაცხელია ვალერი
8. იაშვილი ირაკლი
9. კოღუაშვილი დავით
10. თოთლაძე მზია
11. კაციტაძე მამუკა
12. მოსიძე გიორგი

***კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი***
***კომისიის მდივანი გიორგი მიქანაძე***

*20 ნოემბრის ცესკოს სხდომამ 2 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებიც გამოაქვეყნა*
*მკითხველს შევახსენებთ, რომ სარეფერენდუმო კითხვა ასეთი იყო: „ხართ თუ არა თანახმა საქართველოს პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობა შემცირდეს და განისაზღვროს არა უმეტეს 150 დეპუტატით?“*
*რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 2. 031 057*
*ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3. 178 593*
*კენჭისყრაში მონაწილეთა საერთო რიცხვი 1. 904 105*
*პარლამენტართა რიცხვის შემცირებას დაეთანხმა 1. 590 303*
*წინააღმდეგ მისცა ხმა 184 209*
*ბათილად გამოცხადდა 123. 466 ბიულეტენი*

# როდის გაექცა შევარდნაძეს სადავეები?!



— ის საჯაროდ არასდროს საუბრობდა იმ ზეწოლის შესახებ, რასაც წლების განმავლობაში განიცდიდა, მაგრამ ვგრძნობდი, რა დღეში აგდებდნენ ზაზას ხელისუფლება და შემდგომ ოპოზიცია, ის ოპოზიცია, რომელიც თავის დროზე საქართველოს ხელისუფლებას წარმოადგენდა. შეუძლებელი იყო, ყოველივე ამისთვის მას კიდევ დაეხარა თავი, მოეთმინა და არ გაეკეთებინა გადადგომის შესახებ განცხადება — ამბობს „კვირის პალიტრასთან“ საუბარში კულტურის აწ უკვე ექსმინისტრი სესილი გოგიბერიძე, რომელმაც განცხადება გადადგომის თაობაზე, მეუღლის ზაზა შენგელიას სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელობიდან წასვლისთანავე გააკეთა. სესილი გოგიბერიძე ზაზა შენგელიასა და პირველი არხის მიმართ პრეზიდენტის მიერ გამოთქმულ საყვედურს უწოდებს განაწყენებული ადამიანის გულწრფელ თვალსაზრისს, რომელიც შევარდნაძემ, მისი აზრით, შინაურ გარემოცვაში გამოხატა და არ ეგონა, რომ მას სკანდალი მოჰყვებოდა ან უბრალოდ ვინმეს გულს ატკენდა და რადიკალურ ნაბიჯებს გადაადგმევინებდა პროტესტის ნიშნად. ასე მიაჩნია სესილი გოგიბერიძეს, საზოგადოების უმრავლესობა კი ფიქრობს, რომ შევარდნაძეს სადავე საბოლოოდ გაექცა და იგი ვეღარ აკონტროლებს სიტუაციას. ზაზა შენგელიას ნაბიჯის შემდეგ მან აშკარად მისცა ოპონენტებს იმის თქმის საშუალება, რომ შევარდნაძე მისი აჭარელი მეგობრის, ასლან აბაშიძის მსგავსად, ცდილობს შეზღუდოს დემოკრატიული მასმედია და სურს შესუსტებული ძალაუფლება დიქტატურით განამტკიცოს. ამ ჩანაფიქრის განუხორციელებლობის გამო კი ერთმანეთში ერევა სახელმწიფო და სამთავრობო, ქვეყნისა და ხალხის ინტერესები და მსოფლიოს გასაგონად საყვედურობს პირველი არხის ხელმძღვანელობას. ზაზა შენგელიას თანამდებობიდან წასვლის შემდეგ კი პრაქტიკულად ბოიკოტი გამოაცხადა კოკა ყანდიაშვილმაც და სანამ პრეზიდენტი შევარდნაძე არ აღიარებს, რომ პირველი არხი მთავრობას კი არა, ხალხს ეკუთვნის, ვერავინ გაიგებს, რა ხდება „რა ხდებაში“ — აცხადებს ყანდიაშვილი. **ზაზა შენგელიამ** კი ჩვენთან საუბარში პრეზიდენტის გასაგონად განმარტა:

— სახელმწიფო ტელევიზიას აფინანსებს საქართველოს ბიუჯეტი, რომელიც ივსება საქართველოს მოქალაქეთა მიერ გადახდილი ფულით. შესაბამისად, ეს ტელევიზია ეკუთვნის მთელი ქვეყნის მოსახლეობას და არავის აქვს უფლება, პრეტენზია განაცხადოს მის დასაკუთრებაზე. ჩემი მხრიდან კი ვერ დავუშვებ, ვუხელმძღვანელო ისეთ ტელევიზიას, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ცალმხრივი აზრი დაფიქსირდება და არ გაიჟღერებს ოპოზიციური აზრი. ეს ეწინააღმდეგება ჩემს პროფესიონალურ ინტერესებს.

— **რას უწოდებთ პრეზიდენტის ბრალდებას პირველი არხის მიმართ. არის თუ არა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობა?**

— მე გული მტკივა იმის გამო, რომ შევარდნაძე ინფორმაციულ ვაკუუმშია და უმრავლესობა მისი გარემოცვიდან, საკმაოდ რეაქციული ხალხი, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პრეზიდენტს წარმოდგენა არ ჰქონდეს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების რეალურ სურათზე.

— **თქვენ არაერთხელ მიგიღიათ ანალოგიური შენიშვნა პრეზიდენტისაგან, თუმცა, გადადგომა არ გიცდიათ. მაინცდამაინც ახლა რატომ აცხადებთ პროტესტს?**

— საქართველოში უკვე უამრავი ტელეკომპანიაა, მათთან კონკურენციას პირველი არხი ვერ გაუძლებს, თუ მხოლოდ პრეზიდენტის მოთხოვნების მიხედვით იმუშავებს. ეს იქნება დროის საწინააღმდეგოდ სვლა, მე ვეღარ ვუძლებდი ამ სვლას და უკვე დიდი ხანია ვფიქრობდი წასვლაზე. ამიტომაც ჩემი გადაწყვეტილება აფექტის მდგომარეობაში არ მიმიღია.

— **ხომ არ არის თქვენი ნაბიჯი პოლიტიკური, ანუ უცხადებთ თუ არა სოლიდარობას ოპოზიციურ ძალებს?**

— პროტესტი გამოვთქვი იმის მიმართ, რაც არანაირად არ ჯდება თანამედროვე ტელევიზიის პრინციპებში. მე და შევარდნაძეს სხვადასხვანაირად გვესმის საზოგადოებრივი ტელევიზია. და აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ძალიან ხშირად მწვავედ გავუკრიტიკებივართ არა მარტო ხელისუფლებას, არამედ ოპოზიციასაც. ყველანაირად ვცდილობდით მე და მთელი პირველი არხის გუნდი, რომ შემდგარიყო დიალოგი ამ ორ ბანაკს შორის ჩვენს სტუდიაში და განმუხტულიყო მდგომარეობა, რაც სამწუხაროდ არ მოხდა...

**ინგა გრიგოლია:**

— ახლა ისეთი გულწრფელი ვარ, როგორც არასდროს. პრეზიდენტის განცხადებამ თვალნათლივ აჩვენა, რამხელა ზეწოლაა ხელისუფლების მხრიდან საერთოდ მედიაზე. ჩემთვის გაუგებარ-



ია, რას ნიშნავს სახელმწიფო და სამთავრობო არხი. თუმცა, ძალიან კარგად მესმის, რას ნიშნავს ზეწოლა, რადგან მე პირველ არხზე ვმუშაობდი.

— **პრეზიდენტმა პირველი არხის ლანძღვასთან ერთად შეაქო „ტელე-იმედი“ და „მზე“. რითი მოხიბლეთ შევარდნაძე?**

— არ ვიცი, რატომ გამოხატა მოწონება „მზის“ მიმართ. მის ადგილზე რომ ვიყო, ნამდვილად არ მომეწონებოდა ის ინფორმაციები და ანალიზი, რაც „მზეზე“ გადის. ვფიქრობ, შევარდნაძე ვერ ერკვევა, ვინ როგორ მუშაობს და მრჩება შთაბეჭდილება, რომ მას ან დიდი სურვილი აქვს ყველა არხი გააკონტროლოს, ან კიდევ ვიღაცები მისი გარემოცვიდან ცდილობენ, საკუთარი აზრი მოახვიონ თავს შევარდნაძეს.

სახელმწიფო ტელევიზიაში განვითარებულ მოვლენებს, კერძოდ ზაზა შენგელიას ნაბიჯს პირველი მერცხლის ჭიკჭიკი უწოდა ოპოზიციონერმა გიგი წერეთელმა, რომლის თქმითაც, ხელისუფლების მცდელობა — ქვეყანა ერთპარტიულობისკენ, ერთი გაზეთის და ერთი ტელევიზიის არსებობისკენ წაიყვანოს, კრახით დამთავრდება. შევარდნაძეც და მისი თანამზრახველებიც ბოლოს და ბოლოს შეიგნებენ, რომ საქართველოში არ იარსებებენ მონები. გიგი წერეთელი ჯემალ გოგიტიძის მოთხოვნასაც გამოეხმაურა და სრული უაზრობა უწოდა „აღორძინების“ ლიდერის მოთხოვნას, დაპატიმრებულ იქნან „ტელე-იმედის“ დამფუძნებლები და ხელმძღვანელები. „შეიგნონ აბაშიძემ და გოგიტიძემ, რომ საქართველოში ქვის ხანა მილიონი წლის წინ დამთავრდა და მას ვეღარ დააბრუნებენ“ — ამბობს გიგი წერეთელი, რომელიც თავს ზაზა შენგელიას მეგობრად მიიჩნევს. თავის მხრივ, ზაზა შენგელია ჯერჯერობით რომელიმე ტელეკომპანიაში მუშაობის დაწყებასაც უარყოფს, თუმცა, არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ შენგელია, შესაძლოა, სულ მალე „მზესთან“ ერთად ვიხილოთ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ორი თვის წინ გავრცელდა ხმები, რომ მან ამ ტელეკომპანიასთან კავშირი გაწყვიტა.

*ეკა ლომიძე*



# დედაეკლესიას სტკივა

*მას შემდეგ, რაც ქართველმა ერმა ქრისტეს რჯული აღიარა და ტაძრებში მართლმადიდებელთა წირვა-ლოცვა აღევლინა, ეკლესიას ხალხი არასოდეს მიუტოვებია. რამდენმა ურჯულოებამ არ სცადა ჩვენი გადაჯიშება, მაგრამ ავად იყო თუ კარგად, გადავრჩით, რადგან, ერი და ბერი ერთად ვიდექით. ისტორიას ჩვენთან დამოკიდებულებაში დიდად არაფერი შეუცვლია. იმპერიები ისევ მონდომებით ეცილებიან ჩვენს თავს ერთმანეთს. ცვლილება მხოლოდ იმაშია, რომ „ხმა ღვთისა და ხმა ერისას“ ერთიანობა თითქოს გაიბზარა. ერმა სიმშვიდე დაკარგა მტყუან-მართლის გარჩევაში. გარედან კი ჩვენი დაღლილობით გაძლიერებული მტერი ხარობს.*

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანაშემწე, თბილისის წმინდა თამარის ეკლესიის წინამძღვარი* ***მამა ზაქარია (მაჩიტაძე)***.



— საქართველოს ეკლესიის პატრიარქის შეფასებით, ქვეყანა განსაცდელისაკენ მიდის. მტყუან-მართლის გარჩევა პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროს გასცდა. დედაეკლესია გაძლიერებულად ლოცულობს განსაცდელის თავიდან ასაშორებლად. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ყველა ტაძრის წინამძღვარს ტაძრებში სამშვიდობო პარაკლისის აღვლენა ევალება, ხოლო მრევლს — ფსალმუნების კითხვა. იმედი გვაქვს, ღვთის ნებით და წყალობით, გაძლიერებული ლოცვა აგვაშორებს სამოქალაქო ომის საშიშროებას. ღვთის და მისი ეკლესიის ძალა სიტყვებშია, ჩვენ ვამბობთ ამ სიტყვას: დაპირისპირებულ მხარეებს ურთიერთგაგებისა და კომპრომისისკენ მოვუწოდებთ.

დედაეკლესიას ლოცვის გარდა სხვა იარაღი აღარ დარჩა. ვლოცულობთ, რათა უფალმა იხსნას დაპირისპირებული ძმები და ჩვენი სამშობლო. რახან ქართველები ეკლესიას დედას ვუწოდებთ, ვფიქრობთ, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს ჩვენი ის პოზიცია, რომ მტყუან-მართლის გარჩევას კი არ ვცდილობთ, არამედ შერიგების, მონანიებისა და განსჯისკენ მოვუწოდებთ. როცა შვილები ერთმანეთს ებრძვიან, დედა ზარალდება. მას გული სტკივა. იგი ვერც ერთისკენ ვერ გადაიხრება, რადგან ყველა შვილი ერთნაირად უყვარს. ის მოთმინებით ელოდება, როდის მოვლენ გონს შვილები და მიხვდებიან, რომ მათი დაპირისპირება არა მარტო თვითონვე ასუსტებთ, არამედ იმ სახლს ანგრევს, რომელშიც ცხოვრობენ. აი, ეს არის გონიერი განსჯა.

— *სიმართლისთვის ბრძოლა ხომ ყოველთვის ზნეობრივად ითვლებოდა...*

— ნამდვილი და ზნეობრივია ის სიმართლე, რაც სასიცოცხლოა ერისთვის. ერი ვალდებულია თავისი ისტორია გააგრძელოს. არის ოპოზიციური სიმართლე, არის სახელისუფლებო სიმართლეც, მაგრამ არის აბსოლუტური სიმართლე, რომელიც ერის გადარჩენას სჭირდება. ეს არის ხმა ღვთისა, რომელიც სამშობლოს გადარჩენას გვავალებს. ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და რწმენა გადაგვარჩენს. გავიხსენოთ ის წმინდანები, რომლებსაც ვაღიარებთ და ვევედრებით, რომ დაგვიფარონ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ გაცილებით მეტი გაჭირვების და ტკივილის ატანა მოუხდათ, შემწეობის ძალა რომ მისცემოდათ... ვეცადოთ, რომ მართალნი ვიყოთ უფლისა და მათ წინაშე და არა საკუთარ თვალში... რასაც შენთვის არ ისურვებ, სხვას ნუ გაუკეთებო... რაც მოყვასს, მით უმეტეს, ერს ტკივილს მოუტანს, ეს არ უნდა გავაკეთოთ...

დარწმუნებული ვარ, უფალი გვცდის და უკეთესს მოგვცემს, თუ ჩვენი საზოგადოება იმ სიმართლეს აირჩევს, რომელიც ერისთვის არის საჭირო და არა დაპირისპირებული ადამიანებისთვის.

***ეთერ ერაძე***

# წმიდა გიორგის სასწაულები

## აბუსერიძე ტბელის საკითხავის მიხედვით

**ერისთავმა ტბელი აბუსერისძემ 1233 წელს დაწერა ეს საკითხავი ანდერძთან ერთად ხიხათის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიისათვის თავისი და თავისი წინაპრების სულთა საოხად. სასწაულები ერისთავმა იმ პირებისაგან მოისმინა, რომელთაც ეცხადებოდათ ახოვანი მთავარმოწამე.**

### — ვის გაუგია, ტაძარი ერთ კაცს აეშენებინოს?

მეცამეტე საუკუნის დასაწყისში აჭარაში ერთ ერისკაცს, სახელად ბასილის, გამოეცხადა წმიდა გიორგი და მარტოდმარტოს ააგებინა საკვირველი ტაძარი ქვისა და კირისაგან. თუ ვინმე გაკადნიერდებოდა და მშენებლის საშველად რომელიმე ნივთს შეეხებოდა, ისე დაუმძიმდებოდა იგი, რომ ძვრას ვერ უზამდა.

ბასილი, რომელსაც ერში ბოლოკ-ბასილობით უხმობდნენ, ღარიბი ქვითხურო იყო. ერთხელ იგი სომეხთა ქვეყანაში წავიდა სარჩოს მოსაპოვებლად. იქ გამოეცხადა მას დიდი იგი ახოვანი მთავარმოწამე და უბრძანა: „ნუ ზრუნავ შენი სიგლახაკისთვის, არამედ აღმიშენე ტაძარი ხელთა მიერ ოდენ შენთა, არავინ გაბედოს შენი მოხმარება... ნეტარი ბასილი ატირდა: „ჰოი, წმიდაო გიორგი, რაი-მე ვყო საწყალობელმან და უბადრუკმან? ან ვის გაუგია, ტაძარი ერთ კაცს აეშენებინოს სადმე? მე ისეთი გლახაკი ვარ, რომ უცხოეთში ვშრომობ სარჩოს მოსარეწად. ნება დამრთე, წმიდაო, ეს უცხოთა ეკლესია დავამთავრო და დამიფარე საფარველითა შენითა!“

წმიდანი კვლავაც ეჩვენა კალატოზს, კვლავ გაუმეორა ბრძანება და დაარიგა: „ისმინე ჩემი, ბოლოკ-ბასილი, წადი კლარჯეთის უდაბნოში, ოპიზაში. იქ მონაზონია, სტეფანე, კაცი უბიწო და წმიდა, დიდად ავადმყოფი. აღუთქვი მას ჩემი სახელით განკურნება. სტეფანეს ჰყავს ჯორი, აქვს რკინაც. მოსთხოვე ორივე. იმ რკინისაგან შენი ხელით დაამზადე ქვის სათლელი. ქვა ზიდე შენი ორი ხარით, კარაულით კი ქვიშა მოიტანე. მეტი არც კაცი, არც პირუტყვი არ დაიხმარო!“

შიშით შეპყრობილი, განცვიფრებული დაბრუნდა ბასილი შინ, ძმებთან. არავინ დაუჯერა, იფიქრეს, გაგიჟდაო. ნეტარი ბასილი ოპიზაში ჩავიდა. ნახა სტეფანე, უამბო ყველაფერი. ბერმა როგორც კი მისცა სტუმარს კარაული და რკინა, წმიდა გიორგის სიტყვისაებრ მყის განიკურნა. შინ დაბრუნებული ბასილი წმიდანის მიერ მითითებულ ადგილზე მშენებლობას შეუდგა ჯორისა და თავისი ხარების — ქურდას და პირქუშის დახმარებით. წმინდანმა ასე აუწყა კალატოზს: „რომელი ქვის მიწიდან ამოღებას ან კლდიდან მოტეხვას გადაწყვეტ, ფრინველი დააჯდება და ამით მიხვდები, რომ საქმეს კეთილად განასრულებ. თუ ფრინველს ვერ დაინახავ, რამდენიც გინდა იჭირვო, არაფერი გამოგივა!“ მართლაც ასე მოხდა: ის ფრინველი სასოებით ავსებდა ქვითხუროს და ტაძრის აშენების შემდეგაც მრავალ წელს ხედავდა მას ეკლესიის ახლომახლო ბასილის სახლეული.



***უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ შესრულებული ხატი***

### სხვებსაც ასწავლე, რაც გითხარი!

ერთხელ ჯალეში ქვის თლისას ბასილიმ ნახა საზარელი გველი, რომელსაც ფარისოდენა თვალები ჰქონდა. შეძრწუნებულ ქვითხუროსთან მთავარმოწამე გაჩნდა და ანუგეშა: „ნუ გეშინია, ბასილი! ეს საოცრება ხიხათიდან მოდის, მე გამოვაგდე პრასიანულის მთიდან, იგი მგზავრია ექსორიობით!“ ბასილი შემდეგ ჰყვებოდა: ვუყურებდი, როგორ მიიზლაზნებოდა აღმოსავლეთისაკენ, ჭარალის მთა გადაიარა და თვალს მოეფარაო.

ერთხელაც წყაროს დაეწაფა ბასილი. მეყსეულად წმიდა გიორგიმ აზიდა იგი და ასწავლა: „არ შეიძლება წყაროს წყალი ჯვრის გამოუსახველად დალიო, რადგან შიგ ბოროტნი სხედან ჩემ მიერ შთათხეულნი. სხვებსაც ასწავლე, რაც გითხარი!“

### რა ძალამ ააგო?

ნეტარი ბასილი ზაქთარწმიდის მთაზე კაფავდა და თლიდა ლოდებს. ამ მთაზეა აღმართული ჯვარი წმიდა ზაქარიას სახელზე. ერთ-ერთი ქვა დაამუშავა ბასილიმ და წმიდა გიორგის შეწევნით მარხილზე დადო, უწინამძღვრა ხარებს, შეეცადა მთის ფერდობიდან დაშვებას, მაგრამ ვერ შეძლო. შეწუხდა ფრიად. უცებ დაინახა, მარხილი მოეხსნა ხარების უღელს და ადგილიდან დაიძრა; გვერდი აუარა ქვისმთლელს და პირუტყვებს და მყაფარი დაღმართი მსწრაფლ ჩაიარა: არც კლდეებს დასჯახებია, არც — ხეებს, ისე გაივაკა: გაიარა წმიდა იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიის კარი, მდინარეზე გადაიარა და აღმართს აუყვა. უღელდადგმული ხარებით მოვიდა ნეტარი ბასილი, შეაბა მარხილი. ოთხი უტევანი გაიარა, ქვა ტაძრის საძირკვლამდე მიიტანა და დასავლეთის კარს ბალავრად დაუდო უზარმაზარი ლოდი. ამგვარადაა ნაშენი ეს მშვენიერი ტაძარი, წმიდად გებული ისეთი ქვებისაგან, მრავალს ერთად რომ გაუძნელდება ტვირთვად. მეორე დღესვე იმ კაცმა წმიდა გიორგის შეწევნით უდედან თავისი ზურგით მიათრია უშველებელი ძელი ეკლესიის ეზოში.

### ქვაჯვარი

კიდევ უფრო საკვირველი ის იყო, რომ წმიდა გიორგიმ თვითონ მოუნიშნა ნეტარ ბასილის ტაძრის ასაშენებლად მიწის მონაკვეთი. ნიადაგი იყო წყლიანი, რბილი. მწუხარებით შეპყრობილმა და ზარგანხდილმა ბასილიმ საძირკვლისათვის მიწა იმ სიღრმემდე თხარა, რა სიმაღლისაც არის ტაძარი მიწის ზემოთ.

ბასილის წმიდა მოწამემ ქვის ჯვარიც გამოაკვეთინა ალავერდის ტაძრის სახელზე. ჯვარზე მუშაობისას უზარმაზარი ქვა გაიპო. წმიდა გიორგიმ უთხრა ქვითხუროს: „ჩადექ შიგ, ბასილი, და გაზომე მისი სიგრძე!“ ჩადგა ბასილი ქვებს შორის. შემოაჭირა გარედან ორივე ქვა წმიდა გიორგიმ. აყვირდა ბასილი:

— ვაიმე, რად მომკალ საწყალობელი, წმიდაო მოწამეო!

სიცილით გასწია ქვები წმიდა გიორგიმ:

— ამოდი და ნუ გწყინდება ჩემი სამსახური, მხიარულმა სრულქმენ ტაძარი ჩემი!

ნეტარი ბასილი რომ ქვაჯვარზე მუშაობდა, სამცხეს სპარსეთი შემოესია. ხვარაზმელთა შიშით აიყარნენ სამცხელები და მეტწილად თავი დასავლეთ საქართველოს შეაფარეს. აჭარიდანაც ბევრი გაიქცა მაშინ. ბასილი და მისი ძმები არსად წასულან.

როდესაც ჯვარი გამზადდა, ბასილიმ და იოვანემ სცადეს მისი ტაძარში დასვენება, მაგრამ ჯვარი არ დამორჩილდა: მე უწყი ჟამი ჩემი ეკლესიად დასვენებისაო! სანამ ჯვარი ტაძრის ეზოში ესვენა, არც ერთ ფრინველს არ უკადრებია მასზე გადაფრენა.

იმ ხანებში ერთი ქართველი მხედარი სპარსეთში წავიდა თავისი დატყვევებული ვაჟის გამოსახსნელად. იქ გამოეცხადა მას დიდებული მოწამე და უთხრა: „თუ შენი ხელით ამიშენებ ორღართის მთის ეკლესიის წინ ქარისაგან მოსაფარებელ ქვის სასანთლეს, უეჭველად გამოგიხსნი შვილს“. მხედარი ასე მოიქცა და ის სასანთლე დღესაც დგას იმ საკვირველი ტაძრის წინ.

***მთხრობელი შორენა ბარკალაია***

## უფლის გზისაკენ

...უფლის ქონების უკანონოდ მიმთვისებელი, უფალთან გასამართლდება. ის, რაც მოგვცა უფალმა დედამიწაზე, რის პატრონადაც დაგვაყენა, მოგვეცა იმიტომ, რომ ოფლით და შრომით მოვიპოვოთ აქ არსებობის უფლება და ვეპატრონოთ და არა დავეპატრონოთ ქვეყანას. ადამიანი იმდენად ეჩვევა, რაც მის გარშემოა, რაც მან თავისი შრომით, თუ სხვისი გამოყენებით შეიძინა, რომ ძალიან უჭირს მასთან განშორება. ცდილობს არ უწილადოს არავის, თვით საკუთარ შვილსაც კი, ვიდრე ცოცხალია.

ერთმა ადამმა და ევამ წარმოშვა მილიონობით ადამი და ევა და უკვე მილიონობით ადამი და ევა მემკვიდრეობით გადავცემთ მოუნანიებელ ცოდვებს ჩვენს შემდგომ თაობებს. ჩვენ ხომ ბანკში, ან საიმედო ადგილას ვინახავთ ქონებას ჩვენი შვილებისათვის. იქნება ეს ორი ლარი თუ ორი მილიონი, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ეს არის დაფარული მემკვიდრეობა შვილებზე გადაცემული, დიდი ან მცირე. ჩუმი და დაფარული ცოდვა ყოველთვის მემკვიდრეობით იქნება გადაცემული მომავალ თაობაზე, ისევე როგორც ბანკში შენახული განძი. თვითონ ხომ ვხვდებით ჩვენი უკეთური საქმეების გამო უფალთან სამსჯავროზე, მომავალ თაობასაც იქით ვუკვალავთ გზას. რაც უფრო მძიმეა ცოდვა, მით უფრო ისჯება ფიზიკური

# რატომ ანათებს ქრთამი ჯოჯოხეთს...



სხეული. ფიზიკური სხეულის დასჯაც, წყალობაა უფლისგან მოვლენილი, რათა ტანჯვის დროს მაინც ჩაგვაფიქროს და მიგვახვედროს, სად ვუშვებთ შეცდომას, რომ მოვინანიოთ და აქვე დედამიწაზე გამოვისყიდოთ, რათა მოგვეცეს ღვთის სასუფეველთან მიახლოების საშუალება.

ადამიანები ვერ ველევით საკუთარ ცოდვებს. არ გვინდა უფალს ვანდოთ. გვგონია, რომ ჩვენი გულის კუნჭულში უფრო კარგად ინახება, როგორც ოქრო და ბრილიანტი, უცხო თვალისათვის დაფარული. ზუსტად ასეა ჩვენი ცოდვები ჩვენი გულის სიღრმეში. ამ შემთხვევაში უბედურების მომტანია განძი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა მემკვიდრეობით.

ცოდვა ხომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნორმაა, ჩვევაში გადასული, როგორც მკვლელობა, ნარკომანია, ლოთობა, ტყუილი, მლიქვნელობა, სიზარმაცე. არა აქვს მნიშვნელობა, ცოდვას ფიქრში ჩაიდენ თუ ქმედებაში. მოვიყვანოთ ერთი შეხედვით თითქოსდა უწყინარი ცოდვის მაგალითი. არსებობს ასეთი გამოთქმა: ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს, ე. ი. ჯოჯოხეთს და არა სამოთხეს. ამ შემთხვევაში ქრთამის ამღებიც და მიმცემიც ჯოჯოხეთის მსახურია და გზასაც იქით უნათებს. ქრთამი ხომ უკანონო ქმედების ჩადენისათვის გაიცემა და ამ შემთხვევაში ის, ვინც აცდუნა და ვინც ეცდუნა, ერთ გზაზე არიან დამდგარი.

***ქართული სატაძრო მედიცინის მკვლევარი თამარ ქავთარაძე***

# შეგვეწიე, ღვთისმშობელო...

## სასწაულმოქმედი ხატი საქართველოშია

ჩვენს მრავალჭირნახულ სამშობლოს განსაცდელში მუდამ ღვთისმშობელი მფარველობდა... უფალმა ქართული მიწა თავის საყვარელ დედას გადასცა, რათა მისი შემწეობით ივერია გაბრწყინებულიყო... ღვთისკენ მიმავალ გზაზე ტკივილები არ გვშორდება, მაგრამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გაურკვეველი მომავლისკენ თვალმიპყრობილთ ახლაც შემწედ გვევლინება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ჯერ კიდევ ამ წლის დასაწყისში სთხოვა უკრაინის მიტროპოლიტს, ვლადიმირს, მიეცა კურთხევა, საქართველოში მოსალოცად ჩამოებრძანებინათ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი (კიევის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიიდან). ის 21 ნოემბერს ჩამოასვენეს თბილისში და სიონის საკათედრო ტაძარში დააბრძანეს. ილია -მ საზეიმო პარაკლისი გადაიხადა და დედაღვთისმშობელს შეევედრა, საქართველო დაიფაროს დღევანდელ რთულ ყოფაში...

სასწაულმოქმედი ხატი კიევიდან თვითმფრინავით ჩამოაბრძანეს სასულიერო პირებმა. მას ჩამოჰყვა კიევ-პეჩორის ლავრის მორჩილი, ჩვენი თანამემამულე **მამუკა ნარუშვილი:**

— ეს სასწაულმოქმედი ხატი 150 წლის წინ დაიწერა. იგი შეისმენს გულწრფელად მონანიეთა თხოვნას და კურნავს სნეულთ. 10 წლის წინ მისი ასლი საფარველ მინაზე გადავიდა. უკრაინაში ამ სასწაულმა დიდი ხმაური გამოიწვია... სანამ ექსპერტები გამოსახულების ანალიზს აკეთებდნენ, ხატის მეორე საფარველ მინაზეც გაჩნდა ახალი ასლი...

სასწაულმოქმედ ხატზე ლოცვა-ვედრების მოსურნე ქვეყნებში მიბრძანდებოდა მხოლოდ ასლი... როცა მის წამოსაბრძანებლად მივედი, მითხრეს, — პირველდაწერილი ხატი ჯერ უკრაინის საზღვრებს გარეთ არ გასულა და ვერც საქართველოში გაგატანთო. შემომთავაზეს მისი ასლის წამობრძანება... ქართველები კარგი ფერმწერები ვართ და ღვთის ნებით, შეგვიძლია ასლი ჩვენც დავწეროთ. ქვეყანა დედახატს ელოდება-მეთქი... დათანხმება ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, თუ დედაღვთისმშობელი თავად ინებებდა საქართველოში წამობრძანებას, წინ ვერაფერი დაუდგებოდა... ასეც მოხდა. იგი ჩვენთან არის მაშინ, როცა დიდი განსაცდელი გვაქვს, სუსტნი ვართ რწმენაში და მისი შემწეობა უმეტეს გვჭირდება. ღვთის ნებით, იგი შეისმენს ჩვენს სინანულს და გვახარებს სულიერად განწმენდილი ახალი საქართველოს დაბადებას. მოვდიოდით იმ სიხარულით და იმედით, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დაგვამშვიდებს ამ რთულ ვითარებაში და არ მოგვაკლებს წყალობას...

***ეთერ ერაძე***

# მარხვისათვის

განსაცდელის კვირა დაუდგა საქართველოს. ლოცულობს ბერი, შფოთავს ერი, უჭირს სულს უფლისკენ გზის გაკვალვა და აი, საშველად გამოწვდილი ხელიც — ოდითგან ქართველთა მფარველის, დიდი მოწამის გიორგის ხსენების დღე, რომელსაც ამ კვირაში სულის საოხად ფეხდაფეხ (28 ნოემბრიდან) მოჰყვება — მაცხოვრის შობის მარხვა.

მარხვის ჭეშმარიტ სამკაულად გამოდგება **იოანე ოქროპირის** სიტყვები: „არა ხოლო თუ მარხვასა საჭმელთა და სასმელთასა ვიტყვი, არამედ დავიმარხნეთ თავნი ჩუენნი სიხარბისა და მტერობისა, ძვირისხსენებისა და სიძულვილისაგან, შფოთისა და ტყუილისა...

ლოცვაჲ და მარხვაჲ... მოწყალება გლახაკთაჲ, სიწმიდე და ძვირ-უხსენებლობაჲ, სიყუარული და სიმდაბლე, მოთმინებაჲ და სულგრძელობაჲ, ამათ ყოველთა მოგებაჲ გვიბრძანა ჩუენ უფალმან, და ოდეს ესე მოვიგნეთ, მაშინღა შეიწიროს ლოცვაჲ და მარხვაჲ ჩუენი“.

მოდით, სინანულით, ერთად შევუდგეთ მარხვას, ჩვენო ძვირფასო მკითხველო.

***გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ***

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა** **იხ. გვ. 36.**



CMYK

# „ხომ შეიძლება, რომ ზოგიერთები დღეს თუ ხვალ ჩემთან მოიყვანონ“

## ვურჩევ, ტომარას თავი მოხსნან და ერთი დასტა ფული მაინც გადმოაგდონ პატიმრებისათვის



მე-5 იზოლატორი

საპყრობილეებისა და სასჯელთაღსრულებითი სხვა დაწესებულებების ბინადარნი, უფრო სწორად, მათი არაოფიციალური მმართველები — კანონიერი ქურდები და ე. წ. „შავი“ სამყაროს სხვა წარმომადგენლები, ფარულად თუ აშკარად, მხარს უჭერენ ოპოზიციას და ნაციონალების ლიდერს, მიშა სააკაშვილს. რით დაიმსახურა დამნაშავეების სიმპათია ოპოზიციამ? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად თბილისის მე-5 საპყრობილის ერთ-ერთი საკნის „მაყურებელს“ დავუკავშირდით, რომელიც მართალია, კანონიერი ქურდი არ არის, მაგრამ როგორც თავად ამბობს, „დიდი მომავალი“ აქვს(?!) და აცხადებს, რომ დღეს იგი „კარგი ბიჭის“ სახელით სარგებლობს. მისი განცხადებით: — ყველაზე ცუდი დრო ციხე-კოლონიებში ზამთარია. უკვე სიცივეები დაიწყო და ყველა დაგეშილია თბილ ტანსაცმელზე. ბანქოს თამაში მხოლოდ მაშინაა საინტერესო, თუ კონში მსხვილი ფულის შემდეგ, დაბამბული ქურთუკი, თბილი შარვალი ან წინდები არის ჩადებული.

**— ამბობენ, რომ სააკაშვილს უჭერთ მხარს.**

— რა თქმა უნდა, დავუჭერთ... ნაციონალ-დემოკრატების ხელისუფლებაში მოსვლა და სააკაშვილის ან ბურჯანაძის პრეზიდენტობა იმის მაუწყებელი იქნება ციხისათვის, რომ ახალი ხელისუფლება ამნისტიას გამოუშვებს, რომელიც მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა პატიმარს შეეხება. ქურდებს, მკვლელებსა და ყაჩაღებს ამნისტია რომც არ შეეხოს, არ გვეწყინება ახალი პრეზიდენტისაგან. ის კარგა ხანია, ემუქრება კორუმპირებულ ჩინოვნიკებს, ათასგვარი მაქინაციით გამდიდრებულ ბიზნესმენებსა და ფალსიფიკატორებს ციხეში ამოლპობით. გვჯერა, სააკაშვილი სიტყვას ქარს არ გაატანს და თუ პრეზიდენტი გახდა, ამ გაზულუქებულ „ფულის ტომრებს“ გვერდით მოგვისვამს. მათ ალბათ თან მოაყოლებს ჩვენი ფულით გამილიონერებულ მაღალჩინოსან პოლიციელებს, პროკურორებს... არც მოსამართლეებს დაამადლებს მე-5 საპყრობილის „პარაშასთან“ ადგილს და მერე ჩვენ ვიცით ხელისუფლების პატივისცემა. ხალხისთვის წაგლეჯილ ფულს ექსპროპრიაციას ვუზამთ უკანასკნელ თეთრამდე. აი, ამის შემდეგ დაიწყება ციხეში საამური ცხოვრება და აღარც არიფებს შევაწუხებთ, არც საჭმელ-სასმლის ნაკლებობა გვექნება და არც თბილ ტანსაცმელს მოვისაკლისებთ. ეგ კი არა, ჩინოვნიკებისგან ამოღებული ფულით ციხეს ჩვენ შევინახავთ — ბიუჯეტიდან კაპიკიც არ გვინდა. ბიჭები ამბობენ, მხოლოდ ლევან მამალაძე რომ შემოაგდონ აქ, იმის ფული გვეყოფა, რაც მეხუთეში კანონიერი ქურდები ვართო. თუ მამალაძეს კიდევ ორსამ კორუმპირებულ ჩინოვნიკს დაამატებენ, შეიძლება იმდენი ფული ვიშოვოთ ქურდებმა, სულ შევეშვათ ამ პროფესიას და ახალი საქართველოს ღირსეულ მოქალაქეებად ვიქცეთ. დღეს ამ ოცნებით ვსულდგმულობთ და სიმართლე გითხრათ, სიცივესაც ველარ ვგრძნობთ. „ფაიზალს“ გეუბნები.

> **გვჯერა, სააკაშვილი სიტყვას ქარს არ გაატანს და თუ პრეზიდენტი გახდა, ამ გაზულუქებულ „ფულის ტომრებს“ გვერდით მოგვისვამს. მათ ალბათ თან მოაყოლებს ჩვენი ფულით გამილიონერებულ მაღალჩინოსან პოლიციელებს, პროკურორებს... და მერე ჩვენ ვიცით ხელისუფლების პატივისცემა. აი, ამის შემდეგ დაიწყება ციხეში საამური ცხოვრება და აღარც არიფებს შევაწუხებთ, არც საჭმელ-სასმლის ნაკლებობა გვექნება და არც თბილ ტანსაცმელს მოვისაკლისებთ.**

**— თუნდაც ხელისუფლება შეიცვალოს და ზოგიერთი ჩინოვნიკი თქვენთან გაამწესონ, პროკურატურა და სასამართლო ისე „გაასუფთავებს“ მათ, არა მგონია, თქვენ რამე დაგრჩეთ.**

— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, განსაკუთრებით პირველ ხანებში, სამართალდამცველები ამას ვერ გაბედავენ — ჩვენი მომავალი კლიენტებისაგან ქრთამს არ აიღებენ. პირიქით, შეეცდებიან ახალ ხელისუფლებას ერთგულება დაუმტკიცონ...

ამ სახელდახელო ინტერვიუს შემდეგ, ჩვენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელთაღსრულებითი დეპარტამენტის უფროსს, შოთა კოპაძეს დავუკავშირდით და ციხე-კოლონიების ზამთრისათვის მომზადების საკითხით დავინტერესდით.

**შოთა კოპაძე:** — სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით. ძალზე მძიმე ზამთრის გადატანა მოუწევთ პატიმრებს. თბილი ტანსაცმელი თითქმის არა გვაქვს. დილით პატიმრები დასათვლელადაც ველარ გამოგვყავს, ისე ცივა საპყრობილეში. თხელი მაისურით და ჩუსტებით პატიმარი ფილტვების ანთებას აიკიდებს და მერე რამდენიმე თვე „ლეჩბალნიცაზე“ მისი გამწესება და სამკურნალო ხარჯების გაღება მოგვიწევს. დაბამბული ქურთუკები არც სასჯელთაღსრულებითი დეპარტამენტის თანამშრომლებს აქვთ, იმ ხალხს, რომლებიც საპატიმროს პერიმეტრს დარაჯობენ. საზაფხულო თხელ ქურთუკში გამოწყობილი გუშაგისათვის გაუსაძლისია თუნდაც ორი საათი ღამით, სიცივეში, სადარაჯო კოშკურაზე ან პერიმეტრზე დგომა...

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ბიუჯეტი მძიმე მდგომარეობაშია და ის მიზერული თანხები, რასაც ვიღებთ, მსჯავრდადებულებისათვის საკვებად ძლივს გვყოფნის. ამას დაუმატეთ ისიც, რომ დროებით პატიმრობაში ასობით ეჭვმიტანილია. დამიჯერეთ, საწვავის უქონლობის გამო, დროებით პატიმრობაში მყოფი პირი სასამართლო პროცესზე ვერ წაგვიყვანია. გამოსავალი ერთია. საქართველოში დღეს უამრავი ბიზნესმენი და მილიონერი ჩინოვნიკია. ყველამ კარგად ვიცით მათი ვინაობა, ისიც კარგად მოეხსენება საზოგადოებას, როგორ და ვის ხარჯზე გამდიდრდნენ. შვეიცარიის ბანკებში გადარიცხული დოლარების დიდი ნაწილი სხვადასხვა მაქინაციით და უკანონო ოპერაციებით აქვთ მოპოვებული. ბევრი მათგანი ჩვენი დაწესებულების პოტენციური ბინადარია. ხომ შეიძლება, რომ დღეს თუ ხვალ ზოგიერთები ჩემთან მოიყვანონ. აი, მაშინ გამოჩნდება, რა გაუკეთებიათ სასჯელთაღსრულებითი დაწესებულებებისათვის, რა საქველმოქმედო თანხები გაიღეს პატიმრებისათვის მაშინ, როდესაც მილიონებს შოულობდნენ და თავისუფლებით ტკბებოდნენ. სწორედ ამის მიხედვით ვიმსჯელებ, თუ რომელ საკანში გავუშვა ყოფილი პატივცემული ჩინოვნიკი ან ბიზნესმენი. ვურჩევ, ტომარას თავი მოხსნან და ერთი დასტა ფული მაინც გადმოაგდონ პატიმრებისათვის, რათა დაბამბული ტანსაცმლის ყიდვა შევძლოთ. ამით მათ მილიონებს არაფერი დააკლდება, სამაგიეროდ, მომავალში რამე რომ მოხდეს და ჩვენთან გამოაგზავნონ, აქ დავხვდები და სიკეთეს არ დავუკარგავ(!). კაცი თუ დაგივიწყებს, ღმერთი არაფერს ივიწყებს...

მართლაც, რა მოხდება, რომ ქართველმა მილიონერებმა, თუნდაც მათ, რომლებმაც ბიზნესი კანონის სრული დაცვით დაიწყეს და ფულიც კანონიერად იშოვეს, ხანდახან ქველმოქმედებაც გასწიონ.

***ზვიად ჩაკვეტაძე***



# რას ახსენებდა მსოფლიო

U.S. DEPARTMENT of STATE

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი ედამ ერელი:** ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგები არ ასახავს საქართველოს მოსახლეობის ნებას, სამაგიეროდ, წარმოაჩენს იმ მაქინაციებს, რომლებიც ხმის მიცემის პროცესში დაფიქსირდა. აშკარაა განსხვავება იმ მონაცემებს შორის, რომლებიც ხმების პარალელური დათვლის შედეგად დაფიქსირდა, ეს კი ხმების დათვლით აშკარა მანიპულირებაზე მიუთითებს. ჩვენ იმედი გაგვიცრუა ამ არჩევნების შედეგებმა და საქართველოს ხელისუფლებამ. ამჟამად ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ფიქრობს იმ ნაბიჯებზე, რომელსაც შეერთებული შტატები გადადგამს.

The Washington Times

**„ვაშინგტონ ტაიმსი“**: ბატონი შევარდნაძე არა მარტო დრომოჭმული, ბოროტმოქმედი კომუნისტი, არამედ არაეფექტიანი პოლიტიკური ფიგურაცაა. მისმა მმართველობამ ერი გაალატაკა. რაც უფრო მალე მოსცილდება იგი ხელისუფლებას, ქვეყნისთვის უმჯობესი იქნება.

BBC

**ბი-ბი-სი:** საქართველოს ეროვნული თავდაცვის მდივანმა თედო ჯაფარიძემ აღიარა, რომ არჩევნებზე უხეში დარღვევები იყო დაშვებული. საგანგებო ბრიფინგზე მან აღნიშნა, რომ მისი მონაცემებით, ქვეყანაში პოლიტიკურმა დაძაბულობამ აპოგეას მიაღწია და ნებისმიერმა პროვოკაციამ შეიძლება სისხლის ღვრამდე მიგვიყვანოს. მისი აზრით, ახლანდელი პარლამენტი გახდება დროებითი და ვადაზე ნაკლებ ხანს იმუშავებს — ჩატარდება რიგგარეშე არჩევნები, ოღონდ მას არ დაუზუსტებია — როდის.

TIME

**„ტაიმი“:** თუ შევარდნაძე კომპრომისის გზით შეძლებს ამჟამინდელი ქაოსიდან საქართველოს გამოყვანას, ვაშინგტონს ამით დაუმტკიცებს, რომ აშშ-ისათვის კვლავ მიზანშეწონილი პარტნიორია საინვესტიციოდ და კვლავ შეიძლება საქართველოზე იმედის დამყარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს პრობლემებით თავმობეზრებული თეთრი სახლი სხვა, უფრო საიმედო რეგიონებზე გადაიტანს ყურადღებას.




RADIO FREEDOM

**რადიო „თავისუფლება“:** შევარდნაძემ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა — მიმდინარე პროცესების ტენდენციურ გაშუქებაში დაადანაშაულა სახელმწიფო ტელევიზია, ხოლო ბორის ბერეზოვსკის მეგობრის, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ტელევიზიას, „იმედს“, მაღალი შეფასება მისცა. ასევე დადებითად შეაფასა ტელეკომპანია „მზე“. ერთმა ტელევიზიამ მაინც ხომ უნდა იმუშაოს მთავრობის სასარგებლოდ. არ შეიძლება ორ მხარეს ყოფნაო, — თქვა შევარდნაძემ. სახელმწიფო ტელევიზიის თავმჯდომარე ამ განცხადების შემდეგ გადადგა — მე ვერ ვიმუშავებ იმ ტელევიზიაში, სადაც მხოლოდ ერთ პოზიციას გააშუქებენო, — განაცხადა მან.

le nouvel Observateur

**„ობსერვერი“:** საქართველოში მოსალოდნელია სამოქალაქო ომი, — საქართველოს პრეზიდენტმა დახმარება სთხოვა აჭარის ლიდერს, ბატონ ასლან აბაშიძეს. ორი წლის შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძეს ეწურება საპრეზიდენტო ვადა. ის მეორედ არის არჩეული პრეზიდენტად, ამიტომ 2005 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებზე სხვამ უნდა შეცვალოს. მაგრამ ვინ იქნება ეს სხვა — პრეზიდენტი ამაზე ჯერჯერობით დუმს.

პრეზიდენტი არაფერს უთმობს ოპოზიციას, რასაც მოჰყვა მისი გუნდიდან თანამოაზრეების გასვლა. კერძოდ, თანამდებობიდან გადადგნენ კულტურის მინისტრი და სახელმწიფო ტელევიზიის დირექტორი.

RUSSIAN INFORMATION AGENCY NOVOSTI НОВОСТИ

**რია ნოვოსტი:** ნინო ბურჯანაძემ პასუხისმგებლობა მომხდარზე პრეზიდენტს დააკისრა, ხოლო უშიშროების მინისტრს შეახსენა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა იცავდნენ როგორც პრეზიდენტს, სახელმწიფოს, ასევე საქართველოს ყოველ მოქალაქეს. ბურჯანაძემ მადლობა გადაუხადა პოლიციას და შინაგან ჯარს, რომელთაც კორდონები მოხსნეს და ოპოზიცია პარლამენტში შეუშვეს.

ИТАР ТАСС

**იტარ-ტასი:** რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარები არ ჩაერევიან თბილისში განვითარებულ მოვლენებში, რადგან ეს აღიქმება, როგორც საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევა. ყველა რუსული დანაყოფი მუდმივი დისლოკაციის ადგილებში იმყოფება.

The Washington Post

**„ვაშინგტონ პოსტი“:** საქართველოში მომხდარ მოვლენებს „ხავერდოვანი რევოლუცია“ დაერქვა. შაბათს პროტესტანტებმა შტურმით აიღეს პარლამენტის შენობა. ზუსტად იმ დროს პარლამენტის სხდომათა დარბაზში პრეზიდენტი შევარდნაძე მოხსენებით გამოდიოდა.

როცა ოპოზიციის ლიდერი, ბატონი სააკაშვილი გადადგომისკენ მოუწოდებდა, პირადი დაცვა გარს შემოეხვია პრეზიდენტს და დარბაზიდან გაიყვანა. თავის მომხრეებთან გასული პრეზიდენტი ქუჩაში სიტყვით გამოვიდა და განაცხადა, — ჩვენ ბრძოლას ახლა ვიწყებთო და მარცხენა ხელით მიესალმა ხალხს. შემდეგ ის მანქანაში ჩასვეს და დაცვის თანხლებით გაიყვანეს პარლამენტის ტერიტორიიდან.

„ეს არის მხოლოდ და მხოლოდ „ხავერდოვანი რევოლუცია“, უიარაღო, — განაცხადა ოპოზიციის ლიდერმა, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა.

შევარდნაძის მომხრეები მომხდარს „შეიარაღებულ შტურმს“ უწოდებენ. „შეიარაღებული შეტევა პრეზიდენტზე დასრულდა უსისხლოდ, პრეზიდენტი შევარდნაძე ცოცხალია“, — განაცხადეს მისმა მომხრეებმა.

RUSSIAN INFORMATION AGENCY NOVOSTI НОВОСТИ

**რია ნოვოსტი:** საქართველოში არასტაბილური მდგომარეობის გამო შესაძლებელია პანკისის ხეობაში მიმალული ბოევიკების გააქტიურება, — განაცხადა ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციების რეგიონული ოპერატიული შტაბის წარმომადგენელმა, — ჩვენი ინფორმაციით, თბილისში შექმნილი რთული სიტუაციის გამო, პანკისიდან გაიყვანეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების შინაგანი ძალების ქვედანაყოფები და თბილისში გაგზავნეს. საზღვრის დაცვის შესუსტება პანკისის ხეობის ზონაში ბანდიტებს თარეშის საშუალებას მისცემს როგორც თავად ხეობაში, ასევე მთელ საქართველოში.

ხოლო რაც შეეხება რუსეთის მხრიდან საზღვრის დაცვას, როგორც რუსეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, ახლა ზამთრის პერიოდია, გადასასვლელები დაკეტილია და რუსეთ-საქართველოს საზღვარი საიმედოდ არის დაცული.

CNN

**სი-ენ-ენი:** „არ არის გამორიცხული, რომ ხვალვე დაიწყოს სამოქალაქო ომი, — განაცხადა შევარდნაძემ, — ძალიან კარგია, რომ ძალოვნებმა არ გამოიყენეს იარაღი და არ დაიღვარა სისხლი. მე თუ ახლა სისუსტეს გამოვიჩენ, ხალხს აღარ ექნება ჩემი რწმენა. მოქმედება და მხოლოდ მოქმედება — ეს არის ის, რაც ჩვენ ახლა გვჭირდება. ჩემმა ძალოვანმა მინისტრებმა იციან, რა უნდა გაკეთდეს. ეს არის ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა. ძალიან მიძნელდება, ვუწოდო მომხდარს შეიარაღებული აჯანყება, მაგრამ აბა, რა არის მაშინ შეიარაღებული აჯანყება, თუ არა ის, რაც დღეს მოხდა?“

RUSSIAN INFORMATION AGENCY NOVOSTI НОВОСТИ

**რია ნოვოსტი:** რფ-ის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი სისტემატურად იღებს ინფორმაციებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და კონსულტაციებს ატარებს დსთ-ის ქვეყნების მეთაურებთან. დსთ-ის თავმჯდომარესთან, ლეონიდ კუჩმასთან შეთანხმებით, თბილისში ჩავიდა რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი. მანამდე კი რუსულმა მხარემ საქართველოს ხელისუფლებას და ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდა, — არ გამოიყენონ ძალა და კონსტიტუციური გზით უზრუნველყონ ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება და კეთილდღეობა. ეს არა მარტო საქართველოს, მისი მეზობელი ქვეყნების და მთლიანად რეგიონის ინტერესებში შედის...




CNN

სი-ენ-ენის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა ბატონ **მიხეილ სააკაშვილს** პარლამენტის შენობის წინ, როცა ოპოზიცია მომხდარის შემდეგ ქუჩაში გამოვიდა თავის მხარდამჭერებთან.

*CNN: — ბატონო მიშა, რამ გამოიწვია თქვენი ასეთი მწვავე რეაქცია პრეზიდენტის მიმართ? მას ხომ კიდევ ჰქონდა პრეზიდენტობის ვადა, თუ არ ვცდები, 2 წელი.*

— გადამრია არჩევნების კიდევ ერთხელ გაყალბებამ, ეს უკვე კულმინაცია იყო. ვიცოდი ხალხის აზრი, ვიცოდი, ვის უჭერდა მხარს უმრავლესობა, წარმოუდგენელი იყო ის ფაქტი, რომ პირველ ადგილზე ხელისუფლება გავიდა.

*CNN:— თქვენ იმიტომ გინდოდათ პრეზიდენტის გადადგომა, რომ მას ასაკი უშლიდა ხელს? გინდათ თქვათ, რომ ხანდაზმულია პრეზიდენტობისთვის?*

— ის არასოდეს ყოფილა ხალხისთვის, ხალხს უნდოდა მისი გადადგომა, მათ შორის, მეც. სანდო წყაროებიდან ვიცი მისი ანგარიშების შესახებ უცხოურ ბანკებში, ამ დროს კი ქვეყანა უკიდურეს ზღვარზეა. თქვენ არ იცით, რა ხდება ჩვენს ეკონომიკაში, რა დღეშია ხალხი, თვეობით ვერ იღებენ პენსიებს და წლობით ხელფასებს.

*CNN:— იქნებ მაინც დიალოგი სჯობდა?*

— ჯერ ერთი, პრეზიდენტი არ წამოვიდა დიალოგზე, მეორეც, ჩვენი მოქმედება აბსოლუტურად მშვიდობიანი იყო. მართალია, შტურმით შევედით პარლამენტის შენობაში, მაგრამ უიარაღოდ, ყვავილებით ხელში. შევედით იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ გვეთქვა, გადადექით-თქო.

*CNN:— როგორ გგონიათ, ვინ იქნება თქვენი ქვეყნის პრეზიდენტი?*

— ქვეყნის პრეზიდენტს ხალხი აირჩევს.

*CNN:— პრეზიდენტი ბოლომდე არ იტეხდა იხტიბარს...*

— კი, მაგრამ, ძალიან დაბნეული იყო. მისი დიდი შეცდომა იყო პუტინთან წარმომადგენლის გაგზავნა, დიდი შეცდომა. თუმცა, მას შეცდომების მეტი რა ჰქონია ცხოვრებაში...

# ედუარდ შევარდნაძე ოპოზიციას ბადენ-ბადენში დაემალება?!



**„ბილდი“:** საქართველოს პრეზიდენტი Grundig-ის ფირმის დამფუძნებლის ვილას ყიდულობს ბადენ-ბადენში. ადამიანს, რომელმაც გერმანიის გაერთიანებას შეუწყო ხელი, სამშობლოში ტირანს ეძახიან. შესაძლოა, საქართველოს 75 წლის პრეზიდენტი აბუნტებულ ხალხს განერიდოს და გერმანიას, შვარცვალდს, შეფაროს თავი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ხმა დაირხა, რომ ყოფილი კანცლერის ჰელმუტ კოლის და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, ჰანს-დიტრიხ გენშერის მეგობარი ბადენ-ბადენში აპირებს დასახლებას, სადაც მისმა პირადმა რეფერენტმა მაქს გრუნდიგის (ის 1989 წელს გარდაიცვალა 81 წლის ასაკში) ქვრივისგან საუცხოო ვილა შეიძინა 11 მილიონ ევროდ.

საკითხავია, საიდან აქვს უბრალო რეფერენტს ამდენი ფული? ეტყობა, შევარდნაძისთვის შეიძინა.

**„ტაიმსი“:** გერმანიიდან მოწოდებული ინფორმაციით, შევარდნაძე, რომელიც ახლა თავისი ოპოზიციით გარშემორტყმულ სამთავრობო რეზიდენციაში იმყოფება, მოლაპარაკებებს აწარმოებდა ბადენ-ბადენში ვილის შესყიდვაზე.

ეს კურორტი ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის დროიდანაა პოპულარული რუს, უკრაინელ და ქართველ მდიდართა შორის.

ხმები იმის შესახებ, რომ ედუარდ შევარდნაძემ შეიძლება მამული შეიძინოს გერმანიაში, ოპოზიციაზე ისე მოქმედებს, როგორც ალისფერი ნაჭერი ხარზე. საქართველოში საშუალო ხელფასი 18 გირვანქა სტერლინგია (დაახლოებით 30 დოლარი), ბადენ-ბადენის ვილა კი 7,7 მლნ გირვანქა სტერლინგი ღირს. ვილას ყიდის შენტალ გრუნდიგი, ელექტრომოწყობილობების უდიდესი კომპანიის მფლობელის ქვრივი.

შევარდნაძის წარმომადგენელი უარყოფს ამ ცნობას და მას აბსურდულს, წინასადემონსტრაციო პროვოკაციას უწოდებს. მაგრამ გაზეთი ეყრდნობა ვინმე გერმანელი საქმიანი ქალის ინფორმაციას, რომელიც ამ გარიგების შუამავალია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები აღმაშფოთებელი დარღვევით ჩატარდა. მაგალითად, ქალაქ რუსთავში 56 ათასი ამომრჩევლიდან 20 ათასი „მკვდარი სული“ იყო.

შევარდნაძის მთავარი წარუმატებლობის მიზეზი ის გახდა, რომ ვერ შეძლო ქვეყნის გამოყვანა უკიდურესი სიდუხჭირიდან, არადა საქართველო სსრკ-ის დროს ყველაზე აყვავებული რესპუბლიკა იყო.

***რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 34.***

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიამბობენ

**5 წლის დეა ხერგიანს** მეზობელი, დეიდა მერი ჰპირდება:
— როცა ჩემი ძმა ვალოდია ცოლს მოიყვანს, შენც გამოგპრანჭავ, თეთრ კაბას და კაკუნა ფეხსაცმელებს ჩაგაცმევ, თმას დაგიხვევ, შლაპას დაგახურავ, თვალებს და ტუჩებს შეგიღებავ და ქორწილში წაგიყვანო.
ათი წუთის შემდეგ დეამ დეიდა მერის სთხოვა: — კიდევ მოყევი რა, ვალოდიას ქორწილი?!

— მამი, რა ბევრი თეთრი თმა გაქვს, — უკვირს პატარა **გიორგი ბართაიას.**
— ეს იმიტომ, შვილო, რომ მაბრაზებ ხოლმე.
— აა, ახლა მივხვდი, რატომ აქვს ბებიას ამდენი ქათქათა თმა.

**ლიკა ჭიქარიშვილს** უთხრეს, რენტგენის სურათი უნდა გადაგიღოთო. დადგა ლიკა რენტგენის აპარატის წინ და დედას ეკითხება:
— დედა, გავიცინო?!

პატარა **ნინიკო ბუთლიაშვილი** სამუსიკო სკოლაში მიიყვანეს. გოგონა ტრაბახობს, — დამკრავი უნდა გამოვიდეო.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი ჩამონათვალიდან გამოტოვებულ სიტყვას: მდინარე, ტბა, ზღვა, . . .




## I ანა, გამოიცანი

**1) მათეს სახარების მიხედვით, ვინ დაყო ვეშაპის მუცელში სამი დღე და სამი ღამე?**
ა) იონა წინასწარმეტყველმა; ბ) სოლომონ ბრძენმა; გ) პავლე მოციქულმა; დ) იოანე ნათლისმცემელმა.

**2) რისგან წარმოიქმნება ცისარტყელა?**
ა) წვიმის წვეთებში მზის სხივების ანარეკლისგან; ბ) ღრუბლების შეჯახებისგან; გ) წვრილი და მსხვილი წვიმის წვეთების შეერთებისგან; დ) მზის სხივების გადაკვეთისგან.

**3) რომელია უკრაინული ფულის ერთეული?**
ა) კრონი; ბ) გრივნა; გ) ტენგე; დ) რუბლი.

**4) ვინ არის ავტორი პირველი ქართული ლექსიკონისა „სიტყვის კონა“?**
ა) იაკობ გოგებაშვილი; ბ) ვახტანგ მეექვსე; გ) სულხან-საბა ორბელიანი; დ) თეიმურაზ პირველი.

**5) ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ცხენი?**
ა) ლაფშა; ბ) რაში; გ) ულაყი; დ) მოზვერი.

**6) რომელი ქვეყანა არ ესაზღვრება საფრანგეთს?**
ა) შვეიცარია; ბ) იტალია; გ) გერმანია; დ) ჩეხოსლოვაკია.

**7) ქართული მითოლოგიის მიხედვით, რომელია ცხოველთა მფარველი ღვთაება?**
ა) ამირანი; ბ) ჰერმესი; გ) ოჩოპინტრე; დ) ელია.

## იპოვე 10 განსხვავება



შეურჩიე დათუნას ზამთრის ტანსაცმელი



ბიბლიური მოთხრობა

## ვის ანიჭებს ღმერთი მარადიულ სიცოცხლეს?

ერთმა კაცმა მოისურვა გამოეცადა იესო. მან ჰკითხა: „რა გავაკეთო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“ იესო შეეკითხა: „რა სწერია ამის შესახებ საღვთო წერილში?“ რჯულის მასწავლებელმა უპასუხა: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი ძალით. და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. „სწორია, — უპასუხა იესომ. — თუ ასე მოიქცევი, საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებ“. მაგრამ სწავლული ამით არ დაკმაყოფილდა. მან ჰკითხა: „კი მაგრამ, ვინ არის ჩემი მოყვასი?“

მაშინ იესომ უამბო: „ერთი კაცი იერუსალიმიდან იერიხონს მიდიოდა. გზაზე ყაჩაღები დაესხნენ თავს. მას ყველაფერი წაართვეს, სცემეს და ცოცხალ-მკვდარი დააგდეს გზაზე. ერთმა მღვდელმა ჩამოიარა. მან დაინახა დაშავებული და გზა განაგრძო. ჩამოიარა ერთმა ლევიანმაც, დაინახა იგი და არ შეჩერდა. ბოლოს სამარიელმა ჩამოიარა — უცხო კაცმა. მან დაინახა დაჭრილი და შეეცოდა. მივიდა მასთან, გაუსუფთავა ჭრილობები და შეუხვია. შემდეგ მან კაცი სახედარზე შესვა და ფუნდუკში მიიყვანა. ყურადღებას არ აკლებდა. მეორე დღეს, სანამ გაემგზავრებოდა, მეფუნდუკეს ფული მისცა და უთხრა: „მიხედე დაშავებულს, და თუ მეტი დაგეხარჯება, მე გადაგიხდი უკან დაბრუნებისას“. იესომ ჰკითხა რჯულის მასწავლებელს: „როგორ გგონია? ამ სამიდან რომელი გამოდგა იმ კაცის მოყვასი?“ სწავლულმა უთხრა: „ის, ვინც მოწყალება გამოიჩინა“. მაშინ იესომ უთხრა მას: „წადი და შენც ასევე მოიქეცი“.

## III გამოცანა

არ დაურგავთ, ისე გაჩნდა,
არ მოურწყავთ, იხარა,
ის ცხოველის სხეულიდან
ტოტად ამოიყარა.
და უმიწოდ გაიზარდა,
ფრთები ცისკენ წასვლია,
ზამთარ-ზაფხულ მას ფოთოლი
არასოდეს ასხია.

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

* * *

*აკაკი წერეთელი*

სწავლა სტუმარს ჰგავს მომსვლელსა,
ჭკუა კი მასპინძელია...
თუ სტუმარს მწყრალად დაუხვდა,
მათი თანხმობა ძნელია!

## ანდაზები

- მიმპარავი ძაღლი მყეფარზედ უარესიაო.
- თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს პანტასაო.

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*




## ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲝ!

„ზღაპრების სახლი“ აგრძელებს ქართული და უცხოური ზღაპრების გამოცემა. თქვენ უკვე შეგიძლიათ შეიძინოთ ახალი წიგნები, რომლებშიც უკვე 4 გვერდით მეტია. ამ გვერდებზე „ზღაპრების სახლმა“ გასართობი ოთახი მოგიწყოთ. აქ მოცემული თავსატეხებით, ლაბირინთებითა და რჩევებით ბევრ საინტერესო და საჭირო რამეს შეიტყობთ, თანაც თავსაც გამოსცდით.

ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲯᲘᲮᲣᲠᲔᲑᲨᲘ, ᲐᲑᲠᲔᲗᲕᲔ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ-ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ 1 ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ 20 ᲗᲔᲗᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ

# მადლიერი მგელი



***ვიცი, უჩვეულო ამბებს რომ აგროვებ, ბევრი წამიკითხავს და დიდი ხანია მინდოდა ის ამბავი მეამბნა, რომელიც ბაბუაჩემს გადახდა თავს და თუმცა ზღაპარს წააგავს, ერთი სიტყვაც არაა მოგონილი, ყველაფერი მართლა ასე მოხდაო, — მითხრა გიგა ნათენაძემ და განაგრძო:***

— ბაბუა კარგად მახსოვს, რადგან ჭაბუკი ვიყავი უკვე, როცა გარდაიცვალა. ნადირობა არასოდეს ჰყვარებია განსაკუთრებით და არც ნანადირევის ხორცს ეტანებოდა. საერთოდ არ იყო ხორცის მოყვარული და ხშირად იტყოდა: „ვიცი წვრილფეხი ღმერთს კაცის საკვებად შეუქმნია, მაგრამ მაინც არ მიყვარს, სულიერს სიცოცხლეს რომ ვართმევ, გუნებას მიფუჭებს და ჭამის მადასაც მიკარგავსო!..“ ზოგჯერ მაინც უხდებოდა ხელში იარაღის აღება. ეს უფრო დიდთოვლობისას ხდებოდა, როცა დამშეული ნადირი მთიდან ბარში ჩამოიწევდა და შიმშილით გონებაარეული შინაურ პირუტყვს ერჩოდა...

მახის დაგებაც ემარჯვებოდა და ერთხელ შინ დაბრუნებულმა გვიამბო: მახეში ძუ მგელი გაბმულიყო და მომეჩვენა, რომ მაკედ იყო, ძუძუს თავებზე რძეც ეტყობოდა. ვერ გავბედე მოკვლა, რაც არ უნდა იყოს, სულიერია, დედაა და ახალ სიცოცხლეს ატარებს-მეთქი. გავუშვი. ეგ კია, ფეხი ჰქონდა მოტეხილი და არ ვიცი, როგორ გადარჩება, ვაითუ, ვერ ინადიროს და შიმშილით მოკვდეს, არც თანამოძმეები დაინდობენო!..

მაშინ 10-12 წლის ბიჭი ვიქნებოდი და მეც სიცილი დავაყარე ბაბუას სხვებთან ერთად — დაკალი ცხვარი და მოსაკითხი წაუღე, ჩვენგან კეთილი სურვილებიც გადაეცი-მეთქი...

დრო გადიოდა და ეს ამბავიც მალე დაგვავიწყდებოდა ალბათ, რომ არა მისი უჩვეულო გაგრძელება: სამი-ოთხი წელიწადი იქნებოდა გასული იმ ზამთრის შემდეგ. ისევ ზამთარი იდგა. მეზობელ სოფელში ნათესავი გარდაგვეცვალა და რადგან ტრანსპორტი არ მოძრაობდა, მხოლოდ მამაკაცებმა გადაწყვიტეს საცალფეხო ბილიკებით დაკრძალვაზე წასვლა. ბაბუას ბიძაჩემი ახლდა და ორიც — ბიძაშვილი...

ხომ იცით, ზამთრის დღე მოკლეა და თუმცა ადრევე დაუჭერიათ უკან გამომგზავრების თადარიგი, გზაში დაღამებიათ. გზა არ აერეოდათ, მაგრამ ერთ ადგილზე ბილიკი ხრამის თავზე გადადიოდა და ძნელი იყო ღამეში სწორად გავლა, დიდი იყო გადაჩეხის ალბათობა, არადა ტყეში დარჩენაც არ ჩააგდებდათ უკეთეს დღეში — ყინვას თუ გადაურჩებოდნენ, ნადირი მიაგნებდათ. ამიტომ ისევ გარისკეს და გადავიდნენ ხრამის თავზე, მაგრამ რადგან ნასვამებიც იყვნენ, ბაბუაჩემის ბიძაშვილი გადაუქანებია რაღაცას გვერდზე და ხრამში ჩასრიალებულა, თავით ჩარჭობილა ნამქერში. აბა, იმისი მიტოვება როგორ იქნებოდა და იძულებული გახდნენ, დანარჩენებიც მისაშველებლად ჩასულიყვნენ. კიდევ კარგი, ჭრაქი ჰქონდათ თან და იმით ინათებდნენ. დასხდნენ თურმე თოვლზე და წინ ფეხებაშვერილები ჩასრიალდნენ ქვემოთ. გადაჩეხილი კი ამოათრიეს თოვლიდან და დარწმუნდნენ, რომ არაფერი სჭირდა, მაგრამ ზემოთ ასვლაზე აღარც უოცნებიათ. ხეებს შემხმარი ტოტები წაასხიპეს და დაამტვრიეს, ჭრაქიდან ნავთი გადმოასხეს და ცეცხლი აახრჩოლეს. ცოტა ხანში კაცის სუნს მგლების ხროვა მოჰყოლია. იარაღი კი არც ერთს არ ჰქონია თან, რომ გასროლით მაინც დაეფრთხოთ ნადირი...

შიშით ერთმანეთს ეფარებიან და გუნებაში სიცოცხლეს ეთხოვებიან, რომ ერთი მგელი გამოეყო თურმე დანარჩენებს, ჩაცუცქდა ზურგით კაცებისკენ, პირით თავისიანებისკენ და ყმუილი დაუწყია. ერთი-ორი კი აჰყოლია, მაგრამ მალე გაჩუმებულან, შეტრიალებულან და წასულან. ის მგელი, რომელმაც რაღაცაზე „გააფრთხილა“ თავისიანები, უკანა ფეხს მიითრევდა თურმე და ბაბუას მაშინვე გაუფიქრებია — მგონი, მახიდან რომ გავუშვი, ის მგელია, მიცნო და თავადაც მაჩუქა სიცოცხლეო! მაგრამ ხმამაღლა თქმა ვერ გაუბედავს, დაცინვის შეშინებია. არც გაამხელდა ალბათ თავის ეჭვს, ის მგელი გამთენიის ხანს მარტო რომ არ დაბრუნებულიყო. შორიახლოს ჩაცუცქულა და ისევ დაუწყია ყმუილი. მერე შებრუნდა თურმე და წასვლამდე კაცებს მოხედა. ბაბუას უნებურად წამოუძახია — უნდა გავყვეთო!.. გაყოლიან კიდევაც და მგელს ისინი უცხო ბილიკით უტარებია, მანამდე არ დაუტოვებია, სანამ ნაცნობ გზაზე არ გამოუყვანია... მერე შეტრიალებულა და ტყეში შემალულა. ბაბუას პირჯვარი გადაუწერია და თანამგზავრებისთვის უთქვამს, რასაც ფიქრობდა. ისე სასწაულს ჰგავდა იმ მგლის საქციელი, იქ მყოფებს მაშინვე დაუჯერებიათ, რომ ბაბუა მართალს ამბობდა. თუმცა კი სოფელში ისევ ბევრმა არ დაიჯერა — მგელმა, ისიც მშიერმა, რა იცის დანდობა და სიკეთის დამახსოვრებაო!.. ბაბუას კი სჯეროდა და საოცრად ბედნიერი იყო ამის გამო.

არც მე მეპარება ეჭვი, რომ ბუნება მართლაც ბევრად მეტია, ვიდრე უბრალო ადამიანებს შეგვიძლია ამისი წარმოდგენა.

# თავის მკვლელი ძაღლი



***ძაღლს კაცის სახელი ერქვა — ჯაბა. მისი მარტოხელა პატრონი, ბატონი ბიძინა ხშირად ამბობდა, — ამ ძაღლივით არავის უერთგულია ჩემთვის და არაკაცებს თუ აქვთ კაცური სახელი, ბევრ ადამიანზე კეთილშობილმა ამ არსებამ რაღა დააშავაო.***

***ჯაბას ძალიან უყვარდა ბატონი ბიძინა, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა თურმე თავის დროზე ძაღლი...***

ეს ამბავი ბატონი ბიძინას უმცროსმა ძმამ, ბონდომ გვიამბო:

— არ უყვარდა ჩემს ძმას ამაზე ლაპარაკი და ცოცხალი რომ იყოს, ვერც გავამხელდი... 25 წლისამ შეირთო ცოლი. არა მგონია, ძალიან ჰყვარებოდა ციალა, უფრო შეეცოდა და სირცხვილს აარიდა ქალი: იგი შეყვარებულისგან დაფეხმძიმდა, რომელმაც მიატოვა და რუსეთში გაიპარა. აბორტის გაკეთება დაგვიანებული იყო და ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანა ქალი მოსალოდნელი სირცხვილის შიშმა...

ციალა და ბიძინა ერთად მუშაობდნენ და მეგობრობდნენ, თუმცა კი ერთმანეთი არ ჰყვარებიათ... უცებ, მოულოდნელად დაქორწინდნენ და ბიძინამ მტკიცედ განაცხადა: — ქალი ჩემგანაა ფეხმძიმედ და ვინც ჩვენს ერთად ყოფნას შეეწინააღმდეგება ან ჭორებს გაავრცელებს, ძვირად დავუსვამო. ეეჰ, უკეთილშობილესი კაცი იყო ჩემი ძმა და იმას რომ კაცი ვერ დაუფასებდა...

ციალამ გოგონა გააჩინა და ბიძინამ თავის შვილად გამოაცხადა, გვარიც მისცა და თან ჰყვებოდა, ყველაფერზე მიდიოდა მისი სიხარულისთვის. პატარა ნანაც „მამას“ უფრო მიეკედლა, ვიდრე დედას, რომელიც სულ რაღაცას დარდობდა და განიცდიდა...

თურმე იმ თავის ყოფილ შეყვარებულს და გამამწარებელს ვერ ივიწყებდა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, დაბრუნდა საქართველოში და ციალასთან ურთიერთობა განაახლა, შვილის ნახვაც მოინდომა. 10 წლის იყო ნანა, როდესაც დედამ წაიყვანა და... რუსეთში დაიკარგნენ!..

36 წლის იყო მაშინ ბიძინა და ისე დაირცხვინა ჯერ სიმართლის გამომჟღავნება და შემდეგ ქალის ღალატი, ასე ახალგაზრდა კაცს ინსულტი მოუვიდა. არავის ეგონა, თუ გადარჩებოდა: აღარც ლაპარაკი შეეძლო, აღარც სიარული — ორი წელი გაუნძრევლად იყო საწოლზე მიჯაჭვული, მერე კი... მერე ერთ დღეს თქვა: — ისეთი სიზმარი ვნახე, აღარ მოვკვდები და სოფელში წავალ საცხოვრებლადო.

როგორც ჩანს, რაღაც ნიშანი მიიღო მაღლიდან, მაგრამ არ გაგვანდო — არაა ეგ სალაპარაკოო. არ იყო ადვილი კომუნისტების დროს ღმერთსა და რწმენაზე ლაპარაკი. ბიძინამ კი ეკლესიიდან რამდენიმე ხატი მოგვატანინა.

საწოლიდან ინვალიდის სავარძელში გადაინაცვლა, სადურგლო ხელსაწყოების მიტანა გვთხოვა და ლამაზი ჩარჩოები გამოუჩუქურთმა იმ ხატებს, თავის ოთახში დაკიდა. ხშირად გვინახავს მათ წინაშე გარინდებული, აშკარად ლოცულობდა გულში, ხშირად ცრემლიც დასდიოდა თვალზე...

ერთ მშვენიერ დღეს კი სავარძლიდანაც წამოდგა და გვითხრა: — უფალმა ავადმყოფობის ბორკილი ამხსნა, აწი უფრო და უფრო მოვიკეთებ, მალე გამოვჯანმრთელდები, არც რამე მეტკინება, სანამ ჩვენი სოფლის დანგრეულ ეკლესიას არ აღადგენენო!..

მართლაც საოცრად სწრაფად დაიწყო ბიძინამ გამოჯანმრთელება და 1983 წლის ოქტომბერში სოფელში გადასახლდა, 41 წლის იყო მაშინ.

...დიდი ბაბუის ჩამქრალ კერაზე ცეცხლი გააჩაღა, მეურნეობა გამოაცოცხლა და რაც მთავარია, გაუქმებული ეკლესიის აღდგენა დაიწყო მარტომ. ერთიც უნდა ვთქვა — ავადმყოფობის შემდეგ ბიძინამ აღთქმა დადო, რომ არასოდეს დალევდა ღვინოს, არ მოსწევდა სიგარეტს და არც ერთ ქალს ბედს არ დაუკავშირებდა. შეასრულა კიდევაც პირობა.

მარტო ცხოვრობდა და ერთ მშვენიერ დღეს „ჯაბა“ გაჩნდა მის ცხოვრებაში. ვიღაცას მდინარეში ჩაეყარა ჩვილი ლეკვები დასახრჩობად, ჯაბასთან ერთად კიდევ ორი ლეკვი იყო, ყველა წამოიყვანა, მაგრამ ის ორი ვერ გადაარჩინა...

ციცქნა ლეკვი ჯერაც ბრმა იყო, არც ჭამა შეეძლო. პატარა ბავშვივით უვლიდა და ღამეებსაც უთენებდა ბიძინა, ბავშვივით უყვავებდა. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება და რადგან მე და შენ გაგვიმეტეს, ერთმანეთს ვუპატრონოთო.

ჯაბას სიგიჟემდე უყვარდა ბიძინა, წამითაც არ შორდებოდა, სულ თვალებში შესციცინებდა. ერთი რომ წამოეკვნესა კაცს, შეშფოთებული მიაჩერდებოდა და ყეფას დაიწყებდა, თითქოს ეკითხებოდა — რა გიშველოო?!

ბოლოს, გული აწუხებდა და წამლებს სვამდა. ერთხელ ისე ცუდად ყოფილა, საწოლიდან ვერ წამომდგარა, კვნესოდა თურმე. შეშფოთებულ ჯაბას კბილებით წამოუღია წამლებიანი ყუთი მაგიდიდან და მიუტანია, თან თვალებში ცრემლი ედგა თურმე, თითქოს ევედრებოდა — არ მოკვდეო.

აი, ასეთი უცნაური იყო ჯაბა.

ბიძინა ორი წლის წინ გარდაიცვალა. ჯაბა მაშინ შეიძლება ითქვას, ბებერი იყო და აღარც ძალა მოსდევდა.

...ისევ ინსულტი დაემართა ბიძინას და საამქვეყნოს აღარ იყო. მთელი 40 დღე, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი, ბოდავდა და გარდაცვლილ ახლობლებს ეძახდა, ესალმებოდა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სიკვდილის შემდეგ სულაც არ იკარგება ადამიანი უკვალოდ და „საიქიოც“ არსებობს...

ცოცხლებს ველარ გვცნობდა, არც ჩვენს შეკითხვებს პასუხობდა, მხოლოდ ჯაბას ეძახდა დროდადრო და როცა ძაღლი ყეფით ეხმიანებოდა, სულ ერთსა და იმავეს უმეორებდა: — იცოდე, თავის მოკვლა არ გაბედოო!

ჯაბა თავს კაცივით გვერდზე მიაბრუნებდა და იცრემლებოდა, რითაც გვაოცებდა და უცნაურ მოკრძალებასაც ვგრძნობდით მის მიმართ. ავადმყოფის საწოლს არ შორდებოდა და ვერც ვკადრებდით გარეთ გაგდებას...

ერთ დღეს კი მძიმედ წამოდგა და ნაცემივით გავიდა გარეთ, ეზოს ჭიშკართან უკანა თათებზე ჩაჯდა, ზეცას ახედა და აყმუვლდა, რაც ავად გვენიშნა და გავუწყერით...

თითქოს დაბნეულმა მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით, მერე ადგილს მოსწყდა, საბძლის კიბე აირბინა, მაღლიდან გადმოხტა და მკერდით მარგილზე წამოეგო. მაშინვე წამოუვიდა სისხლი... მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო და არც გვეცალა უკვე, სახლიდან ქალების შეცხადების ხმა მოგვესმა — ბიძინა გარდაცვლილიყო...

აი, ასეთი უცნაური ურთიერთობები ჰქონდათ ბიძინას და ჯაბას, უმალ გრძნობდნენ ერთმანეთის ტკივილს თუ ფიქრს, უცნაურია, აბა, რა არის?!.

***მოამზადა***
***ინგა ჯაყელმა***

კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუსი“ გისურვებთ ჯანმრთელობას

ჰერპესი. ჰერპეს ზოსტერი. ჰერპეს სიმპლექსი.

ამ ინფექციის სრულიად განკურნება მსოფლიოს მედიკოსთა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. როდესაც ჰერპესი კლინიკურად ვლინდება მას თან ახლავს ზოგადი სისუსტე, ნაყარი, ტემპერატურის რძნება, ალგზნებადობა მადის დაქვეითება, გამომატება, ტანში ტეხვის შეგდა უძილობა.

ჰერპესის წინააღმდეგ საბრძოლველად კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ საუკეთესო მცენარეულ პრეპარატს "სუპერლიზინი+", რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხოლო ძლიერი იმუნური სისტემა დაგიცავთ ამ ვირუსისაგან.



სუპერლიზინი+ წარმოდგენილია აბების, კრემისა და ტუჩის საცხის სახით, რაც აადვილებს როგორც სისხლში ვირუსის აქტივობის დაქვეითებას, ასევე ადგილობრივ მკურნალობას.

ფლეჟა ფილი — სიამოვნება აბებში
უძლიერესი სექსუალური სტიმულატორი

„ფლეჟა ფილი“ ეფექტურია როგორც მამაკაცებისათვის, ასევე ქალებისათვის. იგი აძლიერებს სისხლის ცირკულაციას გენიტალიებში, რაც იწვევს აგზნებადობას. აგრეთვე „ფლეჟა ფილი“ შეიცავს საკვანძო კომპონენტებს, რომლებიც ახდენს ქალის გონების სტიმულაციას, რის შედეგადაც მიიღწევა სექსუალურობის უმაღლესი მწვერვალი. „ფლეჟა ფილი“ ეფექტურად გამოიყენება სექსუალური დისფუნქციის დროს როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში იმ ოთხივე ცნობილი ფიზიოლოგიური სისტემის გათვალისწინებით, რომლებიც აუცილებელია ოპტიმალური სექსუალური ფუნქციონირებისათვის:

1. ზრდის სექსუალურ აგზნებადობას და გამძლეობას;
2. ზრდის Nitric Oxide-ის და GMP-ს დონეს;
3. აძლიერებს სისხლის მიწოდებას გენიტალიებში;
4. ზრდის ლიბიდოს, მგრძნობელობასა და ორგაზმს.

თქვენ შეგიძლიათ ისიამოვნოთ სექსით მთელი საათის განმავლობაში.



„ფლეჟა ფილი“ - უბრალოდ სცადეთ !!!

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

„ნუტრიმენტ ჰაუსში“ კვალიფიციური და გულისხმიერი ექიმები იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე და დაგეხმარებიან მტკივნეული პრობლემების გადაჭრაში.

მის: დ.აღმაშენებლის 150 ტელ: 95-65-03; 96-06-67 www.shopge.com

DURA LEX SED LEX

სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი

N29 24.11.2003

# თენგიზ ასანიძე – ბათუმის იზოლატორიდან ევროსასამართლომდე



ლანა უგრეხელიძე

**რა შეიძლება დაუჯდეს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ასლან აბაშიძის ახირება? რად შეიძლება ულირდეს თენგიზ ასანიძეს ბათუმის უშიშროების იზოლატორში გატარებული ათი წელი?**

**„ჩეჩნების ექსტრადიციის“ შემდგომი საქმე, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 19 ოქტომბერს სტრასბურგში განიხილა, პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ შეწყალებულ და აბაშიძის მიერ „შეუწყალებელ“ თენგიზ ასანიძეს ეხება, რომელიც 1993 წლიდან ბათუმის ხელისუფლებას ჰყავს დაპატიმრებული. სტრასბურგის სასამართლოს ვერდიქტი დაახლოებით თვე-ნახევარში გახდება ცნობილი. მანამდე კი, არსებული პრაქტიკის საფუძველზე, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ევროსასამართლო საკმაოდ მაღალ ფინანსურ სანქციებს აკისრებს ქვეყნებს, რომელთაც უკანონო პატიმრობაში ჰყავთ თავიანთი მოქალაქეები.**

ბათუმის ყოფილი მერი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოს წევრი თენგიზ ასანიძე 1993 წლის 4 ოქტომბერს დააკავეს. მისი დაკავების ოფიციალური საბაბი ასეთია: ბათუმის თამბაქოს მწარმოებელ კომპანიაში ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა და ტარება. თუმცა, არაოფიციალური ვერსიით, დაკავების მიზეზი ასანიძეების გვარის აბაშიძის მეუღლის ოჯახთან დაპირისპირება იყო.
1994 წლის 28 ნოემბერს თენგიზ ასანიძეს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და მისი ქონების კონფისკაციის ბრძანებაც გასცეს.

1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ასანიძის შეწყალებას, მისი გათავისუფლება არ მოჰყოლია. უფრო მეტიც, შევარდნაძის შეწყალებული პატიმრის წინააღმდეგ აჭარის ხელისუფლებამ ახალი საქმე აღძრა. 2000 წლის 2 ოქტომბერს აჭარის ა/რ უმაღლესმა სასამართლომ მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მართალია, საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ, ასანიძეს ბრალდებები მოეხსნა, მაგრამ აჭარის ხელისუფლებას ის დღესაც უშიშროების იზოლატორში ჰყავს გამომწყვდეული.

დასასრული მე-18 გვერდზე

„მოსამართლე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, შეუვალობის, სამართლიანობის, სიწმინდისა და მიუკერძოებლობისადმი.“ – უნდა ვივარაუდოთ, რომ სამოსამართლო ეთიკის მე-5 მუხლის ეს დებულება, უახლოეს მომავალში, კიდევ ერთი გამოცდის წინაშე დადგება.

ქვეყანაში განვითარებული სამოქალაქო პროცესი სასამართლო სისტემას, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლის. სასამართლო სისტემა კი უპირველეს ყოვლისა, თავად მოსამართლეა. მოსამართლე, როგორც პიროვნება, მოქალაქე და პროფესიონალი, მოსამართლე, რომელსაც საზოგადოების წინაშე არა მარტო იურიდიული, არამედ მორალური ვალდებულებებიც აკისრია, რადგან სასამართლოს ყოველ გადაწყვეტილებას ხელს აწერს კონკრეტული მოსამართლე და არა სისტემა.

შემთხვევითი არ არის, რომ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ „სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათს ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას...“ კანონის ამ ნორმაში, უაღრესად მნიშვნელოვანი ცნებაა შემოთავაზებული, კერძოდ „შინაგანი რწმენა.“

რას ნიშნავს ეს? თუ კანონი და კანონის მოთხოვნა მკაფიოდ ჩამოყალიბებულია, მაშინ მოსამართლემ მასზე დაყრდნობით უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება და რა შუაშია აქ მისი რწმენა ან თუნდაც მორალი. იურისტებმა და განსაკუთრებით მოსამართლეებმა კარგად იციან, რომ საქმე არც ისე მარტივადაა და ამ საკითხზე, ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებშიც, უკვე არაერთი ათეული წელიწადია დაობენ.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იყოს საინტერესო ესე – „რატომ უნდა ვზრუნავდეთ მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობაზე“, რომელიც ახლახან გამოაქვეყნეს სამართლის ცნობილმა მკვლევარებმა ბრიუს ფეინმა და ბარტ ნიუბორნმა. მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკაცია ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკას შეეხება, ვფიქრობთ, ჩვენთვისაც საინტერესო იქნება გავეცნოთ მათ მოსაზრებას საზოგადოებაში მოსამართლის როლსა და მნიშვნელობაზე.

# რა შეუძლია დამოუკიდებელ მოსამართლეს?

**კანონის უზენაესობა მოსამართლეებზეა დამოკიდებული, — აცხადებენ ბრიუს ფეინი და ბარტ ნიუბორნი, სამართლის მკვლევარები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური სპექტრის რადიკალურად განსხვავებულ პოზიციებზე დგანან.**

ბრიუს ფეინის კონსერვატორული შეხედულებები ცნობილია *„ვაშინგტონ თაიმსის“* ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან და ასევე პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციაში მისი საქმიანობიდან, ბარტ ნიუბორნი კი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში თავისი პროგრესული და ინოვაციური შეხედულებით გამოირჩევა. ფეინსა და ნიუბორნს დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციები აქვთ ისეთ საკითხებში, როგორიცაა მაგალითად, ხმის მიცემის კანონმდებლობა და რელიგიური სკოლებისათვის საზოგადოებრივი ფონდების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებზე, ისევე როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ამერიკელი იურისტები და სამართლის მკვლევარები საერთო პოზიციაზე ვერ თანხმდებიან, ფეინი და ნიუბორნი აქვეყნებენ ერთობლივ ესეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მნიშვნელობასა და სასამართლო სისტემის ნებისმიერი სახის ზეწოლისაგან დაცვის აუცილებლობაზე. ამ საკითხში ისინი ერთიანნი არიან და ამ ერთიანობაში თავიანთ მემარჯვენე თუ მემარცხენე მეგობრებს ეჭვის შეტანის საფუძველს არ უტოვებენ.

სამართლის მკვლევარები, ამ ესეს განხილვისას, გამოყოფენ ორ ძირითად საკითხს, რომელსაც ფეინი და ნიუბორნი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ და აღნიშნავენ, რომ აშშ-ის სამართალწარმოებაში კანონის ინტერპრეტაციასა და მოსამართლის დამოუკიდებლობის საკითხებზე მსჯელობა კვლავაც აქტუალურია და უფრო მეტიც, კონსტიტუცია, როგორც „ცოცხალი“ დოკუმენტი, ყოველი თაობის მიერ ხელახალ გააზრებას საჭიროებს.

ცხადია, რომ შტატის მოსამართლეები არიან ის ადამიანები, რომლებიც განსაზღვრავენ ამერიკული სამართალწარმოების ყოველდღიურობას და აყალიბებენ „საერთო სამართალს“. სწორედ მოსამართლე ანიჭებს კონკრეტულ მნიშვნელობას საკანონმდებლო ნორმებსა და რეგულაციებს თავისი საქმიანობით. ეს ამერიკული, „კანონს დაქვემდებარებული თავისუფლების“ საყრდენი წერტილი, იურიდიულ წრეებში განსაკუთრებული განხილვის თემაა.

ფაქტია, რომ დღემდე ამერიკელ მოსამართლეებსა და ზოგადად, იურისტებს შორის, არ არის კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რა გზით, რა მეთოდით უნდა მოხდეს კონსტიტუციური ან სხვა საკანონმდებლო ნორმების უშეცდომო ინტერპრეტაცია, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ნორმები, არცთუ იშვიათად, ორაზროვანი წაკითხვის საშუალებას იძლევა, ანუ არ არსებობს იურიდიული ენის ინტერპრეტაციის უნივერსალური პრინციპი.

შექმნილმა ვითარებამ წარმოშვა ინტერპრეტაციის არაერთი თეორია, რომელთაგან ერთ-ერთ წამყვანად „საწყისი მნიშვნელობისა და განზრახვის“ თეორია ითვლება. თუმცა, მოსამართლეთა ნაწილი იურიდიული ტექსტის ინტერპრეტირებას ღირსებისა და მორალის აღიარებული სტანდარტის პრინციპებიდან გამომდინარე ამჯობინებს.

დასასრული მე-19 გვერდზე

# თენგიზ ასანიძე - ბათუმის იზოლატორიდან ევროსასამართლომდე

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

ასანიძე, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან უარესდება, ევროკონვენციის მე-5 (პირველი პუნქტი) და მე-13 მუხლების საფუძველზე, მის უკანონო პატიმრობას ასაჩივრებს. ასანიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულებას და უკანონო პატიმრობით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის 3 მილიონ დოლარს ითხოვს. პარადოქსია, მაგრამ მოპასუხე ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებაა, რომელმაც თენგიზ ასანიძე შეიწყალა, თუმცა იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყო თენგიზ ასანიძის უფლებების დაცვა, არ არის გამორიცხული, რომ თანხა ცენტრალური ბიუჯეტის ანუ ხალხის გადასახდელი გახდეს. სწორედ ამიტომაც საქმეს, რომელიც 19 ოქტომბერს სტრასბურგის სასამართლომ განიხილა, „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“ ჰქვია სახელად და არა „ასანიძე აბაშიძის წინააღმდეგ.“

ვიდრე ამ საქმის საბოლოო შედეგი გახდება ცნობილი, მკითხველს ვთავაზობთ **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის იმ** მუხლებს, რომელთა ცოდნა არცთუ ზედმეტი შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისათვის.

ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის რატიფიცირების შედეგად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ყველა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის ამოწურვის შემდეგ, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს, თუ საქართველოში ამ კონვენციით გარანტირებული რომელიმე უფლება დაირღვევა.



## ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

### მუხლი 5. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

- ყველას აქვს პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. არავის წაერთმევა თავისუფლება ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა და ეს მოხდება კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

პიროვნების კანონიერი დაკავება, კომპეტენტური სასამართლოს მიერ მისი მსჯავრდებულად აღიარების შემდგომ:

- პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება სასამართლოს კანონიერი ორდერის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ან იმ მიზნით, რათა შესრულებული იქნეს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულება;
- პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება, განხორციელებული იმ მიზნით, რათა მოხდეს მისი წარდგენა უფლებამოსილი კანონიერი ხელისუფლების წინაშე, მის მიერ დანაშაულის ჩადენის კანონზომიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში ან როდესაც დაპატიმრება ან დაკავება კანონზომიერად აუცილებლად განიხილება მის მიერ დანაშაულის ჩადენის ან შემდგომ მისი გაქცევის თავიდან აცილებისათვის;
- არასრულწლოვნის დაკავება კანონიერი ორდერით მასზე საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით, ან მისი კანონიერი დაკავება უფლებამოსილი კანონიერი ხელისუფლების წინაშე წარდგენის მიზნით;
- პიროვნებათა კანონიერი დაკავება ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ლოთების, ნარკომანების, მაწანწალებისა და ფსიქიკურად შეშლილი პირების დაკავება.
- პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება მის მიერ ქვეყანაში უკანონოდ შესვლის აღკვეთისათვის ან იმ პიროვნების დაპატიმრება ან დაკავება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები მისი დეპორტაციის ან გადაცემისათვის.

### მუხლი 13. უფლება ეფექტურ ზომაზე

- ყველას, ვისაც დაერღვევა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, ექნება ეფექტური ზომის მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩადენილი იქნას იმ პირების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ოფიციალური უფლებამოსილებით.

# ადვოკატთა ტესტირების პირველი ეტაპი დასრულდა

ადვოკატი, სამართლებრივი სისტემის საკვანძო ფიგურაა და რასაკვირველია, მის პროფესიონალიზმზე დიდად არის დამოკიდებული ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხი.

სწორედ ამიტომ, 2001 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ადვოკატთა შესახებ, რომლის თანახმად, „ადვოკატს გავლილი უნდა ჰქონდეს ტესტირება, დადგენილი წესით.“

გასულ კვირას დასრულდა ტესტირებათა ტური, რომელიც ამერიკის იურისტთა ასოციაციის საქართველოს წარმომადგენლობის თანადგომით, საქართველოს იუსტიციის საბჭომ, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოებთან ერთად ჩაატარა.

**საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივნის ზურაბ აბაშიძის** ინფორმაციით, ტესტირება საერთო და ცალკეული სპეციალიზაციის მიხედვით მოეწყო. ტესტირების საერთო პროგრამაში შემოვიდა სულ 624 განცხადება, ტესტირებაზე გამოცხადდა 469, ტესტირება გაიარა 304-მა კანდიდატმა.

ტესტი სამოქალაქო დარგის სპეციალიზაციაში, 470 მსურველიდან, 264-მა ადვოკატმა ჩააბარა, ხოლო სისხლის სამართლის სპეციალობით, ტესტირება 72-მა იურისტმა გაიარა.

ტესტირების მეორე ტური მომავალი წლის აპრილსა და სექტემბერში გაიმართება. ტესტირებების დასრულების შემდეგ, იუსტიციის საბჭო, ტესტირებაგავლილი ადვოკატების ერთიანი სიის შემადგენლობიდან მოიწვევს პირველ საერთო კრებას და ჩამოაყალიბებს ადვოკატთა ერთიან ასოციაციას. ასოციაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ჩამოყალიბდება, თუმცა, იგი სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებული არ იქნება.

ეს იქნება დამოუკიდებელი, კორპორაციული მართვის სტრუქტურა და თავად ადვოკატები შეძლებენ თავიანთი სისტემის მართვას.

ასოციაციის ფორმატში, შეიქმნება აღმასრულებელი საბჭო, ეთიკისა და სარევიზიო კომისიები. ასოციაციის მართვის უმაღლესი ორგანო იქნება საერთო კრება. საგულისხმოა, რომ გარდამავალი ეტაპის ამოწურვის შემდგომ, ადვოკატთა ტესტირებას თავად ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ჩაატარებს.

მოქალაქეებს, რომლებსაც საადვოკატო მომსახურების თანხა არ ექნებათ, სახელმწიფო კვლავაც გადაუხდის ხარჯებს, ოღონდ ასოციაციის შექმნის შემდეგ საბიუჯეტო სახსრები, მიზნობრივად ასოციაციისკენ წარიმართება.

ასოციაციის შექმნას ერთი მნიშვნელოვანი პლუსიც ექნება — დღესდღეობით პრაქტიკულად არავინ იცის, რამდენი ადვოკატია საქართველოში. აღრიცხვიანობის მოწესრიგება აუცილებელია და ეს ფუნქციაც ამ ასოციაციამ უნდა იტვირთოს.

საკუთარი ინფორმაცია


სამართლებრივი რეფორმა

„ავაშენოთ ჩვენი სკოლა“

აქტუალური საზოგადოებრივი მოვლენები

ჩვენს ფორუმში

WWW.ALPE.GE

# რა შეუძლია დამოუკიდებელ მოსამართლეს?

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე



არიან მოსამართლეები, რომლებიც პიროვნებისა და სამოქალაქო თავისუფლებების საკითხებთან მიმართებაში ინტერვენციულ მიდგომებს ერთგულებენ, თუმცა ეკონომიკური დავების განხილვისას, რადიკალურად განსხვავებულ პათოსს ავლენენ.

ინტერპრეტაციულ თეორიათა მრავალფეროვნება, თავის მხრივ, პოლიტიკოსთა და ინტერესთა ჯგუფების გააქტიურების საბაბი ხდება. ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ გადაწყვეტილებით დაინტერესებული წრეები, საკითხის სასამართლოში განხილვის წინ განსაკუთრებულ ინტერესს პირადად მოსამართლის პიროვნების მიმართ ავლენენ და ეს ბუნებრივიცაა. თუ მხარისთვის ცნობილია, რომელი ინტერპრეტაციული პოსტულატით ხელმძღვანელობს მოსამართლე თავის პრაქტიკაში, მას საბოლოო ვერდიქტის პროგნოზირების საშუალებაც ეძლევა.

**სად იწყება მოსამართლის თავისუფლება და რაც მთავარია, სად თავდება ეს თავისუფლება? აქ გარკვევით უნდა გაიმიჯნოს ორი ცნება — მოსამართლის პიროვნული დამოუკიდებლობა ნებისმიერი პოლიტიკური, სახელისუფლებო თუ საზოგადოებრივი აზრის ან თუნდაც, საზოგადოების უმრავლესობაში არსებული განწყობილებების ზეგავლენისაგან და კანონის ინტერპრეტაციის თავისუფლება.**

ინტერესთა ჯგუფები აქტიურად ლობირებენ იმ მოსამართლეთა შერჩევას, რომლებიც, მათი აზრით, უზრუნველყოფენ მათთვის მისაღები გადაწყვეტილების გამოტანას და ასევე კატეგორიულნი არიან თავიანთ კრიტიკულ გამონათქვამებში, როდესაც დასახულ შედეგს ვერ აღწევენ. ფეინისა და ნიუბორნის შეფასებით, არაფერი დასაძრახი ამ პრაქტიკაში არ არის, რადგან მხარეთა ამ უფლებას იცავს კონსტიტუციის პირველი შესწორება. მოსამართლის საქმიანობისადმი კრიტიკული დამოკიდებულება და ამ კრიტიკის გამოთქმა ფუნდამენტური აუცილებლობაა თუნდაც იმიტომ, რომ მოსამართლეებმა საკუთარი შეუცდომლობა და უცოდველობა არ ირწმუნონ. მაგრამ, ესეს ავტორთა აზრით, ცივილიზებულ სამყაროში ყველაფერი პროცესების ხარისხსა და ზომაზეა დამყარებული. მუდმივი კონფლიქტი მოსამართლის პროფესიულ პასუხისმგებლობასა და პოპულარულ გადაწყვეტილებას შორის არ ამცირებს სამართლიანი განაჩენის გამოტანის შანსს, რადგან ეს ბალანსი ამერიკული სასამართლო სისტემის საფუძველში დევს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: სად იწყება მოსამართლის თავისუფლება და რაც მთავარია, სად თავდება ეს თავისუფლება? აქ გარკვევით უნდა გაიმიჯნოს ორი ცნება — მოსამართლის პიროვნული დამოუკიდებლობა ნებისმიერი პოლიტიკური, სახელისუფლებო თუ საზოგადოებრივი აზრის ან თუნდაც, საზოგადოების უმრავლესობაში არსებული განწყობილებების ზეგავლენისაგან და კანონის ინტერპრეტაციის თავისუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეები, თუნდაც ცალკეული სამართლებრივი დავების პროცესში გამოტანილი გადაწყვეტილებებით თავად ქმნიან კანონს, დაუშვებელია მათი სხვა პოლიტიკურ თუ მმართველობით შტოებთან გაიგივება, მათზე საზოგადოებრივი კონტროლის დაწესების თვალსაზრისით. კონსტიტუცია თავის საკვანძო დებულებად პოლიტიკური ძალაუფლებისაგან მოსამართლეთა სრულ დამოუკიდებლობას გულისხმობს, თუმცა ამერიკული დემოკრატიის დამფუძნებელი მამები ასევე გამორიცხავდნენ სამართალწარმოებაში ნებისმიერ პრივილეგიას, რადგან ტირანია, თუნდაც უმრავლესობის სახით, მაინც ტირანიაა. თუ ფედერალური მოსამართლეები მხოლოდ პოპულარული სენტიმენტების გამხმოვანებლად იქცევიან, მაშინ კონსტიტუციაში დეკლარირებული პრინციპები სრულ დევალვაციას განიცდიან. ფეინი და ნიუბორნი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ საკუთარი ვიწრო და როგორც წესი, არაშორსმჭვრეტელი ინტერესებით მოქმედი პოლიტიკური უმრავლესობა, თავის ქმედებებს არაკონსტიტუციურად არასოდეს მიიჩნევს. საგულისხმოა მაგალითი საკუთრივ აშშ-ის ისტორიიდანაც, როდესაც ფედერალისტურმა პარტიამ კონგრესში მხარი დაუჭირა პირველ ცვლილებას, რითაც სულ მალე სიტყვის თავისუფლება საფრთხის ქვეშ დადგა; „წაქეზების შესახებ" 1798 წლის აქტს კი მ' ი მხოლოდ იმიტომ დაუჭირა, რომ მეტო რესპუბლიკური პარტიისათვის ალვირი ა დო და ცენზურა დაეწესებინა.

ასე. რ ადამიანური ბუნება და პოლიტიკური ამბიციები პრაქტიკულად წერტილს უსვამენ იმ იდეას, რომ კონგრესი ან თუნდაც პრეზიდენტი შეძლებენ განსაჯონ და სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანონ საკუთარი ან ოპონენტთა ქმედების შეფასებისას. ალბათ მიამიტობა იქნებოდა ვინმემ იფიქროს, რომ კონგრესი ოდესმე მიიღებდა ისეთ საეტაპო გადაწყვეტილებას, როგორიც იყო „ნიქსონის ჩანაწერების საქმე" ან დამოუკიდებელი საბჭოს მიერ პრეზიდენტ კლინტონის წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებათა ობიექტური გამოძიება.

მოსამართლეები ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობენ ისეთ კულტურულ გარემოში, სადაც ინტელექტუალური პატიოსნება და პრინციპულობა ყველა პოლიტიკურ მომენტში დომინირებს. ეს კულტურული გარემო იმართება არა ფორმალური კანონით, არამედ საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის პრინციპით. მათი დამოკიდებულება სამართლისადმი არავითარ შემთხვევაში არ ითვალისწინებს ვინმეს პოლიტიკურ ინტერესს და ამის ერთ-ერთი მაგალითია უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჯონ პოლ სტეევენსი, რომელიც ცნობილი იყო როგორც „ლიბერალი". ის რესპუბლიკელი პრეზიდენტის, ჯერალდ ფორდის მიერ იყო დანიშნული, თუმცა რესპუბლიკელები ყველაზე მეტად სწორედ მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს არ ეთანხმებიან. რა თქმა უნდა, ასეთი მაგალითები აძლიერებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი, თუმცა უმთავრესი ფაქტორი, ისევ და ისევ, სასამართლო სისტემისა და მისი პროცედურების გამჭვირვალობაა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომელიც სასამართლო ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკური აგენტების ურთიერთობების დასაბალანსებლად მუშაობს. აშშ უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური განჩინება, ან გნებავთ გადაწყვეტილება შესაძლებელია გადაიფაროს კონსტიტუციურ ცვლილებაში ჩამოყალიბებული ისეთი დებულებით, რომელიც ფედერალურ იურისდიქციაშია მოქცეული და მოქალაქეობის, შემოსავლების დაბეგვრის და ხმის მიცემის საკითხებს შეეხება (კონსტიტუციის მეთერთმეტე, მეთოთხმეტე, მეთექვსმეტე, მეცხრამეტე და ოცდამეექვსე დამატებები). „საერთო სამართლისა" და განკარგულების ნორმების გადალახვა ასევე უბრალო კანონმდებლობასაც შეუძლია. უზენაესი სასამართლოს „პოლიტიკური შეკითხვის" დოქტრინა კონგრესისა და პრეზიდენტის მიერ საგარეო პოლიტიკასთან და სახელმწიფო უშიშროებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს სასამართლო კონტროლის მიღმა ტოვებს. ასე მაგალითად, სასამართლო კონტროლის მიღმა სამხარ მოქმედებათა კონსტიტუციურობისა და შეთანხმებათა ანულირების კანონიერება. უფრო მეტიც, თავად კონსტიტუცია გამორიცხავს სასამართლო სისტემის ჩარევას საგანგებო მნიშვნელობის პოლიტიკურ საკითხებსა და კონგრესის წევრთა იმპიჩმენტის განხილვაში.

ამ და სხვა ფორმალური თუ ფაქტობრივი შეზღუდვების ფონზე, თეორეტიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ მოსამართლეთა მიერ კონსტიტუციისა თუ მოქმედი კანონმდებლობის, იურიდიული ენის და ამასთან დაკავშირებული ორაზროვნების ინტერპრეტაციის საკითხებზე.

სამართლებრივი დავების უმეტესობა, რომელიც ყოველდღიურად წარმოიშობა ამერიკელი მოქალაქეების წინაშე და სასამართლოების რუტინული განხილვის საგანი ხდება, თავისთავად დიდ სირთულეს არ წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით, სისტემას კოსენსუსი შემუშავებული აქვს. ასეთ შემთხვევებში მოსამართლე ადვილად განმარტავს კანონს და ზუსტად იცის ის, თუ რომელ იურიდიულ ფილოსოფიას უნდა დაეყრდნოს კანონის ინტერპრეტაციის დროს. როგორც წესი, ასეთი „ადვილი" საქმეები თითქოსდა ავტომატურად ექცევა აღიარებული კონსენსუსის ქვეშ, რაც საგრძნობლად ზღუდავს ინტერპრეტაციის ამპლიტუდას. პრეცედენტი და კანონის სულისკვეთება დაცულია და არავითარი დამატებითი მოდელირება საჭირო არ არის. თვით უზენაეს სასამართლოში, სადაც მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე, ყველაზე წინააღმდეგობრივ საქმეებს იხილავენ, 9 მოსამართლეს საქმეთა 50 პროცენტზე გადაწყვეტილება ერთსულოვნად, ინტერპრეტაციათა ფილოსოფიების შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით გამოაქვს.

თუმცა, არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ მოსამართლეები არ ქმნიან კანონს კონკრეტული, თუნდაც შემთხვევითი სასამართლო განხილვებიდან გამომდინარე. ხშირად ასეთი საქმეები უაღრესად რთული და კონტრავერსიულია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე კონსტიტუციის ინტერპრეტაციას ეხება და მასზე კამათი იმთავითვე იწყება. კონსტიტუციური ტექსტები ძალზე იშვიათად იძლევა მკაფიო განმარტებას და არსებული ორაზროვნება საკმაო ძალისხმევას საჭიროებს. მაგალითად, ცნობილია გადაწყვეტილება, რომელიც აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებს შეეხებოდა. კერძოდ, კონგრესისათვის რწმუნებულ უფლებათა ჩამონათვალში ნათქვამია, რომ მას უფლება აქვს შექმნას არმია, საზღვაო ფლოტი, მაგრამ არაფერია ნათქვამი საჰაერო ძალებზე. რას ნიშნავს ეს? არაკონსტიტუციურია აშშ-ის საჰაერო ძალები? რა თქმა უნდა, არა. კონგრესს აქვს ე.წ. „ელასტიური პუნქტი" necessary and proper law, რომელიც უფლებას აძლევს მას, გამოსცეს კანონი, რომელსაც „აუცილებლად" მიიჩნევს კონსტიტუციით დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის. ალბათ, არავინ დაობს იმაზე, რომ საჰაერო ძალები აძლიერებს არმიისა და საზღვაო ფლოტის თავდაცვით პოტენციალს.

არსებობს ორაზროვნების უფრო რთული მაგალითებიც. კერძოდ, მეოთხე შესწორება ზღუდავს დაუსაბუთებელ ჩხრეკას და კონფისკაციას. თუმცა იბადება კითხვა: დაუსაბუთებლობის ეს სტანდარტი შეეხება თუ არა ფარულ სატელეფონო მოსმენებს და ელექტრონული საშუალებებით თვალთვალს/მიყურადებას? კანონის ენა არ არის მკაფიო და უზენაეს სასამართლოს მოუწია შეეცვალა მიდგომები „ჩხრეკის" განმარტებასთან დაკავშირებით.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ინტერპრეტაციული ფილოსოფიის სწორად ამოქმედება პირველ შესწორებასთან დაკავშირებულ კაზუსთან. ეს შესწორება უკრძალავს კონგრესს მიიღოს კანონი, რომელიც რაიმე სახით ხელყოფს სიტყვის თავისუფლებას. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ კანონი რომელიც კრძალავს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოწოდებას/პროვოცირებას, არაკონსტიტუციურია, რადგან მასში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა იკითხება? სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუშვებელია პირველი შესწორებისადმი ასეთი ფორმალური მიდგომა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მიუხედავად მკაფიო კონსტიტუციური დეფინიციის არარსებობისა, მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა მოიაზრება „სიტყვის თავისუფლების ცნებაში".

საინტერესოა მოსამართლე ენტონინ სკალიას ინტერპრეტაციული თეორია, რომელიც ფუძემდებლურ პრინციპად „თავდაპირველ ჩანაფიქრს" მოიაზრებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სკალია მიიჩნევს, რომ მოსამართლემ კონსტიტუციურ ტექსტში ან კანონში უნდა ეძებოს ის აზრი, რომელიც მასში ამ ტექსტის შემქმნელებმა ჩადეს.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე უილიამ ბრენანი კი კონსტიტუციური ტექსტების მიზნობრივი ინტერპრეტაციის თეორიას გვთავაზობს და უნდა ითქვას, რომ ამ თეორიას მრავალი მიმდევარი ჰყავს.

**აქ უდიდეს როლს სამართლებრივი კულტურა და ტრადიცია ასრულებს. ეს კულტურა თანაბრად მოიცავს მოსამართლეთა კორპუსს, რომელთა ათასობით გადაწყვეტილების სპეციფიკური ტესტირება ცხადყოფს, რომ ამერიკის სამართლებრივი პრაქტიკა არასდროს სცილდება ამერიკული სამართლის ტრადიციას და ასევე მოქალაქეებს, რომელთა ერთგულება კანონის უზენაესობის პრინციპებისადმი, უცვლელი ღირებულებაა.**

რა თქმა უნდა, ილუზია იმისა, რომ ამერიკელ მოსამართლეებს კონსტიტუციის ან კანონის ინერპრეტირება მოქმედი შეხედულებებისა და პოლიტიკური პრეფერენციებისაგან სრული მოწყვეტით შეუძლიათ, თავის მოტყუებაა. თუმცა აქ უდიდეს როლს სამართლებრივი კულტურა და ტრადიცია ასრულებს. ეს კულტურა თანაბრად მოიცავს მოსამართლეთა კორპუსს, რომელთა ათასობით გადაწყვეტილების სპეციფიკური ტესტირება ცხადყოფს, რომ ამერიკის სამართლებრივი პრაქტიკა არასდროს სცილდება ამერიკული სამართლის ტრადიციას და ასევე მოქალაქეებს, რომელთა ერთგულება კანონის უზენაესობის პრინციპებისადმი, უცვლელი ღირებულებაა.

მოამზადა
თამარ კინწურაშვილმა

მატიანე

სოფო ბუკია



# ფემინისტების შურისძიება

მალლესტოუნში (პენსილვანიაშია) გამოდის გაზეთი „HERALD"-ი. ამ გაზეთის რედაქტორად და გამომცემლად პეტერ რეტიგანია. პეტერს ამას წინედ ერთი უბედურება დამართვნია. გაზეთში ერთის საზოგადოების ქალებზედ რაღაცა წერილი დაუბეჭდია და სასაცილოდ აუგდია ამ საზოგადოების ქალბატონები. ქალებს ჯავრის ამოყრა განუზრახავთ. მოგროვილა თხუთმეტი ქალი, ჩამჯდარან დახურულ ეტლებში და მისულან ამ გაზეთის რედაქციასთან. ჩამალულან ბუჩქებში და გამოჩნდა თუ არა პეტერი, მისცვივდნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ წკეპლით ცემა დაუწყიათ. იმდენი უცემიათ ქალებს, ვიდრე არ დაღლილან და ცემა არ მოჰბეზრებიათ. ამ ამბავს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყოლია ამ ქალაქში. პეტერის მეგობრებს სასამართლოსთვის მიუმართავთ და ამ ქალების ქმრებს შეურაცხყოფის დაკმაყოფილებას სთხოვენ.

„ივერია", 1886 წელი, №176

# 40 წელი კანიბალისთვის

ფილადელფიითგან „TIMES"-ში შემდეგ ამბავსა სწერენ: ამას წინედ კოლორადოს სასამართლომ ვიღაც პაცკერს ორმოცი წლით ციხეში დამწყვდევა გადაუწყვიტა. პაცკერს იმ ბრალსა სდებდნენ, რომ როცა თავის ორის ამხანაგით მთებში გზა დაებნა და შიმშილმა შეაწუხა, დაჰხოცა ამხანაგები და შესჭამაო. პაცკერმა იმით იმართლა თავი თურმე, რომ მაშინ ვჭამე, როცა ჩემი ამხანაგები თავის თავად დაიხოცნენო.

„ივერია", 1886 წელი, №175





# პენსია სასამართლოს გადაწყვეტილებით

მეორე ახირებული, მაგრამ სამართლიანი განჩინება ბერლინის ქალაქის სამსაჯულოს შეუდგენია. მომჩივნად ერთი გადამდგარი პრუსიელი სალდათი ყოფილა და მოპასუხედ სამხედრო სამინისტრო. სალდათი ლაშქრად ყოფილა უკანასკნელი საფრანგეთისა და გერმანიის ომის დროს. მას აქეთ, რაც მეცის ციხის ჯარმა იარალი დაჰყარა, ამ სალდათს ცხელება დამართნია და ამ ავადმყოფობის გამო იმისთვის ექიმებს ხელი მოუჭრიათ. სალდათი პენსიას თხოულობდა სამინისტროსგან, რადგანაც ომის გამო მე დავსნეულდი, ხელი მომკვეთეს და თავის რჩენა არ შემიძლიანო. სამინისტრომ უარი უთხრა, რადგანაც ხელი ომში ჭრილობის გამო კი არა, სნეულების მიზეზით მოგეკვეთაო. სამსაჯულომ უსაფუძვლოდ ცნო სამინისტროს პასუხი. სამინისტრომ ამ სალდათს სიკვდილის ბოლომდე პენსია უნდა აძლიოს. პენსია თვეში ექვსი ტალერი გაუჩენიათ.

„დროება", 1874 წელი, №423

მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

ALPE
ჩანართი მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ.
მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33
ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596
E-mail: office@alpe.ge www.alpe.ge

# თეთრ რვეულში ჩანერილი დიალოგები

*თურმე, სიყვარულმაც შეიძლება შეიძინოს ახლებური, თანამედროვე „იმიჯი“ და ელფერი. წლებს თავისი მიაქვს და მოაქვს კიდეც. სულაც არ გამკვირვებია, როცა მესიჯური სიყვარულის ამბავი მიამბეს. ამ ორიგინალური ურთიერთობის დაწყებისა და ბედნიერი დასასრულის შესახებ დავწერე კიდეც და სწორედ ამ წერილმა დასაბამი მისცა ახალ პუბლიკაციას...*

*ერთმა ნაცნობმა ძველი, თეთრყდიანი რვეული მომიტანა და მითხრა: „აქ ჩვენი დიალოგებია ჩაწერილი. შეყვარებულები ვიყავით მაშინ. ლექციებზე (ახლანდელს ვერც შევადარებ) გადალაპარაკებაც შეუძლებელი იყო, ისეთი მკაცრი პედაგოგები გვყავდა. ჩვენ კი ჩუმად ყოფნა არ შეგვეძლო და დაუსრულებლად ვსაუბრობდით წერილებით. როცა თქვენ ერთი წყვილის სასიყვარულო მესიჯები გამოაქვეყნეთ, მაშინვე ეს რვეული გამახსენდა. სამწუხაროდ, მაშინ მობილურები არ არსებობდა, სამაგიეროდ, ფურცელი და კალამი იყო, რომელიც არასოდეს დაძველდება. ქაღალდზე დაწერილ სიტყვას მაინც სხვა მადლი და ლაზათი აქვს. ხშირად, როცა სევდა მომეძალება, ან ყოველდღიური პრობლემებით დახუნძლულმა აღარ ვიცი, თავი რას ვახალო, გამახსენდება ეს თეთრი რვეული და როგორც ჩემი სულის მალამოს, ისე მივეახლები. იცით, როგორ მშველის? მაშინდელი შეყვარებული ახლა ჩემი მეუღლეა. არც ისაა ყოველთვის ლამაზი სიტყვების გუნებაზე და ზოგჯერ, როცა მისგანაც მეწყინება რაიმე, იმ რვეულს გადავუშლი. ეღიმება და მშვიდდება. მინდა თქვენც გაჩვენოთ“...*

## გვაზავას ლექციაზე

— არ შემიძლია ამ კაცის უაზრო ლექციის მოსმენა. ნეტავ, დროზე გაგვესწრო, ხომ ვისხდებოდით ახლა რომელიმე კაფეში თბილად?

— რა ბედი მქონია? თავზეხელაღებული გოგო შემიყვარდა, რომელიც წარამარა ლექციებიდან გაპარვას მთავაზობს. კი, მაგრამ, მე უნდა გექაჩებოდე ლექციებზე დასასწრებად თუ შენ, ჰა? ეს ხუმრობით. გვაზავას ლაპარაკს შენი ხმის გაგონება მირჩევნია, მაგრამ რას ვიზამთ. თვალი შეგვასწრო და ხომ ველარ ავეთესებოდით? რაც მთავარია, ჩემ გვერდით ზიხარ და გიყურებ. თუ ვერ ისვენებ, გავაგრძელოთ მიმოწერა.

— მითხარი, გიო, გიყვარვარ?

— რამდენჯერ უნდა გითხრა?

— რა, დაიღალე?

— შენს სიყვარულში რა დამღლის, მაგრამ არ მინდა გავახუნო ეს სიტყვა, ამიტომაც არ გეუბნები ხშირად.

— არადა, სულ მინდა შენგან ეს მესმოდეს... ახლავე მითხარი, თორემ გავგიჟდებიიი.

— მიყვარხააარ!

— შეგიძლია მერხზე ახვიდე დ ხმამაღლა დაიძახო, რომ გიყვარვარ?

— თუ გინდა, რომ გვაზავამ ინსტიტუტიდან გამრიცხოს, კი, ბატონო, გავაკეთებ ამასაც. ჯერ არ აგიფრენია „ოფოფები“ და მე არ დამიჭერია, თუ რა?

— რა მშიშარა ხარ!..

— სერიოზულად ამბობ?

— ჰა, ჰა... რა ადვილია შენი გაბრაზება.

— თუკი გიყვარვარ, სულ რატომ ცდილობ, რომ გამაბრაზო?

— იმიტომ, რომ მიყვარხარ!

— ეგოისტი ხარ, მეტი არაფერი. ახლა მოისვენე. ლექცია მაინტერესებს.

— უჰ, როდიდან დაინტერესდი ლექციებით?

— რაც შენ გაგიცანი... ლამისაა სული ამომხადო.

— მორჩი წუწუნს, აღარ შეგაწუხებ.

## საჯარო ბიბლიოთეკაში

— ქეთი, არ ამთავრებ წერას?

— არა. შენ შეგიძლია წახვიდე. მე გვი-



ანობამდე უნდა ვიმეცადინო.

— რა უცნაური ვინმე ხარ. ორი დღეა, ნორმალურად არ მელაპარაკები. კიდევ კარგი, წერა ასე გიყვარს, თორემ არც წერილობით მიპასუხებდი ალბათ. ასეა, არა?

— დიახ, ბატონო მელაო, გამოიცანი. უბრალოდ, წერა მიყვარს, თორემ სიტყვასაც არ გაღირსებდი. ახლა მორჩი, ნუ მაცდენ!

— იცი, როგორ მიყვარხარ?..

— როგორ?

— სიგიჟემდე. არც ენით გამოითქმის ეს გრძნობა და არც კალმით დაიწერება. შენი სიყვარული ძვალსა და რბილში მაქვს გამჯდარი. სულში და გულშია ჩამძვრალი და არ ვიცი, რა მეშველება უშენოდ. მითხარი, რატომ გამებუტე?

— იმიტომ, რომ ნერვებს მიშლი, რაღაცნაირად ფრთხილი კაცი ხარ, თითქოს მშიშარა, თანაც დოზირებული...

— რა გინდა, რა გავაკეთო, რომ ასეთი „ქათინაურები“ აღარ მითხრა?

— ნურაფერს ნუ გააკეთებ. უბრალოდ, გრძნობაში ნუ იქნები რა მოზომილი.

— საბოლოოდ გამაგიჟებ, მე მგონი. ამას წინათ ხიდიდან გადახტიო, მიბრძანე და მოაჯირს იქით რომ აღმოვჩნდი, მერე დამიწყე ხვეწნა, გადმოდი, გაგეხუმრეო. კაფეში ვიყავით და ყველას თანდასწრებით მომთხოვე, სკამზე დადექი და იყვირე, რომ გიყვარვარო. ხომ ვიყვირე? მერე ლექციაზეც იგივე მომთხოვე და რახან არ გავაკეთე, ამიტომ ვარ ფრთხილი და დოზირებული? მაპატიე, ჩემო სიყვარულო, მაგრამ... თქვენ გიჟი ხომ არ ბრძანდებით?

— უიმე, რა ზრდილობიანი ხარ. „თქვენობით“ მაყენებ შეურაცხყოფას?

— კაი, ახლა, ქეთი. მორჩი წერას და წავედით. „ლაღიძესთან“ გველოდებიან დანარჩენები. დიდხანს ხომ არ ვალოდინებთ?

— კიდევ ხუთი წუთი და წავედით.

## ისევ ლექციაზე

— ქეთი, რატომ ხარ დილიდანვე ცხვირჩამოშვებული?

— კითხვების დასმა გიყვარს, იმიტომ, რომ ფიქრი არ შეგიძლია... იფიქრე და მიხვდები.

— ვფიქრობ, მაგრამ ვერ ვხვდები. გუშინდელ წვეულებაზე მოხდა ისეთი რამ, რაც შენ არ მოგეწონა?

— დიახ.

— აუ, რა კაპასი და ანჩხლი ხარ. როგორ უნდა გაგიძლო მთელი ცხოვრება, არ ვიცი.

— ძალას არავინ გატანს. პირიქით, მე ვერ გავუძლებ შენი დაელმებული თვალების ყურებას...

— მითხარი, ამჯერად რას მემართლები?

— იქ მყოფებმა იცოდნენ ჩვენი სიყვარულის ამბავი. ყველა ჩვენ შემოგვცქეროდა, შენ კი, 2-3 ჭიქის მერე ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამე გოგოს ლამის სიყვარული აუხსენი სადღეგრძელოთი. შეიძლება კაცი ასეთი გაუმაძღარი და გულხარბი იყოს? თუ გგონია, რახან შენი საცოლე მქვია, უარს აღარ გეტყვი ცოლობაზე? ცხრა შვილიც რომ მყავდეს შენგან, შენი საქციელით თუ შეურაცხყოფილს და გულნატკენს დამტოვებ, მაინც არ გავჩერდები შენთან, იცოდე ეს.

— აუ, რა მაწაკი ხარ და უაზროდ ეჭვიანი... აბა, სადღეგრძელოში დედას ხომ არ შევაგინებდი?... ცხრა შვილიდან დავიჯერო, ერთი მაინც არ დაგემსგავსება? ჰოდა, შენც ადექი და წადი, არ დაგიჭერ.

— თვალებსაც კარგად უჟუჟუნებდი...

— კაი რა, ქეთი, არა გრცხვენია? წინ ისხდნენ და სად წამეღო ეს თვალები?

— მე უნდა მიყურო, მხოლოდ მე, სხვას არავის, გაიგე?

— გავიგე... ოღონდ, ახლა შენ მითხარი, რომ გიყვარვარ.

— როცა კარგად მოიქცევი, მაშინ გეტყვი.

— კაი, მაშინ ახლა გავალ ლექციიდან და სანამ დამთავრდება, ყვავილებს მოგართმევ შესარიგებლად. მერე ხომ მეტყვი?

— კი, გეტყვი, ოღონდ იმ გოგოების თანდასწრებით, შენც იგივე უნდა მითხრა.

— კაი, ბატონო!

## ისევ გვაზავას ლექციაზე

— გიო, ახლა გვაზავას ჰგონია, რომ მის ლექციას ვიწერთ... რა კარგი იყო, არა, გუშინ მცხეთაში?

— გვაზავას თვალში საუკეთესო სტუდენტები ვართ. ბეჯითები და მოწესრიგებულები. ისე, ჩანაწერებს რომ გადავხედე, უმეტესობა მის ლექციაზე გვაქვს გაკეთებული. რაღაც ძალიან ავითვალწუნეთ, რომ გაგვიგოს, ჰო, ჰო, რა ცეცხლს დაანთებს?... მცხეთაში მართლა კარგი იყო. შემდეგ კვირას სად გინდა წავიდეთ?

— ძალიან მინდა ბოდბეში, წმინდა ნინოს საფლავის ნახვა. ჩემდა სამარცხვინოდ, ჯერ არ ვყოფილვარ იქ.

— მაგას რა უნდა, ერთი რაფი გვეყოფა... ალბათ ათ კაცამდე მოვგროვდებით.

— როგორც ყოველთვის, შენ უნდა მოაბა თავი, ხომ იცი, ყველა შენ შემოგყურებს!

## პოლიტეკონომიის ლექციაზე

— გიო, რაო, რაო, რაღაცას მოვკარი ყური... სად აპირებთ ამ ზაფხულს ბიჭები წასვლას?

— სად და, შატილში, ლაშქრობაზე.

— მერე მე?

— შენ იქ რა გინდა? სულ ბიჭები ვიქნებით და მარტო შენ რომ წამოხვიდე, უხერხულია. დამელოდე ორი კვირა, თუ გინდა წყნეთში ადი. როცა ჩამოვალ, ქობულეთში ერთად წავიდეთ...

— არა და არა.. შენი მოსატყუებელი კბილი კარგა ხანია მოვიცვალე. შატილში კი არა, სვანეთში მიდიხართ, თანაც კლდეებზე საბობღიალოდ... იცოდე, არ გაგიშვებ. გახსოვს, შარშანაც მომატყუე, ვითომ ლაშქრობაზე მიდიოდი და იქიდან ტვინშერყეული ჩამოხვედი. შენს ტვინს კიდევ შერყევა უნდოდა, ისედაც არ ხარ დალაგებული ჭკუის. ასე რომ, ძვირფასო, გამოემშვიდობე სვანეთს, თუ არადა, მეც მოვდივარ!

— აუ, ქეთი, რა ჯიუტი ხარ, როგორი ამოჩემება იცი, რა უნდა მომივიდეს, პატარა ხომ არ ვარ? წამოსვლაზე კი არც იფიქრო.

— მე ხომ კლდეზე ცოცვას არ ვაპირებ, უბრალოდ, შენ გვერდით ყოფნა მინდა.

— ზაფხულამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მერე გადავწყვიტოთ ეს საკითხი.

## ბიბლიოთეკაში

— გიო, მოდი, „ტაიმ-აუტი“ ავიღოთ. დავიღალე ამდენი მეცადინეობით.

— თუ დაიღალე, გავიდეთ გარეთ, რუსთაველზე გავისეირნოთ, კაფეში დავსხდეთ, არ გინდა?

— არა. ცოტა ხანს ასე „ვილაპარაკოთ“ და მივუბრუნდეთ დაკონსპექტებას, თორემ გარეთ თუ გავედით, შემობრუნება დაგვეზარება.

— კაი, მაშინ, წარმოიდგინე ჩვენი მომავალი. როგორ ვიქნებით ათი წლის მერე?

— ჯერ შენ მითხარი, გიო!

— მე როგორ წარმომიდგენია, იცი?.. ჩვენ გვეყოლება სამი შვილი, სახელებზე ხომ უკვე შევთანხმდით. ორივე ვიმუშავებთ მაგარ სამსახურში, გვექნება საკუთარი სახლი ეზოთი და ქართული ნაგაზით და... რაც მთავარია, ისევ ასე, არა, უფრო მეტადაც გვეყვარება ერთმანეთი. როგორია, ჰა, ქეთი? ახლა შენ მითხარი, როგორ გესახება მომავალი?

— დაახლოებით მეც ასე, ოღონდ, სამი შვილი ნამეტანია. ორი საკმარისია... ისე, საკუთარი სახლი საიდან მოიტანე? იმდენ ფულს იშოვი, რომ საკუთარი სახსრებით ააშენებ?

— აბა, რა... დედას კი არ ვუტირებ?

— კაი, კაი, ნუ ხარ ტრაბახა. მოდი, მივუბრუნდეთ მეცადინეობას და ჯერ გამოცდებს ვუტიროთ „დედა“.

* * *

*ამ ჩანაწერებიდან ათი კი არა, უკვე თხუთმეტი წელი გავიდა. შეყვარებულებს ზოგი ნაოცნებარი აუსრულდათ, ზოგი კი — ვერა.*

*გიოს და ქეთის დღეს ორი შვილი ჰყავთ, ბიჭი და გოგო (როგორც ეს ქეთის უნდოდა). ცხოვრობენ საშუალოდ, „მაგარი“ სამსახური ვერ იშოვეს და საკუთარი სახლიც ვერ ააშენეს, აქვთ სამოთახიანი ბინა. სოფელში, გიოს მშობლები მამაპაპეულ სახლ-კარს უვლიან და ჰყავთ ბომბორა ქართული ნაგაზი (გიოს მოყვანილი), რომელიც მოხუცებულთა სიმშვიდეს იცავს... და, რაც მთავარია, გიოს და ქეთის ყოველდღიური ყოფისა და პრობლემების მიუხედავად, ისევ ძველებურად, უკაცრავად, უფრო მეტადაც უყვართ ერთმანეთი.*

*ისე კი, რა მნიშვნელობა აქვს შეყვარებულები ტრადიციული ბარათებით, წერილობითი დიალოგებით, ტელეფონით, მობილურით, მესიჯებით, კომპიუტერების მეშვეობით თუ უბრალოდ, ყველაზე მეტყველი თვალებით აუხსნიან ერთმანეთს სიყვარულს?! მთავარია, უყვარდეთ და ბოლომდე უერთგულონ ამ ლამაზ გრძნობას, დანარჩენი ყველაფერი ამაოა ამ წუთისოფელში.*

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ჩვენ გვწერენ: მე შენ მიყვარ-დი...

**რუბრიკამ, „თქვენთვის, ქალბატონებო“, საბოლოოდ დამარწმუნა, რომ სიყვარული გაუცვეთელი გრძნობაა.**

**ახლახან მივიღე 27 წლის სოფოს წერილი:**

„გთხოვთ დამიბეჭდოთ ეს წერილი. ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, ორივე, „კვირის პალიტრის“ მკითხველები ვიყავით (ალბათ კვლავაც ვიქნებით). გულისხმიერებისათვის წინასწარ გიხდით მადლობას...

ორი წლის წინ, სრულიად შემთხვევით ჩემი დის შეყვარებულს შევხვდი ქუჩაში (ამ დროისათვის ჩემი და უკვე გათხოვილი იყო და შვილიც ჰყავდა). გიას გაუხარდა ჩემი დანახვა და ბარში დამპატიჟა. იმ დღიდან ჩვენი ნაცნობობა აღდგა, რომელიც დროთა განმავლობაში მეგობრობაში გადაიზარდა, ბოლოს კი „ზღვარს“ გადასცდა... ყველაფერი ისე უცებ მოხდა, რომ წესიერად არც მქონდა გაცნობიერებული. არადა მსიამოვნებდა მასთან ყოფნა, მისი ალერსიანი სიტყვების მოსმენა და მოფერება. ვოცნებობდით, რომ სულ მალე შევქმნიდით ოჯახს, გვეყოლებოდა შვილები და ვიცხოვრებდით ძალიან ბედნიერად.

მთრგუნავდა მხოლოდ ერთი რამ, რომ გია ერთ დროს ჩემს დას უყვარდა. ჩვენს ურთიერთობას მაქსიმალურად ვნიღბავდი, განსაკუთრებით კი ოჯახის წინაშე. არ მინდოდა ჩემს დას ეს ამბავი გაეგო და გული სტკენოდა, მაგრამ როდემდე დავმალავდი? მალე ყველაფერი გამომზეურდა.

ვერავინ წარმოიდგენს, რა გადავიტანე იმ დღეებში. თავის მოკვლაზეც ვფიქრობდი. შოკიდან გამოვყავდი ისევ გიას, მის იმედიან სიტყვებს. მაგრამ ნელ-ნელა ეს იმედიც გაქრა. გია გამოიცვალა. ხან სიყვარულს მეფიცებოდა ძველებურად, ხან აშკარად სიძულვილით მელაპარაკებოდა, უმეტესად კი გამირბოდა.

ვთხოვე, აეხსნა, რას ნიშნავდა ეს საქციელი. მან მითხრა: მივხვდი, რომ ჩვენ დროებით, გადარჩენისთვის გვჭირდებოდა ერთმანეთიო. საშინელმა სიცარიელემ დაისადგურა ჩემში. დამუნჯებული წამოვედი მისგან, მაგრამ ახლა, გარკვეული დროის შემდეგ, მინდა თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მივმართო გიას:

*„გია, შენ მე ოცნებები დამიმსხვრიე... როგორ მჯეროდა, რომ ჩვენი შეხვედრა განგების ნებით მოხდა, ახლა კი დავრწმუნდი, შენი მიზანი სულ სხვა რამ იყო — ჩემს დაზე გინდოდა შურისძიება! თუ გგონია, რომ გაიმარჯვე, მწარედ ცდები. ჩემში დარჩა კიდევ ღირსების გრძნობა, ბრძოლის უნარი, სიამაყე, რაც შენზე მაღლა ყოველთვის დამაყენებს. მე ამ სიყვარულითაც ვარ ძლიერი და ამაყი. არ მრცხვენია იმის აღიარება, რომ ყოველი დღე შენით არის სავსე.*

*მე შენ ძალიან მიყვარდი (და კვლავ მიყვარხარ). სწორედ დიდმა სიყვარულმა შეგაშინა. ალბათ პასუხისმგებლობას გაექეცი, ანდა საკუთარ გრძნობებში ვერ გაერკვიე... მაგრამ ნუთუ იმის შეგრძნების უნარი აღარ დაგრჩა, რომ მტკივა, ძალიან მტკივა უშენობა და მარტოობა. არ გეგონოს, ამ წერილით დაბრუნებას გთხოვდე. მინდა საკუთარ ცხოვრებას კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი და ჩაფიქრდე. მინდა თუნდაც ერთხელ იგრძნო, რამხელა სიხარული სცოდნია მოსვლას და რამდენი ტკივილი — ლოდინს“.*

# იდეალის ძებნაში



**როგორ უნდა განვსაზღვროთ, წარბების ფორმა „თქვენია“ თუ არა?**

**ეს ადვილი გასარკვევია და დამოკიდებულია სახის ფორმაზე.**

**ვის რა უხდება, ამას ახლავე გაიგებთ:**

**ოვალური სახე** — თქვენ სწორი ან რკალისებური წარბები მოგიხდებათ;

**კვადრატული სახე** — მოგიხდებათ გრძელი, მაღლა აწეული წარბები (შეიძლება რკალისებურიც, ეს სახეს ოპტიკურად ავიწროებს);

**მრგვალი სახე** — მოგიხდებათ მაღლა აწეული და ბოლოებში მომრგვალებული წარბები, ოღონდ მეტისმეტად არ მოამრგვალოთ, სახეს ასიმეტრიულ იერს მისცემს;

**სამკუთხედი სახე** — არ არის რეკომენდებული სწორი წარბები, სჯობს მაღლა აზიდული იყოს;

**რომბისებური სახე** — წარბები რომ ჰარმონიულად შეერწყას თქვენს სახეს, ცოტათი მაღლა აზიდეთ;

**მოგრძო სახე** — ცოტათი დამრგვალდება, თუ წარბები სწორი და წაგრძელებული იქნება.

***გაითვალისწინეთ:*** გამხდარ, მოგრძო სახეს უხდება შედარებით სქელი წარბი, მსუქანსა და მრგვალს — შესაბამისად წვრილი.



# იუმორი

ცოლი ქმარს:

— ხომ სულ მიყვარხარ, მაგრამ ამაღამ უბედნიერესი კაცი მინდა გაგხადო...

— გმადლობთ, მაგრამ უშენობა გამიჭირდება.

* * *

— ყველაზე მეტად რა მოგწონთ საკუთარი ცოლისა?

— ქმარი...



CMYK



# ბიძინა კვერნაძე: — ცოტა გარეკილები ვართ, არ გამოსდის ყველას პირველობა!..

**დაძაბულობა, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა, ხელოვნებასაც დაეტყო. ველარ წერენ, ველარ მღერიან, მუსიკას ველარ ქმნიან და ა.შ. ამის მიზეზი კი ერთია — შიში და ტკივილი იმის გამო, რაც დღეს ჩვენს თავს ხდება და კიდევ... მოლოდინის გამო. ყველა ერთ ფიქრს აუტანია, რა მოხდება ხვალ?**

**პოპულარული კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე ხვალინდელ დღეს ასე უყურებს:**

— მიუხედავად იმისა, რომ ყველანი მოუსვენრად ვართ, მაინც მგონია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. გუშინ ველაპარაკე რეზო გაბრიაძეს. არ მეგონა, აქ თუ იყო. არის თავისთვის ჩუმად, რაც ხდება, იმაზე საქვეყნოდ არაფერს ამბობს... საუბარში კი მითხრა, რომ გაოგნებულია, ვერ გამიგია, რა ხდება ან როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდესო. რეზო გენიალური კაცია. ერთი მოთხრობა აქვს კედელზე დაწერილი. ხომ იცით, რა უცნაურია? ყველაფერზე წერს და მათ შორის, კედელზეც. იქიდან გადმოვიწერე მოთხრობა, რომელზეც მერე მუსიკა შევქმენი, მიუზიკლი მინდა დაიდგას, თვითონვე შემომთავაზა. თანაც მთხოვა მუსიკა დუდუკზე, ჩელოსა და როიალზე დაწერეო. ახლა შეჩერებული ვარ. ველარაფერს ვაკეთებ. მუსიკა გულიდან უნდა მოდიოდეს. ახლა გულიდან სხვა რამე მოდის...

— **ეს ალბათ იმიტომ, რომ რაც ხდება, დღევანდელი მოვლენების გამოძახილია...**

— დილით ვცადე მუშაობა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. როგორც კი მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია ყურში ჩამწვდება, მყისვე იფანტება მუზა. სულიერი სიმშვიდეა საჭირო. ღმერთმა ქნას, ეს ხალხი დაშოშმინდეს და კალაპოტში ჩადგეს.

— **ალბათ ფიქრობთ იმ მიზეზებზე, რაც დროდადრო ასე გვაგიჟებს და „გვამიტინგებს“...**

— ვფიქრობ რომელია! არ მინდა ამის თქმა, მაგრამ ფაქტია, რომ საუკუნეების განმავლობაში საერთოს ვერ ვპოულობთ ერთმანეთთან. ერთი პროფესიის ხალხი ერთმანეთს ვერ ჰგუობს. არადა, არ მესმის, როგორ შეიძლება შენი კოლეგა არ გიყვარდეს. გია ყანჩელი დამრჩა ჩემი თაობიდან. ენაცვალოს ჩემი თავი. სხვები შემოგვეცალნენ... ვგიჟდებოდი მათთვის. თუ ვინმე რამეს აკეთებდა და აკეთებს, თაყვანს ვცემ ყველას. ამ პოლიტიკოსებს კიდევ რა სჭირთ, ვერ გამიგია, სძულთ ერთმანეთი? რატომ? ნუთუ ადამიანური თვისებები დაკარგეს?..

— **ამას წინათ ერთმა უცხოელმა მითხრა: ქართველთა უმრავლესობას მთავარი მწყემსობა სურს. და შესაბამისად, ურიცხვი ფარაც უნდა რომ ჰყავდეს, მაგრამ საამისოდ თქვენი ქვეყანა ძალზე პატარააო...**

— გენიალური ნათქვამია. ყველას პირველობა და დიდი ფარა უნდა. თუმცა, შეუძლიათ თუ არა, ამას არც თვითონ ფიქრობენ და არც მათი მხარდამჭერნი. ამიტომაც ჰგავს გზააბნეულ ფარას ქართველი ხალხი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთ უფსკრულთან მისული უცებ ჩერდება და გადასავარდნად განწირული უკან კი იხევს, მაგრამ მეორე უფსკრულისაკენ იღებს გეზს... დღემდე სწორ გზას ვერ მიაგნო.

— **ასე მაინც მოვედით აქამდე. ახლა როგორ ფიქრობთ, ჩანს სწორი გზა ან ნამდვილი მწყემსი?**

— ისტორიას რომ გადავხედოთ, უარესი დროც გვქონია. ამიტომაც მეიმედება გზის გამოჩენა. თანაც მშვენიერი ახალგაზრდობა გვყავს. ჭკვიანი, დაფიქრებული... ეს კი ძალაა, რომელიც ფარას სწორ გზაზე დააყენებს. ოღონდ მთავარია, ამ ძალას გასაქანი მიეცეს. ჩემი თაობა უნდა წავიდეს და ახალი მოვიდეს. მთავარი მაინც სულიერი სიმშვიდეა. რაც არ უნდა ჭკვიანი იყოს კაცი, ბობოქარი ვნებებით აღშფოთებული საქმეს ვერ გააკეთებს.

— **ბოლო ხანს ხშირად მესმის თქვენი თაობის ხალხისგან, ამდენი არეულობა ქართულ კულტურას, ხელოვნებას გაანადგურებს და ერის არსებობასაც საფრთხეს შეუქმნისო. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ ასეთ დროს ხელოვნება უფრო ვითარდება, ახალი მარგალიტებიც კი ჩნდებაო...**

— ახალი მარგალიტების საშობად ერს აქვს უდიდესი პოტენცია. ამის დასტურად თუნდაც ის გამოდგება, რომ ვაჟა გვყავს, ამხელა გენიოსი. ამ პოტენციას კი გასაქანი სჭირდება...

— **ბატონო ბიძინა, ამ დღეებში ბევრისგან გავიგონე: რა უნდა ამ ხალხს ქუჩაში რომ ბობოქრობს, თვითონაც არ იცის, ასე საქმეს არ ეშველებაო...**

— მე ვფიქრობ, რომ ეს ხალხი, ვინც ქუჩაში დგას და მიტინგებზე დადის, მხოლოდ არჩევნების შედეგებმა კი არა, ეკონომიკურმა გაჭირვებამაც შეყარა ერთად. ჰგონიათ, რომ რაღაც ეშველებათ. ღმერთმა ქნას და ასეც იყოს, მაგრამ აგრესიით საქმე არ მოგვარდება, რაღაც სხვა გამოსავალი უნდა მოიძებნოს. მშობლებმა შვილებიც სხვანაირად უნდა გაზარდონ. კლინტონის ქალიშვილმა კოლეჯი რომ დაამთავრა, დამოუკიდებლად დაიწყო ცხოვრება. მამამისს უკან კი არ დაუწყია დევნა. ის გოგო სწავლის ფულს თავისი შრომით იხდის. დამოუკიდებლობა ასე უნდა ისწავლოს ახალგაზრდამ... მერე გაიგებს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და მისი შენარჩუნების ფასს.

— **ის, ვინც უნდა ისწავლოს და ეგ გააკეთოს, ქვეყნიდან გარბის...**

— ეგრეა! მაგრამ არ უნდა გაიქცნენ. აქ, შენსას უნდა ემსახურო და არა ევროპის კულტურას. შენი უნდა შექმნა თვითმყოფადი. ისეთი, რაც არ ყოფილა აქამდე. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ცხოვრება არ უნდა იყოს გაუსაძლისი. ახალგაზრდებს მეტი გასაქანი უნდა ჰქონდეთ, რაც მათ თავისივე ქვეყანაში რაღაცის შექმნის სურვილს განუმტკიცებს.

— **ახლა ყველა პოლიტიკოსობას ცდილობს. ახალგაზრდობაში არ გქონდათ ასეთი ლტოლვა?**

— არა, რას ამბობთ?! არავითარ პოლიტიკაში არ ვერეოდით. დღეს არ ვიცი, რა ხდება. ალბათ ასეა საჭირო. როგორც ჩანს, უნდა ჩაერიო. გოგა ხაინდრავას და მის მეგობრებს რომ ვუყურებ და ვუსმენ, იმედი მიჩნდება: გულწრფელი, ნიჭიერი ადამიანები არიან და თავ-თავიანთ გულისნადებს ამბობენ. თუმცა, იმიტომ კი არა, რომ თანამდებობები სჭირდებათ. უბრალოდ, როგორც მოქალაქეები, ისე ერევიან ერის საქმეში.

— **ხომ შეიძლება ასეთი გულწრფელები, პოლიტიკურმა ძალებმა თავიანთი ინტერესებისთვის გამოიყენონ?**

— როგორ არ შეიძლება, მაგრამ არა მგონია ამ ხალხს არ ეფიქროს მაგაზეც. არა მგონია, ვინმეს გამოაყენებინონ თავი. ასე თუ მოხდა, იმედგაცრუება ცუდ შედეგს მოიტანს.

— **დაპირისპირებულთა შერიგების საშუალებას თუ ხედავთ?**

— ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ამისათვის საჭიროა საკუთარ თავზე გაიმარჯვოს თითოეულმა. თავს თუ არ ფლობ, თუ სიყვარული არ შეგიძლია, არაფერი გამოგივა. ტრადიციები უნდა გაიხსენო, რომ მყარად იდგე მიწაზე, თორემ ჰაერში გამოკიდებულებივით ვართ. აი, მაგალითად, ჩვენი ფოლკლორი მსოფლიოს აოცებს. სხვები ლამის ჩვენზე უკეთ მღერიან, ჩვენ კი სხვას ვბაძავთ, თანაც უნიჭოს, რატომ? ანზორ ერქომაიშვილი იყოს მაგალითი. იაპონიაში შექმნილ უზარმაზარ კულტურის ცენტრში, რომლის პრეზენტაციაც სააღდგომოდ არის განზრახული, მსოფლიო გრანდებს შორის თავისი ანსამბლით არის მიწვეული. გაიტანეთ ამ კაცივით თქვენი განძი, აჩვენეთ მსოფლიოს, გააოცეთ...

— **ყოველთვის რატომ ვერ ვახერხებთ ამას?..**

— არ მინდა ამის თქმა, მაგრამ მგონი, ვერა ვართ დალაგებულები. ცოტა გარეკილები ვართ, არ გამოსდის ყველას პირველობა. გიგა ლორთქიფანიძე მეუბნებოდა, — ახლა ქუჩაში ვინმე რომ გააჩერო და ჰკითხო, პრეზიდენტობა გინდა? სად იყავი, კაცო, აქამდეო — საყვედურებით აგავსებს. ყველას უნდა პრეზიდენტობა, მაგრამ ქვეყანა როგორ უნდა მართონ, ეგ აღარ იციან. ჩვენს დროსაც ჰქონდათ ამბიციები, მაგრამ ასეთი არა. პირველობა კი არა, ჭეშმარიტება უნდა გიყვარდეს და სხვისი კარგით აღფრთოვანების უნარი უნდა გქონდეს. მტერიც უნდა გიყვარდეს. სხვანაირად ვერც აჯობებ და ვერც კარგს ვერაფერს შექმნი. იმ ხალხს, ახლა ქუჩებში რომ ბობოქრობს, ვინ ან რა უყვარს, ვერ გავიგე. რაღაცას ვხვდები, რაღაცას — ვერა. მინდა ყველაფერი კარგად იყოს. დაშოშმინდება ალბათ ყველა და კულტურას და ხელოვნებას მიხედავენ. მიხვდებიან ალბათ, რომ უამისოდ ცხოვრება არ შეიძლება.

**ჩ**ემი რესპონდენტი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა. მის სიმღერას მთელი საქართველო უსმენს, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობია მისი საქმიანობის ბევრი დეტალი. ნეკა სებისკვერაძე ჟურნალისტიცაა და საბავშვო მუსიკალური ფესტივალის, „ბროლის ნაძვის“ გენერალური დირექტორიც. გარდა ამისა, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, რომლებიც მშობლების მზრუნველობამოკლებული ბავშვების დახმარებას ითვალისწინებს.

2 ნოემბრის წინასაარჩევნო კამპანიის დროს ნეკა მონაწილეობდა აქციაში „მე მივდივარ არჩევნებზე, შენ?“ რამდენად კმაყოფილია თავისი გარჯის შედეგით და რას ფიქრობს საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ნეკა თავად გვიამბობს:



*— ომშიც მღერიან, მაგრამ... მე მშვიდობა მინდა!*

# ნეკა სებისკვერაძე: — ყველაზე პოპულარული შოუ ე.წ. პოლიტიკური დებატებია...

— **ნეკა, როგორც გავიგე, ბოლო ხანს მშობლების მზრუნველობამოკლებულ და უპატრონო ბავშვებთან მუშაობ.**

— ახლახან ჩატარდა გაეროს პროექტის — „არც ერთი ბავშვი უპატრონოდ“ პრეზენტაცია. იქ გამართულ მინიკონცერტზე სწორედ უპატრონო ბავშვები მონაწილეობდნენ. ვფიქრობ, მხოლოდ უფროსებმა კი არა, ჩემმა თანატოლებმაც არაფერი უნდა დაიშურონ იმისათვის, რომ ამ ბავშვებს დაუდგნენ გვერდით. ეს იქნება დიდი მადლი. იცით, როგორი გაბრწყინებული სახეები ჰქონდათ კონცერტზე? რა ბედნიერად გრძნობდნენ თავს? მართლა რა იოლია მათთვის სიხარულის მინიჭება. ამისთვის მხოლოდ სურვილია საჭირო. მათთან მუშაობა ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა და როცა „იუნისეფმა“ „კეთილი ნების დესპანის“ წოდება მომანიჭა, უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი თავი. ამ ბავშვების დახმარება ერთჯერად ხასიათს არ უნდა ატარებდეს. მათ სისტემატურად სჭირდებათ არა მარტო ფულადი, არამედ სულიერი თანადგომაც, რადგან მათ მუდმივად აქვთ ყურადღების დეფიციტი. მათაც, ისევე, როგორც ნებისმიერ ჩვენგანს, აქვთ მომავლის უფლება.

— **ნეკა, არჩევნების წინ საზოგადოებას მოუწოდებდი, მოეხადა თავისი კონსტიტუციური მოვალეობა...**

— ჩვენი წინასაარჩევნო აქცია არ ემსახურებოდა რომელიმე პოლიტიური პარტიის ინტერესებს. ეს იყო მოწოდება. თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, საზოგადოება აქტიური აღმოჩნდა. ალბათ უპრიანი იქნებოდა მეორე აქციაც ჩაგვეტარებინა და მოგვეწოდებინა, არ გაეყალბებინათ ხმები და დეპუტატობის კანდიდატთა შორის ამტყდარი გაუგებრობების გამო ნერვები არ დაეწყვიტათ ხალხისთვის.

— **ხომ არ ნიშნავს ეს, რომ არავის პოზიციას არ იზიარებ და გაქვს სრულიად განსხვავებული აზრი?**

— მინდა ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობდე, სადაც არჩევნები სამართლიანად ჩატარდება და მოსახლეობას არ შეაწუხებენ პოლიტიკური აქციებით. არ ვამბობ, რომ დღეს დაპირისპირებულ მხარეთაგან ვინმე ტყუის ან მართალია... ჩემი თაობა მართლა ძალიან დაიღალა და ამ ბოლო დღეებში სულ მესმის თანატოლებისაგან — ჩავალაგებ ჩემოდანს და წავალ, აქ ცხოვრება აღარ შეიძლებაო. უიმედო მდგომარეობაში ვართ. 18 წლის ვარ, ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი წელი იყო მშვიდობა და ამის შესახებაც გადმოცემით ვიცი. უიმედობა მომეძალა, ველარ ვხედავ ძალას, რომელიც ყველაფერს დაალაგებს და ამოსუნთქვის საშუალებას მოგვცემს. არადა, ხომ გვაქვს უფლება ადამიანურად ვიცხოვროთ და მუდმივად არ ვიყოთ პოლიტიზებულნი?

— **ანუ აპოლიტიკურობის საშუალებას არ გაძლევენ?**

— მარტო მე? ქართველები ჭკუის დაკარგვამდე პოლიტიზებულები ვართ და ყველაზე პოპულარული შოუ ე.წ. პოლიტიკური დებატებია, რომლის დროსაც ისეთ შეურაცხყოფას აყენებენ ერთმანეთს ოპონენტები, ისე ისხამენ ლაფს მილიონობით მაყურებლის წინაშე, რომ მათ ნაცვლად მე მრცხვენია. მერე კი ეკრანს მიღმა ამ „მტრულად“ განწყობილ ადამიანებს ერთმანეთში მოჭუკჭუკეებს ვხედავ... რა ჰქვია ამას? მე არ ვიცი, რა მაგალითს აძლევს ეს ხალხი მომავალ თაობას ან თუნდაც მომავალ პოლიტიკოსებს. თუ უფიქრიათ იმაზე, რომ ეს ქართულ მენტალიტეტში არაფრით არ ჯდება? თუ ასე გააგრძელებენ, ჩვენ არასდროს გვექნება ქართული სახელმწიფო. გვექნება რაღაც ქვეყნის მსგავსი, სადაც ყველა ყველას საქმეში ჩაყოფს ცხვირს, სადაც ისევ შენჩემობა იქნება ყველაფრის გადამწყვეტი.

— **დღეს შენი თანატოლები, სტუდენტები ლექციებზე არ დადიან და ამბობენ, რომ ამით პროტესტს გამოხატავენ პოლიტიკური რეჟიმის მიმართ...**

— მე მესმის იმ ხალხის, ვინც არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს პროტესტს უცხადებს და მიტინგზე დადის, მაგრამ იმდენნაირი პოზიცია არსებობს საქართველოში, იმდენი სახელი და გვარი ტრიალებს ერთმანეთის გვერდით და ზოგჯერ ისე გაუგებრად არიან ისინი დაპირისპირებულნი ან ჩახუტებულნი, რომ ველარ გავიგე ვინ ვისიანია, ვის ვისგან რა უნდა და რა ხდება საერთოდ? ჩემი თაობის სახელით ვაცხადებ: ჩვენ არ გვქონია ნორმალური ბავშვობა, ჩვენ არ გვაქვს ნორმალური სიჭაბუკე, მოგვეცით ცხოვრების საშუალება! ნუ ეცდება ყველა პოლიტიკური სუბიექტი საკუთარი პრობლემების მოგვარებას სტუდენტების ხარჯზე. ჯერ ისედაც არ იკლავენ ახალგაზრდები სწავლით თავს და ახლა სულ წავლენ ხელიდან. თუ ვინმეს მართლა აწუხებს საქართველოს მომავალი, მეეჭვება მას უცოდინარი ახალგაზრდობა უნდოდეს. ერთმა არასწორად გადადგმულმა ნაბიჯმა შეიძლება ქვეყანა სამუდამოდ არიოს. გულისხეთქვით დავდივარ ქუჩაში და ღმერთს ვთხოვ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდეს...

— **ნეკა, მართლა დამფრთხალი, შეშინებული მეჩვენები.**

— გული მტკივა. მიხაროდა, ერთი თვის წინ უცხოეთში წლების განმავლობაში მყოფი ჩემი ახლობლები დაბრუნებას აპირებდნენ საახალწლოდ. მათაც უხაროდათ, საქართველოში მდგომარეობა სტაბილურია, უკეთესობისკენ მიდის და სამშობლოს დავუბრუნდებითო... ახლა კი, უარს ამბობენ სამშობლოში დაბრუნებაზე. აი, ეს მტკივა. რეგიონებში საშინელი სიდუხჭირე ვნახე, ხალხი თითქოს რაღაც დროში გაიყინა და ტელევიზიით ატყუებენ, 21-ე საუკუნეში ხართო.

— **როგორც ჟურნალისტი, რას იტყვი? დღევანდელ ქართულ მასმედიას როგორ შეაფასებ?**

— მიუხედავად იმისა, რომ მასმედიას საქართველოში მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ, ის ამ პოზიციას მყარად ვერ ფლობს. თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენთან, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეები, ჟურნალისტებიც დაუცველნი არიან. ზაზა შენგელიას ნაბიჯი სარკეა იმისა, რაც ხდება ქართულ ჟურნალისტიკაში. შემრცხვა, როცა სი-ენ-ენით ზაზა შენგელიას გადადგომის შესახებ მაცნობეს. მსოფლიო უყურებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და უცხოელები ფიქრობენ, რომ აქ დიქტატურა მეფობს. არ მესმის, რა ხდება საქართველოში, სადაც არსებობს ყვითელი პრესა, რომელშიც ცალი თვალით ჩახედვისაც შეგრცხვება. სერიოზულ მასმედიაში კი თუ თამამად იტყვი სიმართლეს ან თავში ჩაგარტყამენ, ან ტენდენციურობაში დაგდებენ ბრალს.

— **ნეკა, ამ ბოლო დროს ახალი სიმღერებით არ ჩანხარ.**

— უამრავ ახალ პროექტზე მუშაობა შევაჩერეთ ამ დაძაბულობის გამო. თავს იმის უფლებას ვერ ვაძლევ, რომ ახლანდელ სიტუაციაში სერიოზულ პროექტზე ვიფიქრო, თორემ სიმღერაში ვერაფერი შემიშლის ხელს... თუმცა, არც სიმღერა დამაბრკოლებს სხვა საქმეში. არ მინდა ვიმღერო და ჩემს მოსასმენად საკონცერტო დარბაზში მოსული ადამიანი შეშინებული მიდიოდეს შინ — ქუჩაში სროლა არ ატყდესო. სიმღერა მაშინ ახარებს გულს, როცა ლაღი ხარ და თავს კარგად გრძნობ. ომშიც მღერიან, მაგრამ... მე მშვიდობა მინდა!

*გვერდი მოამზადა*
*ეკა ლომიძემ*

CMYK

# მედიცინა

ააქტიურებს ბუნებრივი ანტიბიოტიკი — ნიორი. მას ტყუილად კი არ უწოდებენ პენიცილინს. პენიცილინის მოვალეობას ასრულებს ასევე ქათმის ბულიონი. როგორც კი შეამჩნევთ, რომ გაცივდით, მოხარშეთ ქათამი მცირე ოდენობის წყალში, დაამატეთ შავი პილპილის მარცვლები და ერთი თავი ხახვი კანიანად, რომელიც სასარგებლოცაა და ბულიონს ოქროსფერსაც

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მაქვს მოციმციმე არითმია. ჩავიტარე გამოკვლევები, მაგრამ ვერ დამიდგინეს მისი მიზეზი. რას შეიძლებოდა გამოეწვია არითმია?**

***შალვა პეტრიაშვილი***

მოციმციმე არითმიის მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს. ერთ-ერთი მათგანია პაციენტის ასაკი. 70 წელს გადაცილებულ ადამიანებში მოციმციმე არითმია 100-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ახალგაზრდებში. არითმიის ეს სახე ხშირად ვითარდება იმ დაავადებათა ფონზე, რომლებიც გულის დატვირთვას ზრდიან. მათ შორისაა ისეთი გავრცელებული პათოლოგიები, როგორებიცაა გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტონიული დაავადება და გულის უკმარისობა. ადამიანებს, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდათ ბრონქული ასთმა ან ქრონიკული ბრონქიტი, ასევე ემუქრებათ მოციმციმე არითმიის განვითარება.

აღნიშნული დაავადება შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე გულის სარქველების დაზიანებამ. ხშირად მოციმციმე არითმია ემართებათ მათ, ვისაც აქვს ფარისებრი ჯირკვლის მომატებული აქტიურობა, შაქრიანი დიაბეტი და სიმსუქნე. ყველა ამ მიზეზის დადგენა არ არის რთული ჩვეულებრივი გამოკვლევის მეშვეობით. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დაავადება თითქოს უმიზეზოდ იწყება, მას ვერაფერს უკავშირებენ და ვერც ვერანაირი დიაგნოსტიკის მეთოდით იკვლევენ მიზეზს. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც, მკურნალობა მაინც აუცილებელია.

**მიყვარს ძილში თავის მაღლა დადება. დილაობით ვიღვიძებ თავის ტკივილით. შეიძლება თუ არა, რომ ეს ჩივილი მაღალ ბალიშთან იყოს დაკავშირებული? წინასწარ გიხდით მადლობას.**

***ა. ხარშილაძე***

ბევრი უჩივის თავის ტკივილს დილაობით. შემთხვევათა 80%-ში შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს ხერხემლის კისრის მალების პათოლოგიასთან, რომლის დროსაც იჭყლიტება ხერხემლის არტერია და ირღვევა თავის ტვინის სისხლმომარაგება. ასეთ დროს, მნიშვნელოვანია ძილში თავის მდებარეობა. იგი უნდა მოთავსდეს ხერხემლის ღერძის გასწვრივ, რისთვისაც თავქვეშ ბრტყელი ბალიში უნდა დაიდოთ. რეკომენდაციები სპეციალური მრგვალი ბალიშების შემოღების შესახებ, ყველასთვის როდია სასარგებლო. როდესაც ტვინის სისხლმომარაგება ნორმალურია, ადამიანი გაღვიძებისას მხნედ, დასვენებულად უნდა გრძნობდეს თავს და არ უნდა ჰქონდეს უსიამოვნო შეგრძნებები თავის არეში.

**ვარ ახლომხედველი. მინდა გავიკეთო ოპერაცია. წავიკითხე ასეთი ინფორმაცია, რომ რამდენიმე წლის წინ ოპერაციის დროს იყენებდნენ „ცხელ" ლაზერს და ვითარდებოდა დამწვრობა. ახლა კი „ცივი" ლაზერი გამოიყენება. რამდენად უსაფრთხოა ეს ოპერაცია? შესაძლებელია თუ არ გართულებები? სრულად აღმიდგება თუ არა მხედველობა?**

***ერთგული მკითხველი***

ტერმინოლოგია „ცხელი" და „ცივი" ლაზერი საკმაოდ მოძველებულია. პირველი თაობის ლაზერი მართლაც პრიმიტიული და უხეში იყო. მას შემდეგ რევოლუცია მოხდა ტექნიკის განვითარებაში. ის ლაზერები, რომლებსაც „ცხელს" უწოდებდნენ, დღეს უკვე აღარ არსებობს.

ლაზერული ოპერაციის დროს ყოველთვის ხდება ქსოვილების გათბობა. ძველებური „ცხელი" ლაზერი რქოვანას 10-15 გრადუსით ათბობდა (მისი ნორმალური ტემპერატურა 27-28 გრადუსია). შედეგად მისი ტემპერატურა 45-46 გრადუსს აღწევდა. თანამედროვე ლაზერები ახალ პარამეტრებში მუშაობს. გათბობა 3-5 გრადუსით ხდება. იმის გათვალისწინებით, თუ როგორი მხედველობა აქვს ადამიანს, გამოიყენება სხვადასხვა მოდელის ლაზერები. ყველა მათგანი უსაფრთხოა და ყველას აქვს თავისი უპირატესობანი.

რაც შეეხება გართულებებს, ისინი ნებისმიერი ოპერაციის დროსაა შესაძლებელი, როგორც არ უნდა დაიხვეწოს ტექნოლოგია, 1-2%-ში გართულება მაინც აღინიშნება, თუმცა ყველა ორგანიზმისთვის — სხვადასხვაგვარი.

რამდენად სრული იქნება მხედველობის აღდგენა, დამოკიდებულია თავად პაციენტის საწყის მონაცემებზე, ზოგი სრულად იკურნება, ზოგი კი — ნაწილობრივ. ამას ექიმი განსაზღვრავს ინდივიდუალური კონსულტაციის დროს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## ავად არ გახდებით, თუ...



ყველაზე ცივ და წვიმიან ამინდშიც კი ავად არ გახდებით, თუკი მიიღებთ ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარ საკვებს. სპეციალისტების რჩევით, ამ დროს აი, რა უნდა ვჭამოთ:

ვაშლი, კომბოსტოს მწნილი, ფორთოხალი, ლიმონი, სტაფილო. ისინი მდიდარია A, C, E ვიტამინებით და დაგვიცავს გაცივებისაგან. თავიანი ხახვი მდიდარია ფიტონციდებით — ნივთიერებებით, რომლებიც სპობენ მიკრობებს. ინფექციას ებრძვის წითელი, მწარე წიწაკა და შავი პილპილის მარცვლები. იმუნიტეტს მისცემს. თეფშზე დაამატეთ ოხრახუში და კამა, დააწურეთ ლიმონის ნაჭერი (არ დაგავიწყდეთ ქვაბშივე მოხადეთ ცხიმი). დიეტოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ უცხიმო ბულიონი უკეთ ამაღლებს იმუნიტეტს.

ცივ ამინდში, გასათბობად, გარდა ცხელი ჩაისა, შეიძლება დალიოთ ცხელი წვენი. გააცხელეთ ყურძნისა და ფორთოხლის წვენების ნარევი, დაამატეთ დანის წვერით დარიჩინი და ერთი ცალი მიხაკი. რით არ არის გლინტვეინი? ამასთან სამკურნალოცაა.

***ტრუდ-7 №67***

## მინერალი ოქროზე ძვირია...

**ფოსფორი** ამაღლებს პოტენციას. მისი უკმარისობა მოქმედებს სპერმის რაოდენობასა და ხარისხზე. მას შეიცავს თევზი, სუბპროდუქტები, ყველი, სოია, ისპანახი, კიტრი, კომბოსტო, მუხუდო, სალათა...

**მაგნიუმი** ხელს უწყობს დოპამინის გამომუშავებას, რომელიც აგზავნის თავის ტვინის ქერქში ნერვულ იმპულსებს და იწვევს სექსუალურ აღგზნებას. მაგნიუმს შეიცავს მუხუდო, ლობიო, კიტრი, ავოკადო, კაკალი, მზესუმზირა, თაფლი.

**თუთია** აუმჯობესებს პროსტატის ფუნქციას, აუცილებელია სასქესო ჯირკვლების განვითარებისთვის, არეგულირებს სისხლში ტესტოსტერონის დონეს. მას შეიცავს ხორცი, ხამანწკა.

**დარიშხანის, სელენის, იოდის, სპილენძის** უკმარისობა იწვევს პოტენციის დაქვეითებას. მას შეიცავს ზღვის ყველა პროდუქტი.

**რკინა** ამაღლებს ორგანიზმის ტონუსს, მისი უკმარისობა იწვევს სისხლნაკლებობას და შესაბამისად, პოტენციის დაქვეითებას. მას შეიცავს ხორცი, ღორის და ძროხის ღვიძლი, ზღვის მოლუსკი, კრევეტი, კიბორჩხალა, ზღვის კომბოსტო, ფოთლოვანი ბოსტნეული, ვაშლი. სხვათა შორის, ცხოველური წარმოშობის ცხიმები, ადვილად აითვისება, ვიდრე მცენარეული საკვები.

***ზდოროვიე***

## ნუ გადადებთ ხვალისთვის...

**დრო რომ ქალის საშინელი მტერია, ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ თუ გონივრულად შევებრძოლებით მას, არათუ დავამარცხებთ, მოკავშირედაც ვაქცევთ. ამისთვის საჭიროა შევასრულოთ ზოგიერთი უმარტივესი წესი:**

**ექსპრეს-ნიღაბი** — 1 წუთი. ნუ გაიკვირვებთ, თქვენ ხომ ყოველთვის გაქვთ შინ არაჟანი და შვრიის ფქვილი!.. შეურიეთ ერთმანეთს და ნიღაბიც მზად არის. ყურძნის წვენსაც შეუძლია ნიღბის მოვალეობა შეასრულოს.

**პილინგი** — 10 წუთი. ამისთვის საჭიროა 100გ ზღვის მარილი შეურიოთ 1ც ლიმონის წვენში ან ყავის ნახარშში (ნალექიანად). წაისვით ტანზე მსუბუქი წრიული მოძრაობით.

**ჩაის ცერემონია** — 30 წუთი. მძიმე დღის შემდეგ დაღლილობის მოსახსნელად, მიიღეთ კარგად დაყენებული ჩაი.

**თვალებისთვის** — 5 წუთი. მთელი დღის განმავლობაში კომპიუტერთან ჯდომა, მზეზე დიდხანს ყოფნა და სხვა სამუშაო, იწვევს თვალების წვას, გაწითლებას. ამ დროს რეკომენდებულია კომპრესები. გაჟღინთეთ ბამბის ტამპონები ცაცხვის ან გვირილის ან გულყვითელას ან ჩაის ნაყენში და დაიდეთ თვალებზე. ნაყენი ასე მზადდება: 1 ჩ/კ ნებისმიერ მცენარეს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე და გააჩერეთ 30 წუთი. კომპრესი უნდა გაიკეთოთ დილას და საღამოს 5 წუთით.

**აბაზანაში** — 20 წუთი. გახსენით ზღვის მარილი აბაზანაში და ჩაწექით. ეს აბაზანები გამოდევნის ორგანიზმიდან წიდებს, ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, აახალგაზრდავებს კანს.

**წიგნი** — 60 წუთი. ბოლო დროს წაიკითხეთ კარგი წიგნი? გადადეთ ყველა საქმე, მოეწყვეთ მოხერხებულად და წაიკითხეთ რაიმე გასართობი ან დეტექტივი. ტელევიზორში უაზროდ საშინელებათა ყურებას სჯობია იკითხოთ — ავარჯიშოთ მეხსიერება, გაიმდიდროთ ლექსიკური მარაგი, განივითაროთ ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარი.

## მაღალი არტერიული წნევის კონტროლის პრინციპები

რა არის მაღალი არტერიული წნევის მიზეზი?

მაღალ არტერიულ წნევას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზეზი. არტერიების შევიწროვება, მოცირკულირე სისხლის მოცულობის გაზრდა ან გულის კუმშვადობის გაძლიერება, გულისცემის სიხშირის არაადეკვატური გაზრდა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ზრდის წნევას არტერიებში. უმეტეს შემთხვევაში მაღალი არტერიული წნევის მიზეზი უცნობია. შესაბამისად, თანამედროვე მედიცინას არ გააჩნია საშუალება, რომ უმკურნალოს მაღალი არტერიული წნევის გამომწვევ მიზეზს. თუმცა გააჩნია საშუალება წარმატებული პროფილაქტიკისთვის და წნევის კონტროლისთვის.

### რატომ არის აუცილებელი არტერიული წნევის კონტროლი?

მაღალი არტერიული წნევა აზიანებს სისხლძარღვების კედლებს. როცა წნევა მომატებულია გული მუშაობს ზედმეტი დატვირთვით, რაც იწვევს გულის კედლების გასქელებას, ამას კი, შეიძლება მომავალში მოჰყვეს გულის უკმარისობა. ამის გარდა, არტერიული წნევის მომატებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა პრობლემები — თირკმლების დაავადებები, თვალის ფსკერის დაზიანება, რაც შეიძლება სიბრმავით დამთავრდეს.

არტერიული ჰიპერტენზიის პროფილაქტიკა პირველ რიგში გულისხმობს ჯანმრთელი ცხოვრების წესის დაცვას. ჭარბი წონის კონტროლი, 4-5კგ-ის დაკლება, დღეში 30 წუთი ფეხით სიარული, დიეტა. იმ შემთხვევაში, თუ ცხოვრების წესის შეცვლა არ არის საკმარისი ინიშნება მედიკამენტური მკურნალობა.

### როგორ ხდება არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოსტირება?

მაღალი არტერიული წნევა ანუ არტერიული ჰიპერტენზია ნიშნავს წნევის მომატებას 140/90მმ ვერცხლის წყლის სვეტის ზემოთ. დიაგნოზის დასასმელად საკმარისია, რომ წნევის მომატება დაფიქსირებული იყოს რამდენიმეჯერ გარკვეული პერიოდის (მაგალითად 7-10 დღის) განმავლობაში.

წნევის გაზომვის დროს უნდა დაფიქსირდეს 2 მონაცემი, სისტოლური და დიასტოლური. ორივე ერთნაირად მნიშვნელოვანია.

არტერიული წნევის ნორმალური ციფრებია (ასაკი 18 წლის და მეტი)

სისტოლური 120 და დიასტოლური 80

მოსაზღვრე ჰიპერტენზიად ითვლება სისტ. 120-139 ან დიასტ. 80-89

ჰიპერტენზიის სტადია სისტ. 140-159 ან დიასტ. 90-99

ჰიპერტენზიის სტადია სისტ. 160 ან დიასტ. 100.

### არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობა

არტერიული წევის მკურნალობა პირველ რიგში გულისხმობს ცხოვრების ჯანმრთელი წესის დაცვას, მიუხედავად იმისა დასჭირდება თუ არა პაციენტს მედიკამენტური მკურნალობა. თუ პაციენტი შეძლებს შეამციროს მარილის რაოდენობა, შეინარჩუნოს ოპტიმალური წონა ან დაიკლოს წონაში, უარი თქვას სიგარეტზე და შეზღუდოს ალკოჰოლის მიღება.

### არტერიული ჰიპერტენზიის მედიკამენტური მკურნალობა

წარმოგიდგენთ იმ წამლების დახასიათებას, რომლებიც გამოიყენება დღეს მსოფლიოში არტერიული წნევის კონტროლისთვის და მაღალი არტერიული წნევით გამოწვეული პათოლოგიური ცვლილებების სამკურნალოდ.

**შარდმდენები**. ამ ჯგუფის წამლები გამოიყენება სუსტი და ზომიერად გამოხატული ჰიპერტენზიის სამკურნალოდ. მათი ეფექტი გამოიხატება შარდის გამოყოფის გაზრდაში. შარდმდენებს მიეკუთვნებიან ჰიდროქლორთიაზიდი იგივე ჰიპოთიაზიდი, ფუროსემიდი.

**ბეტაბლოკატორები**. ამცირებენ გულისცემის სიხშირეს და შეკუმშვის ძალას, შესაბამისად ამცირებენ გულის მუშაობით განპირობებულ წნევას სისხლძარღვების კედლებზე. ბეტაბლოკატორებს მიეკუთვნებიან — პროპრანოლოლი (ანაპრილინი) და სხვა.

**კალციუმის ანტაგონისტები**. კალციუმის ანტაგონისტები აფართოებენ არტერიებს არტერიების კედლის კუნთოვანი ქსოვილის რელექსაციის მეშვეობით, აგრეთვე ისინი ამცირებენ გულის შეკუმშვის ძალას. კალციუმის ანტაგონისტებს მიეკუთვნებიან — ნიფედიპინი და სხვა.

**ანგიოტენზინ გარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბიტორები და ანგიოტენზინ II რეცეპტორების ბლოკატორები**. ამ ჯგუფის წამლები ამცირებენ ანგიოტენზინ წარმოებას ან აბლოკირებენ მის მოქმედებას სისხლძარღვებზე. ანგიოტენზინ არის ძლიერი ქიმიური ნივთიერება, რომელიც ავიწროვებს სისხლძარღვებს და იწვევს არტერიული წნევის მატებას. ამ ნივთიერების ბლოკადა იწვევს სისხლძარღვების გაფართოებას და არტერიული წნევის დაქვეითებას.

**ცენტრალური მოქმედების წამლები**. ამ ჯგუფის წამლები მოქმედებენ ცენტრალური ნერვული სისტემის მეშვეობით. მათი ანტიჰიპერტენზიული ეფექტი განპირობებულია პერიფერიული სისხლძარღვების გაფართოვებით. ამ ჯგუფის წამლებს მიეკუთვნება კლოფელინი, რომელიც ადრე ფართოდ გამოიყენებოდა მისი მკვეთრად გამოხატული ანტიჰიპერტენზიული ეფექტის გამო. ამჟამად კლოფელინი აღარ გამოიყენება მაღალი წნევის ხანგრძლივი მკურნალობისთვის მისი მრავალი გვერდითი მოვლენების გამო. ამ ჯგუფის ახალი გენერაციის წამლებს შენარჩუნებული აქვთ კლოფელინის დადებითი თვისებები და მოცილებულია მისი გვერდითი მოვლენები: პირის სიმშრალე, სელაცია, არტერიული წნევის უსწრაფესად დავარდნა ფიზიოტენზს არ გააჩნია. ფიზიოტენზი კარგია ხანგრძლივი მონოთერაპიისთვის და აგრეთვე სხვა ანტიჰიპერტენზიულ წამლებთან კომბინაციაში. კერძოდ (დიურეტიკებთან, აგე-ინგიბიტორიენთან). მოწოდებულია, შაქრიანი დიაბეტით, იბეტაბიოლური სინდრომით დაავადებული პაციენტებისათვის.

და ბოლოს არტერიული წნევის მკურნალობა და კონტროლი უნდა ხდებოდეს ძალიან ხანგრძლივად, პაციენტის მთელი ცხოვრების განმავლობაში. მკურნალობა აუცილებლად ექიმის მიერ უნდა იყოს დანიშნული. თანამედროვე წამლები მკვეთრად ამცირებენ არტერიული ჰიპერტენზიით გამოწვეულ სისხლძარღვოვან გართულებებს და სიკვდილიანობას.

***გიგი ხაბეიშვილი***
***თამაზ შაბურიშვილი***
***გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა***

**მათთვის, ვისაც სურს თავიდან აიცილოს გრიპი და მისი საშიში გართულებები, ვისაც სურს მშვიდად გაატაროს კარს მომდგარი ზამთარი, მათთვის, ვინც ზრუნავს საკუთარი და ახლობელი ადამიანების ჯანმრთელობაზე, ჩაიტარეთ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია თანამედროვე, ჰოლანდიური ვაქცინით.**

ინფორმაციისათვის დაუკავშირდით 09-ს (ზარი უფასოა), იმუნიზაციის ცენტრს — მისამართი: ყაზბეგის №16. ტელ: 94-22-78, უბნის პოლიკლინიკებს

იყავით ჯანმრთელნი!

R

# განგაშის სიგნალი

**ადამიანის ორგანიზმი საოცრად რაციონალური სისტემაა და ეს სისტემა ისეა მოწყობილი, რომ მასში ნებისმიერ „უწესრიგობას“ გამოავლენს. მართალია, ყველა სიგნალი არ ნიშნავს დაავადებას, მაგრამ ექიმები გვირჩევენ, არც ერთი მათგანი არ დავტოვოთ უყურადღებოდ.**

**ახლა გაგაცნობთ იმ უმთავრეს სიმპტომებს, რომელთა გაკონტროლებაც აუცილებელია. ნებისმიერი მათგანი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან, ზოგჯერ წუთიც გადამწყვეტია...**

**მსუბუქი ტკივილის შეგრძნება გულის არეში — სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ის შეიძლება იყოს ინფარქტი ან გულის შეტევის წინა პირობა. ნუ მოიტყუებთ თავს: „მე ინფარქტი არ დამემართება, რადგან სულ ვმოძრაობ, არც ზედმეტი წონა მაწუხებს, არ ვეწევი...“ თუკი ტკივილი რამდენიმე წუთს გაგიგრძელდათ, გაქვთ გულის რევის შეგრძნება, თუ უმიზეზოდ ოფლიანდებით — სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.**

**სახსრების ტკივილი** — (მუხლებსა და იდაყვებში) ხანგრძლივი ტკივილი, ხშირად სიბერის კი არა, ართრიტისა და ოსტეოპოროზის მიზეზია. ეს ის დაავადებანია, რომლებიც მკურნალობას ექვემდებარება, განსაკუთრებით მაშინ, თუკი დროულად უმკურნალებთ. მაგრამ თუ ყურადღებას არ მიაქცევთ, მათ შეუძლიათ ადამიანი ინვალიდად აქციონ.

კიდურების მოულოდნელი დაბუჟების, პარალიზების, გაშეშების, მოდუნების დროს — არ დააყოვნოთ, მიმართეთ ექიმს.

სახის კუნთების ნაწილობრივი დამბლა — მიანიშნებს რომ ტვინს სისხლი არასწორად მიეწოდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის მიანიშნებს იმ დარტყმას, რომელიც წინ უძღვის ინსულტს. თუ ამ სიმპტომს უყურადღებოდ არ დატოვებთ, უსიამოვნება აგცდებათ.

**უგუნებობა** — თუ ცხოვრება აღარ გაინტერესებთ, არაფერი გახარებთ, ე.ი. დაგეწყოთ დეპრესია და თუ ეს უკავშირდება ახლობლის დაკარგვას — ნორმალურია, მაგრამ, თუ აღარ გახსენდებათ, ბოლო დროს როდის იმხიარულეთ — დროა ექიმთან წახვიდეთ!..

**ხმის ჩახლეჩა** — ისეთი ხმა გაქვთ, თითქოს მთელი დღე სტადიონზე ფეხბურთს უყურებდით და ყვირილით ამხნევებდით თქვენს საყვარელ გუნდს. მუდმივად ხმის ჩახლეჩა შეიძლება იყოს ყელის კიბოს მიმანიშნებელი, ამიტომ აუცილებლად მიმართეთ ექიმს კონსულტაციისთვის.

**ქრონიკული გულმავიწყობა** — აქ ლაპარაკია არა გასაღების დაკარგვაზე ან სიტყვის გახსენებაზე, რომელიც „ენის წვერზე გადგათ“, არამედ თუ ხშირად გავიწყდებათ ახლობლის ან ნაცნობის სახელი, რომელიც ყოველდღე გხვდებათ ან ნივთის, რომელსაც ხშირად გამოიყენებთ ან ვერ ხსნით მარტივ არითმეტიკულ მაგალითს, მიმართეთ ექიმს, დაგეხმარებათ შეაჩეროს ავადმყოფობა, დამეთანხმებით — ეს არცთუ ისე ცოტაა.

***ჩასტნაია ჟიზნ №1***


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

**სამედიცინო ცენტრი „ლაზერი“**

**ბუასილის კვანძების მოცილება ოპერაციის გარეშე უნიკალური უცხოური ტექნოლოგიით. სწორი ნაწლავის ნაპრალის, კოლიტის მკურნალობა.**

*ექიმი ვიტალი ბერიშვილი* ☎ 899 70 00 40

**სექსუალური პრობლემები, უროლოგიური დარღვევები**

*ექიმი გიორგი აფაქიძე* ☎ 899 21 36 30

**გინეკოლოგიური დაავადებები. განსხვავებული მიდგომა განსხვავებული შედეგებით.**

*ექიმი მეგი ჩიტიშვილი* ☎ 899 57 68 27

**ჩვენი შედეგები — ჩვენი რეკლამაა!**

მის: ქ. თბილისი, ბახტრიონის 18, ☎ 91-18-33

**მკურნალი**

**თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის**

*პირველად საქართველოში!*

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: 99 64 99

მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

**ანონიმურობა დაცულია!**


***რა განაპირობებს შარდშეუკავებლობას? როგორ მოვერიოთ ამ პრობლემას?***

***კ. გაბრიჩიძე, ქ. ქუთაისი***

# ენურეზი ანუ შარდშეუკავებლობის პრობლემა

## შარდშეუკავებლობა ღამით

ენურეზი აღენიშნება 4-5 წლის ბავშვების 14%-ს, 7 წლის ასაკში — 7%-ს, 10-14 წლის ასაკში — 2%-ს და 0,5% მოზრდილ ადამიანებს.

2-10 წლის ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელი ბავშვების ენურეზის მიზეზი სხვადასხვაა:

1) წყალ-მარილოვანი ცვლის დარღვევა;
2) ბავშვის ზრდა-განვითარების თავისებურება;
3) ქრონიკულ-სტრესული სიტუაციები;
4) შარდგამომყოფი სისტემის ფარული ინფექციები;
5) პარაცენტრალური წილების სინდრომი.

კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის შარდშეუკავებლობის მიზეზი ცოტა არ იყოს ძნელი გასარკვევია, მაგრამ ექიმები გვირჩევენ:

ნუ ჩაფუთნით ბავშვს, იძინოს სიგრილეში. ძილის წინ არ დაალევინოთ არანაირი სითხე, დაძინებამდე 1 საათით ადრე კი რაიმე მარილიანი აჭამეთ, თუნდაც დამარილებული თევზის ერთი-ორი ლუკმა. დააძინეთ ადრიანად. მანამდე ღამის ქოთანზე დასვით.



მაგრამ თითოეულ ამ რჩევას თავისი უარყოფითი მხარე აქვს. უპირველესად, შარდშეუკავებლობის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობითობას: თუ ენურეზი ერთ-ერთ მშობელს ჰქონდა ბავშვობაში, სავარაუდოა, რომ ის შვილების 40%-ს განუვითარდება, ხოლო თუ ორივე მშობელს ჰქონდა, მაშინ 70%-ს.

*წყალ-მარილოვანი ცვლის დარღვევა:* თუკი ბავშვი ძილის წინ 1-2 ჭიქა გამაგრილებელ სასმელს დალევს, მაშინ დიდია შანსი, განვითარდეს შარდშეუკავებლობა.

მარილიანი საკვების მიცემა კი განაპირობებს თირკმლების დატვირთვას და შეიძლება გამოიწვიოს თირკმლის არაანთებადი დაავადებები.

შეიძლება ითქვას, რომ ენურეზის გამოვლენა ცენტრალური ნერვული სისტემისა და შარდის ბუშტის მოუმწიფებლობის შედეგია.

თითქოს არ მუშაობს მექანიზმი, რისი საშუალებითაც შარდის ბუშტმა უნდა შეატყობინოს თავის ტვინს გადავსებული ბუშტის შესახებ. უმეტეს შემთხვევაში, ენურეზი არ არის სერიოზული პათოლოგია, მაგრამ ის არის „უსიამოვნო პრობლემა“, როგორც ბავშვისთვის, ასევე მისი ოჯახისათვის.

*ბავშვის მოვლის თავისებურებები:* ზოგჯერ ბავშვს ზედმეტად თავისუფლად ზრდიან. არაფერში ზღუდავენ და არაფერს უკრძალავენ. ზოგჯერ დედას თავად ურჩევნია დილით მოუაროს ჩასველებულ ბავშვს, ვიდრე ღამე წამოაყენოს, ქოთანზე დასვას და აკონტროლოს. ეს კი ანელებს ფიზიოლოგიური მექანიზმების მომწიფებას.

*ქრონიკული სტრესული მდგომარეობა:* ზოგიერთ მშობელს ჰგონია, რომ შარდშეუკავებლობა ბავშვის ბრალია და ბავშვს სჯიან კიდევაც.

ზოგჯერ ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელ ბავშვს, რომელსაც ენურეზი არასდროს ჰქონია, შეიძლება განუვითარდეს შარდშეუკავებლობა ღამით. ეს ფაქტი კი მიანიშნებს, რომ ბავშვს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს.

ფსიქოლოგების აზრით, ბავშვები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყონ:

— ბავშვები, რომლებიც განიცდიან ყურადღების და სითბოს ნაკლებობას მშობლებისაგან. გოგონებში, 4 წლის ასაკის მერე, ამის მიზეზი შეიძლება მამასთან არაჰარმონიული დამოკიდებულება იყოს;

— ბავშვები, რომელთა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და გადაიტანეს ამასთან დაკავშირებით უსიამოვნებები;

— ბავშვები, რომლებსაც მშობლები გადამეტებულ პრეტენზიებს უყენებენ. ყველა შემთხვევაში, ენურეზისგან განკურნება ბავშვისთვის ოჯახური, ჰარმონიული პირობების შექმნაა.

თუმცა, ენურეზის მიზეზი არა მარტო ოჯახი, არამედ საბავშვო ბაღი, სკოლა, მეგობრები ან პედაგოგებია. იქმნება მანკიერი წრე ბავშვის ფსიქოლოგიური პრობლემის გამო. ვითარდება შარდშეუკავებლობა, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო აღრმავებს ფსიქოლოგიურ პრობლემას.

*შარდგამომყოფი სისტემის ფარული ინფექციები:* ზოგჯერ მშობლები ამ ფაქტორს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. თუ ბავშვი პატარაა, მას უჭირს ინფექციით განპირობებული ჩივილების იდენტიფიცირება და მისი გამოხატვა. ამიტომაც, უნდა გავითვალისწინოთ ინფექციური აგენტების როლი.

*პარაცენტრალური წილების სინდრომი:* წილები თავის ტვინის ქერქში მდებარეობს. იქ „თავს იყრის“ ინფორმაცია შარდგამომყოფი სისტემის მდგომარეობის შესახებ.

თავის ტვინის ამ ნაწილის ნეირონების (ნერვული უჯრედების) ფუნქციონირების დარღვევა განაპირობებს — სინდრომის ჩამოყალიბებას. მოზრდილ ადამიანებში სამი თავისებურებით ხასიათდება: ენურეზი 10-15 წლამდე, აქილევსის რეფლექსის დარღვევა, სქესობრივი ცხოვრების დასაწყისშივე თესლდანთხევის დაჩქარება.

პარაცენტრალური სინდრომი თანდაყოლილია. ამ დიაგნოზს მხოლოდ ნევროპათოლოგი სვამს. ითვლება, რომ ენურეზის ეს ფორმა ყველაზე ადვილად ემორჩილება მკურნალობას.

*მკურნალობა:* მრავალმხრივია და დამოკიდებულია პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე: ზოგჯერ არ არის საჭირო მედიკამენტური მკურნალობა — არსებობს სპეციალური მოწყობილობები, რომლებიც იწვევენ შარდის გამოყოფის პირობითი რეფლექსის ჩამოყალიბებას. გამოიყენება ჰიპნოზი, ასევე ჰომეოპათიური საშუალებები.

*რაც შეეხება მედიკამენტებს:* შარდის წარმოქმნის შესამცირებლად გამოიყენება — ადიურეკრინი; დესმოპრესონი — ამცირებს ღამით შარდის გამოყოფას. ინიშნება ანტიდეპრესანტები; ფსიქოტროპული საშუალებები — სედუქსენი, რელანიუმი, დიაზეპამი.

ნერვულ სისტემაზე სტაბილიზაციის გამო — ატროპინი, ბელადონა, ოქსიბეტინი, დიჰიდროერგოტამინი.

ასევე არისტეროიდული ანტიანთებითი წამლები — ინდომეტაცინი, დიკლოფენაკი.

თითოეული მედიკამენტის დოზა ინდივიდუალურია და დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე. ამიტომაც, მათი შერჩევა ექიმის პრეროგატივაა.

***მაია მუხიგული***

# მარიხუანას თუთუნი სჯობს!



ფრანგმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მარიხუანით გაწყობილი 3 ცალი სიგარა ჯანმრთელობას ისევე ვნებს, როგორც დღეში მოწეული 2 კოლოფი სიგარეტი.

თუთუნისა და მარიხუანის შერევის შედეგად ზიანის ეფექტი კიდევ უფრო ძლიერდება.

მარიხუანას მოწევის დროს, ორგანიზმში 50%-ით მეტი კანცეროგენული ნივთიერებები ხვდება, ვიდრე ჩვეულებრივი თუთუნის მოწევისას!

***ოჯი***

# ჭარხალი აახალგაზრდავებს კანს

გვიან შემოდგომით და ზამთარში სახის კანზე ძალიან მოქმედებს ტემპერატურის ცვალებადობა. ამის შედეგად კანი სკდება, ღიზიანდება და იქერცლება. კანი რომ დაიცვათ ამ უსიამოვნებებისგან, სასურველია კვირაში 2-ჯერ გაიკეთოთ ჭარხლის ნიღაბი:

ახალი ჭარხალი გახეხეთ, დაამატეთ 1ჩ/კ არაჟანი და წაისვით სახეზე. როდესაც ნიღაბი გაშრება, ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ჭარხალი არა მარტო კვებავს გამომშრალ კანს, არამედ აუმჯობესებს მის ფერს და პატარა ნაოჭებსაც ასწორებს.

***ოტდოხნი! №3***


**კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:**

- **დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ-კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;**
- **ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;**
- **სამეანო განყოფილებას;**
- **ახალშობილთა განყოფილებას;**
- **გინეკოლოგიურ განყოფილებას;**
- **თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);**
- **ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);**
- **სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;**
- **რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).**

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და საოჯახო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

**ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა. მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით. მადლობას გიხდით ნდობისთვის.**

*მის: ცოტნე დადიანის №255 (ყოფ. I საოჯახო სახლი)*

☎ 66-73-70 71 72 73 74



**ჩინეთი**

# პეკინი ტაივანს ომით ისევ ემუქრება

ჩინეთში ტაივანის საქმეების მინისტრმა, ვან ძაისიმ განაცხადა, რომ ტაივანის პრეზიდენტმა ჩენ შუიბიანმა თავისი სეპარატისტული საქმიანობით მეტისმეტად დაძაბა ურთიერთობა. ეს კი ჩინეთსა და მისგან 142 კმ-იანი სრუტით გამოყოფილ კუნძულს შორის ომის საფრთხეს



ზრდის. „თუ კუნძული ფორმალურ დამოუკიდებლობას გამოაცხადებს, ომი აუცილებლად დაიწყება“, — ამბობს მინისტრი. კუნძული 1949 წელს გამოეყო ჩინეთს. დამკვირვებლების აზრით, ტაივანის მიმართ პეკინის დამოკიდებულების გამკაცრება კუნძულზე საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებას უკავშირდება. ბოლო თვეების განმავლობაში ტაივანის პრეზიდენტმა ჩენ შუიბიანმა რამდენჯერმე თქვა, — ალბათ ჩავატარებთ რეფერენდუმს, რომლის შედეგების მიხედვით ტაივანის ფორმალური დამოუკიდებლობა შეიძლება 2006 წელს გამოვაცხადოთო. ხელისუფლების სათავეში 2000 წელს მოსული ჩენ შუიბიანი მაშინაც ტაივანის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობდა, რაც პეკინის მძაფრ რეაქციას იწვევდა.

*ლენტა რუ*

# პუტინმა ოლიგარქებს თვალი თვალში გაუყარა

1200-მა რუსმა ბიზნესმენმა გარისკა და თავი მოიყარა მოსკოვის საბჭოების სახლის სვეტებიან დარბაზში. ოფიციალურად შეკრებას რუსეთის მრეწველებისა და მეწარმეების კავშირის მე-13 ყრილობა ერქვა. მისგან ძალიან ბევრს ელოდნენ. ეგონათ, რომ დიდი ბიზნესი ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებას გადამწყვეტ ომს გამოუცხადებდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ისიც გაირკვა, რომ ხელისუფლებას არავინ უპირებდა წინააღმდეგობის გაწევას. „რაო ეესის“ თავკაცმა, ანატოლი ჩუბაისმაც კი გაარიდა თავი ყრილობას და ნიუნევარტოვსკში საქმე მოიმიზეზა.

ყრილობის დელეგატებს თავი ისე ეჭირათ, თითქოს ბაიბურში არ იყვნენ, რომ ქვეყანას ავტორიტარიზმის საფრთხე ემუქრება.

კავშირის თავმჯდომარემ არკადი ვოლსკიმ მონაწილეებს მიმართა, — ორი წუთით დაგტოვებთ, პრეზიდენტს უნდა შევეგებო, თქვენ თავი რამეთი შეიქციეთო. ვილაცამ დარბაზში დაიძახა — კახა ბენდუქიძემ გვიმღეროსო...

ამასობაში, დარბაზში მოულოდნელად შევიდა ვლადიმირ პუტინი და მაშინვე სიტყვა აიღო. იგი დაჰპირდა ბიზნესმენებს ქონების ხელშეუხებლობას, საბანკო და საგადასახადო რეფორმებს. შემდეგ ვოლსკიმ ილაპარაკა და ნახევარსაათიანი სიტყვა ასე დაამთავრა: — ბევრი ცდილობს რუსეთის მრეწველებისა და მეწარმეების კავშირის გახლეჩას, კავშირს ოლიგარქების კლუბად იხსენიებენ, მაგრამ ეს სიცრუეა!

დარბაზი ფეხზე წამოიჭრა და ტაში დასცხო. ვოლსკიმ განაგრძო: — ჩვენთან სამართალდამცავ ორგანოებს კონკურენტებთან საბრძოლველად იყენებენ... ჩვენ არ გვაქვს სამრეწველო პოლიტიკაო.

პუტინმა ყურადღებით შეათვალიერა დელეგატები და რაღაცის ჩაწერა დაიწყო ბლოკნოტში. ნუთუ გვარებს იწერს? — აჩურჩულდნენ ბოლო რიგებში. თურმე პუტინი ვოლსკისათვის გასაცემ პასუხს ინიშნავდა. დაამთავრა თუ არა ვოლსკიმ, პუტინმა მაშინვე დაბალი ხმით დაიწყო: „ბატონო ვოლსკი, მინდა გამოგეხმაუროთ. დღეს ჩვენთან ნებისმიერი სამრეწველო პოლიტიკა — ეს არის ლობირება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვინ მეტს გადაუხდის ჩინოსანს... თქვენ ბრძანეთ, სამართალდამცავები არ უნდა გამოიყენონ საკონკურენტო ბრძოლაშიო... კი, მაგრამ ვინ აკეთებს ამას? ჩვენთან ძნელი გასარკვევია, სად თავდება სახელმწიფო და სად იწყება ბიზნესი, ხოლო რაც შეეხება სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმეებს“...

ყველა ელოდა, პრეზიდენტი „იუკოსს“ ახსენებდა, მაგრამ მან მკაფიოდ წარმოთქვა:



კახა ბენდუქიძეს სურს, მისი ხმა ყველას მისწვდეს

— წარსულში დაბრუნება არ მოხდება! არ მოხდება! ეს შე-უ-ძლე-ბელია!

არც პრეზიდენტს დასცდენია სიტყვა „იუკოსი“, არც ყრილობის მონაწილეებს.

*კომსომოლსკაია პრავდა №212*

# აფეთქებათა სერია სტამბოლში

20 ნოემბერს ტერორისტებმა სტამბოლში ბრიტანეთის ობიექტები ამოიღეს მიზანში. თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა ბრიტანეთის საკონსულოსთან, ვაჭრობის ცენტრთან მომხდარი აფეთქებები. წინასწარი მონაცემებით, ყველა ტერაქტი ტერორისტი-კამიკაძეების ნახელავია. ისინი ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატენილ მანქანებს მართავდნენ. სხვადასხვა მონაცემით, დაიღუპა 30-ზე მეტი ადამიანი, 450 — მძიმედ დაშავდა. პირველი აფეთქება ლევენტის რაიონში, ინგლისის ბანკის თურქეთის განყოფილებასთან გაისმა. 23-სართულიანი ბანკის შენობა დიდად დაზიანდა. რამდენიმე წუთში მეორე აფეთქების ხმა გაისმა ბრიტანეთის საკონსულოსთან. ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე სატვირთო მანქანა დიდი სიჩქარით შეიჭრა საკონსულოს მთავარი შესასვლელის ალაყაფის კარებში. შენობა



თითქმის მთლიანად დაინგრა. დაიღუპა 10 კაცი.

მესამე აფეთქება მოხდა ხალხით სავსე სუპერმარკეტ „მეტროში“, სადაც ფართის მეტი ნაწილი ბრიტანეთის მაღაზია Marks & Spencer-ს უჭირავს. თურქმა ჟურნალისტმა განაცხადა, — ტერაქტების სერია თურქეთის 11 სექტემბერიაო.

დიდი ბრიტანეთი პასუხისმგებლობას „ალ-ქაიდას“ აკისრებს. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტროუმ განაცხადა, — საკონსულოსთან დაღუპულთა შორის 4 ბრიტანელიაო. შვედეთში მყოფმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდალაჰ გულმა გულისწყრომა გამოხატა ტერორისტთა მიმართ, — ყველამ უნდა იცოდეს, რომ თურქეთი არ დანებდება ტერორისტებსო.

„ალ-ქაიდა“ კისრულობს პასუხისმგებლობას სტამბოლში მომხდარ აფეთქებებზე. მისი განცხადებით, ეს აქტი სიმშვიდეს დაურღვევს დიდ ბრიტანეთს. ბრიტანელებმა უნდა იცოდნენ, რომ ამერიკასთან მეგობრობა მათ სიკეთეს არ მოუტანსო.

ტერაქტების ერთ-ერთი მსხვერპლის, მსახიობ ჯერემ ილმაზერის დაკრძალვის ცერემონიაზე თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოგანმა განაცხადა, რომ ტერაქტებით ვერ შეზღუდავენ თურქეთის მოქალაქეების თავისუფლებას.

თურქეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა ტერაქტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი ორი პიროვნება. გარდა ამისა, პოლიციამ შეძლო ტერორისტი კამიკაძეების იდენტიფიცირება, რომლებმაც ავტომობილებთან ერთად თავი აიფეთქეს. გაირკვა ისიც, თუ რომელი ფირმიდან დაიქირავეს მანქანები, რამაც ხელი შეუწყო მათი პიროვნების დადგენას. ისინი აღმოჩნდნენ თურქეთის მოქალაქეები, რომლებიც ადრეც იყვნენ შემჩნეულნი „ალ-ქაიდასთან“ კავშირში.

*ნიუს რუ*

# ვის ხელშია „შავი ოქრო“?

## (დაიბადე? უკვე 3 ათასი დოლარის მფლობელი ხარ)

მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში ბუნებრივი სიმდიდრე ეკუთვნის სახელმწიფოს; ნავთობკომპანიები მის დამუშავებაზე ლიცენზიას იღებენ ან პროდუქციის გაყოფაზე შეთანხმებას აწერენ ხელს. პირველ შემთხვევაში მეწარმეებს ბიუჯეტში შეაქვთ გადასახადი, მეორე შემთხვევაში კი წარმოებული ნავთობის ნაწილს აძლევენ სახელმწიფოს. რუსეთში ორივე ვარიანტი მოქმედებს. ქვეყანაში 17 ნავთობკომპანიაა, მაგრამ „შავი ოქროს“ თითქმის 70% წილად ხვდა „ლუკოილს“, „იუკოსს“ და კიდევ 3 მსხვილ კომპანიას.

საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს აშშ, სადაც წიაღისეულის ნაწილი პრივატიზებულია. გადასახადს ადგენს შტატი, სადაც ეს საბადო მდებარეობს.

არაბულ ქვეყნებში სახელმწიფოს ეკუთვნის არა მარტო საბადოები, არამედ წარმოებული ნავთობიც. კერძო კომპანიები კი მის რეწვას აწარმოებენ და სახელმწიფოსგან გასამრჯელოს იღებენ. შეიხები და ამირები ნავთობდოლარებს მოსახლეობას უნაწილებენ. ქუვეითში მოქალაქე დაბადებისთანავე 3 ათასი დოლარის მფლობელი ხდება, ბავშვის დახმარება — თვეში 170 დოლარია, უმუშევარ დედას სახელმწიფო თვეში 300 დოლარს უხდის.

ნორვეგიაში 3 მსხვილი ნავთობკომპანია მუშაობს. აქციების დიდი ნაწილი სახელმწიფოსია, კომპანიებს ხაზინაში მოგების 78% შეაქვთ. ეს თანხები სოციალური საკითხების მოგვარებას ხმარდება, გარდა ამისა, მთავრობამ მომავალი თაობების ფონდი შექმნა, რომელშიც შედის „შავი ოქროს“ ექსპორტით მიღებული შემოსავალი. ამ ფონდს უკვე 46 მლრდ დოლარი აქვს.

რუსეთის ხაზინაში ნავთობიდან შედის წელიწადში დაახლოებით 22 მლრდ დოლარი.

*არგუმენტი ი ფაქტი №47*

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

# მოკლედ

**ლონდონში** აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის დროს, 100 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა ერაყში ომისა და ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ საპროტესტო მარშში. მარშის კულმინაციად იქცა დედაქალაქის ცენტრში ბუშის 6-მეტრიანი ქანდაკების ჩამოგდება. ეს აქცია იყო იმიტაცია ბაღდადში სადამ ჰუსეინის ძეგლის დამხობისა.

**რუსმა** ოლიგარქმა რომან აბრამოვიჩმა კიდევ ერთი იახტა შეიძინა. ზაფხულში ვლადივოსტოკელებს მისი ულამაზესი იახტის, „ცისფერი სივრცის“, ნახვის შესაძლებლობა ჰქონდათ, რომელშიც 90 მლნ დოლარი გადაიხადა. ახალი შენაძენი — 115 მ სიგრძის მქონე „პელორუსი“ კი 120 მლნ დოლარი დაუჯდა. „პელორუსი“ მსოფლიოს უდიდესი იახტების ათეულში შედის.

**შვეიცარიის** გენპროკურორმა ვალენტინ როშახარმა განაცხადა, რომ მის უწყებას სურს დაკითხოს ბორის ბერეზოვსკი. შვეიცარიელებს კერძოდ აინტერესებთ, ბაბ-ი მათ ქვეყანაში ხომ არ „ათეთრებდა“ ფულს. თუ ბერეზოვსკის წინააღმდეგ საქმე აღიძრა, მას არ უშველის ინგლისში პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსი.

**იტალიაში** ლუჩანო პავაროტისა და ნიკოლეტა მანტოვანის ქორწილი 13 დეკემბერს გაიმართება. მომღერალს ნიკოლეტასთან 11 თვის გოგონა ალისა ჰყავს. ქორწილის შემდეგ პავაროტი მსმენელებთან გამოსათხოვარ მსოფლიო ტურნეს დაიწყებს.

**ვიეტნამში** კოკისპირულმა წვიმებმა და მეწყერმა 50 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 2 ათასი სახლი დაინგრა, დაიტბორა ბრინჯის ყანები, შეწყდა სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა ქვეყნის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

**„ალ-ქაიდა“** უარყოფს თავის მონაწილეობას ერ-რიადში მომხდარ ტერაქტში. ტერორისტები აცხადებენ, — ჩვენ პასუხს ვაგებთ ერაყში, კოალიციის ჯარზე მიტანილი ყველა იერიშისათვის. უახლოეს ორ წელიწადში აშშ-ში დიდ ტერაქტს მოვაწყობთო.

**ჩეხეთის** პოლიციამ ქალაქ ბრნოში დააპატიმრა ორი სლოვაკი — ისინი 3 კგ რადიოაქტიური ნივთიერების გაყიდვას ცდილობდნენ და თავიანთ საქონელში 600 000 ევროს ითხოვდნენ. სპეცსამსახურებს ჯერ არ დაუდგენიათ, კერძოდ რა ნივთიერებას ყიდდნენ, მაგრამ ცხადია, რომ ის ბომბის დასამზადებლად იყო გამიზნული.

**მალაიზიის** საგარეო საქმეთა მინისტრმა საიედ ჰამიდ ალბარმა განაცხადა, — მალაიზია ითხოვს, აშშ-მა, რაც შეიძლება მალე დატოვოს ერაყი და ქვეყანაში სიტუაციის მოწესრიგება გაეროს დაევალოსო.

**ლიტვის** რესპუბლიკის პრეზიდენტი როლანდას პაქსასი პროკურატურამ დაჰკითხა. სანდო წყაროს ცნობით, პაქსასს ჰკითხეს, — რა ურთიერთობა გაქვთ ბიზნესმენ იური ბორისოვთანო. ცნობილია, რომ ბორისოვმა პაქსასის საპრეზიდენტო კამპანიას 400 მლნ დოლარი მოახმარა. თავის მხრივ, ბიზნესმენს კავშირი აქვს ასოციაცია „XX საუკუნის“ პრეზიდენტ ანზორ აქსენტიევ-კიკალიშვილთან, რომელიც პერსონა ნონ გრატად არის გამოცხადებული ლიტვის რესპუბლიკაში. სამართალდამცავი ორგანოების რწმუნებით, იგი საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულშია გარეული.







# ფინალისტები 30 ნოემბერს ელიან



ლატვიამ თურქეთი თამაშგარეთ დატოვა

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შემდეგ მეორეადგილოსნებმა ხუთი წყვილი შეადგინეს, ამ შერკინებებში გაირკვა იმ დარჩენილი ხუთი ნაკრების ვინაობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე.**

**ფლეი-ოფებმა საკმაოდ ბევრი სიურპრიზი შემოგვთავაზა. უპირველესად აღსანიშნავი ლატვიის ნაკრების წარმატება გახლავთ. მოულოდნელი იყო ასევე შოტლანდიელთა დიდი ანგარიშით მარცხი. არც რუსეთის ნაკრების გამარჯვება იყო კარდიფში ადვილად პროგნოზირებადი შედეგი.**

### უელსი – რუსეთი 0:1 (0:0)

პირველი შეხვედრა მოსკოვში ნულოვანი ფრით დასრულდა.

კარდიფში გამართული მატჩისას რუსი ევსეევისა და რაიან გიგზის დუელი რუსის გამარჯვებით დასრულდა. სწორედ ევსეევის გატანილმა გოლმა გადაასხა ცივი წყალი ბრიტანელებს და რუსეთის ნაკრებს გზა გაუხსნა პორტუგალიისკენ.

რუსეთის ნაკრების გახარებული თავკაცები კი ცოტა ხნის წინ ექსტრემალურ ვითარებაში საგანგებოდ დანიშნულ გიორგი იარცევისთვის კონტრაქტის დადებაზე ფიქრობენ და სწორედ მას მოიაზრებენ ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში პორტუგალიური ბატალიებისთვის.

### ჰოლანდია – შოტლანდია 6:0 (0:1)

მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელებმა მიუხედავად დიდი ტერიტორიული უპირატესობისა, ვერ შეძლეს გლაზგოში სასურველი შედეგის მიღწევა და წააგეს მატჩი შოტლანდიის ნაკრებთან, ნათელი იყო, რომ შეტევაზე ორიენტირებული „ნარინჯისფერები“ ყველაფერს გააკეთებდნენ საპასუხო შეხვედრის მოსაგებად. თუმცა, თუკი ასე უსუსურად გამოვიდოდნენ „მამაცი გულები“, არავინ ელოდა.

ჰოლანდიელი ვან ნისტელროის გატანილმა სამმა ბურთმა ბევრი რამ გადაწყვიტა. თამაშის დასრულებამდე ოც წუთზე მეტი რჩებოდა, რომ ჰოლანდიის ნაკრები ექვსბურთიანი უპირატესობით იგებდა. ექვსი უპასუხო ბურთი თავისთავად მიანიშნებს შოტლანდიის ნაკრების სრულ კრახს, არადა, მათი გერმანელი თავკაცი ბერტი ფოგთსი ვარაუდობდა წაგებას, ანგარიშით 1:2. ეს ის შედეგია, რომელიც შოტლანდიელებს პორტუგალიისკენ უკაფავდა გზას, მაგრამ გერმანელის ვარაუდი არ გამართლდა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გულშემატკივართა წინაშე „ნარინჯისფერები“ წარსდგებიან.

### ნორვეგია – ესპანეთი 0:3 (1:2)

პირველი მატჩი ესპანეთში საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. ესპანეთის ნაკრებმა მხოლოდ ძალების სრული დაძაბვის წყალობით შესძლო გამარჯვება.

ეს შედეგი და განსაკუთრებით ნორვეგიელთა მიერ სტუმრად გატანილი გოლი, იმედს იძლეოდა, რომ განმეორებითი მატჩისას „ვიკინგები“ წარმატებით ითამაშებდნენ, მაგრამ...

მატჩის გადამწყვეტი მომენტი მეორე ტაიმის დასაწყისის ხუთწუთიანი მონაკვეთი აღმოჩნდა. მართალია, პირველი ნახევარი ნორვეგიელებმა დათმეს მინიმალური ანგარიშით 0:1, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში იმ ხუთწუთიანი მონაკვეთისას ესპანელთა მიერ გატანილმა ორმა გოლმა დაასამარა ნორვეგიელების იმედები.

### სლოვენია – ხორვატია 0:1 (1:1)

პირველ მატჩში, რომელსაც ზაგრებმა უმასპინძლა, მოსალოდნელი იყო, რომ ხორვატები, რომელთა რიგებში ბოლო ხანს, რამდენიმე მეტად პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა, მოიპოვებდნენ უპირატესობას, თუმცა, „დეპორტივოს“ გამანადგურებელი დადო პრსოს გოლს სლოვენიელებმა ერთით უპასუხეს და განმეორებითი მატჩის წინ საკმაო უპირატესობა შეიქმნეს. ლიუბლიანაში გამართული მატჩი მოულოდნელი სცენარით წარიმართა. მას შემდეგ, რაც თამაშის 59—ე წუთზე ხორვატი იგორ ტუდორი გააძევეს მოედნიდან, ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ ხორვატებს რაიმე შანსი დარჩებოდათ, მაგრამ ორიოდე წუთში პრსოს მიერ გატანილმა გოლმა სიტუაცია კარდინალურად შემოაბრუნა. სლოვენიელებმა კაცნაკლულ ხორვატებს ვერაფერი მოუხერხეს და პორტუგალიის საგზურიც მათ გადაულოცეს.

### თურქეთი – ლატვია 2:2 (0:1)

ლატვიის ნაკრები წლის მთავარი სენსაციის შემოქმედია. ქვეყანა, რომელსაც გუნდი არ ჰყოლია სსრკ-ის ჩემპიონატში, ევროპის უპირველეს საფეხბურთო ფორუმზე ითამაშებს. მაშინ როდესაც ამის გაკეთება დღემდე ვერ შეძლეს უკრაინამ, საქართველომ, ბელორუსიამ... მიუხედავად იმისა, რომ პირველი მატჩი ბალტიისპირელებს მოგებული ჰქონდათ, ვერავინ ივარაუდებდა, რომ ამ ბოლო დროს ევროპის მოწინავე საფეხბურთო ქვეყანათა მარაქაში გარეული თურქები შინ ვერ გაიმარჯვებდნენ და ევრო 2006-ის საგზურს სტამბოლიდან ლატვიელებს გაატანდნენ. ილხანის მიერ მე-20 წუთზე გატანილ გოლს მეორე ტაიმში 64-ე წუთზე ჰაკანმა მეორეც დაუმატა, მაგრამ ლატვიელებმა შეძლეს სიტუაციის შემობრუნება. მეორე მიღებული გოლის შემდეგ ორიოდე წუთში მათ ანგარიში შეამცირეს. თურქეთის ნაკრებს ფინალში გასასვლელად ერთი გოლის გატანა კიდევ სჭირდებოდა, მაგრამ მათ იმედებს წერტილი ლატვიელი ვერპაკოვსკის გატანილმა მეორე გოლმა დაუსვა.

მაშ ასე, პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი გუნდები: საფრანგეთი, დანია, ჩეხეთი, შვედეთი, გერმანია, საბერძნეთი, ინგლისი, ბულგარეთი, იტალია, შვეიცარია, პორტუგალია, ხორვატია, ჰოლანდია, ლატვია, რუსეთი, ესპანეთი.

30 ნოემბერს ლისაბონში გაიმართება კენჭისყრა, რომელიც ამ გუნდებს ფინალური ეტაპისთვის ოთხ ქვეჯგუფად დაყოფს.

# ვოვა სტეფანია — ოცნება ჯარისკაცობიდან მხატვრობამდე



ქართველი კალათბურთელი ვლადიმერ სტეფანია უკვე მეექვსე წელია რაც NBA-ში თამაშობს. მიმდინარე სეზონში ვოვამ კონტრაქტი გააფორმა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსთან“, სადაც ადრე ცნობილი ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონისი გამოდიოდა. ვოვა სტეფანიას გუნდის ხელმძღვანელობა სწორედ საბონისის შემცვლელად მოიაზრებს. ამის დასტურია ის, რომ მას სწორედ საბონისის მაისური — თერთმეტი ნომერი მისცეს.

ახალწვეულისადმი, ბუნებრივია, ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენს გულშემატკივარი. ეს გაითვალისწინა „პორტლენდის“ ხელმძღვანელობამ და გუნდის ქომაგებს მისცა საშუალება ახლო გასცნობოდა ქართველ ლეგიონერს. გულშემატკივრებმა **ვოვა სტეფანიას** კითხვები გაუგზავნეს. ვოვაც ინტერნეტის მეშვეობით დიდი ენთუზიაზმით პასუხობდა „პორტლენდის“ ფანების მრავალფეროვან კითხვებს.

— **როგორ შეეგუე ახალ გუნდს?**

— საკმაოდ კარგად, ამერიკელთა კომუნიკაციას დიდი ხანია ალღო ავუღე და ამდენად არ გამჭირვებია ახალი მეგობრების შეძენაც. გუნდში განსაკუთრებით დავუახლოვდი რაგიდ უოლესს, დერეკ ანდერსონს და ბონი ულსს. რაც შეეხება თავად გუნდთან ადაპტაციას, ვფიქრობ, რომ ეს პრობლემაც მოგვარდება, ამისთვის უბრალოდ მეტი დროა საჭირო. რაც შეეხება თავად გუნდს, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ „პორტლენდი“ მეგობრული გუნდია და ადამიანური ურთიერთობების მხრივ არანაირი პრობლემა არა მაქვს.

— **„პორტლენდი“ დასავლეთ კონფერენციაში გამოდის, არადა, ეს კონფერენცია თავისი შემადგენლობით NBA-ში ყველაზე ძლიერია. ამ ფონს კი ქმნიან ის გიგანტი ფორვარდები, რომლებთანაც ჭიდილი მეტად რთულია. როგორ აპირებთ მათი წინააღმდეგობის დაძლევას?**

— საკმაოდ ჩვეულებრივად, მგონი არც მე ვარ ციცქნა ბიჭი. რაც შეეხება დასავლეთ კონფერენციას, იგი შეგნებულად ავირჩიე. NBA-ში მეექვსე სეზონს ვთამაშობ და ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ დროა, უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ვცადო ძალა. ვფიქრობ, რომ მზად ვარ მათ წინააღმდეგ თამაშისთვის.

— **NBA-ში თამაშისას რომელ ცენტრს ჩათვლით საუკეთესოდ, ვის წინააღმდეგაც გითამაშიათ?**

— ვისთანაც მითამაშია, ყველაზე მეტად შაკილ ონილისა და ჰაკიმ ოლაჯუონის წინააღმდეგ გამიჭირდა.

— **ამბობენ, რომ თქვენ ექვს ენას ფლობთ...**

— მე ვსაუბრობ ქართულად და რუსულად. ეს ორი სრულიად განსხვავებული ენაა. სანამ ამერიკაში ჩამოვიდოდი, სლოვენიაში ვთამაშობდი და ბუნებრივია, დავუეფლე ბოსნიურ და სლოვენიურ ენებს. ვსაუბრობ ინგლისურად. ამას გარდა, ვიცი გერმანული, თუმცა, არც ისე კარგად, როგორც ის ხუთი ენა...

— **კალათბურთისგან თავისუფალ დროს რითი ხართ დაკავებული?**

— მთავარი გასართობი კითხვა და კომპიუტერთან თამაშია. ვცდილობ, სხვადასხვა პროგრამა ავითვისო და დრო ძირითადად, ამას მიაქვს. ერთი სიტყვით, ჩემი თავისუფალი დრო სხვებისგან განსხვავებული არაა. იმას ვაკეთებ, რასაც სხვები. ადრე მხატვრობითაც ვიყავი გატაცებული. არცთუ ურიგოდ ვხატავდი, მაგრამ ამისთვის ახლა დრო აღარ მრჩება. როცა კალათბურთის თამაშს თავს დავანებებ, მხატვრობას მაშინ დავუბრუნდები.

— **როგორი იქნებოდა თქვენი ცხოვრება, პროფესიონალი კალათბურთელი რომ არ ყოფილიყავით?**

— არცთუ ურიგოდ ვსწავლობდი სკოლაში და ეკონომისტის განათლებაც მივიღე. კალათბურთით რომ არ ვიყო დაკავებული, ბიზნესში წავიდოდი. ვფიქრობ, ჩემი განათლება ბიზნესში წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი გარანტიაა. ისე, ბავშვობისას ჯარისკაცობა მინდოდა. თანაც საომარ თვითმფრინავებზე მქონდა განსაკუთრებული გართულება. რამდენიმე სათამაშო მოდელიც მქონდა...

— **თქვენ პირველი ქართველი კალათბურთელი ხართ, ვინც NBA-ში მოხვდა. რას ნიშნავს ეს თქვენთვის და თვლით თუ არა, რომ ხართ ის პიროვნება, რომელსაც ბავშვებმა უნდა მიბაძონ?**

— ის რომ მე პირველი ქართველი კალათბურთელი ვიყავი NBA-ში, მართლაც ბევრს მავალებდა. იყო სიძნელეები. არავინ მყავდა მაგალითად, ხშირად გაურკვეველ სიტუაციაში ვვარდებოდი. თავად უნდა გადამეწყვიტა ბევრი პრობლემა. უფრო ადვილია, როცა სხვა ადამიანების გაკვალულ გზაზე მიდიხარ. მე ვიყავი პირველი ქართველი კალათბურთელი NBA-ში და ამიტომ უდიდესი პასუხისმგებლობა მქონდა — ჩემს ერს უდიდესი ისტორიული წარსული აქვს. მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები თითოეულ ქართველს ბევრს გვავალებს. ის რომ ჩემმა მაგალითმა ბევრი ბავშვის ოცნებებს გაუშალა ფრთები, მხოლოდ მახარებს. ახლა საქართველოს NBA-ში ჩემ გარდა, ზაზა ფაჩულია და ნიკა ცქიტიშვილიც წარმოადგენენ. მოვლენების ასეთმა განვითარებამ კიდევ უფრო რეალური გახადა ბევრი ბავშვისთვის იფიქროს დიდ კალათბურთზე. თუმცა, ამისთვის უდიდესი შრომაა საჭირო. და თუკი ჩემი შრომით და მიღწეული შედეგით მათთვის სანიმუშო და მისაბაძი ვიქნები, ეს თავად ჩემთვის იქნება დიდი ბედნიერება.

— **რას იტყვით თქვენი თანამემამულეების ზაზა ფაჩულიასა და ნიკა ცქიტიშვილის შესახებ?**

— ნიკა და ზაზა NBA-ს გუნდებში რომ თამაშობენ, კანონზომიერია. მათ ამას დამსახურებულად მიაღწიეს. ნიკა ცქიტიშვილს პირველივე წელს დიდი წნეხის ქვეშ მოუხდა თამაში. მაგრამ ნიკამ ამას გაუძლო და ახლა კარგ ფორვარდად იქცა. ეს კიდევ უფრო დიდ პერსპექტივას უქადის მას. რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, საკმაოდ დამწყდა გული, როცა დრაფტის პირველივე ეტაპზე ვერ გავიდა. არადა, ის ამას იმსახურებდა, შთამბეჭდავი იყო ზაზას პირველივე თამაში და მოხარული ვარ, რომ მისი NBA-სთან ადაპტირებაც მეტად წარმატებულად მიდის. ვფიქრობ, რომ ორივე ქართველი კალათბურთელი უფრო მოუმატებს თამაშს. დარწმუნებული ვარ, რომ ის დონე, რასაც ისინი ამჟერად აჩვენებენ, სრულიადაც არაა მათი შესაძლებლობის მაქსიმუმი.

— **რას იტყვი „პორტლენდის“ მწვრთნელის მორის ჩიკსის შესახებ?**

— ჩიკსი საკმაოდ კარგი მწვრთნელია. მისი მთავარი კოზირი ის გახლავთ, რომ თავად უთამაშია NBA-ში და ბევრ ისეთი ნიუანსს ხვდება უთქმელად, რაც სხვა მწვრთნელისთვის გაუგებარია. მორის ჩიკსი სრულ თავისუფლებას გვაძლევს და შემოქმედებითი კალათბურთის მიმდევარია. მისი დავალებები და რჩევები მეტად სასარგებლოა.

— **რას ელით პირველი სეზონიდან, რომელსაც „პორტლენდთან“ ერთად ატარებთ?**

— „მაიამიდან“ „პორტლენდში“ გადმოსვლა ჩემთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ზაფხულში უგუნდოდ დავრჩი და ამან საკმაოდ დიდ სტრესში ჩამაგდო. თანდათანობით გამოვდივარ სტრესიდან. ახლა მთავარია, რომ შევეგუო ახალ გარემოს, ახალ გუნდს. ერთი სიტყვით, უნდა შევქმნა ის ფონი, სადაც ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმს გამოვავლენ.

# იაშვილი საფრანგეთის ნაკრებში მკვიდრდება

## ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონია



დიმიტრი იაშვილი

დასრულდა მსოფლიო თასის გათამაშება რაგბიში, სადაც ინგლისის ნაკრებმა იმარჯვა. ფინალურ მატჩში მან მეტად დაძაბულ ბრძოლაში შეძლო მასპინძლების, ავსტრალიელების დამარცხება — 20:17. აღსანიშნავია, რომ მატჩის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, რაც რაგბიში საკმაოდ იშვიათი შედეგია.

ავსტრალიაში გამართული რაგბის მსოფლიო ფორუმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის. ისტორიაში პირველად სათამაშო სახეობებში საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებმა თავი ვერაფრით გამოიჩინა და ოთხივე მატჩი წააგო, ქართველის გარეშე მნიშვნელოვან დაპირისპირებას მაინც არ ჩაუვლია. მესამე ადგილისთვის მატჩში საფრანგეთსა და ახალ ზელანდიას შორის, რომელიც ახალი ზელანდიელების გამარჯვებით დასრულდა 40:13, ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა საფრანგეთის ნაკრებში მოასპარეზე ცნობილი ქართველი ემიგრანტის, მიშელ იაშვილის შვილი დიმიტრი გახლდათ. მისი ძმა, გრეგუარი ბორჯღალოსანთა რიგებში ასპარეზობს.

დიმიტრი იაშვილს სამფეროვანთა მწვრთნელებმა ორი მატჩის თამაშის საშუალება მისცეს. ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიმიტრიმ არეკნით გაიტანა ბურთი და თავის გუნდს გამარჯვებაში შეეშველა.

მას შემდეგ, რაც ნახევარფინალში საფრანგეთის ნაკრებმა მარცხი განიცადა ცნობილი მორაგბის მიშალაკის უზუსტო თამაშის შედეგად (მიშალაკმა ოთხი ჯარიმა ააცილა ზედიზედ), ფრანგებმა მეორე დამრტყმელი მერსერონი გამოიყვანეს, მაგრამ ვერც ამ უკანასკნელმა ვერ უშველა საქმეს, ფრანგებმა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ახალი ზელანდიის ნაკრების წინააღმდეგ დამრტყმელად დიმიტრი იაშვილი გამოიყვანეს.

ქართველმა ეს ნდობა გაამართლა და თავი ღირსეულად წარმოაჩინა. იაშვილმა ჯერ საჯარიმოთი შესძლო ანგარიშის შემცირება, შემდეგ არეკნი გაიტანა, ბოლოს კი გარდასახვაც ზუსტად შეასრულა და საფრანგეთის ნაკრების მიერ მოპოვებული 13 ქულიდან 8 ქულა მიითვალა. ორ მატჩში 11 ქულა საკმაოდ კარგი შედეგია სათადარიგო მოთამაშედ მოაზრებული სპორტსმენისთვის.

საგულისხმოა ისიც, რომ სამიოდე წლის წინ, დიმიტრი იაშვილი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში გამოდიოდა.

***გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა***




# ცხოვრებისეული კურიოზები

## როგორ შეგვრჩა პურმარილით სავსე ორი ხურჯინი



ეს მოხდა დიდი ხნის წინათ. უფრო სწორად, კომუნისტების პერიოდში: მირეკავს ჩემი მეგობარი, აწ გარდაცვლილი ზურაბ გუგუშვილი (ღმერთმა აცხონოს მისი სული). იგი წარმოსადეგი, ვაჟკაცური იერის მამაკაცი იყო, ძალზე უყვარდა ქეიფი და ოჯახში მიმიპატიჟა. სუფრას 10-12 კაცი ვუჯექით. როგორც ყოველ გურულს, ზურასაც დიდკაცობა მოსწონდა და ცოტა ტრაბახიც უყვარდა. კარგა შექეიფიანებული ვიყავით, როცა ერთ-ერთმა ნათესავმა ჰკითხა:

— ბატონო ზურაბ, ქვეყანას იცნობ და იპოკრატესაც (შევარდნაძე) ალბათ იცნობ. მით უმეტეს, შენი რაიონიდანაა. ბატონი იპოკრატე ახალი გადაყვანილი იყო პროფტექგანათლების კომიტეტის თავმჯდომარედ.

ზურაბი არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა, — როგორ არა, ძალიან კარგად ვიცნობო.

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე კვირა. ბატონმა ზურაბმა კვლავ დამირეკა და მთხოვა, მისთვის ჩემი სამსახურის ავტომანქანა მეთხოვებინა (იმ პერიოდში ძალიან მოდაში იყო შავი „ვოლგა" გაზ-24). მეც, რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს, ოღონდ ვკითხე, რაში სჭირდებოდა. მიპასუხა, რომ იგი ავტოსადგურში ნათესავს უნდა დახვედროდა და თან დაუმატა: — ბიჭო, ალბათ პურმარილი მოაქვს და შენც წამოდიო.

მართლაც დავხვდით მის ნათესავს. დატვირთული ჩამოვიდა, ბარგი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ჩავალაგეთ საბარგულში და მანქანაში ვჯდებოდით, როცა ზურაბს მისმა ნათესავმა უთხრა:

— ზურიკო, კაცი ხარ ქვეყანაზე და უნდა დამეხმარო, რაცხა ცოტა პურმარილი ჩამოვიტანე, ნახევარი თქვენ შეგარგოთ ღმერთმა და მეორე ნახევარი იპოკრატეს მიართვით, შვილი მყავს სამსახურში მოსაწყობი და ეგება დამეხმაროსო.

ზურაბს ახლა გაახსენდა მისი ნატრაბახები და ნათესავს პირდაპირ მიახალა: — ბიჭო, მე კი ვიცნობ იპოკრატეს, მარა თვითონ რომ არ მიცნობს მეო!..

ამის გამგონე ზურაბის ნათესავი ფერდაკარგული დაგვშორდა... ორი ხურჯინი პურმარილი კი მთლიანად ჩვენ დაგვრჩა...

**ნაზი, თბილისი**

## დრომ მოიტანა...



*მედეა მეზვრიშვილს უთქვამს: — ეს სოციალ-დემოკრატები გამიგია, რაღაც პარტიაა; ეს ბურჯანაძე-დემოკრატები რომ მებრძვის, გამიგია; ეს ნაციონალები გამიგია... მაგრამ ეს გეყო, გეყო რაღააო?!*

*თურმე გეყო... კმარა ყოფილა!..*

**მანანა ჯ., თბილისი**

## შურისძიებაც ამას ჰქვია!..



60-იან წლებში რაიონში გამავალი ამიერკავკასიის სატელეფონო ხაზების ზედამხედველებად ჩვენი თანასოფლელები, ზურაბი და იონა მუშაობდნენ. მათი მოვალეობა იყო შეემოწმებინათ კავშირები, ხაზები გაემართათ და დაზიანების შემთხვევაში აღედგინათ ისინი. ზესტაფონში ერთი პატარა მოსასვენებელი ოთახიც ჰქონდათ. ერთ დღეს, როცა დაღლილ იონას ჩაეძინა, ზურაბმა და მისმა ძმაკაცმა მისი გამასხარავება მოინდომეს. მძინარე იონა საწოლზე მიაბეს. შემდეგ ფეხებზე მიუერთეს მავთულები იმ დეტექტორიდან, რომელიც დენს გამოყოფდა, რათა ხაზი შეემოწმებინათ. დენი იმ სიმძლავრისა არ იყო, ადამიანისთვის ზიანი მიეყენებინა, მაგრამ კარგად კი შეაფუცხუნებდა. მძინარეს მეტი არც სჭირდებოდა. მავთულის შეხებაზე იონას გამოეღვიძა, მაგრამ საწოლზე იყო მიბმული და წამოხტომა ვერ შეძლო. საწყალი, საწოლიანად ხტუნაობდა, მისი მეგობრები კი სიცილით იგუდებოდნენ. შემდეგ მათ იონაც აჰყვა. ზურაბს კი დაემუქრა, — ხომ მაჯობე, მაგრამ არ შეგარჩენ, იცოდე, სამაგიეროს გადაგიხდიო.

დრო გავიდა. ეს ამბავი ყველას დაავიწყდა იონას გარდა, რომელიც შესაფერის დროს ეძებდა სამაგიეროს გადასახდელად.

...ზურაბს დედა კარგა ხნის გარდაცვლილი ჰყავდა და ერთ დღეს იონას უთხრა, ამ დღეებში არ მეცლება, სასაფლაოს ღობე ხელახლა უნდა შევღებოო. იონას მეტი რა უნდოდა... კარგი, შენს საქმეს აქ მე გავაკეთებო, — შეჰპირდა...

დილით ადრე ადგა და მეგობრის მისვლამდე მივიდა სასაფლაოზე, იქვე, ზურაბის დედის საფლავის მახლობლად ახალ საფლავზე დაყრილ გვირგვინებსა და ყვავილებს შორის ჩაწვა. მალე ზურაბიც მოვიდა და ღობის შეღებვას შეუდგა. უცებ თვალი ახალი საფლავისკენ გაექცა, იონამ ეს შენიშნა და შეინძრა ისე, თითქოს რაღაც სუნთქავსო, ოდნავ შესამჩნევად აამოძრავა გვირგვინები და ყვავილები. ზურაბმა იფიქრა, მომეჩვენაო, თვალებზე ხელი მოისვა და საქმიანობა განაგრძო. თავს საგანგებოდ არ აბრუნებდა და რომ გამხნევებულიყო, თითქოს აქ არაფერიო, სტვენაც დაიწყო. მაგრამ ცოტა ხანში გულმა ვერ მოუთმინა და თვალი კვლავ ახალი საფლავისკენ გააპარა. იონამ როგორც კი ეს შეამჩნია, გვირგვინებიდან ხელი გამოყო და ყვავილების აწევა დაიწყო. ამის დანახვაზე ზურაბს თმა ყალყზე დაუდგა. საღებავიანი ფუნჯი ძირს დაანარცხა, გასასვლელი არც უძებნია, — საფლავების ღობეებს გადაევლო და ყვირილით გაექანა სოფლისკენ, მიცვალებული მომდევსო. იონა მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და გაეკიდა ყვირილით, — მე ვარ, იონა ვარო... საწყალი ზურაბი ამის დანახვაზე კიდევ უფრო დაფრთხა. შინ აქოშინებულმა მიირბინა. ისე იყო შეშინებული, მეზობლებმა ძლივს გააჩერეს და გააგებინეს, იონა გეხუმრაო. ისეთი შოკი მიიღო, ზურაბი ერთი თვე მოუნდა აზრზე მოსვლას...

**როლანდ ჩხიკვაძე, თბილისი**

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



— რეზიკო, მამაშენი სად მუშაობს?! — ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეს.

— პარლამენტში, მასწ.!

ბავშვებმა სიცილი დაიწყეს.

— რას დასცინით, მამამისია პარლამენტში, თვითონ ხომ არა, — გაიფოფრა მასწავლებელი.

**პაატა, ხაშური**



— გაიგე? წუხელ ჩვენი გამგებელი გაუძარცვავთ, 50 ათასი წაურთმევიათ და არ უჩივლია!

— უჩივლია კი არა, კიდევ 30 ათასი მეორე დღეს გაუგზავნია, არ გამამხილოთო!

**შალვა ლომიაშვილი, კასპის რაიონი, სოფელი მეტეხი**

სვანს ასამართლებენ:

— მოახსენეთ სასამართლოს, რატომ გაიტაცეთ ეს ავტომანქანა?

— უპატრონო მეგონა, სასაფლაოსთან იდგა და... მე ვთქვი, პატრონი მოუკვდა-თქო.

**„უცნობი" ქარელიდან**





გურულები წყალტუბოში ჩავიდნენ სამკურნალოდ. ერთ-ერთმა მოასწრო დანარჩენებს გახდა და აუზში ფეხი ჩაყო.

— მოგიხთა? — მისცვივდნენ დანარჩენები.

**შოთიკო ტყეშელაშვილი, ქუთაისი**

სვანი ავტოსკოლაში გამოცდას აბარებს:

— თქვენ მართავთ მოძრავ ავტოტრანსპორტს. წინ მოულოდნელად ხედავთ ადამიანებს: აქეთ მოხუცია, იქით — გოგონა, რას გააკეთებთ?

— აბა, რა ვქნა, დავარტყამ მოხუცს! — არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა სვანმა.

— მოხუცს კი არა, მუხრუჭი დაარტყი, მუხრუჭი!..

**თემურ ტუღუში, ჩოხატაური**



მიხომ სიდედრი მიიყვანა ექიმთან. ექიმი ურჩევს:

— ავადმყოფს კალორიული კვება სჭირდება, ხიზილალა უნდა აჭამოთ!..

— ხიზილალა კი ჩამავიტანე რუსეთიდან, მაგრამ მერე ქელეხზე რაღა ვქნა?!

**თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი**



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## მილოცვა

*ჩვენს გულთბილ მეგობარს, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკს*

**გურამ წერეთელს!**



გილოცავთ, „ჭალარა ვეფხვო“, წმინდა გიორგობასა და დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სურვილების ასრულებას გისურვებთ. მალე გვენახო ჩვენი სამშობლოს გაბრწყინებით გახარებული. მტრების დათრგუნვასაც გისურვებთ. ლამაზად გევლოს შენს ლამაზ ოჯახთან ერთად (ჩვენს მხარდამხარ).

*შენი მეგობრები*

**იურკა ცინცაძეს!**

შენ უკვე თექვსმეტი წლის ხარ, ჩემო ბიჭო... დღეს შენი დაბადების დღეა, 21 ნოემბერი – უბედნიერესი დღე ჩემს ცხოვრებაში...

ღმერთო, რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შემძლებოდა, დღესაც პირველი შემოვსულიყავი შენს ოთახში, პირველს მომელოცა თექვსმეტი წლისთავი შენთვის.

მაგრამ უკვე სამი წელია, იძულებული ვარ, შორეული საბერძნეთიდან მოგილოცო და აქედან ვილოცო შენი ბედნიერებისა და სიხარულისთვის. ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო საამაყო ბიჭო, სიკეთითა და ღირსებით გატარო ცხოვრების გზაზე.

*შენი მოსიყვარულე ბებო ჟუჟუნა*



**ანა საგინაშვილს!**

შენ მძიმე ტვირთი გაქვს მხრებზე მოკიდებული, ოცნებობ, ნამდვილი ექიმი იყო. სულ გვერდით მიგულე, ჩემო ანგელოზო. იმ ტვირთის სიმძიმემ დაგღალოს ვინძლო! გილოცავ დაბადების დღეს.

*დედა*

**სოსიკო სუმბაძეს!**



ჩვენო საყვარელო, პატარა ვაჟკაცო! გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და სიყვარულს, წინაპართა ტრადიციების გამგრძელებელი, ჩვენი ერისთვის სასახელო, საამაყო ბიჭი გაზრდილიყავი.

*დიდი სიყვარულით, შენი ენგული ბაბუა და ლალი ბებო*

## მადლობა

სიკეთის წილ სამადლობელო სიტყვები მინდა ვუთხრა წყნეთის აგარაკების სამმართველოს დირექტორს ბატონ **რამაზ ჩხაიძეს** და მის კოლექტივს იმ დიდი თანადგომისათვის, რაც მან გამოიჩინა დევნილებისადმი იმ ძნელბედობის ჟამიდან დღემდე. ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ერს თქვენებრ გულისხმიერი ადამიანები.

*პატივისცემით, დევნილი აფხაზეთიდან ენგული იობაძე*

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

კომპანია აწარმოებს თანამშრომელთა შერჩევას. ანაზღაურება – სტაბილური. აუცილებელია უ/გ, სასურველია რუსული ენის ცოდნა. ასაკი – 25-დან 45 წლამდე. ტელ: 96-72-10. ნანა

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 37-86-15; 893 33-18-86

ორგანიზაცია მიიღებს სამსახურში – მენეჯერის თანამდებობაზე პასუხისმგებელ პირს, უ/გ, 35-45 წლამდე. ჩაწერა გასაუბრებით. ტელ: 64-63-40; 893 28-25-59

პრესტიჟული მაღაზია სამუშაოდ იწვევს 30 წლამდე ასაკის მომხიბვლელ გოგონებს კონსულტანტის თანამდებობაზე. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შუამავლის (დასაქმების ცენტრების) გარეშე: 37-30-19 (12-17 სთ)

სასწრაფოდ! მეწარმეს რუსეთიდან ესაჭიროება რუსული ენის მცოდნე პირები, საქმის საწარმოებლად კავკასიაში. ტელ: 893 92-30-29

## მომსახურება

დაბალ ფასში გთავაზობთ პიანინოსა და როიალის აწყობას, შეკეთებას. ბავშვთა სახლებს, საბავშვო ბაღებსა და ობოლ ბავშვებს ვემსახურებით უფასოდ. ტელ: 79-71-81 (მალხაზი)

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულების შალითების შეცვლა-აღდგენას; სკამების მატრასების გარემონტება-დარბილებას. ვღებავ ტყავის სამეულებს. ტელ: 95-97-12; 893 24-94-40. ვალერი

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03.

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს: უნებლიე შარდვას, ყურებში შუილს, პროსტატიტს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ჰეპატოქოლეცისტიტს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს, აშორებს მეჭეჭებს; სექსუალური დარღვევა; ელექტროკარდიოგრამა; ექოსკოპია; სქესის დადგენა. მის: ალმაშენებლის გამზ. №93 (მ. „მარჯანიშვილთან“). ტელ: 96-38-27

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი („დისკის ამოვარდნა“) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილების დაგროვება), პოდაგრა, სკოლიოზი. მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან“, ც. დადიანის №87), კაბ. №11, 15-18 სთ. ტ: 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი მ. ალექსიშვილი

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბერს თბილისში იხსნება წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) სახელობის საშუალო სკოლა. სწავლება წარიმართება ტიპური სასკოლო პროგრამით. დამატებით შეისწავლება საღვთო სჯული, ქრისტიანული ხელოვნება (თეორიული და პრაქტიკული კურსი), უცხო ენები მოთხოვნილების მიხედვით. გათვალისწინებულა მოსწავლეთა სტანდარტს ზევით მომსახურება: ტრანსპორტირება, კვება, სპორტი (ცურვა, ფეხბურთი, ჩოგბურთი), გალობა, ცეკვა და სხვ. მიიღებიან მოსწავლეები I-დან XI კლასების ჩათვლით. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 74. ტელ: 29-91-18; 8-99-74-80-10; 8-99-14-22-16

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

დავამთავრე თსუ. მიღებული მაქვს FCE. მოვამზადებ მსურველებს ინგლისურში (მაქვს ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება). საბურთალოს ტერიტორიაზე ბინაზე მისვლით, 8 გაკვეთილი – $20. ტელ: 37-70-51; 893 31-04-73

ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტდამთავრებული სპეციალისტი მოამზადებს მსურველებს ინგლისურში. 8 გაკვეთილი – $20. ტელ: 38-19-25; 899 74-80-96

## იყიდება

სუფთა სისხლის კავკასიური ნაგაზის ლეკვები, სიმბას შვილიშვილები. ფასი – $300. ტელ: 899 50-48-61

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

ლითონის „აპალოვკა“, 110 ცალი ბჯენით. ზომები: 60X120; 50X120; 40X120; 30X120. სულ – 160 კვმ. ტელ: 24-00-00; 899 96-43-49

ორგანიზაცია ყიდის დასასვენებელ სახლებს (ყოფილ პიონერულ ბანაკებს): 1) გორის რაიონის სოფ. ბობნევში (ატენის ხეობა) შენობა 100 საწოლ-ადგილზე, დამოუკიდებელი სასადილო ბლოკითა და ადმინისტრაციული კორპუსით. განთავსებულია მდინარე ტანას ნაპირზე და უკავია 1,5 ჰა განაშენიანებული მიწის ნაკვეთი; 2) თიანეთის რაიონული ცენტრიდან 2კმ დაშორებით (სოფ. ხაწირი) 50 საწოლ-ადგილზე, რომელიც შემოფარგლულია წიწვოვანი ტყე-პარკით და უკავია 2000 კვმ ტერიტორია. შენობა ორსართულიანია, კაპიტალური, აგარაკის ტიპის, მაგრამ გაძარცულია (მოხსნილია კარ-ფანჯრები); 3) თელავის რაიონის სოფ. ფშაველში (თელავიდან 12 კმ) ორსართულიანი შენობა 150 საწოლ-ადგილზე, სასადილო ბლოკით, არტეზიული ჭით და 1,5 ჰა განაშენიანებული ეზოთი. ტელ: 38-95-62; 38-05-77

## სხვადასხვა

შპს „ნათიას“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ დარეკონ: 877 71-87-84; 899 10-37-50.

*შპს „ნათიას“ დირექტორი ნათელა ზერეკიძე*

მიმდინარე წლის დეკემბერში თბილისის ერთ-ერთ კინოთეატრში ნაჩვენები იქნება უნიკალური დოკუმენტური ფილმი (დასწრება უფასოა). კონკრეტული სივრცობრივ-დროითი კოორდინატები მოგვიანებით ეცნობება 15-დან 35 წლამდე ასაკის იმ ადამიანებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან „ტესტ-მოსაწვევს“. „ტესტი“ გელოდებათ „წიგნის სახლში“ ან „პარნასში“.


რას გადაიხდით საკუთარ წარმატებაში?




რეკლამა „სიტყვა და საქმეში“

5 გამოქვეყნება -20%
10 გამოქვეყნება -25%
15 გამოქვეყნება -30%
20 გამოქვეყნება -35%
25 გამოქვეყნება -40%
30 გამოქვეყნება -45%
35 გამოქვეყნება -50% + უფასო დამზადება

☎ 33-78-07

გაზარდეთ თქვენი შესაძლებლობები!



პირის ღრუს ჰიგიენური ნორმების დაცვა ხშირად საკმარისი არ არის ინფექციურ-ანთებითი დაავადებისგან თავდასაცავად. მოსახლეობის ფართო ფენებში მეტად გავრცელებულია პირის ღრუს ლორწოვანის ანთება, ღრძილების შეშუპება, შეწითლება, სისხლდენა, სპეციფიური სუნი პირის ღრუში. ეს პაროდონტოზის პირველი ნიშნებია. რთულ შემთხვევებში შესაძლებელია კბილების მორყევა და დაკარგვა.

პაროდონტოზის სამკურნალოდ სტომატოლოგები პირის ღრუს სავლების გამოყენებას გვირჩევენ. სხვადასხვა ქიმიური მადეზინფიცირებელი საშუალებები იწვევენ პირის ღრუს მიკროფლორის დარღვევას და ლორწოვანის გამოშრობას.

შვეიცარული კომპანია "პოლმედის" მიერ შექმნილი უნივერსალური სავლები "კერნოსანი" - 14 საგანგებოდ შერჩეული მცენარის ექსტრაქტის კომბინაციას წარმოადგენს. მისი დამზადების პრინციპი ხალხური მედიცინის გამოცდილებასა და ალპების მცენარეთა ექსტრაქტების სინერგულ მოქმედებას ეყრდნობა.



კერნოსანი — ამაგრებს ღრძილებს, ახდენს ყელისა და პირის ღრუს დეზინფექციას

სერტიფიცირებულია

მისი გამოყენება რეკომენდებულია: პაროდონტოზის, წყლულოვანი სტომატიტის, სოკოვანი დაავადების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების, ღრძილებიდან სისხლდენის, კბილის ამოღების, კბილებიდან ქვების მოცილების, ასევე პროთეზით გამოწვეული გაღიზიანების დროს.

კერნოსანის კონცენტრანტი ხავდება 10-20 წვეთი თბილ წყალში თანაფარდობით 1/10 ან 1/5. გამოიყენება 2-3ჯერ 1-2 წუთის განმავლობაში პირის ღრუში გამოსავლებად.

კერნოსანის მოქმედების კლინიკურ შედეგებზე დაყრდნობით, ღრძილებიდან სისხლდენის შეჩერებისა და შეშუპების ჩაქრობა აღინიშნება 12 ან 36 საათის შემდეგ, შესაბამისად მსუბუქი და საშუალო სიმძიმის პაროდონტოზის დროს. მკურნალობის კურსი შეადგენს 10 დღეს, რის შემდეგაც საჭიროა კურსის განმეორება 10 დღიანი ინტერვალით.

ნატურალურ კომპონენტებზე დამზადებული პრეპარატი გვერდითი მოვლენების გარეშე უსაფრთხოა ბავშვების, ორსულებისა და მეძუძური დედებისათვის.

PSP - ჩემი ოჯახის აფთიაქი

მწარმოებელი „პოლმედი“ (POLMED) შვეიცარია



სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი“

მეზოთერაპია გზა მშვენიერებისაკენ

ნაოჭების გასწორება
ტერების კორექცია
მეზოთერაპია
მკერდის კორექცია
კონტურული მაკიაჟი
ეპილაცია
ყურების კორექცია
ლეტიკაგერითი ლიპოსაქცია

- ცელულიტის მკურნალობა;
- აკნეს და კანზე არსებული სხვა გამონაყარის მკურნალობა;
- სტრიების კორექცია;
- კანის ფერის, ტონუსისა და ტურგორის გაუმჯობესება;
- ნაოჭების გასწორება და სახის ოვალის აღდგენა;
- პიგმენტური ლაქების მოცილება.

კოსტავას 63, ტელ: 212-312, 364-464

## დათო აროშიძის მონატრება



სულ რაღაც ხუთი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, მაგრამ უკვე გვენატრები, ჩვენო დათო. ამ ქვეყნიდან შენი მოულოდნელი წასვლით ყველას დასწყვიტე გული. არ ვიცი, როგორ ვანუგეშოთ შენი მშობლები, მეუღლე, შვილები, ახლობლები. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი ლამაზი სული.

*შენი დათო და მარინა აროშიძეები*

## მერაბ შაყულაშვილო, შენი დაბადების დღეა!



*სად მოვილოცო დაბადების დღე,*
*ვის მოვახვიო ჩემი დარდები,*
*ვაი იმ დედას, შვილის საფლავზე,*
*ვისაც კი მიაქვს შავი ვარდები!*

22 ნოემბერი მოვიდა, შვილო. ახლა 28 წლის, ჩემთვის კი – მარად 25 წლის ხარ.

წამით, ერთი წამითაც არ სცილდები დედაშენს, დღისით აჩრდილივით დამყვები, ხანდახან სუნთქვაც კი მესმის შენი, შვილო, ღამით კი გელი, ისევ და ისევ გელოდები, მერაბ. თურმე დედის გული ვერასოდეს დაუშვებს შვილის შინმოუსვლელობას და ამ უაზრო ლოდინში მითენდება, ფოთლების შრიალი შენი ფეხის ხმა მგონია, მერაბ. ნუღარ მტანჯავ, წამიყვანე, შენ მაგივრად როდემდე ვეფერო ცივ ქვებსა და შავ მიწას?! არ ჰქონია ღმერთს სამართალი, შენს გასაკეთებელს მე რად უნდა ვაკეთებდე, რად? მე რად უნდა გინთებდე სანთლებს?! – აკი, ეს შენ უნდა გაგეკეთებინა დედაშენისათვის, შვილო!

ყველაფერი გაუფერულდა, აზრი დაეკარგა ყველაფერს, გამანადგურა უშენობამ, შვილო – ფიქრი იმაზე, თუ რას განიცდიდი უკანასკნელ წუთებში, ვის უხმობდი საშველად (ალბათ დედას) და რა იყო შენი უკანასკნელი სიტყვები ვაკე-საბურთალოს გზაზე, როცა ბედისწერამ მარტოდმარტო, იმ საშინელ ავტოავარიას გამსხვერპლა, ერთი წამითაც არ მცილდება. იქნებ შეგვეძლო გადარჩენა, მაგრამ სად იყო უბედური დედაშენი, სად? მთავარ „გმირს“ კი შენს საშველად არაფერი უღონია, შენს გადარჩენაზე არც უფიქრია. ღმერთმა განსაჯოს საქციელი მისი.

ჩემს მტანჯველ ფიქრებს ერთ დასკვნამდე მივყავარ, მერაბ, – შენ შენი ხიფათიანი ყოფით ჩვენსა და იმ სამყაროს შორის ცხოვრობდი, ამ ხიფათით სავსე 25 წლის მანძილზე და მაინც მიკვირს, რომ უშენოდ სიცოცხლეს შევძლებდი, შვილო, მაგრამ გწამდეს, მერაბ: ვიდრე დედაშენს ეს გამწარებული და ნაცრადქცეული გული უფეთქავს, კვლავაც ყოველდღე ივლის შენს სასუფეველში, ისევ მოეფერება შენ მაგივრად ცივ ქვებსა და შავ მიწას, არ მოგაკლებს ცოცხალ ყვავილებს და სანთელ-საკმეველს (და ალბათ ეს მოვალეობა მაძლებინებს სწორედ).

შენ შენი სახელობის წყარო უკვდავგყოფს, „მერაბის წყარო“ იდინებს, საუკუნეებს გაუძლებს, შენი ახლობლებისა და საძმაკაცოს გულებში კი მუდმივად იქნება მერაბის სახელი. შენ მართლა ყველგან იქნები მერაბი!

*შენი უბედური მშობლები*

*ჩემს დაბადების დღეს ცრემლი არ მინდა,*
*მხოლოდ სიცილი მაჩუქე, დედა,*
*შენ ხომ ჩემს სურვილებს უჩუმრად ასრულებდი,*
*დღესაც შემისრულე ეს თხოვნა, დედა!*
*ისეთი შემართებით იყავი ყოველთვის,*
*როგორიც დაგტოვე შენ, ჩემო დედა,*
*გაივლის წლები, წლები მრავალი*
*და კვლავ სულ ერთად ვიქნებით, დედა!*

*შენი მერაბი*

## ზაზა ქებურიას გახსენება

ო, როგორი ქარი იყო იმ დღეს!



არასოდეს მახსოვს ქარი ასეთი. ქარის გააფთრებულ ქროლვაში შენთან განშორების სევდას ვისმენდი და გული მიკვდებოდა, რომ ვერასოდეს გნახავდი.

რა მოულოდნელი იყო ჩვენთვის შენი ამ ქვეყნიდან ასე ნაადრევად წასვლა, ან შენ რას იფიქრებდი, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსეს თუ ასე არაკაცურად, ლაჩრულად, ტყვიით მოგისწრაფავდნენ სიცოცხლეს. არ გაპატიეს სიკარგე, შეშურდათ ჩვენი ბედნიერების. უფალი მიუზღავს მათ, მაგრამ...

შენ სულ ახალგაზრდამ – 22 წლისამ დატოვე ეს ქვეყანა, მე კი სამუდამოდ სიცოცხლემოძულებული დამტოვე ამ ცოდვილ მიწაზე. ერთი გაუსაძლისი წელიწადი გავიდა უშენოდ, ახლა უფრო უსაშველოდ მენატრები, გულის ტკივილამდე მაკლიხარ, ეს დანაკლისი კი ისეთი მწარეა, რომ სიცოცხლის არარაობაში ვრწმუნდები და შენთან სწრაფად მოსვლას ვნატრობ.

შეუძლებელია, შენ რომ აღარ ხარ, მაგრამ ვაი, რომ ეს სიმართლეა, მწარე სიმართლე. გული მეკუმშება, შვილო, რეალობა გაუსაძლისი ხდება, წარსული ლამაზ სიზმრად მეჩვენება და გაუთავებლად ვიხსენებ იმ მშვენიერ წუთებს, რომელიც უამრავი დაგვიტოვე.

ამაყი იყავი, დაუდეგარი, მშფოთვარე, საოცრად კეთილი და ჭკვიანი. შენ ხომ ლაღი, თავისუფალი, ლამაზი და აზრიანი ცხოვრებისათვის იყავი გაჩენილი. გარშემომყოფთათვის მუდამ კეთილი და ამავე დროს, დიდი სიყვარულის მომთხოვნი იყავი.

უსაზღვროდ მენატრები. ვერაფრით ვავსებ იმ სიცარიელეს, რომელიც შენ დამიტოვე. ვერ შევძლებ, ვერა, ასე ცხოვრებას. მთლად გამოვიფიტე, გამოვცარიელდი, ვერაფერს ვგრძნობ. სადღაა შენი „ლამაზი და ამაყი დედიკო“, მისგან აჩრდილიღა დარჩა, რომელი აჩრდილიც დღედაღამ შენს საფლავს ელოლიავება, შენს ყვავილებს ეფერება და უვლის. ერთადერთი ჩემი მოსასვენებელი ადგილი ხომ შენი საფლავია, ჩემი უდიდესი და უწმინდესი ეკლესია, რომელი ეკლესიიდანაც, რომ არა შენი შვილი, არასოდეს მოვბრუნდებოდი. იქ დავალამებდი, იქ მომისწრებდა გათენებაც და ალბათ ერთ „ბედნიერ“ დღესაც, „ოთარაანთ ქვრივივით“ შენს საფლავზე დამხობილს, ჩახუტებულსა და გაცივებულს მიპოვიდნენ.

ზაზა, შვილო! როგორ მენატრები, როგორ მენატრება შენი სახელის ხმამაღლა დაძახება, როგორ მენატრება შენი მოხვევა, ჩახუტება შენი ტანაშოლტილი სხეულისა. როგორ მინდა გითხრა, თუ როგორ ძალიან მიყვარხარ, ჩემო გიჟო, ამაყო და საყვარელო ბიჭო და თუნდაც იმწუთას შეწყდეს ჩემი გაძაღლებული სიცოცხლე. იმედია, შენი ლამაზი სიცოცხლე შენს ქალიშვილში აკაშკაშდება.

*შენს სითბოსა და სიყვარულს დანატრებული უბედური დედა!*

## ზაზა ქებურიას ხსოვნას!



რა ხანმოკლე ყოფილა ეს წუთისოფელი, ძმაო, შენთვის. ამ მოკლე დროში რამდენი სიყვარული და კაცობა დათესე ირგვლივ. ვერაფრით ამოვივსებთ იმ სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია. შენ უკვდავი ხარ ჩვენთვის. შენი სიცოცხლე გრძელდება შენს ნანატრ გოგონაში, ქრისტინაში. გვიყვარხარ ზაზა, ძმაო, გვენატრები.

დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*დეიდაშვილები: მაიკო და ჯუანშერ ჩიქოვანები*

ზაზუნა, ბიჭო! შენი უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე ხიდან მოწყვეტილ, მოფარფატზე ფოთოლს ჰგავს. თითქოს შენ მარადიული სიჭაბუკე გარგუნა ბედმა, ჩვენ კი უდიდესი ტკივილი შენი დაკარგვისა.

ლამაზი იყავ და სულიც ლამაზი გქონდა. ჩვენ ახლა ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი ლამაზი სულისთვის, რათა ნათელი გედგას სამუდამო სასუფეველში.

*დეიდაშვილები: ჯუნა, ოთარ სირაძეები*

გადის საშინელი, ტკივილიანი წელი. მძიმეა უშენობა, შვილო ზაზა! თურმე დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი. დიდი ტკივილი დაგვიტოვე ყველას. არ გვჯერა, რომ აღარასოდეს შემოიტან შენი დეიდაშვილების ოჯახში სიცოცხლესა და სიხარულს. უსაშველოდ ტკივილიანია უშენობა, შვილო და გაუსაძლისი, შენი გაუბედურებული დედ-მამისათვის ტანჯული ყოფა უშენოდ. გაიყინა, ბიჭო, დედაშენის ცხოვრება. რა ძნელია უღელჩატეხილი ნინოს დაქვრივება, შენი ქრისტინასათვის უმამობა. არ დაგინდო გარეწრის ტყვიამ. ფრთებჩამოტეხილი დატოვე შენი დები, სიძეები, დეიდაშვილები. გამორჩეული იყავი ყველასგან, ღმერთსაც ხომ რჩეულები უყვარს?!

ვთხოვ ღმერთს, ნათელში მიმყოფოს შენი სპეტაკი სული. შენს სახელზე დანთებულმა სანთელმა და ლოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

*დეიდა ზაირა გახარია*

## დათო კვიჭიძის და მერი ტყებუჩავა-კვიჭიძის გახსენება

23 ნოემბერს შენი დაბადების დღეა, ჩვენო დიდო ტკივილო, დათუჩა!





23 ნოემბერს 21 წლის გახდებოდი, მაგრამ ჩვენთვის ისევ იმ 17 წლის ხუჭუჭა ბიჭად დარჩი მარად. უზომოდ გვენატრები. ძალიან მძიმე და მწარეა შენზე ფიქრი და ლაპარაკი წარსულ დროში. შენ სიცოცხლით გაუმაძღარო და სიყვარულს მოწყურებულო, ჩვენო ლამაზო დათო, წახვედი ასე ტრაგიკულად და 2 წლის შემდეგ შენი საყვარელი ბებია – „ბე“ წაიყვანე შენთან. ალბათ ძალიან გიჭირდა იქ მარტოს. მერი ბებიამაც აისრულა 2 წლის მოთქმითა და ტირილით თავისი ოცნება შენთან შეხვედრისა. ახლა ორივემ ერთად ილოცეთ ჩვენთვის, პატარა იაკობისთვის, რომელმაც მხოლოდ სურათებით იცის, ვინ არის თავისი ძმა დათო და მერი ბებია.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში გამყოფოთ. ძალიან გვაკლიხართ და ძალიან გვენატრებით.

*იაშა, ლევანი, ნინო, იაკობი, მურმანი, რუსუდანი, ზვიადი, გიორგი*

## ეთერ მინდორაშვილის მონატრება

გავიდა ერთი მწარე და ტკივილიანი წელი, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ, რაც აღარ გვესმის შენი ტკბილი ხმა. დრო მკურნალიაო, – მაგრამ პირიქით, უშენობა უსაშველო ტკივილია, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს. ჩვენ ახლა უფრო ვხვდებით, რომ შენგან მოყენებულ ტკივილსა და დამწვარ გულს, გულს, რომელიც შენ გეკუთვნის, ვერაფერი მოაშუშებს. ვნატრობთ იმ ბედნიერ დღეებს, რომელიც შენთან ერთად გავატარეთ.



ვერაფერი ამოავსებს სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, გავუძლოთ უსაშველო მონატრებას და იარას, რომელიც არასოდეს მოშუშდება. შენს მონატრებაში უნდა განვვლოთ დარჩენილი წუთისოფელი. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები შენს შვილებსა და მეუღლეს, გვაკლია და გვენატრება მთავარი – თბილი და შვილებისათვის თავდადებული დედა.

დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ და შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში. გვჯერა, შენი ლამაზი სული მარადიული და უკვდავია, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

ილოცე შენი ობლებისათვის.

*შენს სიყვარულს მონატრებული – შვილები და მეუღლე*

## დათო გოგოლიძის გახსენება



*მიდის წლები...*
*მიდის, აბა რას იზამს,*
*დედ-მამის გული ძველებურად ტირის...*
*ტირის, აბა, დედამ სხვა ქნას,*
*აღარა ჰყავს სანატრელი შვილი.*

დღეს შენი დაბადების დღეა, 43-ის უნდა გამხდარიყავი. მეოთხე დაბადების დღეა, შენ მაგივრად შენს სურათს ვეფერები. ვერაფერი მივსებს უშენობის სიცარიელეს, ძალიან მენატრები, ჩემო ლამაზო ბიჭო. მოთმინებით ველოდები იმ დღეს, როცა უფალი ინებებს და შენთან შემახვედრებს. მერე კი სულ ერთად ვიქნებით, ჩემო გაუხარელო და დედ-მამისა და ერთადერთი დის გულის მომკვლელო შვილო.

*შენზე მლოცველი და – მზია და შენით უბედური მშობლები*

## სოფო პეტრიაშვილის მონატრება



უკვე ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ. შემოდგომის იმ ცივ ღამეს ტკივილის ქარიშხალი მოაწყდა გაბზარული სულის კედლებს და სრულიად ჩამობნელდა ჩვენთვის, სამუდამო დაღი დაესვა ჩვენს ცხოვრებას.

თვალცრემლიანი შენი მშობლები კვლავ და კვლავ მივჩერებივართ შენს სურათებს, ოთახის ყველა კუთხიდან რომ იმზირება... შენი სურათებიდან ისეთივე სითბო და სიკეთე ჩქეფს, როგორიც გჩვეოდა.

ცრემლი და დარდი გახდა ჩვენი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი... ვიხსენებთ იმ ბედნიერ წლებს, როცა შენით ვხარობდით. შენ ხომ სიცოცხლე გიყვარდა, ცხოვრებას შეხაროდი, მომავალი მიმზიდველ ფერებში გეხატებოდა, ოცნებობდი, მსახიობი გამხდარიყავი. შენს ლამაზ სხეულში ლამაზი სული ცხოვრობდა მართლაც!

გვენატრები, ძალიან გვენატრები, ჩვენო სოფო! არ გვჯერა, მაგრამ ვხედავთ, რომ ეს მონატრება მწარე და ტკივილიანია.

რატომ? რისთვის? – ასეთია შენი მშობლების მუდმივად აკვიატებული ფიქრი. ჩვენი სიცოცხლე სასჯელია ამქვეყნად მხოლოდ.

შვილო სოფო, განა შენ არ გინდოდა სიცოცხლე?! – რამდენი აუხდენელი ოცნება წაიღე თან და წახვედი. ამქვეყნიური სიცოცხლის ძებნაში იმქვეყნიური მარადისობა გვხვდა წილად.

შენ დატოვე უკუღმართი წუთისოფელი, შენი მშობლები, მეგობრები, ნათესავები, შენთვის აღარც მზე გაანათებს, აღარც მოთოვს და აღარც მოწვიმს, მაგრამ დაემკვიდრები იმ უბედნიერეს ადგილას, რომელსაც მართალთა სასუფეველი ჰქვია და სადაც მხოლოდ რჩეულნი განისვენებენ.

გვენატრები, გვიყვარხარ, გეფერებით. ნათელი ეფინოს შენს ლამაზ, კეთილ, უმანკო სულს, შვილო სოფო!

*შენი მშობლები*

## ლევან პაპუაშვილის მონატრება



როგორ მოგვენატრე, ლევან, რა საოცრად დააკლდი ახალციხეს, უზადო გარეგნობის, ღიმილიანი ბიჭი. ალბათ სულ გამოილია მადლი დედამიწაზე, ზეცაში რომ გიხმობთ უფალი თავის რჩეულებს. შენ ბევრჯერ დაამარცხე სიკვდილი, ისე ლამაზად თამაშობდი ჩამქრალ სიცოცხლეს სცენაზე. რეალობაშიც იმძლავრე მასზე, რადგან ძალზე ლამაზად წახვედი დედამიწიდან „მესხეთის კუკარაჩა“, სიჭაბუკის გარიჟრაჟზე ლექსებით გამოეთხოვე გაზაფხულივით ლამაზ სიცოცხლეს.

შენი მშობლების სიკეთე გზის მანათობელ ლამპრად გაგყავდა სასუფეველში, სადაც მხოლოდ „მართალნი განისვენებენ“. შენ მიერ განვლილი მოკლე, მაგრამ მართალი და ლამაზი გზა წუთისოფელში არდავიწყების შარავანდედით შემოსავს შენს უკვდავ სახელს.

*თამუნა, შორენა*

## გივი ბეგიაშვილის გახსენება



გივი, 19 ნოემბერი – ეს ხომ შენი დაბადების და გარდაცვალების დღეა. ვაი, რომ პირველად, შენ გარეშე, ტკივილით აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი გარდაცვალება. 61 წელი – ეს ხომ არც ისე დიდი ასაკია. ვერ ვეგუებით შენი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლას, შენს მეუღლეს კი ვერავინ და ვერაფერი ამოუვსებს იმ სიცარიელეს, რომელიც უშენობითაა გამოწვეული. გვიყვარხარ და გვენატრები. ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

## ირა (ირინა) მატინოვი-ხომერიკის გახსენება



*...სიკვდილი ყველაფერს აჩერებს ამქვეყნად.*
*დუმილი მწარე, ტკივილით სავსე წამები...*

ირა, ცრემლით დატბორილი გული შენი მონატრებით დანისლულა. როგორ მოვიჩქაროდი შენკენ, გულში რომ ჩაგხუტებოდი, ირინა. არ დამელოდე...

წმინდა გიორგის დღეს, 23 ნოემბერს, შენც მიძინებული შემხვდი, ზეცაში აფრინდი. ოჯახის დედაბოძი, ორი შვილის გამზრდელი დედა, როგორი უთქმელიც იყავი, ისე უჩუმრად მიიძინე. 11 წელი გავიდა...

ირა, შენ ხომ ოჯახის, შვილების, შვილიშვილების სიხარულით გინდოდა სიცოცხლე. აკი შენი არჩეული სიძე დათო და შვილი ეკა დალოცე, როცა ისინი სოფელში გავაცილეთ, მაგრამ აღარ დაგცალდა, დაბრუნებულებს შენებურად რომ შეხვედროდი. ვერც გიასა და თამრიკოს ბედნიერებას მოესწარი. ახლა უკვე ხუთი შვილიშვილის პატრონი ხარ. ამ წელიწადში ორი ბიჭი – ნიკოლოზი და მიხეილი მოევლინენ თქვენს დიდ ოჯახს. მუდამ გვახსოვარ, გვაკლიხარ, გვენატრები. ნათელში იყოს შენი ლამაზი სული.

*მეუღლე მიშა (ყორა), შვილები და შვილიშვილები*

## გურამ ვადაჭკორიას გახსენება



ძვირფასო გურამ, ძალიან გვენატრები. უკვე წელიწადი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. 25 ნოემბერი მწარედ მოსაგონარი დღეა შენი ოჯახისა და ახლობლებისათვის. შენ ხომ ყველას იმედი იყავი. გვანუგეშებს მხოლოდ მოგონებები შენ მიერ კაცურად განვლილი ცხოვრებიდან.

მაგრამ რადგან ყველანი სიკვდილისთვის ვიბადებით, მხოლოდ ერთმანეთს ვაცილებთ და ამ წუთისოფლის მგზავრები ვართ, უნდა ავიტანოთ ეს დიდი ტკივილიც. შენ კი, საყვარელო გურამ, იძინე მშვიდად იმ ქვეყნად – შენ ეს დაიმსახურე. მსუბუქი იყოს შენთვის თბილისის მიწა.

*მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, მეგობრები*

## ზურაბ სამხარაძის გახსენება



ისევ შეიკრიბა შენი დიდი ოჯახი 25 ნოემბერს შენს საფლავზე. აგინთებთ წმინდა სანთლებს და კიდევ ერთხელ მოგიგონებთ თბილი სიტყვებით სპეტაკ, ნათელ პიროვნებას, დიდი ოჯახის მზრუნველ მამას, ერთგულ, მოსიყვარულე მეუღლეს და ღირსეულ ადამიანს.

როცა ნაადრევად ჩვენგან წახვედი, ასე მეგონა, რომ ცა თავზე ჩამომექცა, მაგრამ გულს ვიმაგრებდი იმით, რომ ჩვენ, სიყვარულით და სითბოთი სავსე ოჯახში გავზარდეთ სამი შვილი, საზოგადოების სამი ღირსეული წევრი, რომლებმაც სამი დიდებული ქართული ოჯახი შექმნეს.

მოულოდნელად ისევ გაავდრდა ჩვენი ბედნიერი ოჯახის თავზე, ისევ დაიქუხა მძლავრად და ერთ წუთში შეწყდა ჩვენი საყვარელი შვილიშვილის, სამი თვის წინ დაქორწინებული ნიკას სიცოცხლე და მაშინ პირველად ვინანე, რომ ცოცხალი დავრჩი. ახლა რომ ვუყურებ ჩვენი შვილისა და რძლის (რომელსაც ჩვენს შვილებში არ ვარჩევდით) უდიდესი ტკივილით სავსე სახეებს, რომელთაც შვილმკვდარი მშობლები ჰქვიათ და ნიკუშას პატარა ბიჭუნას თვალცრემლიანნი ეფერებიან ამ სიტყვებით, – ჩემო თბილო ბიჭოო, – აუტანელია, გაუსაძლისია ჩემი ყოფა. ნუთუ იმიტომ ვიცოცხლე, რომ ჩვენი შვილების გამწარებისთვის მეყურებინა?!

თურმე, მაშინაც კი უფრო ბედნიერი ვიყავი, როცა ავადმყოფს 9 წელი გივლიდი და გეფერებოდი, იმიტომ, რომ მაშინ ყველა ცოცხალი მყავდით.

ახლა კი, როცა სევდა და დარდი მომეძალება, როცა ვგრძნობ, ყოველდღიურად როგორ მაკლდება სიცოცხლის ძალა და ხალისი, ჩემს ფიქრებთან მარტო დარჩენილი, ისევ შენ გეჩურჩულები, ისევ შენ გიზიარებ მოუშუშებელ ტკივილს, გახსენებ წარსულ ბედნიერ დღეებს და ჩუმად ვითვლი თქვენთან მოსასვლელ დღეებს.

*შენი სიბერეგამწარებული მეუღლე*

## მაია ღურწკაიას ხსოვნას!



შვილო მაია, ყველამ უდიდესი გულისტკივილით განიცადა შენი ტრაგიკული სიკვდილი. ჩვენ გვჯერა, შენს მკვლელს ღმერთი არ აპატიებს.

შენ სიცოცხლე გიყვარდა, მომავლის გწამდა, შენი ნიჭიერებით ჩვენ ყველა ვამაყობდით. მხოლოდ ცხოვრების ასპარეზზე აპირებდი გამოსვლას და მოულოდნელად ასეთი შემზარავი შემთხვევის მომსწრენი გავხდით.

შვილო მაია, ჩვენო უმწიკვლო, სულით ლამაზო, გულით სათუთო, უღალატო და საიმედო გოგონავ, უშენობამ სამუდამო დაღი დაასვა ჩვენს ცხოვრებას. ზღვა ცრემლი დაიღვარა შენს ცხედართან. შენი სკოლისა და სტუდენტობის მეგობრები, შენი ნათესავები და მეზობლები ვერ გიმეტებდნენ იმ სამყაროსთვის. როგორ უნდა გაძლონ შენმა მშობლებმა, შენმა დებმა უშენოდ, შენ ხომ ყველასთვის მომავლის ხიდად იყავი მოვლენილი. აფხაზეთში დაბადებულსა და ფეხადგმულს, რუსთავსა და თბილისში გაზრდილს, ქართული ტრადიციების დიდ თაყვანისმცემელს ბედმა შუა გზამდეც ვერ მიგაცილა. ალბათ ღვთის განგება იყო ასეთი. უფალს ხომ თავისთან გამორჩეულები მიჰყავს. შენი საამაყო ბიძაშვილი ლაშა ხომ იქ დაგხვდება.

დღეს კი მარადისობაში მიმავალს მხოლოდ ერთს დაგპირდებით – შენი ნათელი ხსოვნა ჩვენს გულებში არასოდეს წაიშლება. მარადიულ ნათელში იყავი, ჩვენო მაიკო!

*შენი ოჯახი, ნათესავები, მეგობრები*

## არჩილ ბარამიძის მონატრება!

რა დიდი სიხარული იყო შენი დაბადება, რა ბედნიერები ვიყავით მაშინ. მესამე დაბადების დღეა უშენოდ. დანთებული სანთლებით, ცრემლიანი თვალებით და უამრავი ლამაზი ყვავილით მოგილოცავთ დაბადების დღეს.

უცაბედმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი, ნაადრევად ჩაქრა შენი მზე. უშენოდ ნაღვლიანად გავა წლები, ჩვენო უსაყვარლესო აჩი. წახვედი და დაგვიტოვე გაუთავებელი ტკივილი. ვერ გაუძლო ბედის უკუღმართობას შენმა გულმა.

გვწამს, რომ უფლის გზაზე კელაპტრად წაგიძღვება შენი სიკეთე, სითბო და სიყვარული, რასაც უანგაროდ გასცემდი.

ყველას გვენატრები. ისღა გვანუგეშებს, რომ სასუფეველში შევხვდებით ერთმანეთს, სიკეთის მთესველო კაცო. გვჯერა, კაცურად განვლილი შენი ცხოვრების გზა საწინდარია შენი სულის სამოთხეში დამკვიდრებისა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*ოჯახი*

შვილები: მერაბ, მარიამ (მაცაცო) თოფურიები; რძალი მანანა მეურმიშვილი; სიძე ვაგელი ვურლეცი; შვილიშვილები: თორნიკე, ცოტნე თოფურიები; მძახლები: ციური და ნოდარ მეურმიშვილები; და სვეტა; სიძე თემურ მახარაძე, გურამ დგვარელი; რძალი რუსიკო ვაშაკიძე, მარგო თოფურია; დისშვილები: გრიგოლ და ნინო მახარაძეები; ძმისშვილები: ილია და ია ვაშაკიძეები; მაზლიშვილები: მერიკო და გია თოფურიები; მულიშვილები თამაზ დგვარელი ოჯახებით; დეიდა თალიკო, დეიდაშვილი როენა ოჯახით; ასევე ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**ტურფა ილიას ასული ვაშაკიძე-თოფურია**

*პანაშვიდი:* კვირას, ორშაბათს, 23-24 ნოემბერს, 16 საათზე;

*დაკრძალვა:* სამშაბათს, 25 ნოემბერს, 14 საათზე.

*მისამართი:* ცოტნე დადიანის ქ. № 10.

*ზაირა და ავთანდილ ცანავების ოჯახს!*

ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას ძმის

**ოთარ დიანოზის ძე ცანავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

*აბაშის სამეანო გინეკოლოგიური განყოფილების თანამშრომლები*

# უცნაური დამთხვევა თუ განსაზღვრული ბედი?

— მთელი სიცოცხლე სამეცნიერო მუშაობას ვეწეოდი, დღესაც ერთ-ერთ ინსტიტუტში ვხელმძღვანელობ კათედრას. ჩემი ხნის ადამიანზე იტყვიან: ტყუილიც დაეჯერებაო, მაგრამ ტყუილის თქმა რად მინდა, როცა სიმართლე, რომელსაც გიამბობთ, ნებისმიერი ფანტასტიკის ჟანრის რომანის სიუჟეტად გამოდგებოდა.



მოუსვენარი ცხოვრებით ვიცხოვრე, ჩემი ყმაწვილური გატაცებების გამო ორჯერ დამენგრა ოჯახი... უფროსი შვილი მხოლოდ 17 წლით არის ჩემზე უმცროსი, თავად მიხვდებით, რა ჯიუტი და ურჩი ვიქნებოდი ბავშვობიდანვე. თვითონ მიკვირს, რა მაიძულებდა, რომ გონება მომეკრიბა და განათლების მიღება მომენდომებინა. ახლა უკვე ვიცი, ალბათ ყველაფერი ზემოდან იყო განსაზღვრული, ისიც, რომ ჯერ კიდევ მეათეკლასელი ცოლს მოვიყვანდი, ისიც, რომ სწავლას გავაგრძელებდი და... ოჯახი ორჯერ დამენგრეოდა.

ამას ორი წლის წინ მივხვდი.

სიკვდილამდე მადლიერი ვიქნები ჩემი უახლოესი მეგობრის, რომელმაც შარშანწინ დეტროიტში მიმიწვია. აეროპორტში მასპინძელი მელოდა, ჩასვლისთანავე რაღაც დამემართა. გადაღლას დავაბრალეთ, წნევა დამივარდა და სასწრაფოდ აეროპორტის მედპუნქტში გამაქანეს. მე რომ შევდიოდი, ერთი უწვერულვაშო, მელოტი კაციც მოადგა ექიმის კარს. ერთმანეთისთვის კარგად არც შეგვიხედავს, ჩვენ-ჩვენი გაჭირვება გვქონდა. მხოლოდ მაშინ გამელიმა გულში, როცა ორივეს ერთნაირი წნევა აღმოგვაჩნდა — 70/40-ზე. შევხედე ყურადღებით — ნაცნობი სახე ჰქონდა. გამაჟრჟოლა — ძალიან ვგავდით ერთმანეთს!

ამ შემთხვევას აღარც გავიხსენებდი, რამდენიმე დღის შემდეგ რომ არ გადავყროდი მას ერთი ზანგის ქამრების მაღაზიაში. ვიცანი, მიცნო. მე ინგლისური კარგად ვიცი, მივუახლოვდი და თავის შეხსენება ვცადე. დამასწრო — მახსოვხართ და ახლა როგორ ხართო. საუბარს შევყევით. აღმოჩნდა, მასაც ძალიან უყვარს ქამრები და შინ ათეულობით ძველი და ახალი ქამარი აქვს. მეც ხომ ასე ვარ. თუკი ოდესმე სადმე წავსულვარ სამოგზაუროდ, აუცილებლად ქამარი მიყიდია. ეს რომ გავიაზრე, უცნობს ხელი ჩავჭიდე და სულითა და გულით დავპატიჟე ჩემი მეგობრის ოჯახში. ვილი სამუტი (ასე ერქვა მას) დამთანხმდა. ჩემი მეგობარია მოწმე, რა დამემართა იმ საღამოს, განცვიფრებისაგან ენა ჩამივარდა. ვილი იმავე წელს და იმავე დღეს არის დაბადებული, როდესაც მე დავიბადე... მასაც ორჯერ დაენგრა ოჯახი... ჰყავს ორი შვილი, უფროსი მხოლოდ 17 წლის არის მასზე უმცროსი, აქვს საკუთარი კაფე, რომელიც იმ წელს გახსნა, მე რომ საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი... მაშინ ის კაფე ვილისა და მისი მეგობრის საკუთრება ყოფილა. საქმე კარგად წასვლიათ და 9 წლის შემდეგ ვილის კაფე მთლიანად შეუსყიდია, გაუფართოებია კიდეც... ამავე წელს დავიცავი მე სადოქტორო დისერტაცია. მოდი და ნუ გაგიკვირდება, — დედამიწის ორ, დაშორებულ წერტილში ორი ადამიანი ერთი ბედის ქარგით ვცხოვრობდით.

რამდენიმე წლის წინ მანქანა გამიფუჭდა, საჭე ვერ დავიმორჩილე და კედელს შევასკდი. მინის ნამსხვრევები მარცხენა ლოყაზე მომხდა და საკმაოდ უხეშად გამიჭრა. იარა დღესაც მეტყობა. ვილიმ მითხრა, — მაგ ჭრილობის გამო მოგაქციე ყურადღება. დააკვირდი, მეც ზუსტად ეგეთი ჭრილობა მაქვსო. თურმე მას სამზარეულოში თაროს მიმაგრება უნდოდა. უცებ ხელი აუსხლტა, რკინის თარო დაეშვა და მისმა კუთხემ ლოყა ჩამოახია... ეს 4 აპრილს მოხდაო...

თქმა აღარ მჭირდება, თქვენც მიხვდებით, 4 აპრილს რომ მომიხდა ავარია. ერთიც: ჩვენ ორივეს გვიყვარს იარაღი.

აი, ასე. მე და ვილი დღესაც ვურეკავთ ერთმანეთს, ვხუმრობთ. ვიდრე შენ კარგად ხარ, მეც არაფერი გამიჭირდება-მეთქი, — ვეუბნები ხოლმე.

***პატივისცემით გიორგი მ.***
***თბილისი***

ჩვენ გვწერენ

# ბოროტი სარკე

მამაჩემი სამხედრო პირი იყო და ამიტომ ხან სად გვიწევდა ცხოვრება და ხან სად.

ეს ამბავი კურსკში მოხდა, 1957 წელს. თბილისიდან სტუმრად გვეწვია დეიდაჩემი. გაგვიხარდა — ძალიან გვიყვარდა ნანა. ის ჩვენზე სულ რამდენიმე წლით იყო უფროსი და სიამოვნებით ვერთობოდით ერთად.



...პირველსავე ღამეს მოულოდნელად გაისმა დეიდაჩემის კივილი. ყველამ გავიღვიძეთ. დეიდა ყვიროდა — სარკიდან მახინჯი ბერიკაცი გადმოვიდა, ხელი ჩამავლო და სარკისკენ მიმათრევდაო. ამშვიდებდნენ, არწმუნებდნენ, — ეს მხოლოდ ავი სიზმარი იყოო. ვალერიანის წვეთები დაალევინეს, სარკე სხვა ოთახში გაიტანეს.

ეს სარკე უჩვეულო იყო, ძველებური, ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული. სახეს ამახინჯებდა, თითქმის ისევე, როგორც მუშთაიდის გასართობ სარკიან ოთახში და ძალიან გვიყვარდა მასში ჩახედვა. ეს სარკე ბებიაჩემისთვის დედამისს მზითვად გაუტანებია...

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი ლამაზი, 22 წლის დეიდა მოულოდნელად გარდაიცვალა...

გაიარა ოთხმა წელიწადმა. ერთხელ, სკოლიდან დაბრუნებულს, ეზოში ჩემი უმცროსი და, მანანა, შემეფეთა და ჩურჩულით მითხრა: — შინ არ შეხვიდე. იქ, სარკეში, მოხუცი კაცი ზის, წინ მძივებით და ოქროს მონეტებით სავსე ზარდახშა უდევს და თამაშობსო.

ჩვენ მიჩვეულები ვიყავით მანანას ფანტაზიორობას. მშობლებმა რამდენიმეჯერ ექიმთანაც კი წაიყვანეს, ისეთ უჩვეულო რამეებს ჰყვებოდა ხოლმე. ექვსი წლისა იყო, როცა დაწვრილებით აღწერა კოსმოსელი გარმიანელები, მათი ჩაცმულობა და საფრენი აპარატები, რომლის შესახებაც ჩვენ ძალიან გვიან გავიგეთ. გამეცინა და მანანას ვუთხარი: — თუკი სიმართლეს ამბობ, მაშინ სარკესთან მიდი და აიღე ერთი მძივი. მე შენ გვერდით ვიქნები და ნუ შეგეშინდება-მეთქი. მანანა წავიდა. როგორც კი ოთახში მიიმალა, შიში მომერია. ვიგრძენი, რომ ის მოხუცი ჩემს დაიკოს სარკეში შეითრევდა, დეიდას ამბავიც გამახსენდა და რაც ძალი და ღონე მქონდა, დავიყვირე: — მანანა, დაბრუნდი, გავიქცეთ-მეთქი. მანანა მაშინვე გამოვარდა ოთახიდან და ჩვენ გავიქეცით.

საღამოს, როცა შინ დაბრუნებულ მშობლებთან ერთად შევედით სახლში, სარკისკენ გახედვისა შეგვეშინდა. სამზარეულოში გასუსულები ვისხედით. ცხადია, უფროსებისთვის არ გვითქვამს, რაც გადაგვხდა თავს, რადგან ვიფიქრეთ, მაინც არ დაგვიჯერებენო. ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემი განცვიფრებული სახით შემოვიდა და დედას უთხრა, — თინიკო, ხომ არ იცი, ჩვენი უცნაური სარკე ვინ ჩაამსხვრიაო. შვებით ამოვისუნთქეთ და ფეხაკრეფით გავედით სარკიან ოთახში. ღმერთო, დიდებულო — სარკეზე ადამიანის სილუეტი იყო ამოტეხილი, ხოლო იატაკზე, მძივის რამდენიმე მარცვალი ეგდო...

მამაჩემმა თავი მოუყარა ნამსხვრევებს და მდინარეს გაატანა.

***დალი მ-ძე***

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — ა); 2) — ა); 3) — ბ); 4) — გ); 5) — დ); 6) — დ); 7) — გ).

**II.** ოკეანე.

**III.** ირმის რქები.

აქსისი

ახალი მშენებარე კომპლექსი ყაზბეგის გამზირზე



ტელ: 25 34 34; 91 25 34

# გოჭი თვალდათვალ სუქდება...



10 თვის „გოჭუნა“, სახელად ეტიტიურდი, ინგლისში ცხოვრობს. ჯერჯერობით ნახევარ ტონაზე მეტს იწონის და თვალდათვალ სუქდება. ძალიან მადიანია, ერთ ჯერზე ათი ღორის სალაფავი სჭირდება. თანაც მეტად აზიზია — ყველაფერს ღორულად როდი მიირთმევს! გოჭი დევივით ღონიერია, მაგრამ ბრაზიანი სულაც არ არის, უყვარს მოფერება, უფლებას აძლევს ტურისტებს მოფხანონ ზურგი. მაგრამ მასთან ახლოს მისვლა მაინც საშიშია — ხომ შეიძლება უცბად წამოწოლა მოუნდეს და ვინმე ქვეშ მოიყოლოს?! ცნობილია, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი ღორი ჩინეთში გამოიყვანეს — თითქმის ტონას იწონიდა. როცა ის მსოფლიო გამოფენაზე მიჰყავდათ ჩიკაგოში, ბიგ ბილიმ შემთხვევით ფეხი მოიტეხა და... დაკლეს. ახლა გინესის რეკორდების წიგნში აღარ აფიქსირებენ ცხოველების სარეკორდო წონას იმის შიშით, რომ პატრონები ერთმანეთს გაეჯიბრებიან და საგანგებოდ, ქიმიური ნივთიერებებით გაასუქებენ მათ, რითიც ოთხფეხა მეგობრების ჯანმრთელობას შეარყევენ.

***ნიუ ზუიქი***

# ზოოთავგადასავლებიდან...

რიგის ზოოპარკის ბინადარი სპილო, სახელად რაძა, ჰოლანდიურ ზოოპარკში მეტად საპასუხისმგებლო მისიით მიავლინეს. ქალაქ ემენის ზოოლოგიურ ბაღს თურმე მხოლოდ საპატარძლოები ჰყავს და რიგელმა რაძამ ამ საქმეს უნდა მოუაროს.

მივლინების დროს თურმე რაძა ხულიგნობდა — რამდენიმე ვოლიერიააყირავა, ხორთუმით მიწიდან ლობეები და სათვალთვალო კამერები მოგლიჯა და ფეხებით შედგა. მიუხედავად ამისა, ზოოპარკის ადმინისტრაცია ირწმუნება, სხვა მხრივ ჩვენი სტუმარი ძალზე სანიმუშოა და ზედმეტადაც კიო. ეტყობა, რაძა ჰოლანდიურმა ჰავამ დასცადა ან ჰოლანდიელი „სატრფოები“ არიან ძალზე მომხიბვლელები...

***ტრუდ-7***

# პრეზიდენტებიც ადამიანები არიან



ყველას ახსოვს სკანდალი მონიკა ლევინსკისა და ბილ კლინტონს შორის, ჯონ კენედისა და მერილინ მონროს გახმაურებული რომანი. მაგრამ, როგორც ცნობილია, აშშ-ის არც სხვა პრეზიდენტები იყვნენ ამ მხრივ ანგელოზები.

ამ საქმის „პიონერი“ ყოფილა ჯორჯ ვაშინგტონი, რომელსაც დიდხანს ჰყოლია საყვარლად ვინმე მერი გიბონზი. აშშ-ის მამამთავარსა და დამაარსებელს თომას ჯეფერსონს ერთდროულად ორი საყვარელი ჰყოლია, ერთ-ერთი ჯეფერსონის უახლოესი მეგობრის ცოლი ყოფილა. გარდა ამისა, მას ზანგ მოსამსახურე ქალთანაც ჰყავდა უკანონო შვილი. სამაგიეროდ, არც ერთ ამ პრეზიდენტთაგანს ცოლი არ ჰყოლია.

პირველი სახელმწიფოს მეთაური, რომელიც ცოლმა ღალატში ამხილა, ჯეიმს ჰარფილდი იყო. ცოლმა ჰარფილდის სასიყვარულო წერილები იპოვა — თურმე პრეზიდენტს ერთი კი არა, ორი საყვარელი ჰყოლია. აშშ-ის 29-ე პრეზიდენტს, უორენ ჰარდინგს 30 წლით უმცროსი საყვარელი ჰყავდა — წყვილს თურმე თეთრი სახლის ერთ-ერთ საკუჭნაოში უყვარდა განმარტოება. ცოლის ღალატში „ექვმიტანილნი“ იყვნენ დუაიტ ეიზენჰაუერი, ლინდონ ჯონსონი, რიჩარდ ნიქსონი და თვით ჯორჯ ბუში-უფროსი. ასე რომ, კლინტონი თავის წინამორბედთა საქმის ღირსეული გამგრძელებელია.

***გარდიანი***

# „მაღალი მოდა“



ესპანელი მოდელიერი ადრიანა ბერტინი, ეტყობა, შემოქმედებითი სიმწიფის ხანაშია — იმ პერიოდში, როცა იფურჩქნება ხელოვანის გენია და ახალ „მწვერვალებს“ იპყრობს. იგი კაბებს... პრეზერვატივებისაგან კერავს. პირველად ეს „ქსოვილი“ მაშინ გამოიყენა, როცა დაბალხარისხიანი, სანიტარულ-ჰიგიენური სამსახურის მიერ დაწუნებული ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება ჩაუვარდა ხელთ.

დიზაინერის შემოქმედებითი აზრი თვალის დახამხამებაში განვითარდა და როგორც თავად ბრძანა, „სწორი მიმართულებით“ — კუტიურიემ რეზინის ნაჭრებით კაბების კერვა გადაწყვიტა. ერთი შედევრისთვის ადრიანა ბერტინის 15.000 პრეზერვატივი და 3-4 თვე სჭირდება. როგორც თვითმხილველები ამბობენ, უჩვეულო „ქსოვილის“ კაბა მეტად ელეგანტური და ლამაზია(!).

***ოკნა №41***

# ანტისილამაზის კონკურსი



„რაც უფრო მახინჯია, მით უკეთესი!“ — ამ დევიზით ჩატარდა ინგლისურ ქალაქ ეგრემონტში ანტისილამაზის საერთაშორისო კონკურსი.

მანჭვა-გრეხის ტრადიცია უძველესი დროიდანვე არსებობს. ზოგიერთი მკვლევარ-ეთნოგრაფის აზრით, მანჭვა-გრეხა ავი სულების დასაფრთხობი რიტუალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

წლეულს ეგრემონტში ყველა პრიზი ვინმე მეტინსონს ერგო. როგორც გამარჯვებულმა განაცხადა, სახის მაქსიმალურად დასამანჭად გარდასახვის ხელოვნებას უნდა ფლობდე.

***ეხო პლანეტი***

# ცეროდენა დედიკოები



12 წლის მოლდაველმა გოგონამ, დანიელა რუსუმ სავსებით ჯანმრთელი ბიჭუნა შვა, თუმცა, ექიმების თქმით, პაწია ნაადრევად მოევლინა ქვეყანას და არასრული წონისაა — მხოლოდ 2.250 გრამი. პატარა დედას ნაადრევმა მშობიარობამ თირკმლები დაუზიანა. დანიელა მეექვსეკლასელია.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ დანიელა სულაც არ არის რეკორდსმენი. ორი წლის წინ 10 წლის რუმინელმა ბოშა გოგონამ ბიჭი გააჩინა. ჩვენს პლანეტაზე ყველაზე ნორჩ დედად აღიარებულია პერუელი ლინა მედინა. ლინა 1933 წელს დაიბადა. 3 წლის იყო, დედათა წესი რომ დაეწყო, 4 წლისა უკვე ჩამოყალიბებული ქალი გახლდათ, ხოლო 5 წლისა და 7 თვისას საკეისროთი ამოუყვანეს 2.700 გ-იანი მშვენიერი ბიჭუნა. ყველაფერ ამას, გნებავთ, ანომალია დაარქვით, ისტორიაში აღრიცხული ნამდვილად არის.

***მედიცინსკაია გაზეტა***

# ბაღდადელი ფენომენი



ბაღდადელ 13 წლის მუჰამედ ალიყაზიმის, როგორც პრესა იუწყება, აგერ უკვე 700 დღე-ღამეა არ უძინია. ბიჭუნა მაშინაც კი არ იძინებს, როცა საძილე საშუალებებს ასმევენ. ახლობლები ვერაფრით ვერ აიძულებენ, ცოტა ხნით მაინც დაწვეს და თვალები დახუჭოს. მათი თქმით, ბიჭი ჯანმრთელია და მის ტვინს მაშინ სძინავს, როცა იგი ფხიზლობს. მუჰამედი თანატოლებისგან აქამდე არაფრით გამოირჩეოდა — თამაშობდა და ცელქობდა. ბოლო დროს კი უცნაურობანი დასჩემდა — ხშირად დადის სასაფლაოზე და გაუგებარ ენაზე ლაპარაკობს. მომავლის წინასწარმეტყველებაც დაიწყო — ხშირად მისი პროგნოზები მართლდება. რომ არა ერაყის ომი, მუჰამედზე ვერავინ ვერაფერს შეიტყობდა. ახლა კი მას ხშირად სტუმრობენ ჟურნალისტები — ბიჭი აშშ-ში მიიწვიეს, იქ მას სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდება.

***ტაინაია ვლასტ №8***

# ძველი ეგვიპტელის ფეხი ახლა იპოვეს



რამდენიმე დღის წინ ეგვიპტის ქვიშნარში მეცნიერებმა იპოვეს ფეხი, რომელიც თურმე ძველ ეგვიპტელს ეკუთვნოდა. ფეხი ქვიშაში გამოშრა, მუმიად იქცა და შესანიშნავად შეინახა. კაიროს მახლობლად არქეოლოგები წარამარა პოულობენ უძველესი წინაპრების ნეშტებს. არქეოლოგები ფიქრობენ, რომ ქვიშის ქვეშ მთელი ქალაქია მოქცეული.

***ოჯი***

# უკან, ფესვებისკენ

რა ჭკვიანური იდეაა: ევროპის წარმოშობის შესახებ სქელტანიანი ტომების ნაცვლად გვიამბობს „ისტორიის ხე“.

ბრიტა ორგოვან-ჰანშტაინს ძირითადი პროფესიის გარდა, ისტორია და ხელოვნება აინტერესებდა და მთელ თავისუფალ დროს მათ შესწავლას ანდომებდა. ორიოდე წლის წინ კი თავისი შვილებისთვის (ჰყავს ქალ-ვაჟი) მსოფლიო ისტორიის შესწავლა რომ გაეადვილებინა, შექმნა, დროთა განმავლობაში დახვეწა და სრულყო „ევროპის ისტორიის ხე“. 83X91სმ ფართობის პოსტერზე აღმართულია ცაცხვი, ფესვებით, ტანით, ტოტებით და ფოთლებით და თითოეული ფოთოლი ევროპის ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორიის რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენის მაუწყებელია.



ფესვები მოგვითხრობენ ანტიკურ საბერძნეთსა და რომზე, ძველი აღთქმის ისრაელზე და მესოპოტამიის მაღალ კულტურაზე. ევროპის ისტორიის ათვლა ხის ტანიდან, 0 წლიდან იწყება, ტოტებად იშლება და მე-20 საუკუნემდე ადის. ეს ტოტები და ფოთლები, ერთმანეთს ისე უკავშირდებიან, როგორც სხვადასხვა ქვეყანაში დროში მიმდინარე მოვლენები. ნახევარწრედ გაერთიანებული ცაცხვის წვეროები არის საუკუნეები, ხოლო ტოტები — ევროპის კონტინენტის სახელმწიფოები ან მთელი ევროპისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ კულტურული მოვლენა.

მაგალითად: იმ დროს, როცა მარტინ ლუთერი ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე თავისი რეფორმის თეზისებს აჭედებდა, რას აკეთებდნენ ესპანელები? ამის გასაგებად საჭიროა შევიხედოთ მე-16 საუკუნის ნახევარწრეში და ბევრ სხვა მოვლენათა შორის ვიპოვით ფოთოლს, სადაც სწერია: „კორტესის და პიცაროს კონკისტადორებმა დაანგრიეს აცტეკების ქვეყანა და ინკებისა ამერიკაში“. თუ ისიც დაგვაინტერესებს, ინგლისში რა ხდებოდა, ამასაც გავიგებთ. „1509-1547: ჰენრიხ VIII იპყრობს ირლანდიას და ანგლიკანურ სახელმწიფო ეკლესიას აარსებს, რომიდან გამოაგდეს (6 ცოლი ჰყავდა, აქედან 2 სიკვდილით დასაჯა)“. სრულიად ევროპის კულტურის ტოტზე კი ამ დროს პროგრესისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იდგმება. „1514: მსოფლიოს ახალი სურათი: კოპერნიკი ამტკიცებს, რომ ჰელიოსისტემის ცენტრში დგას მზე (და არა დედამიწა)“.

ავტორის აზრით, „ევროპის ისტორიის ხე“ თანაბრად დააინტერესებს როგორც მოსწავლეებს, ასევე ისტორიის მოყვარულ ადამიანებს. ხის ფოთლებზე ყველა მსოფლიო მოვლენა გასაგებად არის ფორმულირებული და მოკლედ გაანალიზებული, ხოლო ყველა დროის მოღვაწეთა ბიოგრაფია და ღვაწლი — ზუსტად გადმოცემული.

***შტერნი №45***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში იულიუს ფუჩიკის ცნობილ ფრაზას ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | კ | ა | ლ | ი | ტ | რ | ი | ს | ფ | ე | რ | ე | ბ | შ | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მ | | ა | ტ | ა | ჯ | ძ | ე | ო | ი | | ნ | ო | ა | | ე | | ე | | ი | რ | ო | უ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**დ**. ფულის ერთეული საბერძნეთში; **ა**. გერმანული საავტომობილო ფირმა; **ი**. ოდისევსის მშობლიური მხარე; **ს**. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; **ვ**. გერმანიის რესპუბლიკის სახელწოდება 1918-1933 წლებში; **ე**. ღომში ამოზელილი ყველი; **ნ**. თორნიკეს როლის შემსრულებელი ფილმში „მონანიება“; **ე**. ქალის სახელი, რომლის გულისთვისაც დაიწყო ტროას ომი; **კ**. რა ერქვა პიკასოს; **ა**. ღმერთი, რომლის შვილადაც გამოაცხადა თავი ალექსანდრე მაკედონელმა; **ლ**. თხელი ტალახი; **ი**. სევანის ტბის კალმახი; **ტ**. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „კლეოპატრა“; **რ**. მეხიკო — აცტეკა, ბუენოს-აირესი — რივერ პლეიტი, რიო-დე-ჟანეირო — მარაკანა, ერევანი — ?; **ი**. ყინულის ფილებით აგებული ესკიმოსების საცხოვრებელი ქოხი; **ს**. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **ფ**. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია; **ე**. საზოგადოებაში თავის დაჭერის წესები; **რ**. თბილისის ერთ-ერთი უბანი; **ე**. რა ამოვიდა მურმანის საფლავზე; **ბ**. გერმანიის ერთ-ერთი კუთხე; **შ**. უილიამ შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; **ი**. ვესტერნული ამპლუის მქონე ამერიკელი მსახიობი მამაკაცი.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**კ**. კრუიზი; **ვ**. ვენდეტა; **ი**. იმამატი; **რ**. რიყე; **ი**. იპონი; **ს**. საფო; **პ**. პიონერი; **ა**. ანხელი; **ლ**. ლიე; **ი**. იქსი; **ტ**. ტაქტიკა; **რ**. რივალდო; **ა**. ალაფი; **თ**. თასმა; **ქ**. ქიაჩელი; **ვ**. ვერონა; **ე**. ეპარქია; **ნ**. ნივეა; **ი**. ისინდი; **გ**. გენუა; **ა**. აკელა; **ზ**. ზესნახე; **ე**. ელვა; **თ**. თარაზო; **ი**. ილიონი; **ა**. არსენა.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: უნაყოფო ხეს ქვას არავინ ესვრის.**

CMYK

# ნასტასია კინსკი: — „შვილებმა სიცოცხლე დამიბრუნეს“...

„ვოცნებობ, ას წლამდე ვიცოცხლო, რათა რაც შეიძლება დიდხანს ვიყო ჩემი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების გვერდით. ოჯახზე ძვირფასი ამქვეყნად არაფერია“, — ამბობს ნასტასია კინსკი. რატომ გადაწყვიტა მშვენიერმა ახალგაზრდა ქალმა ჯვარი დაუსვას პირად ცხოვრებას და მხოლოდ სხვას, თუნდაც უახლოეს ადამიანებს, შესწიროს თავი, რატომ ეუბნება უარს ყველა რეჟისორს ფილმებში თამაშზე და რატომ განმარტოვდა თავის დიდებულ სასახლეში? ყველა „რატომზე“ პასუხად შეიძლება გამოდგეს მსახიობის სიყვარულით და იმედგაცრუებებით სავსე ცხოვრების ამბავი.



ნასტასია დაიბადა გერმანიაში, სახელგანთქმული მსახიობის, კლაუს კინსკისა და მწერალ რუფი ბრიგიტა ნაკშინსკის ოჯახში. ცოლ-ქმარი აღმერთებდა დოსტოევსკის და ქალიშვილს მის პატივსაცემად დაარქვეს ნასტასია. ლიტერატურული გმირის მსგავსად არც მსახიობს ჰქონია ბედი სიყვარულში. 13 წლის იყო, როცა პირველად გადაიღეს ვინ ვენდერსის ფილმში. მერე რომან პოლანსკის შეხვდა. ეს ნამდვილი ბედისწერა იყო. პოლანსკის მანიაკებმა ლოს-ანჯელესში ფეხმძიმე ცოლი მოუკლეს. ნაიარევი სული თითქოს დაუამა ნორჩმა ნასტასიამ და მასზე თავდავიწყებით შეყვარებულ გოგონას შეჰპირდა, — ვარსკვლავად გაქცევო. შეასრულა კიდეც პირობა. პოლანსკის ფილმში „ტესი“ მთავარი როლის შესრულებისთვის ნასტასიამ პრესტიჟული პრემია „ოქროს გლობუსი“ მოიპოვა...

გოგონას საოცარი ხიბლი ფოტოგრაფიის დიდოსტატმა რიჩარდ ავედონმა შეამჩნია და მალე ნასტასიას სურათებმა პრესტიჟული ჟურნალების გარეკანი დაამშვენა. ის ახალ სექსსიმბოლოდ აღიარეს. თანაც მსახიობს სულაც არ რცხვენოდა ეკრანზე გაშიშვლება და ყველაზე სარისკო როლებს თამაშობდა.

მყუდრო ოჯახსა და ბევრ შვილზე მეოცნებე ქალს მამაკაცები ბუზებივით ეხვეოდნენ. უამრავი რომანი რეჟისორებთან, პარტნიორებთან, ვისთანაც თამაშობდა... და ყველაფერი ერთნაირად მთავრდებოდა — ფილმის გადაღების ბოლო დღეს...

ეგვიპტელი პროდიუსერი იბრაჰიმ მუსა განსხვავდებოდა ნასტასიას საყვარლებისგან, მას ოჯახი უნდოდა. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო. ჯერ ალიოშა გაჩნდა, მერე სონია (ბავშვების რუსული სახელები რეჟისორ ანდრეი კონჩალოვსკის დამსახურებაა — კინსკი მის ფილმში — „მარიას საყვარლები“ თამაშობდა. რეჟისორმა ძალიან შეაყვარა რუსული სამყარო ქალს). როცა ცოლ-ქმარი ერთმანეთს შორდებოდა, ნასტასიამ უამრავი დამცირება გადაიტანა — მუსა შვილებს ითხოვდა, ცოლს ლაფს ასხამდა — როგორ შეიძლება ამ უზნეო ქალს მომავალი თაობის აღზრდა ვანდოო. მოსტაცა კიდეც ბავშვები და კარგა ხანს არ აჩვენებდა. ნასტასია დარდით სიგიჟის ზღვარზე იყო. არავინ იცის, თავს რას აუტეხდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ლოს-ანჯელესის სასამართლომ შვილები დედას მიაკუთვნა.

უმცროსი გოგონას, კენიას მამაა შავკანიანი მუსიკოსი კუინსი ჯონსი. მასთან განშორებამაც დეპრესიაში ჩააგდო ნასტასია და ისევ ბავშვების სიახლოვემ უშველა. უამათოდ რა მეშველებაო, — ამბობს ვარსკვლავი. კარგა ხნის მანძილზე მსახიობი როლებს იმის მიხედვით არჩევდა, თუ რამდენად ახლოს იქნებოდა გადაღებები მისი სახლიდან. ახლა ალიოშა 19 წლისაა, მუსიკოსია და ამერიკის ერთ-ერთ ორკესტრში უკრავს, 17 წლის სონია და 10 წლის კენია ჯერ მოწაფეები არიან. უფროსი ქალიშვილი დედის კვალზე წასვლას აპირებს — მსახიობობა უნდა.

როცა ფრანგმა რეჟისორმა ჟოზე დაიანმა კინსკის მადამ დე ტურველის როლი შესთავაზა, „სახიფათო კავშირების“ ახალ ტელეეკრანიზაციაში, ნასტასიამ ცივი უარი განუცხადა. შვილები უპატრონოდ სამი თვით როგორ დავტოვოო. არც იმან მოხიბლა, რომ მისი პარტნიორები კატრინ დენევი და რუპერტ ევერეტი იქნებოდნენ. ბოლოს, მისი ძველი მეგობარი ჟერარ დეპარდიე ჩაერია საქმეში (მათ რომანი ფილმის „მთვარე გუბეში“ გადაღებისას ჰქონდათ) და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დაითანხმა. მან ერთ-ერთ კომპიუტერულ კომპანიას სთხოვა, სპეციალური დანადგარი კინსკის ბავშვებისთვის, რათა გოგონებს ინტერნეტის საშუალებით შესძლებოდათ სკოლის გაკვეთილებზე „დასწრება“.

დედას არ უნდოდა, რომ შვილებს უსაქმოდ ეხეტიალათ გადასაღებ მოედანზე, ამიტომ ავალებდა ეკითხათ კლასიკური მხატვრული ლიტერატურა და შემდეგ ერთად განეხილათ...

შვილებზე ასეთი ზრუნვისთვის ნასტასიამ მთელი გადამღები ჯგუფის პატივისცემა დაიმსახურა.

**7 დღე №43**

# კეტრინ ზეტა-ჯონსი ჯორჯ კლუნს თვალებს უჟუჟუნებს...



კეტრინი არ მალავს, რომ ყოველთვის თავისზე უფროსი მამაკაცები მოსწონდა — მოწიფულ მამაკაცს თავისუფლად შეიძლება ანდო ბედი, რადგან ის პიროვნულად უკვე ჩამოყალიბებულია, შეუძლია იზრუნოს საყვარელ ქალზე.

სხვათა შორის, ამ არგუმენტს მსოფლიოს მანდილოსანთა 99% იზიარებს.

მაგრამ დღეს, როცა კეტრინი უკვე „ოსკაროსანი“ ვარსკვლავია, თვალი ყმაწვილკაცებისკენაც გაურბის. მსახიობი აშკარად ვერ სწყვეტდა ალტაცებულ მზერას ჯორჯ კლუნს თავისი ახალი ფილმის პრემიერზე.

ცოტა ხნის წინ კეტრინმა სარჩელი შეიტანა ფრანგული კოსმეტიკური კომპანიის „Caudalie“-ს წინააღმდეგ და საკომპენსაციოდ 15 მლნ დოლარი მოითხოვა.

მსახიობმა ბრალი დასდო ფირმას მისი სახელის რეკლამისთვის უკანონო გამოყენებაში. ფირმის მენეჯერმა განაცხადა, — ჯონსმა კოსმეტიკური ნაწარმი შეიძინა ჩვენგან და ამიტომაც გამოვიყენეთ მისი სახელიო. კეტრინი ამტკიცებს, რომ „Caudalie“-სთვის არ მიმიცია თანხმობა ჩემი სახის და თუნდაც სახელის სარეკლამოდ გამოყენებაზე, რადგან ერთი წლის წინ მილიონიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი ერთ-ერთ უმსხვილეს კოსმეტიკურ კომპანია „Elizabeth Arden“-თანო.

# კრისტიან სლეიტერი: — „შვილების გულისთვის სუპერმენობა მსურს“



ჰოლივუდის მსახიობი კრისტიან სლეიტერი არაერთგზის აღმოჩენილა გახმაურებული სკანდალების ცენტრში, ციხეშიც მოასწრო ჯდომა... მაგრამ 5 წლის წინ მან წერტილი დაუსვა თავის წარსულს. თუმცა ახლახან სლეიტერი კვლავ გახდა მითქმა-მოთქმის ობიექტი — ის, მისი ცოლი რაიენ ჰედონი და მეგობარი ბენ აფლეკი მონაწილეობდნენ სტრიპტიზიორი ქალების საღამოზე.

სლეიტერი ბავშვობიდანვე ოცნებობდა სუპერმენობაზე. კრისტიანის მამა მსახიობი იყო. იგი ყოველთვის გამთენიისას ბრუნდებოდა შინ, ვისკისა და იაფფასიანი სუნამოს სუნით გაჟღენთილი. ბიჭი 7 წლის რომ გახდა, მშობლები გაიყარნენ. დედამისი, მერი ჯო, კასტინგის რეჟისორად მუშაობდა და შვილი თავისთან მოაწყო რეკლამებში გადასაღებად, შემდეგ როლი მოუნახა ტელესერიალში და მუსიკალური თეატრის დასშიც მოაწყო. მერი ჯო დარწმუნებული იყო, რომ მისი შვილი წარმატებებს მიაღწევდა. დედა მშვიდად უშვებდა შვილს გასტროლებზე სრულწლოვანი მსახიობების იმედად. ერთხელ, ერთმა მსახიობმა ხუმრობით 9 წლის კრისტიანს ვისკი დაალევინა. ბიჭს ეს ძალიან მოეწონა. მას შემდეგ კრისტიანს ყოველთვის ჰქონდა სათამაშოებში დამალული ვისკიანი ბოთლი და მხნეობისთვის სცენაზე გასვლის წინ ერთ ჭიქას გადაჰკრავდა ხოლმე...

ფილმში, „ვარდის სახელი“, თამაშის შემდეგ 17 წლის სლეიტერი კინოვარსკვლავად იქცა. ამ სურათის გადაღებებზე შეუყვარდა კრისტიანს მსახიობი ვალენტინა ვარგა. მას შემდეგ ყველა თავის პარტნიორ ქალთან აჩაღებდა რომანს. რა სჯობს მუშაობის დროს ლამაზ პარტნიორთან არშიყსო, — თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში და ამ სიტყვების გამო სლეიტერმა სილა მიიღო უაინონა რაიდერისაგან.

სლეიტერი დაუმეგობრდა ახალგაზრდა მსახიობ რობერტ დაუნი-უმცროსს, ლოთსა და ჩხუბისთავ რივერ ფენიქსს. მათ კრისტიანი კოკაინს მიაჩვიეს. მეგობრები დილამდე ქეიფობდნენ და მერე დავიდარაბას ტეხდნენ ბარებში, ღამის ქუჩებში ავტომობილებით დაქროდნენ. ამიტომ კრისტიანი პოლიციის განყოფილებების მუდმივი სტუმარი გახდა. ყოველთვის იხდიდა ჯარიმას და შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. მხოლოდ რივერის სიკვდილმა გამოაფხიზლა ცოტა ხნით კრისტიანი. სიკვდილის შიშმა უშველა, რამდენიმე წელი მოახერხა თავის შეკავება და მთლიანად ჩაეფლო სამუშაოში...

...კრისტიანმა გაიცნო დამწყები მსახიობი ნინა ჰუანგი. ისინი ხასიათით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. მათ სახლში განუწყვეტლივ იმართებოდა სკანდალები. ერთხელ გაბრაზებულმა ნინამ კრისტიანს ანთებული სანთელი ესროლა. სლეიტერმა ძლივს მოასწრო ცეცხლმოდებული სახლიდან საყვარლისა და ორი ძაღლის გამოყვანა. 5-წლიანი ბრძოლის შემდეგ წყვილმა დაშორება გადაწყვიტა. ნინამ სარჩელი აღძრა, ითხოვდა სლეიტერის ფულის ნახევარს, რომელიც ამ უკანასკნელმა მასთან ცხოვრების პერიოდში დააგროვა. ნინამ მხოლოდ 100.000 დოლარი მიიღო, მაგრამ მსახიობმა თავისი ნებით მისცა 2 მილიონი და სახლი, რომელშიც წყვილი ცხოვრობდა 5 წლის მანძილზე...

...კრისტიანმა კვლავ დაიწყო სმა და კოკაინის მიღება. მისი ახალი საყვარელი, მსახიობი მიშელ ჯონასი არც კი ცდილობდა მის შეჩერებას. პირიქით, სიამოვნებით მონაწილეობდა მასთან ერთად ღამის დებოშებში. ერთხელ, სასამართლომ მორიგი ჩხუბისთვის 3 წლით პატიმრობა მიუსაჯა (პირობით). 59 დღის შემდეგ სამაგალითო ქცევისთვის გაათავისუფლეს. ციხეში მსახიობმა თავის თავს შეჰფიცა, უნდა გამოვსწორდეო. მკურნალობა დაიწყო და საოცრად გამოიცვალა. დადიოდა კარატეზე, გაიტაცა იოგამ, გაიცნო ტელეჟურნალისტი რაიენ ჰედონი. რაიენთან ურთიერთობა საერთოდ არ ჰგავდა ყველა წინა რომანებს. „პირველად, ცხოვრებაში მიხვდი, რამდენი სიხარულის მოტანა შეუძლია საყვარელი ქალის თუნდაც ერთ ღიმილს“, — აღიარა სლეიტერმა.

1999 წელს მათ შეეძინათ ვაჟი, ჯეიდენ ზეკა, წლინახევრის შემდეგ ქალიშვილი — ელიანა სოფია. არავინ ელოდა, რომ სლეიტერი ფანატიკოსი მამა გახდებოდა. „როცა ხედავ, როგორ უცვლის სოფიას პამპერსებს, მერე ჯეიდენს ეთამაშება აუზში, დასაძინებლად მიჰყავს ორივე ბავშვი, ვერანაირ შემთხვევაში ვერ იტყვი, რომ ეს ის სლეიტერია, რომელსაც ოდესღაც ლოს-ანჯელესის მთელი პოლიცია იცნობდა“, — გამოუტყდა ერთ-ერთ მეგობარს რაიენი. სლეიტერმა ულამაზესი ვილა იყიდა უმშვენიერესი ხილის ბაღით... ოჯახური იდილია დაარღვია პრესაში გამოქვეყნებულმა პიკანტურმა ცნობამ სლეიტერისა და მისი ცოლის გაცნობის შესახებ. „ერთმანეთის ღირსნი არიან, — წერდა გაზეთი, — რაიენ ჰედონიც სლეიტერის მსგავსად ლოთი და ნარკომანი იყო. მათ ერთმანეთი იპოვეს „ანონიმური ალკოჰოლიკების“ ჯგუფში.“

სლეიტერმა დაიქადნა, — ვინც ეს ბინძური ჭორი შეთხზა, ჩემი ხელით დავახრჩობო. ოჯახის ადვოკატები შეუდგნენ სასამართლო სარჩელის მომზადებას. გაზეთმა უარყო თავისი ინფორმაცია და ბოდიში მოიხადა.

მსახიობმა ახლახან კვლავ გააკვირვა მეგობრები — ცოლის დახმარებით ჩააბარა გამოცდები და, ბოლოს და ბოლოს, მიიღო საშუალო განათლების დიპლომი. „გავიზარდე და აღარ ვანგლობ, — განაცხადა სლეიტერმა, — ახლა მესმის, რომ სუპერმენი გავხდები მხოლოდ მაშინ, თუ კარგი მამა და მეუღლე ვიქნები...“

# დემი მური ექვიანობს...



40 წლის ჰოლივუდის ლამაზმანი დემი მური არ ენდობა თავისი 25 წლის საყვარლის ეშტონ კატჩერის გრძნობებს. პოპულარული სატელევიზიო პროგრამის — „70-იანი წლების შოუ“-ს თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ დემი წუთითაც არ აშორებს თვალს საყვარელს და მის ყოველ ფეხის ნაბიჯს აკონტროლებს. ერთ-ერთმა თანამშრომელმა ჟურნალისტების წინაშე დაიჩივლა კიდეც, რადგან მურმა ყველას მოაბეზრა თავი გამუდმებული თვალთვალით და თავის გამოჩენის გადაჭარბებული სურვილით. საოცრად გაახალგაზრდავებული ქალბატონი ტყავიდან ძვრება, რათა რაც შეიძლება თვალში საცემი იყოს გადასაღებ მოედანზე, ეს კი ხელს უშლის ტელესტუდიის მუშაობას.

# უმა თურმანი: „— ვალდებულები ვართ, გამოსავალი მოვნახოთ“...



ჰოლივუდის უმშვენიერესი მსახიობი უმა თურმანი და მისი მეუღლე ეტან ჰოუკი სამაგალითო წყვილად ითვლებოდა ამერიკაში. ახლა კი, ცოლ-ქმარი ცდილობს საკუთარი ქორწინების გადარჩენას. მათ მოილაპარაკეს, რომ დაძაბული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, შაბათ-კვირა ერთად გაატარონ — თავიანთ ოჯახში.

ცოლ-ქმარს უთანხმოება მოუვიდა. ჰოუკმა კვენტინ ტარანტინოზე იეჭვიანა — გულგრილი არ არის ჩემი ცოლის მიმართო, ხოლო უმა ქმარს პარტნიორის საყვარლობას აბრალებს.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, დარწმუნებულნი არიან, რომ ამ უსიამოვნებებს გაუძლებენ: „ძალიან რთულია საკუთარი ქორწინების გადარჩენა, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. ორი შვილი გვეზრდება,“ — ამბობს თურმანი.




# „ახლა საქართველოს უჭირს...“ — იგორ ივანოვი

DW

**დოიჩე ველე:** პოლიტოლოგების აზრით, შევარდნაძე უსათუოდ წააგებს. ის, რაც შაბათს მოხდა, არ ნიშნავს გადატრიალებას, ეს იყო მხოლოდ ხალხის მცდელობა, წინ აღდგომოდა არჩევნების გაყალბებას. „თბილისში ხელისუფლებამ ოპოზიციის შეტევას კიდევაც რომ გაუძლოს, ეს მაინც შევარდნაძის ეპოქის დასასრულს ნიშნავს. — ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ შევარდნაძე სხვა რეალობაში ცხოვრობს, — განაცხადა პოლიტოლოგმა ვალტერ კაუფმანმა, — თუ შევარდნაძე წავა, საქართველო შეიძლება მაშინვე არ აყვავდეს, მაგრამ ეს მაინც გახდება კორუფციის და უძრაობის და ბევრი სხვა პრობლემის დაძლევის პირველი ნაბიჯი“.

НТВ.RU

**ნტვ:** რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი 23 ნოემბერს, 01:45 სთ-ზე თბილისში ჩაფრინდა. აეროპორტში მას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი და სხვა ოფიციალური პირე-




ბი დახვდნენ. ივანოვმა იქვე განუცხადა ჟურნალისტებს — „ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მიმდინარე ყველა პროცესი კონსტიტუციის დაცვით განვითარდეს“.

22 ნოემბრის ღამის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იგორ ივანოვის ოპოზიციის მიტინგზე მოულოდნელი გამოჩენა. მოსკოვის დროით, დაახლოებით 5.45 სთ-ზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თბილისის ცენტრში მიმდინარე ოპოზიციის მიტინგზე მივიდა და სიტყვაც წარმოთქვა: „ალბათ არავის ეეჭვება, რომ რუსეთს საქართველოსთვის მხოლოდ მშვიდობა და სტაბილურობა უნდა. ისტორია გვასწავლის, როდესაც ჩვენ ერთად ვართ, დაბრკოლებებსაც ადვილად ვძლევთ. ახლა საქართველოს უჭირს და გვინდა, ყველაფერი კანონის დაცვით განვითარდეს... მე დედა ქართველი მყავს, მამა კი რუსი. ჩემი გული, უპირველესად საქართველოს ეკუთვნის, მერე კი რუსეთს. ქართველები ბრძენი ხალხია. ისინი რუსებთან ერთად საუკუნეების მანძილზე წერდნენ საერთო ისტორიას და ეს ბრძენი ხალხი უთუოდ გადაწყვეტს დღევანდელ პრობლემასაც. ათასგვარი დაბრკოლება დაგხვდებათ წინ, მაგრამ ყველაფერს მოევლება. უმთავრესია ქვეყნის აყვავება და მშვიდობიან მხარედ ქცევა. საქართველომ თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციაში და ამიტომ სხვამ კი არ უნდა ასწავლოს მას, არამედ მან უნდა ასწავლოს სხვას“. ივანოვმა მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით ქართულად მიმართა მომიტინგეებს. მისი გამოსვლის შემდეგ მოედანზე შეკრებილი ხალხი რამდენიმე წუთს სკანდირებდა: „იგორ! იგორ!“

გაერთიანებული ქართული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ კმაყოფილება გამოხატა რფ-ის საგარეო უწყების თავკაცის ოპოზიციის მომხრეთა მიტინგზე მობრძანების გამო.

RUSSIAN INFORMATION AGENCY NOVOSTI
РИА НОВОСТИ

**რია ნოვოსტი:** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი თბილისში მომხდარ მოვლენებს არ აფასებს როგორც გადატრიალების მცდელობას, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა.

THE SUNDAY TIMES

**სანდი ტაიმსი:** თუ ედუარდ შევარდნაძე საქართველოს დატოვებას გადაწყვეტს, ის ალბათ გერმანიაში გაემგზავრება. ამ ქვეყანაში არ ავიწყდებათ მისი წვლილი გერმანიის გაერთიანებაში.

The Washington Post

**ვაშინგტონ პოსტი:** საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს საქართველოში სასწრაფოდ ჩასვლა სთხოვა, მაგრამ პაუელმა თავი შეიკავა. მან და გაეროს გენერალურმა მდივანმა **კოფი ანანმა** ედუარდ შევარდნაძეს თავშეკავებისკენ მოუწოდეს და ურჩიეს, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად იმოქმედოს. პაუელმა და ანანმა განაცხადეს, რომ განაგრძობენ საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე თვალყურის დევნებას და შევარდნაძესთან კონტაქტს.

Azerbaijan News

**აზერბაიჯან ნიუს:** აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ტელეფონით ესაუბრა ედუარდ შევარდნაძეს და სრული თანადგომა გამოუცხადა.

# მანამდე... საქართველოს პრეზიდენტი რუსეთთან „სამეგობროდ“ არის განწირული

***ლხინი ჟამიანობის დროს. აბა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს რუსეთის საელჩოს მიერ მოწყობილ მუსიკალურ-პოეტურ უიკ-ენდს — „ვერცხლის საუკუნის პოეტები“, მაშინ, როცა თბილისის ქუჩებში დემონსტრანტები ბობოქრობენ მოწოდებებით — „შევარდნაძე, წადი, წადი!“***



ის კი არ წავა. ედუარდ შევარდნაძე თვლის, რომ ახლა პოსტის დატოვება შეუძლებელია და ოპოზიციას დიალოგისკენ მოუხმობს. მაგრამ დიალოგი ჯერჯერობით მხოლოდ ოფიციალურ მოსკოვთან გამოუდის. ეტყობა, რუსეთის დედაქალაქში ჩასულ შევარდნაძის ემისარს, ასლან აბაშიძეს, დახმარებას დაჰპირდნენ, რადგან საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ, აჭარის ლომმა მტკიცედ განაცხადა: „თუ სიტუაცია კონტროლს არ დაექვემდებარა, საქართველოს ხელისუფლება მოვალეა, დაიცვას კანონიერება და თავისი ხალხი. დაუშვებელია, რომ ხელისუფლებაში ბოლშევიზმისა და ფაშიზმის მსგავსი ძალები მოვიდნენ. გაცემულია მითითება ამ ხალხის დაკავებისა და სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ და ეს შესრულდება“. აჭარის ლიდერის ეს განცხადება არავის გაჰკვირვებია, რადგან ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები ასლან აბაშიძეს ხელმძღვანელობის ავტორიტარულ მეთოდებში ადანაშაულებენ.

რფ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურთან, დიმიტრი მედვედევთან და საგარეო საქმეთა მინისტრ იგორ ივანოვთან შეხვედრით დამთავრდა აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის ვოიაჟი მოსკოვში.

ეს შეხვედრები დახურული იყო. ზოგიერთი ინფორმაციული წყარო ამტკიცებს, რომ აბაშიძემ პრეზიდენტ პუტინთანაც მოახერხა მოლაპარაკება. მაგრამ ამაზე აბაშიძე არაფერს ამბობს. თუმცა მისი კომენტარებიდან ცხადი ხდება, რომ საქართველოს ხელისუფლება შიდაპოლიტიკური კრიზისის დაძლევაში მოსკოვის იმედზეა. შეხვედრის შემდეგ იგორ ივანოვმა აღნიშნა, რომ რუსეთისთვის სულერთი არ არის, როგორ წარიმართება ვითარება საქართველოში და თუ საჭიროება მოითხოვს, კონსულტაციებსაც გავმართავთ, მათ შორის, „კავკასიური ოთხეულის“ ჩარჩოებშიო, — დასძინა მან.

საქართველოს პრეზიდენტის ბოლო მანევრმა ცხადყო, რომ ის რუსეთთან „სამეგობროდ“ არის განწირული... დაივიწყა ჩრდილოელი მეზობლის „იმპერიული ზრახვები“. რუსეთი კი, აშკარად ისარგებლებს შემთხვევით და შეეცდება, ამ რეგიონში დასავლეთის გავლენის შესუსტებას და საქართველოს პრეზიდენტს ამერიკელებთან არშიყობასაც აპატიებს. მაგრამ დიდი ხნით შეიცვლის შევარდნაძე „ორიენტაციას?“ ადვილი შესაძლებელია, თუ თავის სკამს შერჩა, პირწმინდად დაივიწყოს გაჭირვებისას რუსეთისათვის მიცემული პირობა....

***სობესედნიკი***

# მოედანი — ჩვენ!..



თბილისში, პარლამენტის შენობის წინ, რადიკალური ცვლილებები მოხდა — ედუარდ შევარდნაძის მოწინააღმდეგეები მისმა მომხრეებმა შეცვალეს. აჭარის ლიდერმა დრო იხელთა და როგორც კი სააკაშვილის მომხრეებმა იქაურობა დატოვეს, მათ ადგილას სასწრაფოდ თავისიანები ჩაუყენა. სააკაშვილის მომხრეები კი მრავალდღიანი მიტინგობის შემდეგ სამოქალაქო დაუმორჩილებლობაზე გადავიდნენ. აჭარიდან მეტისმეტად ორგანიზებულად ავტობუსებით და მატარებლით ჩამოსული „მთავრობისტები“ პარლამენტის პირველი სხდომის დაწყებამდე არ აპირებდნენ რუსთაველის გამზირიდან ფეხის მოცვლას.

მოედანი აჭარლებით იყო სავსე. ფიცარნაგზე „აღორძინების“ პარტიის ლიდერები იდგნენ, ქვემოთ კი მათი ხალხი. გამოდიოდა ანსამბლ „ივერიის“ სოლისტი ვახტანგ ტატიშვილი. მოსკოვში ახლა მისი კოლეგები „ჩხიკვთა ქორწილს“ აჩვენებენ, მაგრამ პარლამენტის საფეხურებზე სულ სხვა სპექტაკლი მიდის. ბ-ნი ტატიშვილი ამბობს: ჩვენ, ქართველებს, გასაყოფი არაფერი გვაქვსო... საქართველოს გარდა-მეთქი, — ვუმატებ მე...

ტატიშვილი ათი წუთი ლაპარაკობს, მერე ანტრაქტს აცხადებენ, ანტრაქტის შემდეგ სოლისტის ხმა რატომღაც მკვეთრად იცვლება: ახლა რომ ახალი არჩევნები დანიშნონ, სააკაშვილის ბლოკს ხმას არავინ მისცემდა, აქ სულელი აღარავინაა! — იყვირა მან.

ეტყობა, ვახტანგ ტატიშვილს გული საგულეს იმიტომ ჰქონდა, რომ მიხეილ სააკაშვილის მომხრე მოედანზე არავინ ჩანდა. თუმცა, იქვე ხნიერი კაცი დავინახე, რომელიც აჭარლების მოზრდილ გუნდს რაღაცაზე ედავებოდა. მოდავე აფხაზეთიდან დევნილი აღმოჩნდა და გამწარებული გაჰყვიროდა, — შევარდნაძის რეჟიმმა სახლკარი და ცოლ-შვილი ამომიგდოო. კაცმა არ იცის, რით დამთავრდებოდა ეს დავა, მოხუცს ჟურნალისტები რომ არ გამოქომაგებოდნენ.

„აღორძინების“ ლიდერები ერთმანეთს ცვლიდნენ. გოგიტიძემ მომიტინგეებს აცნობა, რომ ბ-ნმა სოროსმა საქართველოს დესტაბილიზაციის ინვესტირება გადაწყვიტა. ასლან აბაშიძის მარჯვენა ხელმა, ცოტნე ბაკურიამ კი დამსწრეთ თბილისში ჩამოსვლის მიზანი შეახსენა: — დილამდე აქ ვიდგებით, ეს მოედანი ჩვენიაო. დიახ, ეს მათი მოედანი იყო (მოხუცი ლტოლვილი ხომ კარგა ხანია აქედან გაიყვანეს). ბაკურიას ვკითხე, — როდემდე იდგებით-მეთქი. სანამ ახალი პარლამენტის წევრები შენობაში არ შევლენო. ტაქტიკა ნათელია: აქამდე სააკაშვილის მომხრეები ამტკიცებდნენ, აქ იმიტომ ვდგავართ, ახალი პარლამენტის დეპუტატები სამსახურში არ შევუშვათო.

— სააკაშვილის მომხრეები რომ მოვიდნენ? — ვეკითხები ბაკურიას.

— არ მოვლენ, — დაბეჯითებით მპასუხობს, — ვერ გაბედავენ. და თუ გაბედავენ, არ გარისკავენ...

***ანდრეი კოლესნიკოვი***
***კომერსანტი***

***რუბრუკა მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

# „Кто еще хочет „е...ть по Тбилиси“




სანქტ-პეტერბურგში სკანდალური აუდიოკასეტები გამოჩნდა სიმღერებით, რომელიც ვლადიმირ ჟირინოვსკის ხმით სრულდება. კასეტა, სახელწოდებით „Е...м по Тбилиси“, 28 რუბლი ღირს, მეტროს სადგურებში იყიდება და ვიტრინებში განსაკუთრებით შესამჩნევად არის გამოდებული. რეპის სტილით შესრულებული სიმღერები ბილწსიტყვაობით არის სავსე და მყიდველებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. აუდიოკასეტის გარეკანზე გამოშვების თარიღი — 2003 წელი და დამამზადებლის იდუმალი სახელი ООО Starter არის მითითებული, ხოლო წარწერა თავად კასეტაზე გვამცნობს, რომ ხელოვნების ეს ნიმუში ფირმა ООО Трио-ს ლიცენზიით გამოიცა...

შეგახსენებთ, რომ ბუშის მიმართ წყევლითა და ლანძღვა-გინებით აღსავსე ჟირინოვსკის ხმას მიმსგავსებული სკანდალური ჩანაწერი, ამა წლის თებერვალში ერაყშიც გავრცელდა. მაშინ საგანგებო ექსპერტიზამ ვერ მოახერხა რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერისა და მომღერლის ხმის იდენტიფიცირება. ვლადიმირ ვოლფოვიჩმა ფირის გამოჩენას „უსინდისობა და თაღლითობა უწოდა“. ამ ახალ კასეტაზე კი ჯერჯერობით ხმას არ იღებს, გასუსულია...

***იზვესტია***

შპს „გეოკორი“ აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად



მის: აკურის ქ. №8
(სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ასლგადამღები აპარატები
1. იჯარა - ლიზინგი
უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“
libco Company LTD
ალმაშენებლის №99/1 ☎ 96-32-89

„ალუპლასტი“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 22 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2200 |
| ევრო | 2,6400 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,7793 |
| რუსული რუბლი | 0,0745 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5082 |

## №46 (372) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 518 მკითხველი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 191-მა ქალმა და 317-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„თქვენი აზრით, რა პროფესიის „ახალი" პარლამენტარები გადაარჩენენ ქართულ პოლიტიკას?"**

მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე იურისტების საკმაოდ დიდი რაოდენობით დაკომპლექტებულმა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ვერ იქნა და წელში ვერ გამართა ქართული პოლიტიკა (პირიქით, ცოტა არ იყოს, სახელიც გაუტეხა), მკითხველმა მისი გადარჩენა კვლავაც იურისტებს მიანდო — რესპონდენტთა 56%-მა შეაფასა ისინი მაქსიმალური — 9 ქულით. **8,25** საშუალო ქულით „იურისტები" პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა „ეკონომისტები", საშუალო ქულაა 8,06. მაქსიმალური ქულა მას მკითხველთა 33%-მა დაუწერა.

რესპონდენტებს ასევე დიდი იმედი აქვთ ბიზნესმენებისაც. „მწერლები და კრიტიკოსები" მხოლოდ ერთმა მკითხველმა (0,2%) შეაფასა მინიმალური — 1 ქულით. როგორც ჩანს, ჩვენს მკითხველებს სჯერათ, რომ იურისტებთან, ეკონომისტებთან და ბიზნესმენებთან ერთად, მწერლები შეძლებენ ქართული პოლიტიკის გაკეთილშობილებას.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა „ყოფილმა ჩინოვნიკებმა" დაიმსახურეს — რესპონდენტთა 54%-მა დაუწერა მათ 1 ქულა. მინიმალური ქულების სიმრავლით გამოირჩევიან ასევე „სპორტსმენებიც" (31%).

როგორც ჩანს, ხალხს ეჭვი ეპარება მსახიობებისა და რეჟისორების, ყოფილი ჩინოვნიკებისა და სპორტსმენების „გაპოლიტიკოსებაში". მათი აზრით, სარბიელი ისევ იურისტებს, ეკონომისტებსა და ბიზნესმენებს უნდა დავუთმოთ.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. მასთან ყველაზე მიახლოებული კი 8 ბარათი აღმოჩნდა. ჩვენი გამარჯვებულები არიან — 15 წლის **თინიკო ახალაია,** 52 წლის **ლამარა ამირეზაშვილი,** 40 წლის **დათო ჯიჯიაშვილი,** 38 წლის **ზაზა ქორიძე,** 51 წლის **რეზო ცხაკაია,** 14 წლის **ლევან ბეჟვაია** (თბილისი) და 30 წლის **ხათუნა ჯოჯუა** (ბანძა), რომელმაც ორი ზუსტად ერთნაირად შევსებული ბარათი გამოაგზავნა. მათ, საპრიზო ვარიანტისგან განსხვავებით, „ყოფილ ჩინოვნიკებს" 2-ის ნაცვლად 1 ქულა (მეცხრე ადგილი) მიაკუთვნეს, ხოლო „სპორტსმენებს" — 1-ის ნაცვლად — 2 (მერვე ადგილი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს პრიზის მისაღებად ველით ოთხშაბათს, 26 ნოემბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა:**

**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (IX–VIII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VIII–VII ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VII–VI ადგილებს), 4-სა და 5-ს (VI–V ადგილებს) და ა. შ. 8–9-მდე (II–I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად 1 და 3 (IX და VII ადგილები), 2 და 4 (VIII და VI ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №47 (373) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ **მკითხველის რეიტინგსა** და **მკითხველის პრემიაში.**

**№47 (373) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 26 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 27 ნოემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.

**თემა №47 (373) — განცდა**

**ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე რა განცდა გაქვთ ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№47(373) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | სიხარული | |
| 2 | შიში | |
| 3 | დაბნეულობა | |
| 4 | იმედი | |
| 5 | სინანული | |
| 6 | გამარჯვება | |
| 7 | სიამაყე | |
| 8 | უიმედობა | |
| 9 | დაძაბულობა | |

**მკითხველის რეიტინგი**

თქვენი აზრით, რა არის ედუარდ შევარდნაძის ყველაზე დიდი ნაკლი?

✓ ______________________

ღირსება?

✓ ______________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა" და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

## დამატებითი კითხვის შედეგები

### ვისკენ იხრება თქვენი სიმპათია?




1. მომიტინგე ოპოზიცია 50.5%
2. ხელისუფლება 3.0%
3. არც ერთი 46.5%

**დამატებითი კითხვას 469 რესპონდენტმა უპასუხა**

## ფოტოანტიკვარი ©

## ფოტოანტიკვარი ©



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— დროებით უმუშევარი ვარ...

**„ფოტოანტიკვარში" მკითხველთა 22%-მა მიხეილ სააკაშვილი „ამოიცნო", 11%-მა — შალვა ნათელაშვილი, 7%-მა აკაკი ასათიანი... დასახელდნენ ასევე ირაკლი წერეთელი, გურამ აბსანძე, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ედუარდ შევარდნაძე, ცოტნე ბაკურია, ასლან აბაშიძე, ერთი სიტყვით, მთელი პოლიტიკური სპექტრი. თითო-თითო მკითხველმა კი ამ პატარა, მხიარულ ბიჭუნაში ნინო სურგულაძე და ქართლოს ღარიბაშვილიც კი „შეიცნო".**

**მკითხველთა დაახლოებით 29% ნამდვილად არ შემცდარა, მამუკა გიორგაძე რომ დაასახელა.**





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



მამუკა გიორგაძე, ორი წლის

## ფოტო განწყობისთვის



— აქაც ქართველებზე წერენ...

24/XI ახალი მთვარე

მაგნიტური დღეებია:
25/XI 16-დან 18 საათამდე
27/XI 13-დან 16 საათამდე

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები





შეადგინა რამაზ ალანიამ

# ჯოლის „ცხოვრების მთავარი მამაკაცი“



ჰოლივუდის ვარსკვლავმა ანჯელინა ჯოლიმ ბოლო ინტერვიუში განაცხადა, — მზად ვარ, კარგა ხნით კინოსკენ არ გავიხედო და მთელი დრო მივუძღვნა შვილის აღზრდას, რომელიც ჩემი ცხოვრების მთავარი მამაკაცი გახდა. ძალიან ბევრი შვილი მინდა ვიყოლიო — თუნდაც შვიდი. ახლო მომავალში კიდევ ერთ ბავშვს ავიყვან, მერე კიდევ და კიდევ... როცა ჩემი ბიჭუნა სკოლაში წავა, მის და-ძმაზე ვიზრუნებ.

ვიდრე ამდენ ბავშვს ვიშვილებდე, უნდა დავრწმუნდე, შემიძლია თუ არა თავს ამის უფლება მივცე. ეს ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა და უამრავი ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვა დამჭირდება, — თქვა ჯოლიმ.

* * *



ჭიჭიკია მივლინებიდან შინ დროზე ადრე ბრუნდება. საძინებელ ოთახში მამაკაცს აღმოაჩენს. მიდის კარადასთან და იქიდან ცოლი გამოჰყავს:

— რა იდიოტი ხარ! ასჯერ მაინც გითხარი, რომ ის უნდა შეძვრეს კარადაში, ის!!!




# შვილების გულისთვის...



5 შვილის მამის, ჰოლივუდის ვარსკვლავის, პირს ბროსნანისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ ურთიერთობებს. ის მთელ თავისუფალ დროს ცოლშვილთან ატარებს. ახლახან ბროსნანები ერთად წავიდნენ სათევზაოდ მექსიკის ყურეში. რამდენიმე დღის შემდეგ კინოვარსკვლავმა კიდევ გამონახა დრო და უმცროსი ვაჟი — 2 წლის პირსი პლაჟზე წაიყვანა სასეირნოდ, სადაც მოსიყვარულე მამა-შვილი ფრანების გაშვებით ერთობოდა.

* * *

ჰოლივუდის ვარსკვლავები — დემი მური და ბრუს უილისი ყველაფერს აკეთებენ, რომ მათი განქორწინების გამო შვილები არ დაიჩაგრონ. ბრუსი, დემის თანხმობით, ხშირად ნახულობს გოგონებს. შუათანა ქალიშვილი, 12 წლის სკაუტი, ერთი წელია სკოლის ნაკრებში ფრენბურთს თამაშობს. რამდენიმე დღის წინ გოგონამ მშობლები მიიწვია მატჩზე. ბრუსი და დემი გულითა და სულით გულშემატკივრობდნენ ქალიშვილს, ხოლო როცა სკაუტის გუნდმა გაიმარჯვა, გახარებულმა მშობლებმა ნამდვილი ზეიმი გაუმართეს შვილებს და მათ მეგობრებს.



ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 47 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№47 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 27 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: ТБИЛИСИ — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: МЦХЕТА, КАСПИ, ГОРИ, КАРЕЛИ, ХАШУРИ, СУРАМИ, ЗЕСТАФОНИ, КУТАИСИ, САМТРЕДИА, АБАША, СЕНАКИ, ХОБИ, ЗУГДИДИ, ФОТИ, КОБУЛЕТИ, БАТУМИ, ОЗУРГЕТИ, ЛАНЧХУТИ, ВАНИ, ЦКАЛТУБО, БАГДАТИ, ХОНИ, БАНДЖА, ТЕРДЖОЛА, ТКИБУЛИ, АМБРОЛАУРИ, ОНИ, БОРДЖОМИ, АХАЛЦИХЕ, РУСТАВИ, САГАРЕДЖО, ГУРДЖААНИ, ЦНОРИ, СИГНАХИ, КВАРЕЛИ, ЛАГОДЕХИ, ТЕЛАВИ, АХМЕТА, ДЕДОПЛИСЦКАРО.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი